დათო ყანდაშვილი

საკუთარი „მე“-ს სრულქმნა განგების მიერ განსაზღვრული გამოვლინების დიაპაზონში

წიგნი IV

საკუთარი „მე“-ს სრულქმნა განგების მიერ განსაზღვრული გამოვლინების დიაპაზონში

დათო ყანდაშვილი

4

დათო ყანდაშვილი

საკუთარი „მე“-ს სრულქმნა განგების მიერ განსაზღვრული გამოვლინების დიაპაზონში

წიგნი IV

გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2009

© დ. ყანდაშვილი, 2009

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2009

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30
E–mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-12-735-9

ეს წიგნი აწყობილი იქნება ერთადერთ პრინციპზე, რომელიც ორი ნაწილით იქნება წარმოდგენილი.

1. მამაკაცური საწყისისთვის – სრულყოფილების მიღწევა საკუთარი „მე“-ს გამოვლინების საზღვრებში.

2. ქალური საწყისისთვის – განგების ნების რეალიზაციის საშუალებად გადაქცევა.

საერთო განსაზღვრება მათი ანუ ერთიანი პრინციპისა კი იქნება:

კონცენტრირება საკუთარზე უფრო მაღალ ეთიკურ-ესთეტიკურ დონეზე და მის საუკეთესო, უმაღლეს, ინდივიდუალურ წარმომადგენლებზე, რომლებმაც უკვე მიაღწიეს სრულქმნას და რომელთა ინერციის ხაზიც მთელი სამყაროს უკეთესად გარდაქმნის მცდელობისაკენ, ამაღლებისაკენ არის მიმართული.

ეს წიგნი იქნება აბსოლუტური, ჭეშმარიტი სიყვარულის დამკვიდრების საშუალება „მე“-ში. ანუ ის იქნება საშუალება შიშის შეგრძნების აბსოლუტურად, სრულად ამოძირკვისა ჭეშმარიტი „მე“-დან. შიში არის შეგრძნება, რომელიც ჩაისახა არასწორად შეფასებულ შეხედულებათა საკუთარ რწმენად (საკუთარი მოქმედების სახელმძღვანელოდ) მიღების შედეგად საკუთარ „მე“-ში. ის ვლინდება მაშინ, როდესაც ამ არასწორად შეფასებულობის ჩემს ორგანულ ნაწილად აღქმულობის არანაირი სახით არ გადახედვისა და უპირობოდ მისი ასეთად შენარჩუნების სურვილი ხდება ჩემი თვითრეალიზაციის ინტერესის საგანი.

იმისათვის, რომ სრულად აღმოიფხვრას შიშის შეგრძნება ჩემს „მე“-ში საჭიროა და აუცილებელია ჩემი „მე“-ს მიერ არასწორად შეფასებული შეხედულებების რაიმენაირი ნებისმიერი (შეგნებული ანუ ნებელობითი, თუ შეუგნებელი ანუ უნებური) არსებული ფორმის არათუ შენარჩუნებაზე ვიზრუნო, პირიქით მათ აღმოფხვრაზე ვიყო კონცენტრირებული. ამის რეალურად რეალიზირებისათვის კი ამ შეხედულებების მქონეთა წარმომადგენლებთან (მათ მატარებელ აქტიურ თუ პასიურ ინდივიდებთან) სრულიად უნდა გავწყვიტო ცნობიერი ურთიერთობები, სულიერი კონტაქტი და მხოლოდ იმ ყოფითი ურთიერთობებით, მატერიალური კონტაქტით შემოვიფარგლო, რასაც ჩემს „მე“-ში ჯერ კიდევ არსებული არასწორი შეხედულებების შესაბამის სიტუაციებს შემიქმნის განგება.

ამის შედეგად ჩემს „მე“-ში არსებულ პოტენციურ ენერგიას მიეცემა უნარი ამ ჯერ კიდევ არსებულ არასწორ შეხედულებათა აღმოფხვრისა და მათ ნაცვლად მათი შესაბამისი სწორი, მართებული შეხედულებების საკუთარ რწმენად მიღებისა. ეს ჩანაცვლების პროცესი გასტანს იქამდე, ვიდრე შევძლებ დავიცვა ეს პრინციპი და ამ პრინციპის ასე მიყოლის შემთხვევაში სრულიად შესაძლებელია არასწორად შეფასებულ შეხედულებათა მთლიანად, სრულად აღმოფხვრა ანუ სრულყოფილების მიღწევა ჩემი „მე“-ს გამოვლინების მთელს დიაპაზონში, რომელიც ზედმიწევნით განსაზღვრულია უპიროვნო განგების მიერ.

დ. ყანდაშვილი

მამაკაცური საწყისის სამი უკიდურესობა:

<u>I. მთელი არსებული ნეგატიურობის პოზიტიურობად გარდაქმნის მცდელობები.</u> ეს იწვევს ენერგიის უკმარისობას ჭარბად ხარჯვის გამო და უზარმაზარ სქესობივ ლტოლვას კერპთაყვანისმცემელი ანუ მონური ბუნების მქონე ქალური საწყისის წარმომადგენლებთან მიმართებაში, რათა მათგან აიღოს მათში ჩაგროვილი (თუმც არასახარბიელო ხარისხის) ენერგია.

<u>II. მთელი არსებული პოზიტიურობის ნეგატიურობად გარდაქმნის მცდელობები.</u> ის ამას სიკეთედ (ჭეშმარიტად საჭიროდ საკეთებლად) აღიქვამს თავადვე ილუზიაში ყოფნის გამო. იწვევს ენერგიის ჩაგროვების არასრულად ხარჯვის გამო და უზარმაზარ სქესობრივ ლტოლვას თვითგაკერპებული ანუ სატანური ბუნების მქონე ქალური საწყისის წარმომადგენლებთან მიმართებაში, რათა დაიცალოს თავისში ჩაგროვილი, არ გამოყენებული ენერგიისაგან.

<u>III. ნეგატიურობის პოზიტიურობად გარდაქმნა იმ ხარისხითა და იმ რაოდენობით, რაც მიმდინარე ობიექტური რეალობისთვის, აწმყოსთვის არის საჭირო და აუცილებელი.</u> იწვევს ენერგიის არც უკმარობას და არც ჩაგროვებას და უზარმაზარ სქესობრივ ლტოლვას დამოუკიდებელი, ცხოველმყოფელი ბუნების მქონე ქალური საწყისის წარმომადგენლებთან მიმართებაში, რათა შეძლოს საკუთარი აზრთაწყობის ფუნქციონალური რეალიზაცია და არ

მოხდეს თავისში ენერგიის ნაკლებობისა და სიჭარბის პრეცენდენტის დაშვება (გაწონასწორებულ იქნას).

III კატეგორიაში მოხვედრისა და იქედან არა გადავარდნის საშუალება და გარანტი I და II კატეგორიაში მამაკაცური საწყისის წარმომადგენლებისათვის მამა ღემრთის, სამყაროს უზენაესი პიროვნების მიმართ ერთგულების გამომუშავება და დაცვაა თავისში. სხვა ვერანაირი საშუალება ვერ დაეხმარება მათ ამის მიღწევაში. ეს იქნება მისი ურთიერთობა ღვთისნიერების უმაღლესი დონის წარმომადგენელთან, რაც მასში ღვთისნიერი ბუნების განვითარებაში გადაიზარდა. ხოლო ცხოველმყოფელი ქალური საწყისის წარმომადგენლებთან მათი შეხვედრა უკვე ამის შედეგად მოხდება.

ქალური საწყისის სამი უკიდურესობა:

I. მთელი არსებული ნეგატიურობის პოზიტიურობად მიღების მცდელობები. ეს იწვევს ენერგიის ჩაგროვებას მისი საერთოდ არ გამოყენების გამო და უზარმაზარ სქესობივ ლტოლვას თვითგაკერპებული ანუ დემონური ბუნების მქონე მამაკაცური საწყისის წარმომადგენლებთან მიმართებაში, რათა როგორმე გადაყაროს თავისში ჩაგროვილი ენერგია, რომელიც შინაგან დისკომფორტს უქმნის.

II. მთელი არსებული ნეგატიურობის პოზიტიურობად გარდაქმნის მცდელობები. ეს იწვევს ენერგიის უკმარისობას მისი მოთხოვნილების დაკმაყოფილების კვალდაკვალ (მუდმივად ხარჯვის გამო) და იწვევს უზარმაზარ სქესობრივ ლტოლვას კერპთაყვანისმცემელი ანუ სატანური ბუნების მქონე მამაკაცური საწყისის წარმომადგენლებთან მიმართებაში, რათა როგორმე აღიდგინოს არამიზნობრივად დახარჯული ენერგია.

III. მთელი არსებული პოზიტიურობის პოზიტიურობად მიღების, ხოლო ნეგატიურობასთან ურთიერთობის არ ქონის მცდელობები. ეს იწვევს ენერგიის არც ჩაგროვებას და არც უკმარობას და უზარმაზარ სქესობრივ ლტოლვას თავისუფალი ანუ ღვთისნიერი ბუნების მქონე მამაკაცური საწყისის წარმომადგენლებთან მიმართებაში, რათა შემდგომაც არ მოხდეს მასში ენერგიის ზედმეტად ჩაგროვება ან ენერგის უკმარისობა.

III კატეგორიაში მოხვედრისა და იქიდან არ გადავარდნის საშუალება და გარანტი I და II კატეგორიაში ქალური საწყისის წარმომადგენლებისათვის სულიწმიდის, სამყაროს უწმინდესი პიროვნების მიმართ ერთგულების გამომუშავება და დაცვაა თავისში. სხვა ვერანაირი საშუალება ვერ დაეხმარება მათ ამის მიღწევაში. ეს იქნება მისი ურთიერთობა ცხოველმყოფელობის უმაღლესი დონის წარმომადგენელთან, რაც მასში ცხოველმყოფელი ბუნების განვითარებაში გადაიზრდება, ხოლო ღვთიური ბუნების მქონე მამაკაცური საწყისის წარმომადგენლებთან მისი შეხვედრა უკვე ამის შედეგად მოხდება.

სარჩევი

შესავალი 9

I ნაწილი **15**
I თავი. ანანდა 24
წარმართულობა და სულიერი განდეგილობა 27
რელიგია და სარწმუნოება 30
ყოფითკმარობა და თვითკმარობა 33
I თავის მოკლე ფასეულობრივი აღწერა 37
II თავი. ვიჯნანა 39
ანგარებითი თვითუზრუნველყოფა და ქველმოქმედება 40
კერპთაყვანისმცემლობა და კულტურა 44
თვითგაკერპება და მეცნიერება 48
II თავის მოკლე ფასეულობრივი აღწერა 52
III თავი. მანო 54
მატერიალური სქესობრივი ურთიერთობა და სულიერი სქესობრივი ურთიერთობა 55
გარეგანი წესრიგი და ფუნქციონალური რელიგიურობა 59
გარეგანი ქაოსი და შინაგანი შემეცნება 63
III თავის მოკლე ფასეულობრივი აღწერა 66
IV თავი. პრანა 69
მატერიალური მსხვერპლშეწირვა და სულიერი მსხვერპლშეწირვა 70
ზემოქმედება (საკუთარ „მე“-ზე) და შემოქმედება (საკუთარ „მე“-ში) 74
გარემოზე ზემოქმედება და გარემოს შეცნობა 77
IV თავის მოკლე ფასეულობრივი აღწერა 81
V თავი. ანნა 83
მატერიალური საკვები და სულიერი საკვები 84
აზროვნება და შინაგანი წესრიგი 87
გემოვნება და შინაგანი ქაოსი 91
I ნაწილის მოკლე ფასეულობრივი აღწერა 96

II ნაწილი **97**
ნებისმიერი ურთიერთობა (კონტაქტი), როგორც სქესობრივი ურთიერთობების გამოვლინების რაობა 97

ათი მცნება 102
I თავი. პარამანნა 113
სულიერი განდეგილობა და სულიერი საკვებით კვება 114
სარწმუნო(ვნ)ება და მოსმენა (ნებაყოფილობითობა) 117
თვითკმარობა და გაზიარება (თვითკმარი მყუდროება) .. 121
II თავი. პარამპრანა 125
ქველმოქმედება და სულიერი ნაწილის დაცვა 125
კულტურა და ნეტარება (ზომიერი
თანამიმდევრულობა) 129
მეცნიერება და განათლება (არაძალდობა)..... 133
III თავი. პარამაანანდა **138**
ასკეტიზმი და კეთილშობილება 139
ფუნქციონალური რელიგიურობა და რწმენა
(განგების ნების რეალიზაციის საშუალებად
გადაქცევა)..... 142
შინაგანი შემეცნება და ნდობა (სრულყოფილების
მიღწევა საკუთარი „მე“-ს გამოვლინების
საზღვრებში)..... 146
IV თავი. პარამვიჯნანა **151**
მსხვერპლშეწირვა და სულიერი ნაწილის
უზრუნველყოფა 151
შემოქმედება და ცივილიზირება (მორჩილი
თაყვანისცემის აღიარებისა და დიდების
მიღწევა) 156
გარემოს შეცნობა და ევოლუცირება (სრულყოფილე-
ბისკენ სწრაფვით სრულყოფილებისკენ
მიმართვა)..... 160
Vთავი. პარამმანო **164**
კვების მოთხოვნილება და სულიერი სქესობრივი
ურთიერთობები 164
შინაგანი წესრიგი და ტრანსცენდენცირება
(გულწრფელობა)..... 168
შინაგანი ქაოსი და ჰარმონიზირება
(უშუალობა) 172
ორივე ნაწილის მოკლე ფასეულობრივი აღწერა 177
ბოლოსიტყვაობა (დასკვნა) 178

შესავალი

თუ უხეში მეტაფორული მიდგომით შევხედავთ, ნებისმიერი ცოცხალი არსება არის რაღაცა ხარისხისა და რაოდენობის „პლასტელინის მასალა“, რომლისაგანაც რაღაცა უნდა გამოიძერწოს. თუ ცოცხალი არსების სურვილი იდენტური იქნება „პლასტელინის მასალის“ საჭიროდ და სასურველად გამოყენებისა (მისი იდეალურად მართებულად გახარჯვის თვალსაზრისით), მაშინ არანაირი შიდა და გარე დაპირისპირება არ და ვერც იარსებებს. მაგრამ ამ პიროვნულ სურვილებსა და პიროვნებასთნ მიმართებაში არსებულ გარდაუვლად აუცილებლად და საჭიროდ მიჩნეულ დასაკმაყოფილებელ მოთხოვნილებებს შორის ურთიერთგაუგებრობითი, არათანხვედრილი ნაწილი არსებობს. ამიტომ იწყება „პლასტელინის მასალისაგან“ მრავალჯერ გამოყენების ფენომენური გამოვლინებების დაუსრულებელი მარათონი.

ამ ე. წ. ურთიერთგაუგებრობის არსებობის ფონზე ცოცხალი არსება თავისი კუთვნილი „პლასეტლინის მასალისაგან“ (ანუ იმისაგან, რასაც „მე“-ს უწოდებს) თავისი სურვილის დასაკმაყოფილებლად ძერწავს რაღაცას. ამ ძერწვის პროცესში ის მთლიანად იხარჯება, ასე ვთქვათ გულით, სულით და გონებით. ალბათ სულ არ უნდა იყოს გასაკვირი ის, რომ ადრე თუ გვიან დამთვრებულ, გამოძერწილ ფორმას ის მთლიანად ეჯაჭვება მთელი გულით, სულითა და გონებით. ის ხდება ცოცხალი არსებისათვის უპირველესი და უმთავრესი ინტერესის საგანი. პირველი პრობლემა კი რაც ამ ცოცხალ არსებას უდგება წინ, ეს გახლავთ უკვე გამოძერწილი (დამთავრებული) „გამოსახული ფორმის“ ისეთად შენარჩუნება როგორადაც ის მან შექმნა.

ცოცხალ არსებას აზრადაც არ მოსდის ის, რომ სწორედ ამ სურვილის გაჩენის მომენტიდან თავადვე იგონებს და ჰქმნის ათასგვარი ტიპის საფრთხეს და, თუ გადატანითი მნიშვნელობით (არაუშუალოდ) ვიგულისხმებთ, თავადვე გარდაუვლად განადგურების პროვოცირებას ახდენს ამ მისთვის უძვირფასესი გამოძერწილი, გამოსახული ფორმისათვის განკუთვნილს. ეს კი იმიტომ მოხდება, რომ ამ ცოცხალმა არსებამ მოინდომა პროცესის შეჩერება, დროის შეჩერება, საკუთარი ქმნილების სრულყოფილებად მონათვლა, მაშინ როდესაც ის ასეთი არ არის, რამეთუ გამოსახული ფორმა მეტად საჭიროა მისთვის, ვიდრე თავად ის ამ ფორმისათვის. ანუ მან შემოიტანა დროის მოკვლის, ბუნებრივი მოვლენების ბუნებრივი

სვლის მოკვლის, ფუნქციონალური ასპექტის მოკვლის მცდელობები საკუთარი ქმნილების „ხელშეუხებლად“ დატოვების სურვილის გამო.

ამიტომ ცოცხალ არსებას უნდა დაეშალოს, დაენგრეს, დაეჭყლიტოს ეს გაკულტებული ნაძერწი ფიგურა (ან თვითონ ნაძერწი უნდა დაუპირისპირდეს, აუჯანყდეს, გაექცეს, თუნდაც საკუთარი თავის დაზიანების ან სულაც განადგურების ფასად), რათა მან ხელახლა დაიწყოს ამ არსებულზე ჭეშმარიტად უკეთესი ფიგურის კეთება.

ერთი რამ უნდა გაიგოს, შეიცნოს ცოცხალმა არსებამ. იგი განუწყვეყტლივ შემოქმედებითი საქმიანობით უნდა იყოს დაკავებული, მაგრამ იმ „პლასტელინის მასალაზე“ მეტი რაც უკვე მიეცა არ ეკუთვნის და არც უნდა ეცადოს სხვა ცოცხალ არსებებს წაართვას, მან თავისი კუთვნილი „პლასტელინის მასალა“ ფუნქციონალურად (მიზნობრივად) გამოიყენოს.

მაშინ, როდესაც დაამთავრებს საკუთარი „პლასტელინის მასალის“ გამოყენებას მიღებული ნაძერწი, რაც შეიძლება მოკლე, ლაკონური, ფუნქციონალური და ვიზუალური აღწერა, აღქმა და შეგრძნება უნდა მოახდინოს ცოცხალმა არსებამ. შემდგომ ეს ცოდნა მეხსიერებაში, წარმოსახვით ინტელექტუალურ ბანკში უნდა გადაიტანოს, მის გარშემო სხვა ცოცხალი არსებების მხრიდან (ვისაც სურს და ვინც თავად სურს) შეხედულებები უნდა მოისმინოს, ისინიც სუმირების შემდგომ პოზიტივად უნდა გარდაქმნას და... თავისივე გულის, სულისა და გონების კეთილი ნებით უნდა გადააქციოს ნაძერწად გარდაქმნილი „პლასტელინის მასალა“ ისევე თავდაპირველ „პლასტელინის მასალად“, რათა ხელახლა დაიწყოს ახალი შემოქმედებითი წვის პროცესში ახალი ნაძერწის შექმნა.

გონების ენაზე რომ ითქვას, ეს არის არ მიჯაჭვების ფენომენის მეტაფორული გადმოცემა საკუთარ საქმიანობაზე და ამ საქმიანობის შედეგებზე.

ამ გამოძერწვისა და ნაძერწის დაშლის ხანგრძლივი ურთიერთცვალებადი პროცესი დამთავრდება მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც ცოცხალი არსების სურვილი სრულიად იდენტური, მთლიანად შესაბამისი გახდება საკუთარ კუთვნილებაში არსებული „პლასტელინის მასალის“ (ანუ იმისა, რასაც ცოცხალი არსება „მე“-ს უწოდებს) ზედმიწევნით საჭიროდ და სასურველად გამოყენებისა. მაშინ აღარანაირი შიდა და გარე დაპირისპირება აღარ და

ველარ იარსებებს ამ ცოცხალი არსებისათვის. მასში და მის გარე-მოცვაში მშვიდობა დაისადგურებს.

აი, ეს პროცესი თავიდან ბოლომდე და მისი მიმდინარეობისას სავარაუდოდ მოსახდენი მოვლენები ერთი ლეგენდისმაგვარი ის-ტორიით მინდა გადმოვცე, რომელიც მე შევქმენი და იმდენად მო-მეწონა, რომ ამ წიგნში გადავწყვიტე მისი შეტანა.

...და, იქნებ, სიცოცხლე ცაშიც გრძელდება?! ...

რაც დაგასიბნელია, ის არის ნახალისებული და
მხოლოდ იმის ჭაბუკს ადამიანური ბორება

დახატა დიდმა მხატვარმა ნახატი დიდებული. ნახატი იგი სუ-ლით ანთებდა და შთააგონებდა სინატიფეს ყოველივესი, რაც კი არსებულა და არსებობს. ყოველი მაცქერალი მისი ივსებოდა მად-ლით, რომელიც იქიდან გარდმოდიოდა.

და ყოველს, მაცქერალს ნახატისას, აღეძრა სურვილი გამოე-ხატა შეგრძნება, რომელიც შედიოდა მათში. ყოველმა მათგანმა დაიწყო გამოხატვა ამ შეგრძნებისა, რამდენადაც შესწევდა უნარი აზრით ამის გადმოცემისა.

თავიდან უსმენდნენ ისინი ერთურთს და სიამოვნებდათ საუ-ბარი ერთმანეთთან და არ ბეზრდებოდათ ეს არც დღე და არც ღა-მე. ყოველმა იმათგანმა ბოლომდე დასცალა თავისი გული, ბო-ლომდე გადააქცია შეგრძნებული მადლი დიდებულ სიტყვებად, სა-სიამოვნო აზრთაწყობად. დიდად კმაყოფილნი იყვნენ ისინი ამით და ასე ნეტარ მდგომარეობაში იყვნენ კარგახანს, მხოლოდ ერთმა-ნეთს შეჰხაროდნენ, არღარა უნდოდათ ამის მეტი, რამეთუ სრული გაგება ჰქონდათ ერთურთისა. მაგრამ აღარ აინტერესებდათ ნახა-ტი, თითქოს ბოლომდე მოისურვილესო იგი.

ასე გრძელდებოდა იქამდე, ვიდრე ერთმა იმათგანმა არ განიზ-რახა თავიდანვე შეექმნა მსგავსი ამ ნახატისა. თავიდან საკუთარი შეგრძნების გადმოსაცემად სურდა ექმნა ეს, რათა სხვა ყველა მის გარშემო მყოფნი, რომლებიც ჭეშმარიტად უყვარდა მას ისევე აღეფრთოვანებინა და დაემუხტა, როგორც დიდი მხატვრის ნახატ-მა აღაფრთოვანა და დამუხტა ისინი. არ დააკლო არც ნდომა და

არც სურვილი. ხატვის დროს კი, ის სურვილი ამოძრავებდა, რომ ყოველ მათგანს ვისთანაც გაგება აკავშირებდა ხელახლა მოანდომებდა ეს ახლად მიწოდებული შეგრძნება ახალ, უკეთეს აზრთაწყობად გადაექციათ და ერთმანეთისთვის სიამოვნებით აღვსილებს გაეზიარებინათ.

განვლო დროებამ და აჰა, დაამთავრა მან ნახატი თავისი და სათუთი მოწიწებით წარუდგინა იგი სხვათა ყოველთა... მაგრამ არ მოხდა ისე, როგორც ეს ამ ერთს წარმოედგინა. დაიწყეს მათ ყველამ შედარება ახალი ნახატისა ძველთან და აღშფოთებულნი უკმაყოფილებას ვერ მალავდნენ. დასდეს ბრალი ამას მკრეხელობაში. პირველად დაადანაშაულეს მიმსგავსებაში სათაყვანებლისაში და კრძალვით მოსაპყრობლისაში, დაუწუნეს ჩანაფიქრი მისი და ნახატი იგი რჯულის შებღალვის მცდელობად გამოაცხადეს. აუკრძალეს ყველას მზერით შეხებოდნენ ნახატს ამასა და კერპად გამოაცხადეს.

შემდგომად ამისა, შური შევიდა თითოეულში მათში თავისნაირისვესთან მიმართებაში და თავადვე დაიწყეს ნახატების კეთება, ჩუმ-ჩუმად ერთურთისა. დაიყვნენ მსხვილ ჯგუფებად და ურთიერთანგარიშგაწევა მათი დაიყო და დაიშალა რამდენიმედ. თუმც ამ ჯგუფებში გაგება ერთურთისა იყო, მაგრამ ეს გაგება მეტად დაემსგავსა სხვათა გაგების დაპირისპირებით გამოკვებილ ერთობას. ახალი ნახატის ავტორი კი, განდგა იმათგან და ნახატიც თან წაიღო.

განვლო დროებამ კიდევ და იმასაც გამოუჩნდნენ თანამდგომნი და მოზიარენი, ვინც გაბედა და შეჰქმნა ნახატი განსხვავებულად დიდი მხატვრისა. იწყო მათმა ჯგუფმა გაზრდა და გაფართოება. თუ პირველად მოსულნი ნახატით აფასებდნენ ავტორს, შემდგომ შემომატებულნი ნახატის მომხრეთა რაოდენობით იყვნენ მი-

ზიდულნი; ამათ შემდგომად შემოკერებულნი ამ ჯგუფზედა ნახატის მომხრეთა ზრდადი გავლენით სარგებლის მიღების შესაძლებლობით იხიბლებოდნენ; აი, სულ ბოლოს ჩამოკიდებულ-ჩაბღაუჭებულნი კი, ყალბი კეთილგანწყობით გამოხატული ნიღბით ცდილობდნენ ამ ჯგუფში შიგნით შეღწევით მათი ძალა და სისუსტე გაეგოთ და ხელსაყრელ მომენტში დამანგრეველი დარტყმა მიეყენებინათ მათივ რიგებიდან აღმოცენებული მხატვრისათვის, რადგანაც უმეცარი იყო ბუნება მათი.

განვლო კიდევ დროებამ და გარდაიცვალა ახალი ნახატის ავტორი. მოკვდა იგი თვალთათვის და აღიარა მაშინ ყველამ, დიდმა თუ პატარამ დიდ მხატვრად, მსგავსად იმ დიდი მხატვრისა, რომელთანაც შედარების-და გამოც გაიკიცხა იგი და გაიყო ყველა რამდენიმე ჯგუფად. შეიკრიბა ისევ ყოველი, რათა ხელახლა ყველა გამხდარიყო როგორც ერთი და სრული გაგება და სიყვარული ჰქონოდათ ერთურთისა... მაგრამ უკვე თვალს ვეღარ უსწორებდნენ ერთმანეთს, რაღაცა უშლიდათ. მაშინ მოინდომეს ნახატის ცქერითა და იქიდან დაბადებული შეგრძნების აზრთაწყობად გარდაქმნილებითა და ამის ურთიერთგაზიარებით მოეცილებინათ უნდობლობა ერთმანეთის მიმართ. თითქოს გულდაგულაც კი ცდილობდნენ ამის ქმნას, მაგრამ ვერ შეძლეს.

ნახატს კი უცქერდნენ, თვალით ხედავდნენ, მაგრამ გული სდუმდა. საკუთარი უარყოფა აწუხებდათ თუ ის, რომ მათნაირის მიერ შექმნილს უქცერდნენ, ვერ გეტყვით, მაგრამ შეგრძნება, რაც მათში ჩნდებოდა ნახატიდან კი არა, საკუთარი წარსულიდან მომდინარეობდა. არა, ისე არ გეგონოთ თითქოს საქებარ სიტყვებს იშურებდნენ, ან ყურებამდე ღიმილიანი სახით არ ესაუბრებოდნენ ერთმანეთს, როგორ გეკადრებათ. ტაქტიც ჰქონდათ დაცული და თავაზიანი ქცევის წესებიც.

ნახატი ოქროს ჩარჩოშიც კი ჩასვეს და წინ მინაც ჩაუსვეს, რომ არავის დაეზიანებინა. ერთმა მეცნიერმა სპეციალურად შეისწავლა საღებავის ქიმიური შემადგენლობა, მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ამას მიუძღვნა და დაასკვნა, რომ ის იდენტური იყო იმ

საღებავისა, რითაც თავდაპირველი ნახატი იქნა დახატული. ხელოვნებათმცოდნეებმაც შეისწავლეს და აღიარეს, რომ ხატვის სტილი აბსოლუტურად შეესაბამებოდა დიდი მხატვრის სტილს. თვით ყველაზე დიდმა მოწინააღმდეგეებმაც, ძველი ნახატის ისტორიულმა თაყვანისმცემლებმაც კი, დაასკვნეს, რომ ეს ახალი ნახატი ძველი დიდი მხატვრის კურთხევითა და შთაგონებით შეიქმნა.

მოკლედ, ყოველ დღე და ყოველ ღამით უწყვეტი რიგები იდგა ნახატის სანახავად და მის წინ ჩასმულ მინაზე საამბოროდ. ძალიან შეძლებულები დიდი თანხების საფასურად საკუთარ, მათთვის წმინდა, ზეიმებზე დიდი თხოვნა-მუდარის შემდგომ მოატანინებდნენ ხოლმე ნახატს მის დამცველებს სასურველ ადგილას.

მაგრამ ამ უამრავთა რიცხვთაგან ერთიც არ აღმოჩნდა ისეთი, რომელიც თუნდაც ოდნავ მაინც შეეცდებოდა შეეგრძნო ის, თუ რას გრძნობდა ის, ერთ-ერთი მათი მსგავსი არსება იმ დროს, როდესაც ნახატს ჰქმნიდა. ეს ნახატი ხომ ამ შეგრძნებამ შეჰქმნა და არა იმან რადაც აღიქვამდა ეს ყველა ამ ნახატის ავტორს.

ეს გარდაცვლილი, ერთ-ერთი იმათგანი კი, დიდმა მხატვარმა თავის სახელოსნოში დაასახლა და მათი ურთიერთობა თავისდაუნებურად ჰქმნიდა იმ შეგრძნებას, რამაც ეს ნახატები შეჰქმნა და მიუხედავად უწყვეტი, მუდმივი ურთიერთგაზიარებისა, საკუთარ აზრთაწყობათა, ისინი არ დაიცლებიან, არ დამთავრდებიან, არ გაჯერდებიან, მიღწეულს ისე არ დასჯერდებიან, რომ არ შეჰქმნან ახალი ნახატი.

ედ. ყანდაშვილი

I ნაწილი
განგების ნების რეალიზაციის საშუალებად გადაქცევა

რა აზრი აქვს ურთიერთობებს რომლებშიც ცნობიერი ურთიერთგაზიარება, სულიერი კონტაქტი გაწყვეტილია და ისინი ყოფით ურთიერთგაზიარებით, მატერიალური კონტაქტით არის შემოფარგლული. ამ ურთიერთობების მნიშვნელობის ფუნქციონალურ რაობაზე თუ ვილაპარაკებთ ისინი საკუთარი მატერიალური ყოფიერების გარდაუვალი აუცილებლობის განსაზღვისათვისა და უზრუნველყოფისათვის უნდა იქნას გამოყენებული. ჩემი „მე“-სთვის არსებული მატერიალური ყოფიერების გარადაუვალი აუცილებლობა კი თავადვე შედეგია ჩემი „მე“-ს მიერ თავისში მიღებული არასწორად შეფასებული შეხედულებებისა. ანუ ეს არის ყველაზე პასიური, მაგრამ გარდაუვალი ნაწილი ჩემი „მე“-ს არსებობის მიმდინარეობის პროცესში ნებისმიერი სახით მატერიალიზირებულობის შემდეგ, თუნდაც აბსოლუტურად იდეალურად თვითრეალიზაციის შემთხვევაშიც კი.

თუ საკუთარი „მე“-სთვის მიჩნეული მატერიალური ყოფიერების გარდაუვალი აუცილებლობის ნუსხა იზრდება, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩემი „მე“-ს მიერ არასწორად შეფასებულ შეხედულებათა საფუძველზე რეალობად აღქმულ ილუზიას (საკუთარი სულის ანარეკლს) იმაზე მეტად მივეჯაჭვე, ვიდრე ვიყავი მიჯაჭვული. შედეგად კი ამ შეხედულებათა სწორედ გადაფასების, გაჯანსაღების მიდრეკილება იმხელაზე შემცირდა, რამხელაზეც უფრო მეტად მივეჯაჭვე.

თუ საკუთარი „მე“-სთვის მიჩნეული მატერიალური ყოფიერების გარდაუვალი აუცილებლობის ნუსხა მცირდება (მიუხედავად საკუთარი მატერიალური მდგომარეობისა), ეს იმას ნიშნავს, რომ ჩემს მიერ არასწორად შეფასებულ შეხედულებათა საფუძველზე რეალურად აღქმულ ილუზიას (საკუთარი სულის ანარეკლს) მეტნაკლებად განვეჯაჭვე. შედეგად კი ამ შეხედულებათა სწორად გადაფასების, გაჯანსაღების მიდრეკილება იმხელაზე გაიზარდა, რამხელაზეც უფრო ნაკლებად გავხდი მიჯაჭვული ილუზიაზე, ვიდრე ვიყავი.

ზოგადად ინდივიდუალური სულის ინდივიდუალური მატერიალური სხეულიდან, ანუ მის მიერ არასწორად შეფასებულ შეხედულებათა შესაბამისი სულიერი ანარეკლიდან ე. ი. მის მიერ რეალო-

ბად აღქმული რეალური ილუზიიდან გამოყვანა სამ შემთხვევაში ხდება:

1. როდესაც ინდივიდისათვის მატერიალური ყოფიერების გარდაუვალი აუცილებლობის ნუსხა „მუდმივ“ და უცვლელ მაჩვენებელზე დაიყვანება. ამ შემთხვევაში არასწორად შეფასებულ შეხედულებათა გადაფასება ფაქტობრივად წყდება ინდივიდის მხრიდან როგორც ნეგატიური (არასასურველი), ისე პოზიტიური (სასურველი) მიმართულებით.

2. როდესაც ინდივიდისათვის მატერიალური ყოფიერების გარდაუვალი აუცილებლობის ნუსხა მაქსიმალურად უმაღლეს დონეზე აიყვანება. ამ შემთხვევაში ინდივიდის მიერ სწორად შეფასებული შეხედულებებიც მთლიანად არასწორად გადაფასდება და დაემატება უკვე არსებულ არასწორად შეფასებულ შეხედულებებს, ანუ ინდივიდი მთლიანად არასწორად შეფასებულ შეხედულებებს დაეყრდნობა და თავის ჭეშმარიტ მეობას სრულად დაჰკარგავს.

3. როდესაც ინდივიდისათვის მატერიალური ყოფიერების გარდაუვალი აუცილებლობის ნუსხა მაქსიმალურად შემცირდება (ფაქტიურად გაქრება). ამ შემთხვევაში ინდივიდის მიერ არასწორად შეფასებული შეხედულებები სრულად, მთლიანად გადაფასდება და შეფასდება საჭიროდ და სწორად და დაემატება იმ სწორად შეფასებულ შეხედულებებს, რომლებიც არსებობდნენ ინდივიდში მატერიალური სახით გამოვლინებისას. ეს ინდივიდი გადავა სულიერ სამყაროში და იმის შესაბამისად რა დიაპაზონისა იყო მისი არასწორად შეფასებული შეხედულებები გადანაწილდება ან სამოთხეში, ან ცათა სასუფეველში, ან ზეცაში.

რა, როდის, სად, რისთვის, რატომ, ვისთან, როგორ და რამდენი უნდა გამოვავლინო და გამოვხატო ცნობიერი ურთიერთობები, სულიერი კონტაქტი

უპირველეს ყოვლისა ეს ჩემი „მე“-ს მხრიდან უნდა გამოვლინდეს მთელი სულიერი სამყაროს მიმართ, თუმცა ვიდრე მატერიალურ სამყაროში ამ მატერილური სხეულით შეზღუდულ პირობებში ვიმყოფები იმ ჩემთვის უხილავი სამყაროს წარმომადგენლებთან აუცილებლად უნდა ვიქონიო წარმოსახვითი ურთიერთობები, რათა ჩემს „მე“-ში არსებული არასწორად შეფასებული შეხედულებები მთლიანად გარდავქმნა სწორად შეფასებულ შეხედულებებად. ეს პროცესი ჩემს „მე“-ში მოხდება მატერიალური ყოფიერების

გარდაუვალი აუცილებლობის ნუსხის ზომიერი მეთოდური შემცირებითა და მისი სრული აბსოლუტური გარდაქმნით სულიერი ყოფიერების გარდაუვალი აუცილებლობის ნუსხად და შემდგომ კი ამის გარდაქმნით სულიერი ცნობიერების გარდაუვალი აუცილებლობის ნუსხად ანუ ჭეშმარიტად სწორად შეფასებულ შეხედულებებად.

ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია მატერიალური ცნობიერების გარდაუვალი აუცილებლობის ნუსხის ის წარმომადგენლობითი ნაწილი, რომელიც ჩემთან მოინდომებს ცნობიერ ურთიერთობებს ანუ არასწორად შეფასებულ შეხედულებათა პასიური წარმომადგენლობითი ნაწილი. მათთან მიმართებაში არავითარ შემთხვევაში, კატეგორიულად არ შეიძლება ნდობითი პარამეტრით მიდგომა, ამით ხელმძღვანელობა და საკუთარი „მე“-ს მათთან გათანასწორების შეგრძნების ჩადება, როგორც საკუთარ „მე“-ში, ისე მათში. მიდგომა მათთან მიმართებაში უნდა ბაზირდებოდეს კატეგორიულად და ცალსახად მხოლოდ ჭეშმარიტ რწმენაზე, სადაც „მე“ ვიქნების წამყვანი რგოლი და რომელი მათგანიც ამას არ მოინდომებს, მასთან ურთიერთობის გაწყვეტა ალბათ გარდაუვალი გახდება.

ეს მიდგომა შეიძლება ოდნავად დაირღვეს (შერბილდეს), მაგრამ, საბოლოო ჯამში, კონცენტრაცია მაინც ასეთი უნდა იყოს ჩემს მეუღლესთან, ცოლთან მიმართებაში, რომელიც მატერიალურ სამყაროში ყოფნის მიუხედავად თავად უნდა იყოს ძალიან მაღალი სულიერი დონის მქონე და ჩემი სულიერი დონის შესაბამისობაში უნდა იმყოფებოდეს.

რაც შეეხება არასწორად შეფასებულ შეხედულებათა აქტიურ წარმომადგენლებთან ურთიერთობებს ცნობიერ დონეზე, ეს ავტომატურად კომფლიქტის სინონიმურ ცნებას მოიცავს, ხოლო ყოფიერ დონეზე წერტილ-მძიმემდე გათვალისწინებულ და ბოლომდე გაწერილ ურთიერთობებს გულისხმობს, ჩასაფრებულობის სულისკვეთებით განმსჭვალულს. საკუთარი ინიციატივით არავითარ შემთხვევაში, კატეგორიულად არ უნდა შევიდე კონტაქტში ამ არასწორად შეფასებულ შეხედულებათა აქტიურ წარმომადგენლებთან ცნობიერ, სულიერ დონეზე და მხოლოდ ყოფიერ, მატერიალურ დონეზე უნდა მოვახდინო ეს. თუ ამ ნაწილს თავად მოუნდება ცნობიერი ურთიერთობის დამყარება უბრალოდ გულგრილად უნდა მივიღე მონაწილეობა ამ პროცესში და ძირითადად სარწმუნო(ვნ)ებაზე ბაზირებულმა უნდა ვაწარმოო ეს ურთიერთობები.

წინასწარ უნდა შევეგუო იმ აზრს, რომ ამ ურთიერთობებს არავითარი (ჩემი შეფასებით) პოზიტიური შედეგების მოტანა არ შეუძლია და გული არ უნდა გამოვიყენო ამ დროს.

თუ სიტუაცია კომფლიქტამდე მიმივიდა, უცილობლად, ეს ჩემს „მე“-ში არსებული არასწორად შეფასებული შეხედულებების საფუძველზე განგების მიერ შექმნილ ილუზიაზე მიჯაჭვულობის შედეგი იქნება. კომფლიქტის პროცესში აუცილებელია არათუ გავიდე (გავიქცე) კონფლიქტური სიტუაციიდან, არამედ ე. წ. აიკიდოს სისტემით ვიხელმძღვანელო ჩემი მატერიალური სხეულისათვის არსებული შესაძლო დაზიანების შიშის არანაირი ფორმის არ ქონით. აიკიდოს სისტემა ნიშნავს ყოველგვარი ბრაზის გარეშე მიიღო სიტუაცია და ზედმიწევნით ზუსტად დაუბრუნო კონტაქტორს მის მიერ გამოვლინებული შეგრძნება და ამ შეგრძნების რეალიზირებული მატერიალური გამოვლინება, რასაც გამოიმეტებს ჩემთვის.

კონფლიქტის დასრულების შემდეგ კი მისი მიზეზების, მიზნების, საშუალებების, შედეგებისა და საბაბების დაწვრილებითი შიდა განხილვა უნდა მოვახდინო და საკუთარი მიჯაჭვულობების ფასეულობრივ დონეზე განსაზღვრა უნდა შევძლო.

კონფლიქტის მიმდინარეობის პროცესში ძალიან კარგი იქნება ისეთი არაფერი ჩავიდინო, რაც, მისი დამთავრების შემდგომ, ჩემი სინდისის ქენჯნასა და შერცხვენას გამოიწვევს.

უკლებლივ ყველა ცოცხალი არსებისათვის აუცილებელი და გარდაუვლად საჭიროა სხვა ცოცხალ არსებებთან კონტაქტი, როგორც მიმდინარე ობიექტურ რეალობასთან კონტაქტის არ დაკარგვისა და თვითგაწონასწორების საშუალება.

თუ ობიექტურ მიმდინარე რეალობაზე უფრო წინ მავალი ცოცხალი არსებისათვის („მამაკაცური საწყისისათვის“) სხვა ცოცხალი არსება, როგორც გაწონასწორების საშუალება (თუმც ის მას ასეთად ვერ იცნობიერებს) უფრო საჭირო გახდება, ვიდრე თავად ის ამ ცოცხალი არსებისათვის, მაშინ მასში სულიერი ლტოლვა მატერიალურ ლტოლვად გარდაიქმნება.

ზოგადად „ქალური საწყისისთვის“, ანუ ობიექტური რეალობისაგან თუნდაც ოდნავ ჩამორჩენილი ნაწილისათვის, უფრო საჭიროდ უნდა იყოს აღქმული „მამაკაცური საწყისი“, ანუ ობიექტური რეალობისაგან თუნდაც ოდნავ წინ წასული ნაწილი.

თუ ობიექტური მიმდინარე რეალობიდან წინ გადაადგილებული ცოცხალი არსება გაწონასწორების აუცილებლობის შეგრძნებას დაჰკარგავს, ეს ყველაზე სავალალო შედეგებს მოუტანს ყვე-

ლასა და ყველაფერს საკუთარი პიროვნების ჩათვლით. ამ შემთხვევაში მისთვის არავინ და არაფერი აღარ არის საჭირო საკუთარი ინდივიდუალიზმის გარდა და მისი მატების შედეგად მასში ჭარბი პოტენციალი (ჭარბში იგულისხმება მიმდინარე ობიექტურ რეალობაში არსებულ ცოდნაზე მეტი ცოდნა) მატერიალურ ვნებად გარდაიქმნება.

ასევე სავალალოა, მაგრამ ამჯერად მხოლოდ თავად ცოცხალი არსებისათვის თუ ის მიმდინარე ობიექტურ რეალობას ჩამორჩენის შემდგომ გაწონასწორების აუცილებლობის შეგრძნებას დაჰკარგავს. ამის შედეგად იგი საცოდავ, უბადრუკ მდგომარეობაში გადადის და ის მატერიალური ვნების მოხმარების ობიექტად გარდაიქმნება.

ყველა ეს ჩამოთვლილი ვარიანტი ერთგვარად საჭირო გზის განსაზღვრის საქმეში უცილობლად თავის როლს თამაშობს, მაგრამ განგების ნების რეალიზაციის საშუალებად გადაქცევის მსურველისათვის, ვფიქრობ, უფრო ღრმა ცნობიერული ანალიზი და ადამიანური ცნობიერებისათვის რადიკალური ზომების მიღებაა საჭირო.

დავიწყებ ანბანური ცნობიერი თანამიმდევრულობით და შემდგომ ნელ-ნელა გავართულებ. ადამიანისათვის ზოგადად განსაზღვრულია (მით უმეტეს კალი-იუგას ეპოქაში) რელიგიური პრინციპების დაცვა, შესწავლა და მისი მიყოლა, შემდგომ ეკონომიკური განვითარება, შემდგომ გრძნობების დაკმაყოფილება და ბოლოს გათავისუფლება ინდუიზმის სახელით ცნობილი, ვედების მიერ ჩამოყალიბებული სახელმძღვანელო პრინციპის მიხედვით, ცხოვრების განმავლობაში.

სამწუხაროდ, იმ ანომალიურ რეალობაში, სადაც ამჟამად იმყოფება ჩემი დროებითი სხეული და ჩემი ინდივიდუალური სული ამ სხეულში ეს ყველა პრინციპი შეუსრულებელია, უფრო სწორად სჯობია არ შეასრულო. იმიტომ რომ:

1) ამ ანომალიური რეალობის პრინციპს ათეიზმი, თეოლოგია და ადამიანური სხეულის უზენაეს არსებად გამოცხადება უდევს საფუძვლად;

2) ეკონომიკურ განვითარებას კანონებისა და კონსტიტუციის ისე დარღვევის უნარის შეძენა უდევს საფუძვლად, რომ ან ვერ შენიშნონ ამ ვერ შეძლონ შენი დაჭერა იმის გამო, რომ ვიღაც გავლენიანი დამრღვევი დაგიცავს, ან შენ თავადვე იყო იმდენად გავლე-

ნიანი დამრღვევი, რომ ვინც უნდა დაგიჭიროს თავად იყვნენ შენი ძალაუფლების ქვეშ;

3) გრძნობების დაკმაყოფილებას კი სექსუალური ვნების დაკმაყოფილება უდევს საფუძვლად. ამ რეალობაში ოჯახის პირობებში თუ ცოლი შენით სექსუალურად კვირაში სამჯერ-ოთხჯერ მინიმუმ ისე არ დააკმაყოფილე, რომ რბილი ადგილები ცოტა არ ჩაულურჯდება და ყოველ „მუშა“ ღამით სამჯერ მაინც არ „გაათავებს“ შეუძლია სასამართლოში გიჩივლოს;

4) გათავისუფლებას აქ ეძახიან აღიარების მოპოვებას ნებისმიერ ფასად, ნებისმიერი საბაბით და იმის კეთებას რაც მოეპრიანებათ.

მოკლედ ვედური სისტემის ეს პრინციპები აქ ასე გამოიყურებიან.

თუ მოკლე შეფასებას გავაკეთებ ასეთ რამეს მივიღებ:

ის ვინც ვიღაცაზე ან რაღაცაზე უფლებას იღებს საკუთარი ინიციატივით და ამ უფლების შესაბამის მოვალეობას არ ითავისებს თვითგაკერპებას ახდენს.

ის ვინც ვიღაცაზე ან რაღაცაზე მოვალეობას იღებს საკუთარი ინიციატივით და ამ მოვალეობის შესაბამის უფლებას არ მოითხოვს კერპის თაყვანისმცემელი ხდება.

ამ ფორმულირებებიდან კი, ვფიქრობ, მართლაც შესაძლებელია იმის პოვნა თუ როგორ, რა გზით შეიძლება განგების ნების რეალიზაციის საშუალებად გადაქცევა. საყრდენი წერტილი ამისა ფორმულირებებში ნახსენებ პირად, საკუთარ ინიციატივებზე უარის თქმაა და ყოფიერი ურთიერთობებით, მატერიალური კონტაქტით შემოფარგვლაა, რომლებსაც ჩემს „მე“-ში არსებული არასწორად შეფასებული შეხედულებების შესაბამისად შემიქმნის განგება. ეს ფორმულირებები კი ასეთ სახეს მიიღებს:

თუ ცოცხალი არსება საკუთარი ინიციატივით უფლების აღებას თავს დაანებებს, სამყაროს უზენაესი პიროვნების ერთგული გახდება და მისი ნების რეალიზაციის საშუალებად დაიწყებს საკუთარი „მე“-ს აღქმას. ეს გზა იძლევა ერთიანი ცნობიერების სულიერი მდგომარეობის მართვაში მონაწილეობის უფლების მიღებას და ერთიანი ცნობიერების მენტალიტეტის აღქმას.

თუ ცოცხალი არსება საკუთარი ინიციატივით მოვალეობის აღებას თავს დაანებებს, სამყაროს უწმინდესი პიროვნების ერთგული გახდება და მისი ნების რეალიზაციის საშუალებად დაიწყებს საკუთარი „მე“-ს აღქმას. ეს გზა იძლევა ერთიანი ცნობიერე-

ბის მენტალიტეტის მართვაში მონაწილეობის უფლების მიღებას და ერთიანი ცნობიერების სულიერი მდგომარეობის აღქმას.

I პირობის დაკმაყოფილება ზოგადად საკუთარი მამაკაცური საწყისის მიერ ცოცხალი არსების მიერ იდეალური საქმიანობის იდეალურად შესრულებას ნიშნავს.

II პირობის დაკმაყოფილება ზოგადად საკუთარი ქალური საწ-ყისის მიერ ცოცხალი არსების მიერ იდეალური საქმიანობის იდეა-ლურად შესრულებას ნიშნავს.

საკუთარი ინიციატივით უფლებისა და მოვალეობის აღებაზე თავის დანებება ზოგადად ნიშნავს იმას, რომ ცოცხალი არსება ბუ-ნებრივად მოითხოვს უფლებას თავისზე უფრო დაბლა მდგომ ცოცხალ არსებებთან მიმართებაში ეთიკურ-მორალური და ესთე-ტიკურ-ზნეობრივი თვალსაზრისით, ხოლო მოვალეობას ცოცხალი არსება მოითხოვს საკუთარი პიროვნების მხრიდან თავისზე უფრო მაღლა მდგომ ცოცხალ არსებებთან მიმართებაში ეთიკურ-მორა-ლური და ესთეტიკურ-ზნეობრივი თვალსაზრისით.

უფლების მოთხოვნა თავისზე უფრო დაბალ დონესთან მიმარ-თებაში აუცილებლად უნდა მოხდეს ობიექტური რეალობისათვის შესაბამისი საქმიანობის ზედმიწევნით გათვალისწინებით, ანუ ყვე-ლა ქმედება ამ ცოცხალი არსებისა უნდა იყოს ჰარმონიზირების სამსახურში და განგების ნების რეალიზაციის საშუალებად აღქმუ-ლობის შეგრძნებაში გამოვლინებული. მე ვიტყოდი, კარგი იქნებო-და ამის მისაღწევად შემდეგი ფორმულირების რეალიზაცია ეცადა ცოცხალ არსებას: Вглубить в своё я с верху. ანუ თავისივე ქმედე-ბით სიამოვნება მიენიჭებინა თავისზე უფრო მაღალი დონისთვის და კმაყოფილება საკუთარი „მე“-სთვის.

მოვალეობის შესრულება თავისზე უფრო მაღალ დონესთან მი-მართებაში აუცილებლად უნდა მოხდეს ობიექტური რეალობის-თვის შესაბამისი სარწმუნო(ვნ)ების ზედმიწევნით გათვალისწინე-ბით ანუ ყველა ქმედება ამ ცოცხალი არსებისა უნდა იყოს ტრან-სცენდენცირების სამსახურში და განგების ნების რეალიზაციის საშუალებად აღქმულობის შეგნებულობაში გამოვლინებული. კარ-გი იქნებოდა ამის მისაღწევად შემდეგი ფორმულირების რეალიზა-ცია ეცადა ცოცხალ არსებას: Вглубиться выше своего я. ანუ თავი-სივე ქმედებით კმაყოფილება მიენიჭებინა თავისზე უფრო მაღალი დონისთვის და სიამოვნება საკუთარი „მე“-სთვის.

ამ სახის უფლებამ უნდა დაამკვიდროს სულიერი ცოდნა.

ამ სახის მოვალეობამ უნდა დაამკვიდროს სულიერი კეთილ-დღეობა.

სულიერი ცოდნა ობიექტურ რეალობაში არსებული მატერიალური ცოდნის „გადამუშავებით“ უნდა იქნას მიღებული, ხოლო სულიერი კეთილდღეობა კი ობიექტურ რეალობაში არსებული მატერიალური კეთილდღეობის „გადამუშავებით“ ანუ სულიერი კეთილდღეობის სამსახურში ჩაყენებით.

ამის რეალურად განხორციელებისათვის კი საჭიროა და აუცილებელი ის ხუთი პირობა შესრულდეს უპირობოდ, რომლებსაც ახლა ჩამოვთვლი:

I ანანდა – კატეგორიულად უნდა გავწყვიტო ყველანაირი ცნობიერი, სულიერი კონტაქტი მატერიალურ გარემოსთან და მის წარმომადგენლებთან მიმართებაში, რომლებიც საკუთარი ანუ ჩემი „მე“-ს ინიციატივით ხდება.

II ვიჯნანა – განგების მიერ ჩემთვის მოწოდებული და ჩემი „მე“-ს მიერ აღქმული ჭეშმარიტი ცოდნა შიდა შეგნების დონიდან უშუალოდ შიდა შეგრძნების დონეზე აღქმულობაში უნდა გადავიყვანო და ჭეშმარიტ გრძნობად გარდავქმნა.

III მანო – კატეგორიულად წინააღმდეგი უნდა გავხდე თავადვე ჩემი შემოქმედების გატანისა საკუთარი ანუ ჩემი „მე“-ს ინიციატივით.

IV პრანა – კატეგორიულად უნდა შემოვიფარგლო იმ ყოფიერი, მატერიალური კონტაქტით მატერიალურ გარემოსთან და მის წარმომადგენლებთან, რომელიც ჩემთვის მატერიალური ყოფიერების გარდაუვალ აუცილებლობას უზრუნველყოფს.

V ანნა – საკუთარ არსში დამკვიდრებული და შეგრძნებულიც კი სულიერი ცოდნა კატეგორიულად არ უნდა გავცე ჩემი „მე“-ს ინიციატივით თუნდაც იმისათვის, ვისაც რაიმენაირი სახით სურს ამის მიღება და მით უმეტეს იმისათვის, ვისაც ეს საერთოდაც არ სურს. ეს ყველაზე რთული საკეთებელია აქტიური ცოცხალი არსებებისათვის.

აი, ამ ხუთი პირობის ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მე შევძლებ გამოვიდე იმ კატეგორიის წარმომადგენლობითობიდან, რასაც სულიერად დაცემიდან მოყოლებული ადამიანის რაობის გაგება მოიაზრებს. ამით კი თვით განგების მხრიდან მოვიპოვებ ნდობასა და უფლებას მისი ნების რეალიზაციის საშუალება ანუ განგების ერთ-ერთი რიგითი წარმომადგენელი გავხდე. სხვათაშორის პირველ ნაბიჯად საკუთარი „მე“-ს ამ მიმართულებისაკენ რეა-

ლურად სვლისა მიმაჩნია ის, რომ ეს წიგნი ადამიანებისათვის არ იწერება და თითქმის დარწმუნებული ვარ ისინი ამას არასოდეს არ წაიკითხავენ, თუნდაც იმიტომ, რომ მე ეს არ მსურს და აქ ჩადებული ჩემი ენერგეტიკული განწყობა ამის წაკითხვის საშუალებას არ მისცემს მათ. და გინდაც წაიკითხონ, მაინც ვერაფერს გაიგებენ, და თუ ვინმე აღმოჩნდება ვინც სულირეად ამ სიმაღლის იქნება, ან თუნდაც უფრო მეტის, მე პირადად ეს ძლიერ გამახარებდა, მაგრამ ის უკვე ადამიანის რაობის გაგებაზე უფრო მაღლა მდგარი არსება იქნება.

უხეში, მაგრამ რეალური შეფასებითი დასკვნასავით იქნება ის, რომ ამ ხუთი პირობის ჯეროვნად შემსრულებელი ანუ განგების ნების რეალიზაციის საშუალებად გამოყენებული ცოცხალი არსება მატერიალურ სამყაროში მართულობის მდგომარეობიდან (მატერიალური უპირობო და პირობითი რეფლექსებით) გადავა მატერიალურ სამყაროში არსებული მატერიალიზირებული ცოცხალი არსებების მმართველის მდგომარეობაში. სულიერი უპირობო და პირობითი რეფლექსებით იქნება მართული თავად (რაც ადამიანებისათვის ჩემის აზრით აბსოლუტურად გაუგებარ ფორმულირებას უნდა წარმოადგენდეს). ეს, ფაქტიურად, სანსარაზე დამოკიდებულების პოლუსურ შეცვლას ნიშნავს.

I თავი
ანანდა
საკუთარი „მე“-ს ინიციატივაზე უარის თქმის პირველი საფეხური

ყველანაირი ცნობიერი ურთიერთობების, სულიერი კონტაქტის გაწყვეტა მატერიალურ გარემოსთან და მის წარმომადგენლებთან მიმართებაში, რომლებიც საკუთარი ანუ ჩემი „მე“-ს ინიციატივით ხდება.

I ნაწილი ამ წიგნისა ფაქტიურად მთლიანად ცოცხალი არსების ინდივიდუალური სხეულის იდეალურად სასურველი და საჭირო საქმიანობისა და მდგომარეობის აღმწერი იქნება. ამ პირველ თავში I ნაწილისა ამ საქმიანობის (მდგომარეობის) კონცეფტუალური, საერთო ხედვა იქნება გადმოცემული, როგორც სრული სურათის ზოგადი განხილვა და პუნქტობირივი წარმოჩინება. უპირველეს ყოვლისა კი მსურს წარმოვაჩინო ერთგვარი ცხრილური ფორმით რაზეა საერთოდ საუბარი.

	ადამიანური ბუნება	**დემონური ბუნება**	**მონური ბუნება**	**სატანური ბუნება**
მამაკაცური საწყისი წარმოსახვა „ეგო“-ს შიგნიდან შეგრძნება თვითკმარობა	მეცნიერება – ობიექტური რეალობისთვის შესაბამისი პირობითობის აღქმა და შესრულება მისიის აღსასრულებლად	შემეცნება – „მე“-ს შიგნიდან აღქმა ინდ. სხეულში. პირობითობების არ გაზრდა	გარემოს შეცნობა – „ეგო“-ს გარედან აღქმა ინდივიდუალურ სხეულში	შინაგანი ქაოსი
ქალური საწყისი გამოსახვა გამოსახლება „ეგო“-ს გარედან შეგრძნება სარწმუნოება	ინდ. სხეულში არსებული უპირობო სურვილების დაკმაყოფილება საკუთარ „მე“-ზე დაკისრებული მისიის შესაფასებლად და განგების ნების შესასრულებლად	რელიგია – ფუნქციონალური „მე“-ს შიგნიდან აქმა ინდ. სხეულში. პირობითობების არ გაზრდა	შემოქმედება - „ეგო“-ს შიგნიდან აღქმა ინდ. სხეულში	შინაგანი წესრიგი

ე. წ. ადამიანური ბუნებისათვის სულიერება სულიერებად არის აღქმული. სულიერი ცოდნა და სულიერი კეთილდღეობა სულიერ ცოდნად და სულიერ კეთილდღეობად. მატერია მატერიად არის აღქმული, მატერიალური ცოდნა და მატერიალური კეთილ-

დღეობა კი მატერიალურ ცოდნად და მატერიალურ კეთილდღეობად. ზოგადად ინდივიდუალიზმის არაინდივიდუალიზმზე დაქვემდებარება ხდება ინდივიდუალური სხეულის დონეზე. *ინდივიდუალური სხეულისათვის უმთავრეს მიზანს კი განგების ნების რეალიზაციის საშუალებად გადაქცევა წარმოადგენს.*

ე. წ. დემონური ბუნებისათვის სულიერება მატერიად არის აღქმული. სულიერი ცოდნა მატერიალურ ცოდნად, ხოლო სულიერი კეთილდღეობა მატერიალურ კეთილდღეობად. ზოგადად, არაინდივიდუალიზმზე დაქვემდებარება ხდება ინდივიდუალური სხეულის დონეზე. *ინდივიდუალური სხეულისათვის უმთავრეს მიზანს საკუთარი ნების რეალიზაცია წარმოადგენს არაინივიდუალიზმის საკითხებში.*

ე. წ. მონური ბუნებისათვის მატერია სულიერებად არის აღქმული. მატერიალური ცოდნა სულიერ ცოდნად, ხოლო მატერიალური კეთილდღეობა სულიერ კეთილდღეობად. ზოგადად ინდივიდუალიზმის ინდივიდუალიზმზე (არაინდივიდუალიზმად აღქმულზე) დაქვემდებარება ხდება ინდივიდუალური სხეულის დონეზე. *ინდივიდუალური სხეულისათვის უმთავრეს მიზანს საკუთარი ნების არ რეალიზაცია წარმოადგენს არაინდივიდუალიზმში.*

ე. წ. სატანური ბუნებისათვის. სულიერების აღქმის უნარი აბსოლუტურად დახშულია ე. ი. ავტომატურად იგნორირებულია. სანაცვლოდ მთელი მატერიის აღქმის უნარი გააჩნია ე. ი. მხოლოდ მატერიალურ ცოდნასა და მატერიალურ კეთილდღეობას აღიარებს. ზოგადად არაინდივიდუალიზმის ინდივიდუალიზმზე დაქვემდებარება ხდება ინდივიდუალური სხეულის დონეზე. *ინდივიდუალური სხეულისათვის უმთავრეს მიზანს განგებად აღიარებულობის მიღწევა წარმოადგენს არაინდივიდუალურ საკითხებში.*

ერთობ მნიშვნელოვანი საკითხია ის, თუ ინდივიდუალური სხეულისათვის რა უნდა იყოს სულიერება და რა მატერიალიზმი. ჩემთვის მეტად გასაკვირი იყო როდესაც, დღესდღეისობით ცოდნის, ინფორმაციული ზღვა მასალის ურთიერთაღრევის შედეგად, ზოგ ადამიანთან იმის გარკვევაც კი შეუძლებელი გახდა – რა არის მატერიალური და რა სულიერი. მაგალითად, სხვადასხვა მეცნიერებების ბრმად მიმყოლისათვის თურმე სინათლე მატერიაა ისევე როგორც მზის სხივი ან მიზიდულობის ძალა და ა. შ. ამ აბსურდულობის დასალაგებლად აუცილებლად მეჩვენება ორი სისტემის შემოტანა, ანუ ის, რაც ინდივიდუალური სულისათვის მატერიაა, ინ-

დივიდუალური სხეულისათვის შეიძლება მატერიაც იყოს და სულიერებაც. ის, რაც ინდივიდუალური სულისათვის სულიერებაა, ინდივიდუალური სხეულისათვის უპირობოდ წარმოადგენს (უნდა წარმოადგენდეს) სულიერებას.

ის, რაც ინდივიდუალური სხეულისათვის მატერიაა, ინდივიდუალური სულისათვის უპირობოდ უნდა წარმოადგენდეს მატერიას, ხოლო ის, რაც ინდივიდუალური სხეულისათვის სულიერებაა, ინდივიდუალური სულისათვის შეიძლება იყოს ისე როგორც მატერია, ისევე სულიერებაც.

ვიდრე ამ საკითხის სრული ამოწურვა მოხდებოდეს თავისუფლად შეიძლება გამოვკვეთო ინდივიდუალური სულისა და ინდივიდუალური სხეულის ურთიერთთანამშრომლობის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ამის ურთიერთგაგებამდე მიყვანით.

ახლა კი მინდა განვსაზღვრო სულიერება და მატერია ინდივიდუალური სხეულის გადასახედიდან რა უნდა იყოს:

მატერია ნებისმიერი ინდივიდუალური სხეულისათვის უნდა იყოს ის, რასაც შეხებით შეიგრძნობს სხეულის გარე კანით, რასთან ვიზუალურად კონტაქტის დამყარება შეუძლია, რისი მოქმედების შედეგად წარმოქმნილ ბგერებსაც აღიქვამს ყურების მეშვეობით, რასაც გემოს დონეზე ენით აღიქვამს და ისიც, რასაც ცხვირის საშუალებით ყნოსვის სახით აღიქვამს.

სულიერება ნებისმიერი ინდივიდუალური სხეულისათვის უნდა იყოს ის, რასაც წარმოსახვით შეიგრძნობს სხეულის შიგნეულით, რასთანაც წარმოსახვის ვიზუალიზაციით კონტაქტის დამყარება შეუძლია. აგრეთვე როდესაც ფიქრის სახით შიგნით სხეულში ხდება მსჯელობათა ლოგიკური ჯაჭვის აწყობა. აგრეთვე ენის საშუალებით საკუთარ ინდივიდუალურ სხეულში წარმოქმნილი და იქიდან მომდინარე ბგერებით სხვა ინდივიდუალურ სხეულთან რაიმენაირი სახის კონტაქტის დამყარება და ბოლოს, ყველანაირი სახის საარსებო წყარო ინდივიდუალური სხეულისა მისთვის სულიერების ნუსხაში უნდა ფიგურირებდეს ცხვირით სუნთქვიდან დაწყებული, ნებისმიერი საჭმლის ან სასმელის მიღებით დამთავრებული.

ამ I ნაწილისათვის შემოვიტან კიდევ ერთ ცხრილურ ჩანახატებს, რომელიც შედარებითობის ფონზე ზოგადად, ვფიქრობ, უფრო ნათელს გახდის ამ ნაწილის დასამკვიდრებლად საჭირო მიზნებისა და ამოცანების შესრულების რაობას.

ანუ მატერიალიზირებული ცოცხალი არსების ინდივიდუალური სხეული საბოლოო ჯამში უნდა გახდეს ინდივიდუალური სულის ფასეულობრივ გამაზე აწყობილი და სრულად უნდა დაჰკარგოს თავისი ანგარებითი ბუნება. შეიძლება ითქვას, რომ ამ წიგნის I ნაწილის ძირითადი არსი ამ მეტამორფოზაში, ამ ტრანსფორმაციაში მდგომარეობს. ახლა კი, ვფიქრობ, უკვე ღირს კონკრეტულად ანანდას როგორც ამ თავის ძირეულ საკითხს დავუბრუნდე და მისი აღწერით ამ ტრანსფორმაციის პროცესის თანამიმდევრული აღწერა დავიწყო.

წარმართულობა და სულიერი განდეგილობა

წარმართულობა ფუნქციონალურად უკვე ადაპტირებული დამკვიდრებული ზოგადი ცნობიერების მიმართ ისეთ მიდგომას მოიაზრებს თითქოს ეს დამკვიდრებული ზოგადი ცნობიერება საბოლოოდ სრული ჭეშმარიტების მომცველი რამ იყოს და აღარ საჭიროებდეს მომავალში აღარანაირ სწრაფვას იმისაკენ, რომ გახდეს იმაზე უკეთესი, ვიდრე ის არის. თუ ადამიანური ლოგიკით მივუდგებით, ეს არის რაიმე (ნებისმიერი) რელიგიის ზრდასრულობის ფორმაციული გამოვლინება. კოსმოსიდან ადამიანებისთვის მიწოდებული ზოგადი ცნობიერების პორციალური ნაწილის ათვისების პროცესში ადამიანები ყოველთვის კარგავენ ამ პორციალური ცნობიერების ფუნქციონალური ნაწილის აღქმის უნარსა და დროთა განმავლობაში ის ვიზუალური აღქმის უნარის დონეზე დაიყვანება მხოლოდ. ისინი ძირითადად იმ თეზისით ხელმძღვანელობენ ხოლმე, რომ – თუ ველოსიპედი გამოგონილია ხელმეორედ მისი გამოგონება აბსოლუტური სისულელეაო. ამით ისინი „ველოსიპედის“ მოხმარების უნარს იძენენ, მაგრამ ვინაიდან „ველოსიპედის“ შექმნაზე დახარჯულ შრომას ვეღარ გრძნობენ ამ „ველოსიპედს“, რბილად რომ ვთქვათ, უპასუხისმგებლოდ უდგებიან. ვინაიდან წარსულს ადამიანები „ზემოდან“ ყურებას უწყებენ, რამეთუ საკუთარი თავები გაცილებით უფრო მაღლა მდგომ არსებებად მიაჩნიათ წარსულში მცხოვრებ ადამიანებთან შედარებით, ავტომატურად, წინაპართა ავტორიტეტი მათთვის არარაობას, ნულს უტოლდება. წარსულს მოწყვეტილნი კი მომავალში ვერაფერს ღირებულს ვეღარ ჰქმნიან. საკუთარ პიროვნებაზე დიდი წარმოდგენით, მნიშვნელოვნებით დაავადებულნი უკვე ერთმანეთსაც ზემო-

დან ყურებას უწყებენ. საკუთარი პიროვნების კერპად დასახვით მხოლოდ საკუთარი სხეულის ანგარებითი სარგებლის მიღების სულისკვეთებით განიმსჭვალებიან და მათი ინდივიდუალური სულები ინდივიდუალური სხეულების პარამეტრალური ფასეულობების აღქმის დონეზე ეცემა. ეს მოხდება ყველგან, სადაც ჭეშმარიტად ახალი ღირებული დასამკვიდრებელი ცნობიერების პორციალური ნაწილის ძიება წყდება. ვიდრე ცოცხალ არსებაში ინდივიდუალიზმის გამოვლინებული ფორმა არსებობს ის უბრალოდ ვალდებულია ეს ინდივიდუალიზმი იმაზე უკეთესი გახადოს, ვიდრე ის არის. წინააღმდეგ შემთხვევაში ის დამდგარი წყალივით დალპება, დაჭაობდება და აყროლდება.

აი, სწორედ ეს არის წარმართულობა. იყო და იცხოვრო იმით, რაც უკვე დამკვიდრებულია და არ ეცადო ჩასწვდე იმას, რაც აუცილებელია დამკვიდრებულის გასაუმჯობესებლად სულიერი თვალსაზრისით ცოცხლად მკვდარი ცოცხალი არსების განსაზღვრებაა და მეტი არაფერი.

იმ შემთხვევაში კი, თუკი მატერიალიზირებული ცოცხალი არსება ყოფით კმარია ანუ იმ ყოფიერი მდგომარეობით კმაყოფილდება, რაც მას რეალურად უბოძა განგებამ, თუკი სულიერი ევოლუციერებისკენ არ არის მიდრეკილი, ადრე თუ გვიან აუცილებლად დაეცემა საზიზღარ დონემდე.

რატომ? იმიტომ რომ ის მხოლოდ იმით ცხოვრობს, რაც უკვე გამოკვლეულია, რაც უკვე წარიმართა ანუ შესდგა. ეს ცოცხალი არსება ცდილობს შეინარჩუნოს ის, რაც აქვს სულიერი მუხტის პოზიტიურობის თვალსაზრისით. ის საკუთარი ინდივიდუალური სხეულის გარდაუვალი აუცილებლობის უზრუნველყოფის სამსახურში დგას მხოლოდ. ეს არსება კოსმოსის ინტერესებს არ ითვალისწინებს და კოსმოსისათვის და კოსმოსის ინტერესებით დაინტერესებული ცოცხალი არსებებისათვის, მთელი სულიერი სამყაროსათვის და ამ სამყაროს უზენაესი პიროვნებებისათვის უბრალოდ არასაინტერესო, უინტერესო ხდება.

უხეში დაკონკრეტებით თუ მივუდგებით, წარმართულობა არის წარსულით მართულობა ანუ მთლიანად, სრულად დამოკიდებული და მართული იყო წარსულით, აწმყოსი და განსაკუთრებით კი მომავლის ფუნქციონალური ინტერესების სრული იგნორირებითა და უგულვებელყოფით. სიტყვა წარმართული თავადვე გულისხმობს თავის ცნობიერ არსში იმას, რაც უკვე შესდგა, უკვე წარიმართა, უკვე მოხდა.

წარმართულობის მიყოლის ნეგატიურ მხარეზე ასე თუ ისე უკვე რაღაც ვთქვი. ახლა შევეცდები ამ ცნების პოზიტიურ მხარეს შევეხო. საერთოდ, არ არსებობს არაფერი (რაც საერთოდ არსებობს), რასაც არ გააჩნია როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური მხარე.

წარმართულობის ნეგატიურობა გამოიწვია იმან, რომ ცოცხალი არსების მთელი ინდივიდუალიზმი კონცენტრირებული იყო იმაზე მეცადინეობით (იმის მცდელობით), რათა უკვე დამკვიდრებული ზოგადი ცნობიერება შეეცნო, ობიექტურად შეეფასებინა და ვიზუალური რელიგიური ფორმებით გამოეხატა ეს ყოველივე. პოზიტიურობა წარმართულობისა გამოხატული იქნება მატერიალიზირებამდე საკუთარ „მე“-ში თავდაპირველად არსებული ზოგადი ცნობიერების შეცნობითა და მისი ობიექტურად შეფასებით. რა თქმა უნდა, თანახმა ვარ იმასთან, რომ ეს უფრო უკან მდებარე წარსულთან შეიყვანს ცოცხალ არსებას კონტაქტში, მაგრამ ეს ის წერტილი იქნება წარსულისა (დროისა და სივრცის განზომილებით გამოხატულისა), საიდანაც მის მიერ დაიწყო მცდარი შეხედულებების რეალიზირების მცდელობები გამოსახვის დონეზე წარმოსახვაში არსებული დონიდან. რაც შეეხება მატერიალურ დონეზე გარდაუვალი თვითგამოვლინების საკითხს, ცოცხალი არსება ჭეშმარიტი სარწმუნოების განუხრელად დაცვის პრინციპით უნდა ამოქმედდეს, ანუ მიმდინარე რეალობაში არსებული დარღვეული ზოგადი საზღვრების შესაბამისი ზოგადი ცნობიერების გამოვლინებით უნდა დაკავდეს, რომელიც მომდინარებული იქნება არა საკუთარი ინიციატივიდან. ეს იქნება ცოცხალი არსების მიერ მატერიალიზირების შემდგომ უკვე ჩადენილი ახალი ცდომილების მატერიალური კონტაქტური საშუალებით განეიტრალებისა და აღმოფხვრის საშუალება.

ამ ორი პირობის განუხრელად შეცნობა და შესრულება ცოცხალი მატერიალიზირებული არსების მიერ იქნება სულიერ განდეგილობაში გადასვლის რეალური გამოვლინება. სულიერი განდეგილობა კი, გახლავთ განგების ნების რეალიზაციის საშუალებად გადაქცევის უმაღლესი საფეხური. თუმცა უნდა ვაღიარო ისიც, რომ ამ საფეხურის დაკმაყოფილება სჯობს მოხდეს თავდაპირველად იმ ცოცხალი არსებების მიერ, ვისაც ილუზიიდან (მაიადან) გასვლა მოუწადინებიათ და რაღაცის ჭეშმარიტად ღირებულის მიღწევა მოუსურვებიათ. ანუ არა ანნამაიადან ანნა-ში ან მანომაიადან მანო-ში, არამედ პირდაპირ ანანდამაიადან ანანდაში სჯობს რომ გა-

დავიდნენ და შემდგომ ვიჯნანამაიადან ვიჯნანაში, შემდგომ მანომაიადან მანოში, შემდგომ პრანამაიადან პრანაში, შემდგომ კი ანნამაიადან ანნაში.

სწორედ ამიტომ არის ეს I ნაწილი ასე აწყობილი. ის იწყება არა ანნა-დან ანანდასკენ, არამედ პირიქით ანანდადან ანნასკენ.

აქვე ხაზგასმით მინდა აღვნიშნო ის, რომ ეს პირველი ნაწილი გახლავთ საკუთარი ინიციატივებისაგან გათავისუფლების გამომხატველი და ეს I ნაწილის I თავი კი, საკუთარ ინიციატივებზე უარის თქმის უმაღლეს საფეხუროვან დონეს წარმოადგენს. ცნობისათვის მინდა აღვნიშნო ის, რომ მატერიალური სხეულის მეხსიერებითი აღქმის დონეზე განგების მიერ ადამიანისათვის ხელმისაწვდომია მხოლოდ და მხოლოდ ის ინფორმაციული ცოდნა, რომელიც საჭიროებს კორექტირებას, განსაკუთრებით მატერიალიზირებული ცოცხალი არსების არსებობის იმ პერიოდში, როდესაც ის ცალსახად ილუზიური რეალობის ინტერესებით სულდგმულობს და ჭეშმარიტი რეალობის (სულიერი სამყაროს) აღქმის უნარი რეალურად არ გააჩნია. აი, სწორედ ამიტომ არის საჭირო საკუთარ ინიციატივებზე (სურვილებზე) უარის თქმა იქამდე, ვიდრე განიწმინდება.

რელიგია და სარწმუნოება

რელიგია (ჭეშმარიტი რელიგია) არის საუკეთესო რამ, რაც კი არსებობს ილუზიური რეალობით მცხოვრები მატერიალიზირებული ცოცხალი არსებებისათვის. ის არის მაკონტროლებელი და მარეგულირებელი საშუალება ამ არსებებისა (ადამიანებისა), იმისათვის, რომ მათ ახალი ცდომილებები არ ჩაიდინონ და არ დაამკვიდრონ მატერიალურ სამყაროში არსებობის პერიოდში.

ანანდამაიას დონემდე ასული ადამიანები ჭეშმარიტად იცავენ ჭეშმარიტ რელიგიურ პრინციპებს და აღარაფრის გულისათვის აღარ არღვევენ მათ, მაგრამ ეს არის მათი მაქსიმუმი იმ დონემდე, ვიდრე არ მოინდომებენ ილუზიიდან წარმოსახვის საშუალებით სულიერი სამყაროს (რეალობის) აღქმასა და შეგრძნებაში გადაინაცვლონ.

რელიგია როდესღაც მომხდარი საუკეთესოდ საჭირო და ცოცხლად შესრულებული მოქმედებების დოგმატურ იმიტაციაზე დგას. მიუხედავად ფუნქციონალური დატვირთვის აშკარად, მხოლოდ ვი-

ზუალურ დატვირთვაზე გადაყვანისა, რელიგიას უზარმაზარი დატვირთვა აკისრია. ის უმეცრების გაზრდისა და გაღრმავების არ დაშვევისა და მინიმუმ, სერიოზული შეფერხების სამსახურში დგას და პირნათლად ასრულებს თავის დანიშნულებას.

მაგრამ მათთვის, ვინც უკვე დამკვიდრებული ზოგადი ცნობიერება თავის გარშემო არსებულ გარემოში ჭეშმარიტად შეიცნო და მისი ობიექტური შეფასება მოახდინა, რელიგიური პრინციპების დაცვით ცხოვრება სულიერ წინსვლაში ხელის შეშლის საშუალება ხდება. ასეთ პიროვნებებს რელიგიის პრინციპების ფუნქციონალური დახვეწა, რელიგიაში არსებული დოგმების კვალიფიციური ახსნა და რელიგიის ზეგავლენის ქვეშ მყოფი არსებების სწავლა-განათლება ევალებათ. ეს მოვალეობა მათზე განგების მიერ არის გაპიროვნებული. თუმცა ვიდრე ისინი საკუთარ თავებს „ორმოდან“ არ ამოიყვანენ ბოლომდე (რაც მათ ევალებათ) და „მიწაზე“ მყარად არ დადგებიან როგორღა შეძლებენ სხვები ამოიყვანონ იმ „ორმოდან“, რომელშიც თავად იმყოფებოდნენ, ვიდრე იქიდან ამოაღწევდნენ. აქვეა მეორე სერიოზული პირობაც ამ ტიპის არსებებისათვის. მათ მხოლოდ ის ცოცხალი არსებები უნდა ამოიყვანონ „ორმოდან“, რომლებიც თავად აღიქვამენ, რომ „ორმოში“ იმყოფებიან და მათ მოწაფეობრივი სულისკვეთებით სთხოვენ იქიდან ამოყვანას.

აი, სწორედ ეს „ორმოდან“ ამოსვლისა, თუ ამოყვანის პროცესი არის ის, რასაც მოიაზრებს სარწმუნოება.

სარწმუნოება არის საუკეთესო რამ, რაც კი არსებობს ილუზიური რეალობიდან ჭეშმარიტ რეალობაში გადასვლით მცხოვრები მატერიალიზირებული ცოცხალი არსებებისათვის. ის არის მაკოორდინირებელი და მარეგულირებელი საშუალება ამ არსებებისა, იმისათვის, რომ მათ საკუთარი, მათში არსებული ცდომილებები მართებულობად გარდაქმნან და ეს გასწორებული ცნობიერება დაამკვიდრონ თავისში, მატერიალურ სამყაროში არსებობის პერიოდში.

ანანდას დონემდე ასული ადამიანები ჭეშმარიტად იცავენ სარწმუნოებას და არაფრისა და არავის გულისათვის არ არღვევენ მას. სწორედ ეს არის ის, რასაც მატერიალური ინდივიდუალური სხეულის დონეზე ჭეშმარიტად საჭიროებისა და სასურველობის გამოვლინების მაქსიმუმი შეიძლება ეწოდოს.

სარწმუნოება ყოველთვის ამ წამს მიმდინარე საჭიროდ და ცოცხლად შესრულებული მოქმედებების ბუნებრივ გამოვლინებუ-

ლობაზე დგას. ის, როგორც პროცესის ავტორი, არის ყველაზე საუკეთესო რამ, რაც კი შეიძლება შეემთხვას ნებისმიერ მატერიალიზირებულ ცოცხალ არსებას მატერიალური სამყაროს ნებისმიერ წერტილში.

სარწმუნოებისა და რელიგიის ერთ ცნებად აღქმა ჭეშმარიტი სიბეცეა და ის, ვინც ამას აკეთებს ჭეშმარიტად უმეცარ არსებად შეიძლება იწოდოს. რელიგია მიმდინარე რეალობაში არსებული დარღვეული ნაწილის საზღვრების შესაბამისი ცნობიერების დოგმირებული აღსრულებაა (ინდუიზმის ენაზე კარმა-იოგას შესრულება). ეს დოგმატური აღსრულება სხვადასხვა რიტუალების თანამიმდევრულ შესრულებაში გამოიხატება, რომლებიც, თავის მხრივ, გაკულტებული ნივთებისა და გაკულტებული ტრადიციების გარშემო ხდება. ამ სისტემის მიყოლით, ცდომილება არ მცირდება, მაგრამ არც იზრდება. რაც შეეხება რელიგიის ფუნქციონალური არსის უფრო დაწვრილებით განხილვას, ამას ალბათ I ნაწილის III თავში ანუ მანოში გავაკეთებ, რამეთუ ეს ამ განყოფილებას ზედმიწევნით შეესაბამება.

სარწმუნოება მიმდინარე რეალობაში არსებული დარღვეული ნაწილის საზღვრების შესაბამისი ცნობიერების არადოგმირებული, ბუნებრივი აღსრულებაა. ეს ბუნებრივობა ნებისმიერ მოქმედებების არაწინასწარდაგეგმილობაში, არაწინასწარგათვლილობაში გამოიხატება, რომლებიც, თავის მხრივ, არსებობის პროცესით ტკბობის გარშემო ხდება. ამ სისტემის მიყოლით ცდომილება არ იზრდება, სამაგიეროდ მცირდება.

აი, ეს არის განსხვავება რელიგიასა და სარწმუნოებას შორის, რაც, ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანია და არანაირად არ არის ხელწარმოსაკვრელი რამ.

ახლა კი, იმის დროა, რომ ერთგვარი დახარისხება მოვახდინო, რათა აღქმადი გახდეს ეს ინფორმაცია, ერთგვარი გამარტივება მოხდეს, ერთგვარი ფორმა მიიღოს მოცულობამ. ვინაიდან ეს წიგნი ჩემი პიროვნების მოხმარების საგნადაა თავიდანვე გამიზნულად განწესებული, არ ვეცდები ჩემს დონეზე დაბლა მდგომთა მენტალურ ინტერესებზე აწყობას და ისე გავაგრძელებ წიგნს იმ გამარტივების ჩათვლით, როგორც თავადვე ბუნებრივად მომდინარეობს ჩემში. ეს იმასთან დაკავშირებით, რომ ეს გამარტივებული ფორმა იქნება ჩემთვის და ვისთვის როგორაც უნდა იყოს, ამაზე აღარ ვფიქრობ. სხვათაშორის, ამ წამს დავაფიქსირე, რომ ეს მიდგომაც ერთ-ერთი საუკეთესო გამოვლინებაა საკუთარი „მე“-დან

მომდინარე ინიციატივებზე უარის თქმისა (ყოველ შემთხვევაში ამის სერიოზული მცდელობისა მაინც).

ვიზუალიზირებულ (ფსევდოფუნქციონალურ) რელიგიად გადაქცეული სარწმუნოება ანანდამაიას ქალურ საწყისს წარმოადგენს. ე. ი. ეს ვიზუალური რელიგია ქალური საწყისი ყოფილა ილუზიური რეალობის საუკეთესო ფორმით გამოვლინებულობისა.

სარწმუნოება კი, ანანდას ქალურ საწყისს წარმოადგენს. ე. ი. იგი ქალური საწყისი ყოფილა ილუზიური რეალობიდან არსებულ ჭეშმარიტ, რეალურ რეალობაში გადასვლის საუკეთესო ფორმით გამოვლინებისა.

ვფიქრობ, ავტომატურად იგულისხმება ის, რომ, თუ ეს ორი ცნება ქალური საწყისების წარმომადგენლები არიან, აუცილებლად იარსებებენ სხვა ორი ცნებაც, რომლებიც მამაკაცური საწყისების წარმომადგენლები არიან. ეს ის ცნებებია, რომლებისკენაც თავად ისწრაფვიან რელიგია და სარწმუნოება. ვეცდები მაქსიმალურად კარგად იყოს ეს გადმოცემული და ახსნილი, რამეთუ ეს უზარმაზარი დახმარება იქნება ცხოვრების ნებისმიერ რთულ მომენტში ამის გადახედვის შემდეგ ნებისმიერი მაღალეთიკური ცოცხალი არსებისათვის. ამ შემთხვევაში, რაღა თქმა უნდა, პირველ რიგში ვგულისხმობ ჩემს პიროვნებას და შემდეგ ყველას, ვისაც ეს სურს.

დაკვირვებული თვალი უკვე შეამჩნევდა და დააფიქსირებდა ორ ცნებას (თუ ცნობიერ გაგებას), რომელთაც ანანდას და ანანდამაიას მამაკაცური საწყისის გამომხატველებად ვთვლი. ესენია: ყოფითკმარობა და თვითკმარობა.

ყოფითკმარობა და თვითკმარობა

ყოფითკმარობის მდგომარეობის მიღწევა არის ის საუკეთესო შიდა მდგომარეობა, რაც კი საერთოდ არსებობს ილუზიური რეალობით მცხოვრები მატერიალიზირებული ცოცხალი არსებებისათვის. ის არის მაკონტროლებელი და მარეგულირებელი საშუალება ამ არსებებისა, იმისათვის რომ მათ მიერ აღქმული მატერიალური რეალობა ობიექტურ, მათთვის ჭეშმარიტად და ზედმიწევნით დამსახურებულ, შედეგობრივ რეალობად მიიღონ მატერიალურ სამყაროში მატერიალური სხეულის საშუალებით არსებობის პერიოდში.

ანანდამაიას დონემდე ასული ადამიანები საკუთარი ყოფითკმარობის მიღების საშუალებით სრულყოფილად მოახერხებენ დაუკმაყოფილებლობის შეგრძნების დაძლევას. მათთვის მოთხოვნილებები საკუთარი მატერიალური შესაძლებლობებიდან იქნება უკვე გამომდინარებული და არა პირიქით. ფაქტიურად, ეს საკუთარი „ეგო"-დან გამომდინარებულ სურვილებთან გამკლავებისა და მათი ფაქტობრივად აღმოფხვრის გამოვლინება იქნება.

ყოფითკმარობას მიღწეული ადამიანი ე. წ. საკუთარ სურვილებს, როგორც საკუთარი ინდივიდუალიზმის კოსმოსთან დაპირისპირების ტვირთს იხსნის და კოსმიური ერთიანობის იდეის დაპირისპირებას თავს ანებებს, თუმცა ეს მხოლოდ მატერიალური უზრუნველყოფის, მატერიალური ყოფიერების დონეზე ხდება.

მაგრამ მათთვის, ვინც ჭეშმარიტად სძლია საკუთარი „ეგო"-დან მომდინარე სურვილებს, თავისში აღმოფხვრა ისინი, ყოფითკმარობა ხელისშემშლელი ფაქტორი ხდება და საკუთარ „მე"-ზე ძალადობით მიღებულ უაზრო ასკეტიზმში გადაიზრდება. ეს ძალიან რთული გარდამავალი პერიოდია ამ ჭეშმარიტად დიადი სულების მატერიალურ სამყაროებში ცხოვრების პროცესში. ძალიან რთულია იმაზე იყო კონცენტრირებული საკუთარი სურვილები არ გაგაჩნდეს, მაგრამ შემდეგ კონცენტრირდე იმაზე, რომ საჭირო სურვილები გამოარჩიო არასაჭიროთაგან და მათი რეალიზაციის მცდელობებით დაკავდე. საქმნელად კი არა წარმოასადგენადაც კი ძალიან რთულია.

აი, სწორედ ამის შეძლებისათვის საჭიროა და აუცილებელი თვითკმარობის მიღწევა. თვითკმარობის მდგომარეობის მიღწევა არის ის საუკეთესო შიდა მდგომარეობა, რაც კი საერთოდ არსებობს მატერიალიზირებული ცოცხალი არსებებისათვის ილუზიური რეალობიდან ჭეშმარიტ რეალობაში გადასვლით მცხოვრები ამ არსებებისათვის. ის არის იდეალური მაკონტროლებელი და მარეგულირებელი საშუალება ამ არსებებისა, იმისათვის, რომ მათ განგების ნების რეალიზაციის საშუალებებად გადაქცევა შეძლონ მატერიალურ სამყაროში მატერიალური სხეულის საშუალებით არსებობის პერიოდშიც კი.

ანანდას დონემდე ასული ადამიანები თვითკმარობის მდგომარეობის მიღწევისა და, ასეთად მისი შენარჩუნების საშუალებით, სრულყოფილად მოახერხებენ საკუთარი სულიერი ჭუჭყის („ეგო"-ს) სრულად დანახვას ზოგად ცნობიერული გადასახედიდან, საკუთარი პიროვნების სრულ ობიექტურ შეფასებასა და იმ არსებული

ეთიკურ-ესთეტიკური ჭუჭყისაგან გან(რ)წმენდა-გათავისუფლებას, რომლის გამოც მოუხდათ მატერიალურ სამყაროში მატერიალური სახით გამოვლინება. ისინი შეიმეცნებენ და შეიგრძნობენ იმ მდგომარეობას, რაც მათ ჰქონდათ დედის საშოში (ან თუნდაც ლოკაში) შესვლამდე და, რაღა თქმა უნდა, თუ „დანახვის“ უფლებას ანიჭებს კოსმოსი ე. ი. ნეგატიურობის აღმოფხვრის პოტენციურ უნარს აძლევს. მათ შესწევთ უნარი მატერიალურ სხეულში ყოფნის მიუხედავად ფაქტიურად დაიმკვიდრონ სულიერ სამყაროში ადგილი, დაიმსახურონ იქ დაბრუნება. აი, ასეთი დიდი ძალისა და წონადობის მქონეა თვითკმარობის ცნება და გაგება და, რაღა თქმა უნდა, იგი ერთი თავით მაღლა დგას ყოფითკმარობის (პასიური არანეგატიურობის) ცნებასთან და გაგებასთან.

თვითკმარობა მიღწეული ადამიანის სურვილები განგების ნება-სურვილებს ზედმიწევნით ემთხვევა და იცავს ანუ იგი უკვე აღარანაირ დაპირისპირებაში აღარ იმყოფება კოსმიური ერთიანობის მიღწევის იდეასთან. ეს მატერიალური ცნობიერების, ცივილიზირებულობის განვითარების დონეზე ხდება.

ყოფითკმარობით მიმდინარე რეალობაში არსებული, დამკვიდრებული ზოგადი ცნობიერების შეცნობა და მისი ობიექტურად შეფასება ხდება. ეს ყოველივე კი ხორციელდება დროებით აქტიური ქაოტური მიმდინარე ცხოვრებიდან გასვლით (ე. წ. „სიკვდილით სიცოცხლეში“). თუ მატარებლით ან მაქანით დიდი სიჩქარით მიემგზავრება ადამიანი და ფანჯრის მინიდან დანახული ტერიტორიის სერიოზულად შესწავლას მოინდომებს, მან აუცილებლად უნდა გაიჩეროს მანქანა (ან მატარებელი), ჩამოქვეითდეს და ნელი ინტენსიური შესწავლით დაკავდეს ისე, რომ თითოეულ ბუჩქს, ხეს, ბალახს, ჭიანჭველას ან ნებისმიერ რაღაცას, რაც ამ ტერიტორიაზე იმყოფება აუცილებლად უნდა ჩაუღრმავდეს და გაუგოს (ე. ი. შეიყვაროს). შემდეგ კი მათ ცხოვრებაში ისე უნდა ჩაეწეროს (თანაცხოვრებით დაკავდეს მათთან), რომ მათ ჩვეულებრივ ყოფიერ განრიგს საკუთარი ინტერესების ასრულების გამო პრობლემები არ უნდა შეუქმნას. ის, ვინც საკუთარი „ცხოვრების მატარებელს“ დროებით არ შეაჩერებს, ყოფითკმარობის მიღწევას უბრალოდ ვერანაირად ვერ შეძლებს.

თვითკმარობით კი საკუთარ „მე“-ში თავდაპირველად (ჩასახვამდე) არსებული ზოგადი ცნობიერების აღდგენა და მისი ობიექტური შეფასება ხდება. ეს ყოველივე კი ხორციელდება განგების ნების აღქმით საკუთარ პიროვნებასთან მიმართებაში. ეს არის მე-

ორედ დაბადებულობის ფენომენური გამოვლინება უკვე მატერიალიზირებული ცოცხალი არსების მიერ, მისი ცხოვრების მატარებელი უკვე სხვა პლატფორმიდან იწყებს სვლას და იმის საპირისპირო მიმართულებით მოძრაობს იმ „ცხოვრების მატარებელთან“ შედარებით, რომლითაც იგი მოძრაობდა ყოფითკმარობის მიღწევამდე.

თვითკმარობის მდგომარეობაში ყოფნა სულიერი განდეგილობის მიღწევის გამოვლინებაა. ინდივიდუალური სხეულის მიერ ინდივიდუალური სული აღიქმება მისთვის სამაგალითო და მისაბაძ წარმომადგენლობით ინდივიდუალურ გამოვლინებულობად ის ბუნებრივად აყენებს ინდივიდუალურ სულს, სამშვინველს, საკუთარ მამოძრავებელ ძალას თავის აღქმაში იერარქიულად თავისზე უფრო მაღალ საფეხურზე და, შეიძლება ითქვას, სურს ემსახუროს მას, ისე მოიქცეს, რომ თავი მოაწონოს, ეს კი არ მოხდებოდა ინდივიდუალურ სულს მთელი კოსმიური ერთიანობა, განგება, არაინდივიდუალიზმის სული, ყველასი და ყველაფრის მამოძრავებელი ძალა, თავის აღქმაში რომ არ დაეყენებინა იერარქიულად თავისზე უფრო მაღალ საფეხურზე და მსახურებრივი სულისკვეთებით არ განმსჭვალულიყო მისდამი. მასაც, თავის მხრივ, მხურვალე სურვილი აქვს ისე მოიქცეს, რომ თავი მოაწონოს ე. წ. არაინდივიდუალურ სულს.

აქვე ზოგადი კონცეფცია მინდა შემოვიტანო ამ საკითხებთან დაკავშირებით. როგორც ინდივიდუალური სული მოიქცევა არაინდივიდუალურ სულთან მიმართებაში, ზუსტად ისევე მოიქცევა ინდივიდუალური სხეული ინდივიდუალურ სულთან მიმართებაში. ვფიქრობ, ამ ტერმინების გადაშიფვრასა და დაკონკრეტებას აქ აზრი არა აქვს, ისინი ისედაც გამარტივებულია და გასაგებია, ამიტომ ამ წიგნში ამ საქმიანობით უბრალოდ აღარ ვთვლი საჭიროდ, რომ ადგილი დავიკავო.

თვითკმარობისა და ყოფითკმარობის ცნობიერ არსთა უზარმაზარი მნიშვნელობა, ვფიქრობ, ნათლად არის წარმოჩინებული ამ ნაწილში და სრულიად საკმარისად და დამაკმაყოფილებლად გადმოსცემს მათ ფუნქციურ და რეალურ გამოვლინებულ მნიშვნელობას. ისინი ძალიან დიდი წონადობის ცნებები ბრძანდებიან და მათი ჯეროვნად არ დაფასება დიდი შეცდომაა.

I თავის მოკლე ფასეულობრივი აღწერა

I თავის მოკლე აღწერისას ანანდამაიას აღარ შევეხები და მხოლოდ ანანდაზე როგორც შედეგობრივი მდგომარეობის აღწერაზე გავამახვილებ ყურადღებას. ამას კი იმისთვის გავაკეთებ მხოლოდ და მხოლოდ, რომ ერთიანი სურათი უფრო თვალნათელი გახდეს თუ რა ფასეულობაა რომლიდან გამომდინარე ანუ მისი ქვემდებარე.

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს ის, რომ ანანდა საკუთარ ინიციატივებზე უარის თქმის საქმეში უმაღლეს საფეხურს წარმოადგენს. ეს ძალიან რთულია, მაგრამ ამ შემთხვევაში სასურველია და სჯობს საკუთარ ინიციატივებზე უარის თქმის მსურველმა სწორედ ამ გადასახედიდან შეძლოს ამ საქმეში ხელმძღვანელობა და დანარჩენ ოთხ საფეხურს ის უკვე უპრობლემოდ გაართმევს თავს.

ზოგადად, ანანდას საშუალებით ილუზიური რეალობიდან არაილუზიურ რეალობაში გადასვლა ხდება მატერიალურ სამყაროში ყოფნის პერიოდში.

ანანდას დასაკმაყოფილებლად გარდაუვლად აუცილებელია და საჭირო სულიერი განდეგილობის ცნების აღქმა, შეგრძნება და რეალურად ამ მდგომარეობის დამკვიდრება საკუთარ პიროვნებაში. სულიერი განდეგილობის ყველაზე საუკეთესო განმარტება გახლავთ: საკუთარი ნებით განგების ნების რეალიზაციის საშუალებად გადაქცეულობის მდგომარეობა.

სულიერ განდეგილობას მიღწეული ადამიანი გარეგნულად ძალიან აქტიური ცხოვრების სტილით, კომუნიკაბელურობით, უშუალობითა და გულწრფელობით გამოირჩევა. შინაგანად ის მატერიალურ სამყაროსთან არანაირ კონტაქტში არ შედის, მაგრამ ეს მატერიალიზირებული ადამიანებისათვის შეუცნობი ხდება. გვერდიდან ის მიიჩნევა როგორც ყველაზე თავისუფალი, დამოუკიდებელი, მისაბაძი, საინტერესო და სამართლიანი ადამიანი.

სულიერი განდეგილობის განშტოებებს წარმოადგენენ თვითკმარობა და სარწმუნოება, როგორც მისი მამაკაცური და ქალური საწყისის წარმომადგენლები.

თვითკმარობა, როგორც მამაკაცური საწყისი, უფრო წარმოსახვით ნაწილთანაა კონტაქტში და საკუთარი პიროვნების შიდა მდგომარეობაში გამომხატველ ცნებად უნდა მივიღო. ის ავტომატურად მოიაზრებს შიდა გაბალანსებულობისა და გაწონასწორე-

ბულობის, მყუდროების მდგომარეობას. არ არის არანაირი დაპირისპირება კოსმოსის, განგების მიზნებთან და ნება-სურვილებთან, საკუთარ შიდა ცენზურასთან, რომელიც სინდისის სახით არსებობს ნებისმიერ მატერიალიზირებულ ცოცხალ არსებაში.

ამავდროულად თვითკმარობა ავტომატურად გულისხმობს არასტატიკურობის, მოქმედების აუცილებლობასა და მუდმივ ანალიზს საკუთარი პიროვნებისა. ერთ პატარა ეჭვსაც კი შეუძლია ამ მდგომარეობის დროებითი შერყევა. თუმცა ისიც მინდა აღვნიშნო, რომ ინდივიდუალური სხეულის მქონე არსებისათვის (ანდა, სხვანაირად თუ ვიტყვით, ინდივიდუალურ სხეულში მყოფი არსებისათვის) თვითკმარობის მიღწევა უდიდეს მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს.

სარწმუნოება, როგორც ქალური საწყისი, უფრო გამოსახულ ნაწილთანაა კონტაქტში და საკუთარი პიროვნების გარე მდგომარეობის გამომხატველ ცნებად უნდა მივიღო. ის ავტომატურად მოიაზრებს გარე გაწონასწორებულობისა და მყუდროების მდგომარეობას. ამ შემთხვევაში საკუთარი პიროვნების მიერ თვითგამოვლინება განგების მიერ დარღვეულ ნაწილად მიჩნეულ, მაგრამ ამ დარღვეულობის გამოვლინებისთვის შესაძლო და მისაღებ, საზღვრებში ხორციელდება. საკუთარ გარე ცენზურასთან არანაირ დაპირისპირებაში არ მოდის ეს გამოვლინება. გარე ცენზურა კი სირცხვილის სახით არსებობს ნებისმიერ მატერიალიზირებულ ცოცხალ არსებაში.

ანანდა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია ამ წიგნში აღწერილ სხვა თავებს შორის განსაკუთრებით ინდივიდუალური სხეულების დონეზე განხილვისას.

II თავი
ვიჯნანა
საკუთარი „მე“-ს ინიციატივაზე უარის თქმის მეორე საფეხური

განგების მიერ ჩემთვის მოწოდებული და ჩემი „მე“-ს მიერ აღქმული ჭეშმარიტი ცოდნა შიდა შეგნების დონიდან უშუალოდ შიდა შეგრძნების დონეზე აღქმულობაში უნდა გადავიყვანო და ჭეშმარიტ გრძნობად გარდავქმნა.

ის ცოცხალი არსებები (ადამიანები), რომლებიც ანანდასთვის შესაბამის მოთხოვნებს ჯეროვნად დააკმაყოფილებენ, მათთვის ვიჯნანას მოთხოვნების დაკმაყოფილება დიდი პრობლემა არ იქნება. ეს დაახლოებით იმას ჩამოჰგავს, რომ მე-5 კლასს ვინც დაამთავრებს კარგ, დამაკმაყოფილებელ ნიშნებზე, მისთვის მე-4 კლასის მასალა ავტომატურად ათვისებული და განვლილი ცოდნა უნდა იყოს. ამ მასალასთან მიმართებაში მთავარია ეს გონების დონეზე აღქმული ცოდნა უშუალოდ გრძნობის დონეზე აღქმულობაში გადაიზარდოს, ამ ტიპის აღქმად გარდაიქმნას.

ერთგვარი ანონსის სახით წარმოვადგენ იმას, რაც პირველი თავის ცხრილურ მონაცემშია მოყვანილი და შემდგომ ამ ყველაფერს მთელი ამ თავის მოცულობით ნაწილში გაშლილი სახით წარმოვაჩენ.

ვიჯნანა – განგების მიერ მონიჭებული უფლებამოსილება. ქველმოქმედება	
მამაკაცური საწყისი მეცნიერება – სტატუსკვო პირობითობების შესრულება. ძალაუფლება საკუთარ „ეგო“-ზე	ქალური საწყისი კულტურა – სტატუსკვო უპირობითობების დაკმაყოფილება. ძალაუფლებაზე უარის თქმა
ვიჯნანამაია – საკუთარი ინიციატივით აღებული უფლებამოსილება. ანგარებითი თვითუზრუნველყოფა	
მამაკაცური საწყისი თვითგაკერპება – სტატუსკვო პირობითობებში პოზიტიურობის შეტანის მცდელობები. შეუნიღბავი ძალაუფლება	ქალური საწყისი კერპთაყვანისმცემლობა – სტატუსკვო უპირობითობებში არსებული ნეგატიურობის პოზიტიურობად აღქმა. შენიღბული ძალაუფლება

ანგარებითი თვითუზრუნველყოფა და ქველმოქმედება

ანგარებითი თვითუზრუნველყოფისკენ სწრაფვა ვიჯნანამაიას პირდაპირ გამოვლინებას წარმოადგენს. ანგარების პრეცენდენტის წარმოქმნის და სხვადასხვანაირი ფორმით მისი არსებობის მიზეზი ცოცხალი არსების მიერ კოსმოსის, როგორც ერთიანი არსების დანაწევრების, საკუთარ აღქმაში მისი დაყოფის შედეგად ხდება. რაც უფრო მეტად (მეტ ნაწილად) მოახდენს ადამიანი დაყოფასა და დანაწევრებას, მით მეტი იქნება მასში ანგარებითობა რეალურად მასში არსებულ შიდა არსში. თვითუზრუნველყოფაზე კონცენტრირებისა და ზრუნვის პროცესში კი ამის მცდელობა ხდება იმ დანაყოფების ინტერესთა იგნორირების ხარჯზე, რომელთა წარმომადგენლადაც ცოცხალი არსება თავს არ მიიჩნევს. ბუნებრივია, რომ ეს ავტომატურად წარმოქმნის დაპირისპირებას ამ ე. წ. დაყოფილ ნაწილთა დონეზე. შემდგომად ამისა წარმოიქმნება ინტერესთა სერიოზული კომფლიქტი, რომელიც ძალიან ხშირად (თითქმის ყოველთვის) ომში, ბრძოლაში, ძალადობით საკუთარი სურვილების დაკმაყოფილებაში გადაიზრდება ხოლმე.

აქ ძალიან მნიშვნელოვანია ის საკითხი რას მიიჩნევს ცოცხალი არსება თვითუზრუნველყოფის თავისთვის გარდაუვლად აუცილებელ ნაწილად. ერთადერთი რამ, რითიც შეიძლება ანგარებითობის შემცირება ანუ დაყოფის არასაჭიროება და, უფრო მეტიც, დაყოფის უაზრობა გახლავთ ჭეშმარიტი ცოდნის შეძენა. ამ ცოდნის მიღების შემთხვევაში თვითუზრუნველყოფის ცნება თავისდაუნებურად სერიოზულ ცვლილებას იწყებს ცოცხალი არსების შიდა აღქმის დონეზე. აბსოლუტურად ყველაფრის, მთელი კოსმიური რეალობის ერთ არსებად (არა დაყოფილად) აღქმის შემთხვევაში, ანგარება ქრება და თვითუზრუნველყოფაზე ზრუნვა მთლიანად კარგავს აზრს, ანუ მისი საჭიროება აღარ არსებობს. ეს იმიტომ ხდება, რომ ცოცხალ არსებაში აბსოლუტურად აღარ და ვეღარ იარსებებს შიდა დაპირისპირება. ის სრულიად უზრუნველყოფილი შეიქმნება განგების მიერ. განგებას ამ შემთხვევაში არ დავშლი და არ დავაკონკრეტებ. მას განსაზღვრავ ასე, ეს არის ყველაფერი არსებულის მმართველი და მამოძრავებული ძალა თავისი არაინდივიდუალური გამოვლინებებით, რომელიც განაგებს ყოველივეს. სწორედ იგი უზრუნველყოფს იმ ცოცხალ არსებას სრულყოფილად, რომელიც შეძლებს განგების ქვეშ დაქვემდებარებული კოსმიური მთლიანი „სხეულის“ ერთიან არსებად მიღებასა და აღქმას. ფაქტიურად, ეს

იქნება საკუთარი ინიციატივებით ქმედებაზე უარის თქმა ცოცხალი არსების მიერ მისთვის განგების მიერ განსაზღვრულ გარემოში თვითდამკვიდრების საქმიანობაში.

ამ მიმართულებით წარმატებული ცოცხალი არსება თავისდაუნებურადაც კი, ბუნებრივად უანგარო გახდება. ის თავს დაანებებს თვითუზრუნველყოფაზე ზრუნვას და განგებას მიანდობს საკუთარი უზრუნველყოფის საკითხის გადაჭრას მთლიანად. განგება კი, თავის მხრივ, უამრავი რაოდენობის საშუალებებით აუწყებს – რა აკეთოს, როდის, სად, რისთვის, რატომ, ვისთან, როგორ და რამდენი ძალისხმევით მოიქცეს.

ფაქტიურად, ეს ვიჯნანამაიადან გასვლასა და ვიჯნანაში გადასვლას ნიშნავს. საჭირო და სასურველი ქველმოქმედებისაკენ სწრაფვა ვიჯნანას პირდაპირ გამოვლინებას წარმოადგენს. აქ შეიძლება ითქვას ერთი ძალიან მოკლე ფორმულირება იმისათვის, რათა აიხსნას მისი არსობრივი გამოხატულება. აი, ეს ფრაზაც: სხვათათვის ჭეშმარიტად საჭირო დახმარების გაწევით საკუთარ პიროვნებას ვეხმარებით.

ვფიქრობ, აქ ისედაც გასაგებია, მაგრამ მაინც აღვნიშნავ იმას, რომ ქველმოქმედება სასტიკად დაუშვებელია შეცოდებაზე ბაზირდებოდეს. ყოვლად დაუშვებელია დახმარება გავუწიო სხვა ცოცხალ არსებას მისი სურვილის შესრულებაში რაიმენაირი (თუნდაც ყველაზე პასიური ფორმით), თუკი ეს სურვილები ანგარებით თვითუზრუნველყოფას ემსახურება და ამ ტიპის სურვილებიდან მომდინარეობს. ყველაზე დიდი ქველმოქმედი თავად განგება გახლავთ და, ოდნავ ლოგიკას თუ მოვიშველიებთ, ის თავად დაეხმარებოდა ამ ცოცხალ არსებას იმ სურვილის შესრულებაში, რომლის შესრულებაში დახმარების სურვილიც გამიჩნდა, თუ ამას საჭიროდ ჩათვლიდა.

რაც შეეხება იმას, რომ თუ ამის გაკეთება (დახმარება) განგებამ ამ ცოცხალი არსებისათვის ჩემი საშუალებით მოინდომა, მაშინ აქაც უეჭველად უნდა იქნას გათვალისწინებული ის მომენტი, რომ ეს ამ ცოცხალი არსების ჩემსკენ მომართული გულწრფელი თხოვნის შემდგომად შეიძლება მოხდეს. სამწუხაროდ, აქაც არ არის მარტივად საქმე. თუ ეს ცოცხალი არსება თამაშის ხელოვნებით მომმართავს, როგორც თეატრის მსახიობი, ისე, რომ გონებით აკეთებს გულწრფელობის იმიტაციას (პროფესიონალი მათხოვრები, თავის შემაცოდებლები, სატანური ბუნების მქონენი) ამ შემთხვე-

ვაში, ჩემი მხრიდან, მინიჭებული დახმარება ჭეშმარიტად უზარმაზარი შეცდომა იქნებოდა.

ერთობ რთული რამ არის სიქველის, ჭეშმარიტი ქველმოქმედების გაწევა მატერიალიზირებული ცოცხალი არსების მიერ. ამის ჭეშმარიტად საჭიროდ და სასურველად გასაკეთებლად ჭეშმარიტად შემეცნებული და აღქმული ცოდნის ჭეშმრიტად შინაგანი შეგრძნების დონეზე აღქმულობაში გარდაქმნაა საჭირო. ამის შედეგად ძალიან მარტივდება ყოველივე. ანუ ცოცხალი არსება იძენს უნარს იმისა, რომ შეიგრძნოს როდის მომდინარეობს სხვა ცოცხალი არსებებიდან ტყუილი და როდის სიმართლე.

როდესაც ცოცხალი არსებიდან ტყუილი გამოდის ან დროს მისი გონება გულზე ზემოთ აყენებს თავის თავს და, ფაქტიურად, ცდილობს ისეთი რამ გააკეთოს, რაც გულისათვის სასტიკად მიუღებელია. თუ ცოტაოდენ სენტიმენტალურ შედარებას გავაკეთებთ, სწორედ ეს იქნება ცოცხალ არსებაში სატანის, ეშმაკი გამოვლინება. ის შეგნებულად იტყუება, ეშმაკობს და ამ ეშმაკობის წყალობით თუკი ერთხელ გაგაკეთებინებთ რაიმეს, მას ეს მეორედ, მესამედ, მეოთხედ და მუდმივად მოუნდება და მისი სურვილის ნებით თუ უნებურად შემსრულებელი მაინც დამნაშავე იქნება, რამეთუ ქველმოქმედების სახელით ამ ცოცხალ არსებაში სატანისა და ეშმაკის დამკვიდრებას შეეწყო ხელი და, რეალურად რომ ითქვას, ტყუილი წახალისდა. რეალურად მატერიალურ სამყაროში ხომ ეს წესი მოქმედებს: **რა საშუალებაც ახერხებს მიზნის მიღწევას წარმატებულად, ის ხდება პოპულარული ე. ი. წახალისებული.** ვფიქრობ, ბევრი მტკიცება არ სჭირდება იმისათვის ვინც ამის გაგებას მოისურვებს, რომ ეს ქველმოქმედების მახინჯი ფორმაა და, თქვენ წარმოიდგინეთ, ბოროტმოქმედების ერთ-ერთ სახეობას წარმოადგნს სათნოების სახელით წარწერილ საჩუქრების ყუთში ჩადებულსა და ლამაზ ბრჭყვიალა ქაღალდში შეფუთულს, ზემოდან კი, ლამაზი ზონრით შეხვეულს, რომელიც ყუთის შუაში ბაფთის ფორმით არის შეკრული.

როდესაც ცოცხალი არსებიდან სიმართლე გამოდის ამ დროს ის საკუთარ გონებას საკუთარ გულს უქვემდებარებს და, ფაქტიურად, ცდილობს ისეთი რამ გააკეთოს, რაც გულისათვის აბსოლუტურად მისაღებია. თუ აქაც ანალოგიურ სენტიმენტალურ შედარებას გავაკეთებთ, სწორედ ეს იქნება ცოცხალ არსებაში ცხოველმყოფელობის, ღმერთის გამოვლინება. ის შეგნებულად ამბობს სიმართლეს, ბუნებრივობით იმართება და ამ მართებულობის წყა-

ლობით, გულწრფელობით თუკი ერთხელ გაგაკეთებინებთ რაიმეს (მიიღებს თქვენგან დახმარებას) ეს მეორედ, მესამედ, მეასედ და მუდმივად მოუნდება და მისი სურვილის შემსრულებელი იქნება პირდაპირ განგების ნების საშუალება, რამეთუ ქველმოქმედების საშუალებით ამ ცოცხალ არსებაში სარწმუნო ვნების და ღვთისნიერების დამკვიდრებას შუწყვეთ ხელი და რეალურად სიმართლე წაახალისეთ. **თუკი სიმართლე, როგორც საშუალება, მოახერხებინებს ცოცხალ არსებებს მიზნის წარმატებულად მიღწევას, მაშინ სწორედ ის გახდება პოპულარული ე. ი. წახალისებული.**

აი, ასეთი, ვფიქრობ, წარმატებულად გამარტივებული, ადვილად აღსაქმელი სახით შეიძლება წარმოჩინდეს ვიჯნანას ცნობიერი არსი ცოცხალ არსებებში. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ფაქტია ის, რომ თუ ცოცხალ არსებას ანანდას დონე აღქმული, გათავისებული და შეგრძნებული არა აქვს, მას ცოცხალი არსებების შინაგანი შეგრძნების აღქმის უნარი არ ან თითქმის არ ექნება. ის, ფაქტიურად ვერ შეძლებს გაარჩიოს მასთან ურთიერთობაში შესული ცოცხალი არსებები იტყუებიან თუ სიმართლეს გადმოსცემენ. ეს იმის გამო ხდება, რომ დახმარების სურვილით ანთებულ ცოცხალ არსებებს დახმარება იმდენად განუზომლად და ანგარიშგაუწევლად სურთ სხვა ცოცხალი არსებებისათვის, რომ იმას საერთოდ უგულვებელყოფენ იმსახურებენ ეს უკანასკნელები ამ დახმარებას, თუ არა, ანუ ისინი დახმარებისთვის შერჩეული ობიექტების ობიექტური თვალით დანახვას, ობიექტურ შეფასებას არ ახდენენ. პრინციპში, შეიძლება ისიც ამოძრავებდეთ ქვეცნობიერად, რომ თავისი უანგარო თავგანწირვის სულისკვეთებით, ამ ცოცხალ არსებებში გულისხმიერებასა და სულიერ სითბოს გააღვიძებენ, მაგრამ იმას ვერ ამჩნევენ, მიუხედავად უამრავი მწარე ტკივილისა (საკუთარი ამ მიდრეკილების შედეგად მიღებულისა), რომ გულისმიერებისა და სულიერი სითბოს გაზრდისა და გამრაველბის ნაცვლად გულგრილობისა და მატერიალური ანგარების გაზრდასა და გამრავლებას უწყობენ ხელს ამ არსებებში. თუ ეს ცოცხალი არსებები საკუთარი ინიციატივიდან მომდინარე ბრმად ე. წ. დახმარებაზე (სინამდვილეში ტყუილისა და არამზადობის ხელის შეწყობაზე) უარს იტყვიან და მხოლოდ განგების მიერ მათთვის შექმნილი სიტუაციების მიყოლით დაკმაყოფილდებიან, მათ მიეცემათ შანსი შეძლონ ჭეშმარიტად შეიმეცნონ და აღიქვან ვის უნდა დაეხმარონ და ვის უთხრან უარი ამაზე, ანუ შეძლონ ჯერ ობიექტურად შეაფა-

სონ თავის გარშემო მყოფი არსეებები და შემდგომ, ამისდა შესაბამისად, იმოქმედონ მათთან მიმართებაში.

კერპთაყვანისმცემლობა და კულტურა

კერპთაყვანისმცემლობა ვიჯნანამაიას იგივე ანგარებითი თვითუზრუნველყოფისთვის ქალური საწყისის წარმომადგენლობითი ნაწილია. მის არსობრივ დატვირთვაში განგების ნების მიმართ გულგრილობა, უყურადღებობა და განგების ნებასთან დაპირისპირებული ცოცხალი არსებებისადმი ბრმა მიჯაჭვულობა იგულისხმება. კერძოდ, განგების ნებასთან ამ დაპირისპირებული ცოცხალი არსებების, ფაქტიურად, მონური დაქვემდებარების ქვეშ მოქცევა სწროედ რომ განგების ნების მიმართ უყურადღებობისა და გულგრილობის შედეგად მიიღება. ეს კი (უყურადღებობა და გულგრილობა), თავისთავად შედეგი ხდება იმისა, რომ ცოცხალი არსება სულიერად ზარმაცდება, მიღწეული შეძენილი სულიერი ცოდნით კმაყოფილდება და უარს აცხადებს სულიერი ცოდნის ახალი პორციის მიღებაზე, რომელსაც განგება უპირობოდ ავალდებულებს.

კერპთაყვანისმცემლები საკუთარი ინდივიდუალური სხეულის შესაძლებლობებით და ამ ინდივიდუალური სხეულის „სარფიანად გაყიდვის“ მცდელობებით არიან დაკავებულნი. ყველაზე ცუდი რამ, რაც მათთან მიმართებაში შეიძლება ითქვას, არის ის, რომ ისინი ცალსახად მხოლოდ მატერიალური სხეულის ყოფიერების უზრუნველყოფაზე მიჯაჭვულობით მთავრდება ხოლმე.

მსხვერპლის მდგომარეობაში მოხვედრა კერპთაყვანისმცემლის ჩვეულებრივ, ბუნებრივ მდგომარეობას წარმოადგენს. ყველაზე მარტივი მიზეზ-შედეგობრივი განხილვის შედეგადაც კი, ეს დასკვნა ძალიან მარტივი მისაღებია. ისინი არიან ჯაჭვის ის რგოლი, რომელზეც ხდება ანგარების განხორციელება. ამავდროულად პარადოქსივით ჩანს, მაგრამ ფაქტია, რომ ისინი არიან არსებები, რომელთა საშუალებითაც ხდება ანგარებითი მიზნების მიღწევა. ანუ თვითგაკერპებულების ერთი ნაწილის საშუალებით ახდენენ კერპთაყვანისმცემლების მეორე ნაწილის დაშინებას, დამორჩილებას, თავის შეხედულებებზე გადაყვანას და, თუ ეს არ გამოვა, განადგურებასაც კი. სხვათა შორის, ადრე თუ გვიან, იარაღად, საშუალებად გამოყენებულ კერპთაყვანისმცემლებს თუ ისინი ანგარე-

ბითი მიზნების არც უშუალოდ თავად გამოყენებისთვის აღარ მიაჩნიათ სასურველად და ვეღარც სხვა კერპთაყვანისმცემლებთან დაპირისპირებისთვის გამოიყენებიან, თვითგაკერპებულები მათ თავადვე უბრალოდ ანადგურებენ ან „ნაგავზე“ ყრიან.

ვიდრე თვითგაკერპებულის მიერ ნაწყალობევ სამსახურში იმყოფებიან კერპთაყვანისმცემლები მათთვის კერპის მიერ მინიჭებული ძალაუფლებით ტკბებიან. ეს შენიღბული ძალაუფლებაა, რაც მათ უბრალოდ აიძულებთ მუდმივად ტყუილში ამყოფონ საკუთარი თავი ანუ იძულებულები არიან გონება გულზე ზევით დააყენონ და საკუთარი გულისათვის სასტიკად რადიკალურად მიუღებელი რაღაცეები აკეთონ.

სტატუსკვო ანუ მომდინარე რეალობაში განგების მიერ ობიექტურ რეალობაში მისაღებ უპირობითობებში არსებული ნეგატიურობის პოზიტიურობად მონათვლა, დარქმევა და მიღება გახლავთ ის მიზეზი, რის გამოც ცოცხალი არსება კერპთაყვანისმცემლად გადაიქცევა ხოლმე.

იმისათვის, რომ ცოცხალი არსება ამ ჭაობში არ აღმოჩნდეს უბრალოდ აუცილებელია არავის და არაფრის გამო არ გაემიჯნოს საკუთარ გულისთქმას, ანუ გონება არ უნდა დააყენოს გულზე ზემოთ. ამისათვის მან სრულად უნდა მიიღოს ის ობიექტური რეალობა, რაც სუფევს იქ, სადაც ის იმყოფება. თავად ამის მისაღწევად კი, ცოცხალი არსება სრულად უნდა დაკმაყოფილდეს იმით, რასაც მას უბოძებს და რასაც განუსაზღვრავს განგება. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი განწირულია კერპთაყვანისმცემლად გადაქცეულობისათვის.

თუ ცოცხალი არსება ამ ჩამოთვლილ პირობათა ჯეროვნად შესრულებას შეძლებს, ამით თავს დააღწევს ვიჯნანამაიას ქალურ საწყისს და ვიჯნანას ქალურ საწყისში შეძლებს გადასვლას.

კულტურა ვიჯნანას იგივე ქველმოქმედების ქალური საწყისის წარმომადგენლობითი ნაწილია. ის თავის არსობრივ დატვირთვაში განგების ნებისათვის ანგარიშისგაწევას და განგების ნების დაპირისპირებულ ცოცხალ არსებებთან კონტაქტში არ შესვლას (ან კოტაქტის გარდაუვლობის შემთხვევაში მკაცრი პრინციპების დაცვას) გულისხმობს. კერძოდ, განგების ნებისთვის ანგარიშის გაწევა თავად ცოცხალ არსებას განგების მფარველობას მიანიჭებს იმაში, რომ განგების ნების დაპირისპირებულმა ცოცხალმა არსებებმა მისი თავიანთ დაქვემდებარებაში მოქცევა უბრალოდ ვერ შეძლონ. ამას ისინი ვერანაირად ვერ მოახერხებენ, თუ მასში საკუთარი ინი-

ციატივით პროვოცირებული ანგარებითი სურვილები არ იარსებებენ მატერიალური ყოფიერების იმაზე მეტად მისაღებად, ვიდრე ეს მას განგებამ მიანიჭა და განუსაზღვრა. უფრო მეტიც, ეს თვითგაკერპებული პირები იმასაც შეეცდებიან, რომ თავიანთ დაქვემდებარებაში არსებული კერპთაყვანისმცემლები არ მიუქსიონ მათ, რადგან თავისდაუნებურად ექნებათ შიში იმისა, რომ ეს მიქსეულები არ მოიხიბლონ განგების ნების გათვალისწინებით მცხოვრები ცოცხალი არსებითა და მათ მონურ სულისკვეთებაში ბზარი არ გაჩნდეს. ის მართალია, რომ ამ ცოცხალ არსებებს მატერიალურ სამყაროში მატერიალიზაცია იმიტომ მოუწიათ, რომ მიღწეული შეძენილი ცოდნით დაკმაყოფილდნენ და განგების ნების მიერ მიწოდებული ახალი სულიერი ცოდნის პორციის მიღებითა და ათვისებით არ დაინტერესდნენ, მაგრამ... აქ ამ მატერიალურ სამყაროში ეს რეალობა სულიერი ცოდნის თვალსაზრისით შეიძლება მივიღოთ როგორც შეჩერებული წამი, სადაც აუცილებელია უკვე შეცნობილი სულიერი ცოდნის განუხრელად დაცვა და თუ ცოცხალი არსება ამ უკვე შეძენილ ცოდნაში არაფერს დაარღვევს ვიჯნანას ქალური საწყისის დაცვას ჭეშმრიტად შეძლებს ანუ ამ ცალსახად პასიური საქმიანობის მიუხედავადაც კი, არ მოხვდება დაპირისპირებაში განგებასთან.

კულტურა ე. წ. კულტების ერთობლიობის გამოვლინებას წარმოადგენენ. ეს კულტები მატერიალურ სამყაროში სხვადასხვა სახით წარმოდგენილი გამოვლინებებია, რომლებიც იმ სულიერი ცოდნის ესთეტიურ-ზნეობრივ გამოვლინებას წარმადგენენ, რომლებიც უკვე მიიღო და დაამკვიდრა განგებამ სულიერ სამყაროში. კულტურის მიყოლის საშუალებით არაპირდაპირ, ასე ვთქვათ, ირიბად, მაგრამ მაინც ხდება ცოცხალი არსების მიერ მთელს არსებულ რეალურ ერთიან სამყაროში მიღებული და დამკვიდრებული სულიერი ცოდნის დაცვა. კულტურის ჭეშმარიტად მიმყოლ ცოცხალ არსებათა უმთავრესი დამახასიათებელი ნიშან-თვისება ძალაუფლებაზე უარის თქმაა მისი ნებისმიერი ფორმითა და სახით.

სტატუსკვო ანუ მიმდინარე რეალობაში განგების მიერ ობიექტურ რეალობაში მისაღები უპირობითობების არაგამრუდებულად დაკმაყოფილება გახლავთ ის ძირითადი მიზეზი, რისი საშუალებითაც ცოცხალი არსება შეძლებს კულტურის ცნების სრულყოფილად დაცვას და დაკმაყოფილებას.

კულტურის განყოფილებაში გადასული ცოცხალი არსებები ძალიან მრავალფეროვანი საქმიანობით შეიძლება იყვნენ დაკავებულნი. ყველაზე დიდი პლიუსი კი, გახლავთ ის, რომ კულტურა ვერანაირად ვერ იქნება თვითგაკერპებულთა ძალაუფლების ქვეშ, რამეთუ იგი თავად განგების ძალუფლების ქვეშ იმყოფება. თუმცა ამჟამად რაც ხდება დედამიწაზე, თავისულად შეიძლება ითქვას, რომ ვინაიდან მისი დაქვემდებარება არ ძალუძთ, დემონური ბუნების მქონე არსებებმა კუტურის მოსპობა და დანგრევა გადაწყვიტეს. თუმცა არც ეს მომხდარა განგების ნების გარეშე, რა თქმა უნდა, რამეთუ მატერიალურ სამყაროშიც კი უკვე გარდაუვლად აუცილებელი გახდა კულტურის დონეზე გადატანილი სულიერი ცოდნის რეალურ პირველწყაროდ ანუ იმ სულიერ ცოდნად გარდაქმნა, რომელსაც ერთგვარი ქარაგმული, ალეგორიული სახით გადმოსცემდა ეს უკანასკნელი (კულტურა).

რაში გამოიხატება კულტურის ნგრევა? ეს გამოიხატება უხსოვარი წარსულიდან აღიარებული ავტორიტეტების სახელების შებღალვაში, გაშარჟებაში, საყოველთაო ცინიზმის აღზევებაში, სიწმინდედ გამოცხადებული ცნებებისა თუ მატერიალიზირებულ სიწმინდეთა დაცინვისა და გაუქმების მცდელობებში, პრიმიტივიზმის განდიდებაში, ტრადიციების შევიწროებაში, აბსტრაქტული სათაყვანებელი ცნებებისა და ცნობიერების (სიყვარულის, მეგობრობის, სიხარულის, მშვიდობის, სულგრძელობის და ა. შ.) კონკრეტული მატერიალური პრაგმატული გაგების დონემდე დაყვანაში, უსირცხვილობისა და გარყვნილების უზომოდ წახალისებაში და ა. შ. და ა. შ.

სამწუხაროდ, ეს ძალიან რთული გასაგები აღმოჩნდა ადამიანებისათვის და, ფაქტიურად ვერავინ შეძლო ალღო აეღო ამისათვის და კულტურის მიმდევრები დღეს იმ წყალწაღებულებს უფრო მომაგენებენ ხავსს რომ ეჭიდებიან, თუმცა ისიც შეიძლება თავისუფლად ითქვს, რომ მათ ნამდვილად აღემატება ამის გაკეთება, ამ კატეგორიას, რა თქმა უნდა, თუ ისინი ამას მოინდომებენ მხოლოდ ჩემნაირი ცოცხალი არსებები შეძელებენ რომ დაეხმარონ. ამჟამად, მხოლოდ ამ ტიპის ცოდნის მიღებასა და აღქმაშია ხსნა და გამოსავალი, რომელიც მათ კერპთაყვანისმცემლებად გადაქცევისაგან გადაარჩენს. კერძოდ, ვინც ანანდას ქალური საწყისისკენ არ მიმართავს თავის გულისთქმასა და მზერას ანუ სარწმუნოებისაკენ (და არა ვიზუალური რელიგიისაკენ) მათი ხსნა მე პირადად არათუ ძნელად, ფაქტიურად შეუძლებლადაც კი მიმაჩნია.

მიუხედავად ამ ტენდენციისა, აუცილებლად მინდა აღვნიშნო, რომ ყოველთვის იარსებებს პატარა კუნძული მაინც, რომელიც კულტურის ჭეშმარიტ მიმდევრებს შეიფარებს.

თვითგაკერპება და მეცნიერება

თვითგაკერპება ვიჯნანამაიას ანგარებითი თვითუზრუნველყოფის მამაკაცური საწყისის წარმომადგენლობითი ნაწილია. მის არსობრივ დატვირთვაში განგების ნების გამოვლინებულობასთან დაპირისპირება, კრიტიკული მიდგომა და განგების ნების მიმართ გულგრილი, უყურადღებო, ცოცხალ არსებებზე საკუთარი შეხედულებების ნებისმიერი საშუალებებით თავზე მოხვევა იგულისხმება. კერძოდ, მატერიალურ სამყაროში მატერიალური სხეულის სახით ყოფნა (ანუ მატერიალურ სხეულში ჩასახლება) სწორედ რომ განგების ნების გამოვლინებასთან დაპირისპირების, კრიტიკული მიდგომის შედეგად მიიღება ანუ ეს ცოცხალი არსება არათუ უყურადღებოდ, გულგრილად უდგება განგების ნებას, არამედ ზედმეტ გულმოდგინებასაც კი იჩენს საკუთარი ინიციატივის გამოვლინების მცდელობის სახით. მატერიალიზირების შემდგომ კი, ეს მატერიალიზირებული ცოცხალი არსება განგების ნების მიმართ უყურადღებო მატერიალურ ცოცხალ არსებებზე იმ საკუთარი შეხედულებების თავზე მოხვევას იწყებს, რომელთა გამოც იგი მოხვდა მატერიალურ სამყაროში.

თვითგაკერპებული საკუთარი ინდივიდუალური სხეულების შესაძლებლობებითა და ამ ინდივიდუალური სხეულებისათვის მაქსიმალური ძალაუფლების მოპოვების სურვილით, მცდელობებით არიან დაკავებულნი. ყველაზე ცუდი რამ, რაც მათთან მიმართებაში შეიძლება ითქვას არის ის, რომ ისინი ცალსახად მხოლოდ მატერიალური სხეულის ცნობიერების უზრუნველყოფის სურვილით არიან განმსჭვალულნი რაც, საბოლოო ჯამში, მატერიალური ცნობიერების უზრუნველყოფაზე მიჯაჭვულობით მთავრდება ხოლმე.

მსხვერპლის მაძიებლის, მონადირის, ძალმომრეობის მდგომარეობაში საკუთარი პიროვნების ჩაყენება თვითგაკერპებულის ბუნებრივ მდგომარეობას წარმოადგენს. ისინი არიან ჯაჭვის ის რგოლი, რომლიდანაც ხდება ანგარების განხორციელება. ისინი არა მარტო თავად ცდილობენ ანგარებითი სურვილების წარმოჩინებასა და განხორციელებას, არამედ ყოველნაირად ცდილობენ თავის

დაქვემდებარებაში მოქცეული ცოცხალი არსებებიც (მსხვერპლნი) ამ ანგარებითი სურვილების წარმოჩინებისა და განხორციელების სულისკვეთებით დამუხტონ და როგორმე ნებისმიერი საშუალებით მოანდომონ ამით ცხოვრება.

ვიდრე კერპთაყვანისმცემლებს საკუთარი ძალაუფლების ქვეშ ამყოფებენ თვითგაკერპებულები, საკუთარი ძალაუფლებით ტკბებიან. ეს შეუნიღბავი, აშკარა ძალაუფლებაა, რომელიც მათ აიძულებთ მუდმივად დაშინებულ მდგომარეობაში ამყოფონ დაქვემდებარებულები, რათა მათ გათავისუფლება და დამოუკიდებლობა არ მოინდომონ ამათგან ანუ იძულებულები არიან სრული უარი თქვან გულისხმიერების რაიმე თუნდაც უმცირესი გამოვლინების შესმენაზე და მთლიანად გონების კარნახით, ფაქტიურად, აბსოლუტურად ყველაფრის, ყველა ნიუანსის წინასწარ დაგეგმარებითა და გათვლით იმოქმედონ.

სტატუსკვო ანუ მიმდინარე რეალობაში განგების მიერ ობიექტურ რეალობაში მისაღებ პირობითობებში არსებული ნეგატიურობის აღმოფხვრის მცდელობები გახლავთ ის მიზეზი, რის გამოც ცოცხალი არსება თავს გაიკერპებს ხოლმე ანუ თვითგაკერპებულად გარდაიქმნება.

იმისათვის, რომ თვითგაკერპების მდგომარეობიდან თავი დააღწიოს ცოცხალმა არსებამ განგების ნების მიერ გამოვლინებულ რეალობასთან დაპირისპირებას, კრიტიკულ მიდგომას ფაქტიურად მთლიანად უნდა დააღწიოს თავი. რეალურად ეს ცოცხალ არსებაში გამოიხატება იმით, რომ გონებით ყველანაირი სახის წინასწარ გათვლასა და დაგეგმარებას მომავალში შესაქმნელი სიტუაციებისა თავი უნდა დაანებოს და მიმდინარე წამის უბრალოდ მიყოლით უნდა დაიწყოს ცხოვრება. ის თავად უნდა დაექვემდებაროს განგების მიერ ჩამოყალიბებულ შეხედულებებს. რა თქმა უნდა, იმის შემდგომ, რაც ის ჩაუღრმავდება, მიიღებს, გაიზიარებს, აღიქვამს და დაემორჩილება მათ. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი თვითგაკერპებით გააგრძელებს ცხოვრებას და ამისდა გამო დემონურ ბუნებას ვერ მოიცილებს. იგი ათასი უბედურებების წყარო იქნება.

თუ ცოცხალი არსება ამ ჩამოთვლილი პირობების ჯეროვნად შესრულებას შეძლებს ამით თავს დააღწევს ვიჯნანამაიას მამაკაცურ საწყისს და ვიჯნანას მამაკაცურ საწყისში შეძლებს გადასვლას.

მეცნიერება ვიჯნანას იგივე ქველმოქმედების მამაკაცური საწყისის წარმომადგენლობითი ნაწილია. ის თავის არსობრივ დატვირთვაში განგების ნების გამოწვლილვით შესწავლას, დაცვას და განგების ნების მიმართ გულგრილად და უყურადღებოდ განწყობილ ცოცხალ არსებებთან ურთიერთობებისას კი საკუთარ შეხედულებებად ქცეული განგების შეხედულებების არა საკუთარი ინიციატივით მიწოდებას გულისხმობს. განგების ნების ზოგადცნობიერულ, შეხედულებათა დონეზე ჭეშმარიტად შესწავლა და გათავისება მატერიალურ სამყაროში დაბრუნებულ მატერიალიზირებულ ცოცხალ არსებას სულიერ სამყაროში დაბრუნების უფლებას მიანიჭებს. ეს მათი ვიზა იქნება შინ დაბრუნებისა. ამას ისინი ვერ მოახერხებენ, ვიდრე საკუთარი ინიციატივით განგებასთან, მის პირად წარმომადგენლებთან დაპირისპირებას, არაობიექტურ კრიტიკას თავს არ დაანებებენ და მორჩილი თაყვანისცემის სულისკვეთებით არ განიმსჭვალებიან მათთან მიმართებაში. შემდგომ ამის მიღწევისა კი, ისინი სულიერად გაზარმაცებულ ცოცხალ არსებებში, თავისდაუნებურადაც კი, შეძლებენ სრულყოფილებისკენ სწრაფვის სრუვილის გაღვიძებას, ანუ „სულიერი გაზარმაცების“ ავადმყოფობის განკურნებას მათში.

ფაქტობრივად, მეცნიერების ჭეშმარიტი მნიშვნელობა, ამ წიგნის შესაბამისი დონის გადასახედიდან, განგების ნების მიერ დასამკვიდრებელი და დამკვიდრებული ჭეშმარიტების ზოგად ცნობიერული და ფუნდამენტური შეხედულებების დონეზე გამოწვლილვით მორჩილი თაყვანისცემით განმსჭვალული შესწავლა ყოფილა.

მეცნიერების ამ ფორმაციული გაგების ჭეშმარიტად მიმყოლნი საკუთარ „ეგო“-ზე სრული ძალაუფლების აღების, მოპოვების მცდელობებით არიან დაკავებულნი. ფაქტიურად, ისინი საკუთარი ინდივიდუალური სულისთვის შესაბამისი საჭირო და აუცილებელი სულიერი ცნობიერების უზრუნველყოფის სურვილით არიან განმსჭვალულნი, რაც საბოლოო ჯამში სულიერი ცნობიერების უზრუნველყოფაზე მიჯაჭვულობით მთავრდება ხოლმე და ერთგვარად ამ მიჯაჭვულობისაგან გათავისუფლებით სხვა ცოცხალ არსებებთან მიმართებაში, რომლებთანაც ამის გაკეთება ჭეშმარიტად ღირს, მათი სულიერი ყოფიერების უზრუნველყოფის მცდელობებით კავდებიან.

სტატუსკვო ანუ მიმდინარე რეალობაში განგების მიერ ობიექტურ რეალობად მიღებული პირობითობების უპირობოდ მიღება და

გაცნობიერება გახლავთ ის მიზეზი, რომელიც თვითგაკერპებას მეცნიერებაში გადაიყვანს, გადაზრდის და საბოლოო ჯამში მთლიანად გარდაქმნის ამად („მე"-ს ცნობიერებად).

ასე და ამგვარად, მეცნიერება ხდება ქველმოქმედების მამაკაცური საწყისის წარმომადგენლობითი ნაწილი. თვითგაკერპებულის მიმართ ეს ქველმოქმედება გამოვლინდება განგების მხრიდან, თუ ადრესატი ჭეშმარიტად მიჰყვება საკუთარ კეთილის მყოფელს, ხოლო კერპთაყვანისმცემლისათვის ქველმოქმედება გამოიხატება ყოფილი თვითგაკერპებულის მიერ მისი სულიერი გაღვიძებით.

თუ მეცნიერება მუდმივად არ ასაზრდოვებს კულტურას, არ ახდენს მასში წარსულის უფრო ობიექტურ შეფასებასა და მომავალში ახლის შემოტანისა და დამკვიდრების პოზიტიურ პროვოცირებას, ეს უკანასკნელი (კულტურა), უბრალოდ მასაზრდოებელი ენერგიის არ ქონის გამო, ნელ-ნელა დაჭკნობასა და კვდომას დაიწყებს. სხვათაშორის, ამ ტიპის მეცნიერების გამოვლინების პრეცენდენტი დღევანდელ რეალობაში ძალიან იშვიათობაა. არადა სწორედ რომ ეს არის უპირველესი მნიშვნელობის აუცილებლობის და საჭიროების საგანი. ფაქტიურად, ჩემდა საბედნიეროდ, პირადად მე, სწორედ ასეთი ტიპის მეცნიერების ძალიან სერიოზული მიყოლით და მასში სეროზული შიდა არსობრივი გარკვევის მცდელობებით ვარ დაკავებული. რამეთუ ეს, განგებისთვის მსახურების სურვილს და მისთვის საჭირო და სასურველი საქმიანობის კეთების უნარის შეძენას ნიშნავს, მაშინ, როდესაც სწორედ განგების გადასახედიდან, ეს ჩემი მეცადინეობები მისთვის, ასე თუ ისე, მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებელი გახდება, აუცილებლად მოახდენს ჩემი საშუალებით იმ ყოველივეს შემოტანას, რაც ამ მეცადინებობების პროცესში შეიქმნა და თავად მე კი, სრულ მფარველობაში მამყოფებს, დამამკვიდრებს თუნდაც ამ გადაგვარებულ გარემოში ისე, რომ ვერც ერთმა ზნედაცემულმა ცოცხალმა არსებამ არათუ ზიანის მოყენება, უბრალოდ, მოახლოვებაც კი ვერ შეძლოს ჩემთან მიმართებაში საკუთარი ბოროტი განზრახვის განსახორციელებლად.

გარეგნულად გამოვლინებულ დონეზე კი, ამ სახით გამოხატული მეცნიერება (და სიტყვაზე ვთქვათ, მე, როგორც ამ გამოხატული მეცნიერების ერთ-ერთი წარმომადგენელი) არსებული კულტურის არათუ შენარჩუნების, არამედ უფრო მეტად და ძალიან სერიოზულად გაზრდის და გაკეთილშობილების იდეალური საშუალება იქნება. ის ნიღაბს ჩამოხსნის თვითგაკერპებულებს, ყალბ

ფსევდოძალაუფლებას, ბრჭყვიალა ტანისამოსითა და თვისივე გამოგონილი ჩინებითა და მედლებით შემოსილს. თვით გარდაუვალი კომფლიქტის შემთხვევაშიც კი, განგების უშუალო დახმარებისა და შეწევნის მეშვეობით ის გაანადგურებს ძალადობას თუ ეს შეუძლებელი იქნება, რომ აცილებულ იქნას.

მე ყოველთვის მსურდა ჩავწვდომოდი მეცნიერების ცნების ცნობიერ, ფუნქციონალურ არსს და აი, ახლა, შეიძლება ითქვას, რომ ნამდვილად კმაყოფილი ვარ იმ არსობრივი განმარტებებითა და განსაზღვრებებით, რაც ვიჯნანას მამაკაცური საწყისის წარმომადგენლობით ნაწილში იქნა გახსნილი და დაფიქსირებული. პირადად ჩემი პიროვნებისათვის ეს უზარმაზარ წარმატებად მიმაჩნია და უაღრესი მადლიერებითა და მოკრძალებით მინდა თაყვანი ვცე განგებასა და მის ყველა პირად წარმომადგენელს ამ დიდი პატივისათვის, რაც მათ მაღირსეს.

II თავის მოკლე ფასეულობრივი აღწერა

II თავის მოკლე აღწერისას ვიჯნანამაიას აღარ შევეხები და მხოლოდ ვიჯნანაზე როგორც შედეგობრივი მდგომარეობის აღწერაზე გავამახვილებ ყურადღებას. ამას კი, იმისათვის გავაკეთებ მხოლოდ და მხოლოდ, რომ ერთიანი სურათი უფრო თვალნათელი გახდეს რა ფასეულობა რომლიდან გამომდინარეა და რომელი სად გადანაწილდება. ვიჯნანა საკუთარ ინიციატივებზე უარის თქმის საქმეში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს, კერძოდ III საფეხურს წარმოადგენს. უნდა აღინიშნოს ის, რომ ანანდას ჭეშმარიტად დაკმაყოფილების გარეშე ამ საფეხურის სრულყოფილად დაკმაყოფილება ძალიან ძნელი საქმე იქნებოდა.

ზოგადად ვიჯნანას საშუალებით ჭეშმარიტად ილუზიის ჭეშმარიტი რეალობისაგან გამიჯვნა ხდება. ეს ორი რამ ერთურთისაგან გაყოფილად ჩამოყალიბდება და მათი ერთმანეთში აღარ გადარევის აუცილებელი დაცვა უმარტივესი თეზისის დონეზე დაიყვანება.

ვიჯნანას დასაკმაყოფილებლად გარდაუვლად აუცილებელია და საჭირო ქველმოქმედების ცნების ჭეშმარიტად აღქმა, შეგრძნება და რეალურად ამის ქმნის უნარის გამომუშავება საკუთარ პიროვნებაში.

ქველმოქმედების ცნების ყველაზე საუკეთესო განმარტება გახლავთ: საკუთარი კეთილი ნებით განგების ნების რეალიზაციის შეცნობასა და გათავისების მდგომარეობაში გადასულობა.

ქველმოქმედების ჭეშმარიტ დონეს მიღწეული ადამიანი მრავალმხრივი ინტერესების ღრმა და ხარისხიანი დაკმაყოფილების სურვილით გამოირჩევა. შინაგანად ის მატერიალურ სამყაროსთან და მის წარმომადგელებთან იმხელაზე შედის კონტაქტში, რამხელაზეც ამ უკანასკნელთა მხრიდან უშუალოდ თხოვნა და მიმართვა მომდინარეობს. გვერდიდან ის მიჩენულია როგორც ინტელექტუალი.

ქველმოქმედების განშტოებებს წარმოადგენენ მეცნიერება და კულტურა, როგორც მისი მამაკაცური და ქალურის საწყისის წარმოამდგენლები.

მეცნიერება, როგორც მამაკაცური საწყისი, უფრო მომავალ, ჯერ არ განხორციელებულ მოვლენებთანაა დაკავშირებული, რომლებიც განგების გადაწყვეტილების საფუძველზე უეჭველად იქნება დამკვიდრებული. ის მოიაზრებს განგების ნების, დასამკვიდრებელი ჭეშმარიტების, გარდაუვლად მოსასვლელი მოვლენების მაქსიმალურად დაწვრილებით და კომპეტენტურ კვლევა-ძიებას. აქ მთვარია საკუთარი ინიციატივის ჩართვით ზედმეტი მცდელობა არ იქნას გამოვლენილი ნებისმიერი მიმართულებით, სადაც კვლევა-ძიება მიმდინარეობს, თორემ ნეცნიერება მყისეულად თვითგაკერპებაში გადაიზრდება.

კულტურა, როგორც ქალური საწყისი, უფრო წარსულ, უკვე განხორციელებულ მოვლენებთანაა დაკავშირებული, რომლებიც, განგების ნების რეალიზაციის საშუალებით და განგების გადაწყვეტილებების საფუძველზე, უკვე დამკვიდრდა. ის მოიაზრებს განგების ნების, როგორც დამკვიდრებული ჭეშმარიტების, ობიექტური რეალობის მაქსიმალურად დაწვრილებით და კორექტულ მიდგომას. აქ საკუთარი ინიციატივით რაღაცა დეტალი, ან მოვლენა ან პიროვნება ან კიდევ რა ვიცი რა, ზედმეტად არ იქნას შეფასებული, თორემ კულტურა მყისეულად გადაიზრდება კერპთაყვანისმცემლობაში.

სხვათაშორის, შემდგომი ორი საფეხური პირდაპირ გამომდინარეობს ვიჯნანადან ანუ მეცნიერება იყოფა ორ შტოდ, ესენია შემეცნება და გარემოს შეცნობა. აგრეთვე, თავის მხრივ, კულტურა იყოფა ორ შტოდ, ესენია ფუნქციონალური რელიგია და შემოქმედება. რაც შეეხება მე-5 საფეხურს, ის უფრო ე. წ. შედეგობრივობის მაჩვენებელია საკუთარი საქმიანობისა.

III თავი
მანო
საკუთარი „მე“-ს ინიციატივაზე უარის თქმის მესამე საფეხური

კატეგორიულად წინააღმდეგი უნდა ვიყო, თავადვე ჩემი საკუთარი შემოქმედების გატანისა საკუთარი, ანუ ჩემი „მე“-ს ინიციატივით.

ვიჯნანასა და, მით უმეტეს, ანანდას მოთხოვნების დამკმაყოფილებლები სრულიად უპრობლემოდ შეძლებენ მანოს შესაბამის მოთხოვნათა შესრულებას. ამ, მესამე თავში, წარმოვადგენ მანომაიას თავისი ცენტრალური და განშტოებითი ფასეულობრივი სისტემური გამით და, რაღა თქმა უნდა, ამ თავის უმთავრესი ნაწილის – მანოს, თავისი ცენტრალური და განშტოებითი ფასეულობრივი სისტემური გამით.

მაშ ასე, ამ ორი სისტემის მოკლე ცხრილური მონახაზი შემდეგნაირად გამოიყურება.

მანო – განგების მიერ დაკისრებული პასუხისმგებლობა. შინაგანი სულიერი სქესობრივი ურთიერთობები. (ასკეტიზმი)	
მამაკაცური საწყისი შემეცნება – პირობითობების არ შემოტანა	ქალური საწყისი ფუნქციური რელიგია – უპირობითობის არ გაზრდა
მანომაია – საკუთრი ინიციატივით აღებული პასუხისმგებლობა. მატერიალური სქესობრივი ურთიერთობები.	
მამაკაცური საწყისი გარეგანი ქაოსი – შემოტანილი პირობითობების აყოლა	ქალური საწყისი გარეგანი წესრიგი – შემოტანილი უპირობითობებს მიჯაჭვება

მანომაიას და მანოს შედარებითი დახასიათბის ფონზე შესაძლებელი გახდება თვითრეალიზაციის თემასთან მატერიალიზირებული ცოცხალი არსებების განხილვა და რეალურად იმის დანახვა და გაგონება, თუ რა საჭიროა საკუთარ ინიციატივებზე უარის თქმა ამ მესამე საფეხურზე. ეს არის უმნიშვნელოვანესი ნაწილი ურთიერთობებისა და გასაკეთილშობილებლად, როგორც სულიერი ისე მატერიალური სქესობრივი ურთიერთობების თვალსაზრისით.

მატერიალური სქესობრივი ურთიერთობები და სულიერი სქესობრივი ურთიერთობები

მატერიალური სქესობრივი ურთიერთობებისკენ სწრაფვა მანომაიას პირდაპირ გამოვლინებას წარმოადგენს. მატერიალური თვითრეალიზაციის წარმოქმნის და სხვადასხვანაირი ფორმით მისი არსებობის მიზეზი ცოცხალი არსების მიერ მასში არსებული „ეგო“-ს გამოვლინებისა და დაკმაყოფილების სურვილის წარმოქმნის შედეგად ჩნდება. რაც უფრო მეტად მოახდენს ადამიანი საკუთარი პიროვნების „ეგო“-ზე კონცენტრაციას, მით მეტი იქნება მასში მატერიალური სქესობრივი ურთიერთობების სურვილები და მათი რეალიზაციის მცდელობები.

ცალკე საკითხად მინდა განვიხილო ის, თუ რა იწვევს მატერიალიზირებული ცოცხალი არსების მიერ „ეგო“-ზე კონცენტრირებას, თუ რატომ ხდება არსებობის უმთავრესი და, ფაქტიურად, ერთადერთი მიზანი როგორც ინტერესების საგანი მატერიალური სხეული. ამის მიზეზი ორი ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებული სტრატეგიული მიდგომა გახლავთ. ესენია: ა) პასიურობა საკუთარი მისიის შესაბამისი ფუნქციონალური ანუ სულიერი საკითხების შემეცნებისა და აღქმის საქმეში, აგრეთვე მიდრეკილება საკუთარი მისიის შესაბამისი ვიზუალური ანუ მატერიალური, უკვე შემეცნებული და აღქმული საკითხების დარღვევაში, რაც პიროვნებაში პასიური ცხოვრების შედეგად წარმოქმნილი ე. წ. ვაკუუმის შემდგომ გარდაუვლად წარმოიქმნება. ბ) ჭარბი აქტიურობა საკუთარი მისიის შესაბამისი ფუნქციონალური ანუ სულიერი საკითხების შემეცნებისა და აღქმის საქმეში, აგრეთვე მიდრეკილება სხვა პიროვნებებისათვის საკუთარი მისიის შესაბამისი ვიზუალური ანუ მატერიალური, უკვე შემეცნებული და აღქმული საკითხების დარღვევინებაში, რაც პიროვნებაში ზედმეტად აქტიური ცხოვრების შედეგად წარმოქმნილი ე. წ. ვაკუუმის საერთოდ არ არსებობის მცდელობის, ვაკუუმის სრულად გამოყენებისა და თავისდაუნებურად აღმოფხვრის სურვილით გარდაუვლად წარმოიქმნება.

ე. ი. ზოგადად, „ეგო“-ს წარმოქმნისა და, შემდგომ ამისა, მასზედ კონცენტრირების ფენომენი ან ე. წ. პასიურობის შედეგად წარმოიქმნება, რომელიც თავისთავად წარსულში ცოცხალი არსების არსებობის პერიოდში რაღაცაზე ან უფრო მეტწილად ვიღაცაზე მიჯაჭვულობის ლოგიკურ შედეგს წარმოადგენს ან ე. წ. ჭარბი

აქტიურობის შედეგად წარმოიქმნება, რომელიც თავისთავად მომავალში ცოცხალი არსების არსებობის პერიოდში ვიღაცაზე ან უფრო მეტწილად რაღაცაზე მიჯაჭვულობის ლოგიკური შედეგი გახლავთ.

მას, ვისაც ჩემნაირად სერიოზულად და სრულად სურს თავისში არსებული „ეგო“-ს სრულად, მთლიანად პოვნა, აღნუსხვა, აღწერა და შემდგომ, მისგან გათავისუფლება აქ მოყვანილი მითითებები მისთვის ფასდაუდებელი უნდა იყოს ჩემი შეხედულებით. ფაქტიურად, აქ ლაპარაკია იმაზე, თუ როგორ ვიპოვო ჩემს პიროვნებაში არსებული „ეგო“.

„ეგო“ ჩემში ისევე როგორც ნებისმიერ მატერიალიზირებულ ცოცხალ არსებაში ორი შიდა კვლევითი მიდგომით შეიძლება გამოვიძიო და ამოვიცნო.

<u>პირველი</u> მიდგომა მდგომარეობს იმაში, რომ უნდა დავაკვირდე იმას ვინ ან რა წარმოადგენს ჩემთვის გარეგანი წესრიგის ზედმიწევნით დაცვის მიზნობრივ შედეგს ანუ რაში ვემორჩილები ე. წ. განრიგს, რომელიც ჩემში აუცილებლად მიყოლისა და დაცვის რანგში აყვანილი და იმდენად ბუნებრივად მაქვს მიჩნეული, რომ მისი გადახედვის სურვილიც და მცდელობაც კი, არათუ არასაჭიროდ, უაზრობადაც კი მიმაჩნია. ეს იქნება ჩემი „მე“-ს ქალურ საწყისში არსებული „ეგო“-ს რაობა თავისი ხარისხითაც და რაოდენობითაც.

<u>მეორე</u> მიდგომა მდგომარეობს იმაში, რომ უნდა დავაკვირდე იმას ვინ და რა წარმოადგენს ჩემთვს გარეგანი ქაოსის წარმოქმნის და უგონოდ, სპონტანურად, ბრმად მიყოლის მიზნობრივ შედეგს. ანუ რაში ვემორჩილები ე. წ. ჰიპოთეზებს, რომლებიც ჩემში აღქმულია როგორც ერთადერთი მართებული და იდეალური რეალობა მომავალში დამკვიდრებისათვის განკუთვნილი და ესეც იმდენად ბუნებრივად მაქვს მიჩნეული, რომ მისი გადახედვის მცდელობასაც კი მწყობრიდან გამოვყავარ (თუ ვინმე ჩემს გარემოცვაში ამას მოინდომებს). ეს იქნება ჩემი „მე“-ს მამაკაცურ საწყისში არსებული „ეგო“-ს რაობა თავისი ხარისხითა და რაოდენობით.

ანუ ერთადერთი გზა მატერიალიზირებული ცოცხალი არსების „ეგო“-სგან გათავისუფლებისა მდგომარეობს იმაში, რომ მან, როგორც მატერიალურმა სხეულმა, სრულიად უნდა დაანებოს თავი საკუთარი ინიციატივით იზრუნოს წარსულში არსებული (მისი წარსულიდან მომდინარე) მისთვის ვიღაცის ან რაღაცის, თუნდაც უძვირფასესის შენარჩუნებაზე, არ დაკარგავაზე თავისი ქალური საწყისით. ხოლო თავისი მამაკაცური საწყისით მატერიალი-

ზირებული არსების მატერიალურმა სხეულმა სრულიად უნდა დაანებოს თავი საკუთარი ინიციატივით მომავალში რაღაცის დაგეგმარებას წინასწარ გათვალისწინებას. ამის მხედველობაში არ მიღება უეჭველად გამოიწვევს ე. წ. ჭარბ აქტიურობას, რის შედეგად აუცილებელი გახდება ე. წ. ნეიტრალიზაციის რეაქციები, რომლის ყველაზე ძლიერ საშუალებასაც მატერიალური სქესობრივი ურთიერთობების, სექსუალური აქტის ჩატარების პროცესი წარმოადგენს.

ეს ცოტაოდენი რამ მატერიალური სქესობრივი ურთიერთობის შესახებ. ახლა კი, მინდა გადავიდე იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს მოპყრობა საკუთარ პიროვნებაში აღმოჩენილ „ეგო“-სთან მიმართებაში ანუ გადავალ სულიერი სქესობრივი ურთიერთობების გარშემო არსებული საკითხების რაობაზე. „ეგო“-სთან მუშობა ძალიან ფაქიზ მოპყრობას მოითხოვს და ამ მუშაობის პროცესში ნებისმიერი მკვეთრი მოქმედებაც კი არ არის სასურველი. ამის ჭეშმარიტად საჭიროდ და სასურველად განხორციელება მხოლოდ და მხოლოდ სულიერი სქესობრივი ურთიერთობების საშუალებებით არის შესაძლებელი და მეტი ვერაფრით.

სულიერი სქესობრივი ურთიერთობებისკენ სწრაფვა მანოს პირდაპირ გამოვლინებას წარმოადგენს. სულიერი თვითრეალიზაციის წარმოქმნის და სხვადასხვანაირი ფორმით მისი არსებობის მიზეზი ცოცხალი არსების მიერ მასში არსებული „მე“-ს გამოვლინებისა და სიამოვნების მინიჭების სურვილის წარმოქმნის შედეგად ჩნდება. რაც უფრო მეტად მოახდენს ადამიანი საკუთარი პიროვნების „მე“-ზე კონცენტრაციას, მით მეტი იქნება მასში სულიერი სქესობრივი ურთიერთობების სურვილები და მათი რეალიზაციის მცდელობები.

როგორ უცნაურადაც არ უნდა ჟღერდეს, აქაც, მანოშიც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საკუთარი „მე“-ს მხრიდან მომდინარე ინიციატივებზე უარის თქმას ანუ არაინდივიდუალიზმზე კონცენტრირებას ენიჭება გადამწყვეტი მნიშვნელობა.

მინდა ჩამოვაყალიბო ის, თუ რისი საშუალებით ხდება მატერიალიზირებული ცოცხალი არსების „მე“-ზე კონცენტრირება, თუ რითი ხდება არსებობის უმთავრესი და ფაქტიურად, ერთადერთი მიზანი როგორც ინტერესის საგანი სულიერი სხეული (ინდივიდუალური სული, душа). ეს საშუალება, ნაირსახეობრივად თუ განვიხილავთ, სულ ორი იქნება:

ა) პასიურობიდან აქტიურობაში გადასვლა საკუთარი მისიის შესაბამისი ფუნქციონალური ანუ სულიერი საკითხების შემეცნებისა და აღქმის საქმეში. აგრეთვე მიდრეკილება საკუთარი მისიის შესაბამისი ვიზუალური ანუ მატერიალური, ანუ ჯერ ვერ შემეცნებული და აღქმული და დარღვეული სახით წარმოდგენილი რეალობის გასწორებაში. ეს იწვევს პიროვნებაში პასიური ცხოვრებიდან გასვლის შედეგად მასში არსებული ვაკუუმის ნელ-ნელა და მიზანმიმართულ აღმოფხვრას.

ბ) ჭარბი აქტიურობიდან ზომიერებაში გადასვლა საკუთარი მისიის შესაბამისი ფუნქციონალური ანუ სულიერი საკითხების შემეცნებისა და აღქმის საქმეში, აგრეთვე მიდრეკილება სხვა პიროვნებებისათვის საკუთარი მისიის შესაბამისი ვიზუალური ანუ მატერიალური, სტატუსკვოდ დამკვიდრებული შემეცნებისა და აღქმის საკითხებში სრული არაძალადობის დაცვაში, საკუთარი ინიციატივით არავითარ შემთხვევაში არაფრის თავზე არ მოხვევაში. ეს იწვევს პიროვნებაში ზედმეტად აქტიური ცხოვრებიდან გასვლის შედეგად მასში არსებული ვაკუუმის სრულად გამოყენების იდეაფიქსის ნელ-ნელა და მიზანმიმართულ აღმოფხვრას.

ე. ი. ზოგადად „ეგო“-ს „მე“-დ გარაქმნის, „მე“-ს წარმოქმნისა და შემდგომ ამისა, მასზედ კონცენტრირების ფენომენი ან ე. წ. პასიურობიდან გააქტიურების შედეგად წარმოიქმნება, რომელიც თავისთავად წარსულში ცოცხალი არსების არსებობის პერიოდში რაღაცაზე ან, უფრო მეტწილად, ვიღაცაზე მიჯაჭვულობისგან გათავისუფლების ლოგიკურ შედეგს წარმოადგენს ან ე. წ. ჭარბი აქტიურობიდან სიჭარბის მოხსნის შედეგად წარმოიქმნება, რომელიც თავსთავად მომავალში ცოცხალი არების არსებობის პერიოდში რაღაცაზე მიჯაჭვულობისაგან და ვიღაცეების თავისზე მიჯაჭვების სურვილისაგან გათავისუფლების ლოგიკური შედეგი გახლავთ. „მე“ მატერიალიზირებულ ცოცხალ არსებაში ორი კვლევითი მიდგომით შეიძლება გამოვიძიო, თუ ჭეშმარიტად რამდენად არის ეს ფენომენი პიროვნებაში. პირველი არის რელიგიის ფუნქციონალური ნაწილის ნებაყოფილობითი დაცვა, მეორე არის შემეცნების მიყოლაში საკუთარი პიროვნების „ჭეშმარიტების თვალით“ დანახვა.

გარეგანი წესრიგი და ფუნქციონალური რელიგიურობა

გარეგანი წესრიგი მანომაიას იგივე მატერიალური სქესობრივი ურთიერთობების ქალური საწყისის წარმომადგენლობითი ნაწილია. მის არსობრივ დატვირთვაში ერთგვარად სტანდარტიზირებული და დაშტამპული ერთფეროვნება მოიაზრება, რომელიც დაუსრულებლად მეორდება ამ სტილით მცხოვრები ცოცხალი არების მიერ, ვიდრე მას მოძრაობის, მოქმედების უნარი გააჩნია როგორც მატერიალურ სხეულს. მიუხედავად იმისა, რომ ინდივიდუალურად მისთვის, მატერიალიზირებულ ცოცხალ არსებას წარმოუდგენლად ხშირად და ბევრჯერ აქვს ესა თუ ის ქმედება ჩადენილი, რომელიც მისთვის განსაზღვრული გარეგანი წესრიგის ნუსხაშია დაფიქსირებული, ის იმისათვის, რომ ამ ქმედების გაკეთება უსასრულოდ დიდხანს გაგრძელდეს ყველაფერზე დათანხმდებოდა.

რატომ ? ეს მას უქმნის საკუთარი პიროვნების საჭიროების, საკუთარი ფუნქციის შესრულების შეგრძნებას ანუ, საბოლოო ჯამში, მატერიალიზირებულობის პირობებშიც კი, ცოცხალ არსებას რაღაც ჭეშმარიტად საჭიროსა და სასარგებლოს კეთების სურვილი ამოძრევებს. მაგრამ რამდენად ახერხებს იგი ამას გარეგანი წესრიგის დაცვის და მასში შემავალი დეტალების განხორციელების გზით ? ვფიქრობ, ძალიან საინტერესო შეკითხვაა და მასზე აუცილებლად მინდა გავცე პასუხი. გარეგანი წესრიგის ასე ბრმად მიყოლა და კოპირებული გამოვლინება მეტი ვერაფერია, თუ არა წარსულში განხორციელებული ქმედების ზედმიწევნითი იმიტაციის მცდელობა. ხელმძღვანელობა ამ შემთხვევაში მატერიალიზირებული ცოცხალი არსების გონებით ხდება, სამწუხაროდ, გულისთქმის სრული არ მოსმენით. თავისდაუნებურადაც კი, ეს არსება ფუნქციონალური საქმიანობის მიმართ ცალსახად პასიურ მიდგომას ინვითარებს თავისში, რის შედეგადაც ჭეშმარიტად საჭირო და სასურველი საქმიანობის შესრულებას არათუ ვეღარ ახერხებს, პირიქით, ჭეშმარიტად არასაჭირო და არასასურველი საქმიანობით კავდება. ვიდრე მატერიალიზირებული ცოცხალი არსება ამ ცხოვრებისეული პლატფორმიდან არ გამოვა (არ გამოაღწევს), მილიონი წელიც რომ გავიდეს, ერთგვაროვანი (ერთი და იგივე) საქმიანობით იქნება მხოლოდ დაკავებული და საკუთარ პიროვნებას სრულ ილუზიაში იმყოფებს იმ აზრით თითქოს რაიმე საჭიროთი იყოს დაკავებული.

გარეგანი წესრიგის მიყოლა და დაცვა, წარსულში მომხდარ მოვლენებზე ან წარსულში შეხვედრილ პიროვნებებზე მიჯაჭვულობის პირდაპირ გამოვლინებას წარმოადგენს. ამ სისტემით მცხოვრები ადამიანებისათვის სტაბილურობის ე. ი. მუდმივად უცვლელობის და არსებულის შენარჩუნების ცნობიერი გაგება უმაღლეს სიწმინდეს წარმოადგენს.

გარეგანი წესრიგი განმარტების სახით შემოტანილ უპირობითობებზე მიჯაჭვას წარმოადგენს. უპირობითობა ნიშნავს იმ დოგმების ნუსხას, რომელთა არათუ გაშიფვრა, არამედ სპეციალური ნებართვის გარეშე გაკარებაც კი, უდიდეს მკრეხელობად მოიაზრება და ითვლება. გარეგანი წესრიგის ზედმიწევნით დაცვის სურვილით მცხოვრები ადამიანები ცალსახად მოვალეობის შეგრძნების სრულყოფილად დაცვის სრუვილით იმართებიან. ისინი იმდენად აღარც კი უგდებენ ყურს საკუთარ ნება-სურვილების იგნორირებას და ვიღაცის ან რაღაცის დანამატი ხდებიან. ამის შედეგად კი მათში წარმოიქმნება ე. წ. ვაკუუმი, რომელიც მუდმივ დისკომფორტში ამყოფებს მათ. ამ ვაკუუმის ამოსავსებად ეს გარეგან წესრიგს მიყოლილი ადამიანები საკუთარ არ(ვერ)რეალიზირებულ პოტენციურ ენერგიას აძლევენ იმ ადამიანებს, რომელთაც საკუთარი პოტენციური ენერგია უკვე გამოიყენეს, მაგრამ მათში დარჩა სხვა ნება-სურვილები, რომელთა შესასრულებლად თავად ენერგია აღარ გააჩნიათ. მოკლედ, უფრო კონკრეტულ ენაზე თუ ვიტყვით, მონური ბუნების ცოცხალი არსებები (იგივე კერპთაყვანისმცემლები) ამყარებენ კონტაქტს დემონური ბუნების ცოცხალ არსებებთან (იგივე თვითგაკერპებულებთან). ეს კონტაქტი გაგრძელდება იქამდე, ვიდრე დემონური ბუნების მქონე ცოცხალი არსება ბოლომდე არ ამოიღებს მონური ბუნების მქონიდან მასში არსებულ მთელ პოტენციურ ენერგიას, ან მეორე შემთხვევაში კი იქამდე, ვიდრე მონური ბუნების მქონე ცოცხალი არსება შეატყობს, რომ დემონური ბუნების მქონეს აღარ უნდა მისგან პოტენციური ენერგიის ამოღება, რამეთუ ახალის შემოტანის სურვილები აღარანაირად აღარ გააჩნია. სხვათაშორის, ეს ამ ბოლო დროს ძალიან ხშირად ხდება ხოლმე.

მაგრამ ყველაფერს ამას უმჯობესია გარეგანი წესრიგის მიყოლით მცხოვრები მატერიალიზირებული ცოცხალი არსება სხვა გზას დაადგეს. კერძოდ, ისინი ფუნქციონალური რელიგიური საქმიანობით უნდა დაკავდნენ.

ფუნქციონალური რელიგიურობა მანოს, იგივე სულიერი სქესობრივი ურთიერთობების ქალური საწყისის წარმომადგენლობითი ნაწილია. მის არსობრივ დატვირთვაში არასტანდარტიზირებული, სპონტანური, ერთჯერად ქმედებათა ერთიანობა მოიაზრება. რა თქმა უნდა, გარეგნულად შეიძლება ერთი ქმედება შემდგომ ჩადენილ მეორე ქმედებას გავდეს და თუნდაც ზედმიწევნითაც კი, მაგრამ ეს მსგავსება უბრალოდ დამთხვევა იქნება და არა იმიტირება, მიმსგავსების არა შეგნებული მცდელობა. ამ შემთხვევაში მატერიალიზირებული ცოცხალი არსების მიერ მთელი აქცენტი და ყურადღება საკუთარი შიდა ბუნების სიმშვიდეში მყოფ ნაწილზეა გამახვილებული. ამ მოქმედების მაკოორდინირებელი გახლავთ გული. ის არის მამოძრავებელი ძალის მიმმართველი. თქვენ წარმოიდგინეთ, ამ შემთხვევაში ე. წ. ვაკუუმი ფაქტიურად უბრალოდ არ(ვერ)წარმოიქმნება. ფრიად საინტერესოდ მეჩვენება იმის ახსნა, თუ რეალურად რასთან გვაქვს საქმე.

ყველაფერი ეს გაცილებით უფრო მარტივი ასახსნელი გახდება მაშინ, თუ ერთ ძირითად განსხვავებას მოვიყვან, რითაც ხელმძღვანელობენ გარეგანი წესრიგისა და ფუნქციონალური რელიგიურობის მიმყოლი ცოცხალი არსებები. ეს განსხავება კი, იმაში მდგომარეობს, რომ პირველ მათგანს საკუთარი თავი სხეული ჰგონია, მეორე მათგანს კი ინდივიდუალური სული. აი, სულ ეს არის და მეტი არაფერი.

მას, ვისაც საკუთარი „მე“ აღქმული ჰყავს ინდივიდუალურ სულად, ხოლო ინდივიდუალური სხეული კი საკუთარ „ეგო“-დ, არავითარ შემთხვევაში არ მოუნდება გარეგნული წესრიგის განხორციელებითა და დაცვით ცხოვრება. ასეთი ცოცხალი არსების ნებისმიერი ქმედება ქალურ საწყისში გამავალი ფუნქციონალური რელიგიურობის გამოვლინება იქნება მატერიალურ სამყაროშიც კი, მთელი მისი არსებობის მანძილზე. სხვათაშორის ძალიან კარგი იქნება, თუ უფრო დავაკონკრეტებ რას გულისხმობს თავისში ეს ფუნქციონალური რელიგიურობა. ეს გახლავთ, არც მეტი არც ნაკლები, გარეგანი ჰარმონია გამოხატული მატერიალიზირებული ცოცხალი არსების მიერ. საქმე იმაშია, რომ ის ძირითადად გულის კარნახით იმართება და არა სტანდარტული სიტუაციებისათვის შესაბამისი უკვე წარსულში მომხდარი მოქმედებების ბრმად იმიტირების სურვილით.

ალბათ დღევანდელობის გაგებიდან გამომდინარე, იქნებ სჯობდა კიდეც სხვა რამ დამერქვა ამ ფენომენისათვის და არა

ფუნქციონალური რელიგიურობა, მაგრამ რატომ შევცვალო ამ ტერმინის ძირითადი არსობრივი არსი, თუ ის ჭეშმარიტად ასეთია რადაც მოვიხსენიებ. უბრალოდ დიპლომატიასა და კომპრომისებს მიყოლილმა რელიგიური მიმდინარეობის ლიდერებმა, პასუხისმგებელმა პირებმა, ეს აღრევა შემოიტანეს, რა თქმა უნდა, განგების ნებით. ვფიქრობ, დღესდღეისობით ადამიანების უდიდესი გამოცდა ხდება, თითქოს ყველა უკლებლივ უნდა გამოიცადოს ვინ შეძლებს ჭეშმარიტად მართებული გზით სვლას, მაშინ როდესაც ამ გზით მავალნი არარაობად იქნებიან შერაცხულნი მთელი მეორე ნაწილის, აბსოლუტური უმრავლესობის მიერ.

ეს სენტიმენტებია, ახლა კი, უფრო კონკრეტული თვალით შევხედავ და განვიხილავ. ფუნქციონალური რელიგიურობა, პირდაპირი განმარტების სახით მატერიალურ სამყაროში მიმდინარე რეალობაში არსებული უპირობითობების არ გაზრდას გულისხმობს. ეს, ადამიანურ ენაზე ნიშნავს ინდივიდუალური სულის მიერ ინდივიდუალური სხეულის მიმდინარე ობიექტური რეალობისათვის შესაბამისი გარდაუვლად აუცილებელი სურვილების გათვალისწინებას. ამ შემთხვევაში თვით მატერიალური ურთიერთობებიც კი სულიერი ურთიერთობების საშუალებად გარდაიქმნებიან. აქაც სუფევს აშკარად მოვალეობის სულისკვეთება, მაგრამ მოვალეობა ამ შემთხვევაში სრულდება მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ის უნდა შესრულდეს ანუ მოვალეობებზე არანაირი ფორმით მიჯაჭვება, მიწებება არ ხდება. თუ უფრო ჩავუღრმავდები საკითხს, მეტ-ნაკლებად რომ უფრო გასაგები გახდეს, მიდგომა იქნება ასეთი : გარეგანი წესრიგის შემთხვევაში თუ თავისდაუნებურად მატერიალიზირებული ცოცხალი არსება კმაყოფილების მიღებას ცდილობს, ფუნქციონალური რელიგიურობის (გარეგანი ჰარმონიის) შემთხვევაში თავისდაუნებურად მატერიალიზირებული ცოცხალი არსება კმაყოფილების მინიჭებას ცდილობს. ერთ შემთხვევაში სული გამოიყენება სხეულის საშუალებად, მეორე შემთხვევაში კი სხეული გამოიყენება სულის საშუალებად.

და ბოლოს, ფუნქციონალური რელიგიურობით ხელმძღვანელობისას ვაკუუმი, როგორც ასეთი, საერთოდ ვერ შეიქმნება ცოცხალ არსებებში და არ ჩაგროვილი პოტენციური ენერგიის გადაყრაზე აღარ მოუწევს ზრუნვა, თუმც შემეცნების სურვილით მომქმედ ცოცხალ არსებასთან ურთიერთობა წარმოუდგენლად დიდ სულიერ და მატერიალურ სიამოვნებას მიანიჭებს.

გარეგანი ქაოსი და შემეცნება

გარეგანი ქაოსი მანომაიას იგივე მატერიალური სქესობრივი ურთიერთობების მამაკაცური საწყისის წარმომადგენლობითი ნაწილია. მის არსობრივ დატვირთვაში არაორდინალურობა, შტამპების მოხსნა მოიაზრება, რომელიც დაუსრულებლად იცვლება ამ სტილით მცხოვრები მატერიალიზირებული ცოცხალი არსებების მიერ, ვიდრე მას მოძრაობის, მოქმედების უნარი გააჩნია, როგორც მატერიალურ სხეულს. მისთვის რაღაცის შეცვლა, სიახლის შემოტანა იდეაფიქსს წარმოადგენს. აღსანიშნავია ის, რომ ამ არსებას ჯერ შემოაქვს ეს სიახლე ნებისმიერ ფასად და შემდეგ ფიქრდება იმაზე, თუ რამდენად ჭეშმარიტად საჭირო და ღირებულია იგი. მილიონი წელიც რომ მიეცეს, მატერიალურ სამყაროში საცხოვრებლად (იგულისხმება ერთი სხეულით), ის მთელს ამ დროს სწორედ ამას დაუთმობდა ბოლო წამამდე თავისი არსებობისა. ამდენად იცნობიერებს თუ არა, საკამათო საკითხია, მაგრამ რეალურად, ეს ცოცხალი არსებები გარეგანი ქაოსის დამამკვიდრებელნი არიან მატერიალურ სამყაროში. ისინი ვაკუუმის ერთ ნამცეცსაც არ ტოვებენ, თუ სადმე გადააწყდებიან, რომ საკუთარი მიზნების მასში შესატენად არ გამოიყენონ, რა თქმა უნდა, სანაცვლოდ ამ ვაკუუმში არსებული პოტენციური ენერგიის მითვისების საფასურად.

რატომ სჩადის ის ამას ? ეს მას უქმნის საკუთარი მნიშვნელოვნების, საკუთარი პიროვნების სიტუაციის მმართველად აღქმის შეგრძნებას. ამ შემთხვევაში, საქმე გვაქვს მატერიალური ინტერესების სრულად მოწყვეტილობასთან სულიერ ინტერესებთან. ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ ეს ადამიანები მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი სხეულის ინტერესებით ხელმძღვანელობენ, საკუთარი ინდივიდუალური სულების ინტერესების სრული იგნორირებით. მათში გულის ფუნქციონალური ცნების მნიშვნელობა ნულის დონემდეა დაყვანილი და გულით მოქმედება მათთვის, უბრალოდ, სასაცილო რაღაცას წარმოადგენს. თავისდაუნებურადაც კი ამ ტიპის მატერიალიზირებული ცოცხალი არსება ჭარბი აქტიურობით იმუხტება და მატერიალურ სამყაროში მამოძრავებელ ვექტორს საჭირო მიმართულების საპირისპიროდ მიმართავს. მის მიერ ვიზუალურად შესრულებული რაღაც ნებისმიერი საქმიანობა ფუნქციონალურად არის მონათლული. პრინციპში მისი მთავარი მამოძრევებელი ძალა პირველობის, უპირატესობის მიღების სურვილია. ის ამის მისაღწევად აბსოლუტურად ყველაფერს დასაშვებად

მიიჩნებს. ვინაიდან ეს პიროვნებები სრულყოფილების კომპლექსით არიან დაავადებულნი. სამწუხაროდ, მათზე ვეღარ მოქმედებენ ისეთი ძლიერი მაკონტროლებელი ბერკეტები, როგორებიცაა სინდისი (შინაგანი ცენზურა) და სირცხვილი (გარეგანი ცენზურა).

გარეგანი ქაოსის მიყოლა მომავალში მოსახდენი მოვლენების ერთპიროვნულად საკუთარი შეხედულებებით განჭვრეტისა და შემდგომ, მათი დამკვიდრების სურვილს წარმოქმნის, მით უმეტეს, ისეთ პირობებში თუ ეს პიროვნებები ძალიან მრავლად არიან და ახერხებენ საზოგადოებაში მეტ-ნაკლებად საკუთარი თავის რეალიზირებას, რამეთუ კონკურენცია უბიძგებს მათ კიდევ და კიდევ უფრო ღრმად და უფრო მეტად დაარღვიონ ყველანაირი (ელემენტარულიც კი) მორალური და ეთიკური პრინციპები. თან, ეს მათივე შემოტანილი პირობითობები სიწმინდედ სურთ გამოაცხადონ და ყველას სიწმინდედ აღიარებინონ.

გარეგანი ქაოსი, განმარტების სახით, შემოტანილი პირობითობების აყოლას ნიშნავს. პირობითობა ნიშნავს იმ არაორდინალურ სიახლეთა ნუსხას, რომლებიც ცდილობენ მარტივი, სრულიად გასაგები, ჭეშმარიტად დასაცავი მცნებები ჩაანაცვლონ. რაც უფრო მეტად ჩახლართული, გართულებული იქნება მარტივი რაღაცეები, მით უფრო დიდმნიშვნელოვნად გამოჩინდება ხოლმე გულღია, ადვილად მიმნდობი ადამიანების მიერ, რაც საბოლოო ჯამში იმისათვის კეთდება, რომ სწორედ ეს ადამიანები საკუთარი მორჩილების, დაქვემდებარების ქვეშ მოაქციონ.

გარეგანი ქაოსის შემომტანი ადამიანები ცალსახად უფლების მიღების შეგრძნებით იმართებიან და ყველა და ყველაფერი გარშემო თავის მომსახურე პერსონალად, თავის დამატებად უნდათ რომ გადააქციონ. მათში არსებული ჭარბი აქტიურობა, მათ ენერგეტიკულ კრიზისს იწვევს ხშირად, რის გამოც ისინი ეძებენ ადამიანებს, რომლებშიც არსებობს ე. წ. ვაკუუმი ანუ მათში ენერგია აკუმულირებულია და არ იციან რაში გამოიყენონ. შემდგომ, ეს ჭარბი აქტიურობის მქონე ადამიანები ახერხებენ იმას, რომ პასიურებმა თავადვე მოინდომონ საკუთარი ენერგია პორციალურად და მუდმივად აძლიონ მათ და ასე გრძედლება თუ ჭარბად აქტიური მატერიალიზირებული ცოცხალი არსება თავად ვერ იპოვნის აქტიურობის სიჭარბისაგან ანუ დემონური ბინებისაკენ მიდრეკილებისაგან ანუ თვითგაკერპების მცდელობისაგან გათავისუფლების გზას. ეს გზა არის შემეცნება, საკუთარი პიროვნების ჭეშმარიტების თვალით დანახვა.

შემეცნება მანოს იგივე სულიერი სქესობრივი ურთიერთობების მამაკაცური საწყისის წარმომადგენლობითი ნაწილია. მის არსობრივ დატვირთვაში ღმერთზე, სამყაროზე, განგებაზე, ჭეშმარიტებაზე და ა. შ. კონცენტრაცია მოიაზრება. ამ სურვილით მომქმედი მატერიალიზირებული ცოცხალი არსება წყვეტს დაუფიქრებელ იმპროვიზაციულ გამოვლინებებს და პირველობისა და უპირატესობის მიღების სურვილები დიდად აღარ იზიდავს. რამდენადაც შემეცნებაზე გადასვლამდე ჭარბი აქტიურობის სურვილით შეპყრობილი მატერიალიზირებული ცოცხალი არსება გაუცხოვებული იყო საკუთარ შიდა ბუნებასთან, იმდენად ხდება შემეცნებაზე გადასვლის შემდგომ სრული გაშინაურება საკუთარ ჭეშმარიტ „მე“-სთან. აქაც ისევე როგორც მანოს ქალური საწყისის შემთხვევაში საკუთარი პიროვნების აღქმა და იდენტიფიცირება ხდება ინდივიდუალურ სულთან. ჭარბ აქტიურ ნაწილს პიროვნება უკვე შიდან პიროვნულ კვლევა-ძიებაზე მოიხმარს და არა რაღაც სპონტანური ანგარებითი სურვილების დაკმაყოფილებაზე. ადრე თუ მას სურვილი ჰქონდა მატერიალიზირებული ცოცხალი არსებების მიერ ყოფილიყო შემჩნეული, აღიარებული და არჩეული, როგორც უპირატესი, ახლა მას უჩნება სულიერი სამყაროს მიერ იყოს შემჩნეული, დაიმსახუროს მათთან ყოფნა (სულიერ სამყაროში მცხოვრებ ცოცხალ არსებებთან) და მიიღოს რჩევა-დარიგებები უშუალოდ სულიერი სამყაროს უზენაესი პიროვნების მხრიდან. ე. ი. შეძლოს მიიღოს უდიდესი უფლება და უდიდესი პატივი სულიერი ურთიერთობები დაამყაროს მათთან. ალბათ, რომ არა ის ჭარბი აქტიურობა, რომელიც ამოქმედებს ამ ცოცხალ არსებას ასეთ სითამამეს უბრალოდ ვერ გაბედავდა. მე მხოლოდ ახლა მივხვდი და ახლა შევიგრძენი ის, თუ რამხელა სითამამეა, ის, რასაც მე ჩავდივარ ალბათ ბოლო წლის განმავლობაში. მე ხომ ერთ-ერთი ჭარბად აქტიური კატეგორიის წარმომადგენელი ვარ, რომელსაც გაუმართლა იმაში, რომ შემეცნების გზისკენ მოინდომა წასვლა და უზარმაზარი ცოდნა მიეცა. ამჟამად, ჩემდა სასიხარულოდ მინდა ვთქვა, რომ ერთადერთი დომინატი სურვილი ალბათ ჩემში ის არის, რომ ზომიერი, ნორმალური აქტიურობის კეტეგორიის წარმომადგენელი გავხდე და პასიურობიდან გააქტიურებულ მატერიალიზირებულ ცოცხალ არსებასთან დავამყარო კონტაქტი, როგორც ჩემს მეორე ნაწილთან, ქალურ საწყისთან, აგრეთვე მე ჩემს მეუღლეს გვქონდეს ჩვენი საკონტაქტო წრე, რომელთანაც გვექნება სულიერი ურთიერთობები და გვქონდეს მატერიალური უზრუნველყოფა, რომე-

ლიც გარდაუვლად აუცილებელია ჩვენნაირი ადამიანებისათვის ნორმალურად საცხოვრებლად, ვიდრე სხეულიდან არ გავალთ. შემდგომ კი, როდესაც ამ სხეულებს დავტოვებთ, ვინატრებდი მე და ჩემი მიწიერი მეუღლე იქაც ერთად ვიყოთ და სულიერ სამყაროში დამკვიდრებისა და ერთად არსებობის უფლება მივიღოთ, თუნდაც თვით ზეცაშიც კი. პატიებას ვითხოვ ახლაც ჩემი სითამამისათვის, მაგრამ ეს ჩემი უდიდესი მიზანია. ამ მომენტში და მინდოდა მთელი სულიერ სამყაროს ასე ღიად და გამჭვირვალედ გაეგო ეს. რაც შეეხებათ სამყაროს უზენაეს პიროვნებებს, მათ, ვფიქრობ, ისედაც მშვენივრად იცოდნენ ყველაფერი ეს, მაგრამ ჩემგან გამოთქმული და ნათხოვნი მგონია რომ უფრო ესიამოვნებათ.

მოკლედ, ამაზე კარგად ამ ნაწილის აღწერა, ვფიქრობ, შეუძლებელია, რამეთუ მე ის კონკრეტული პიროვნების (ჩემს) მაგალითზე აღვწერე. ზოგადი განმარტების სახით კი, შემეცნება პიროობითობის შემოტანაზე საკუთარი ინიციატივით უარის თქმას ნიშნავს. შეიძლება ითქვას რომ, ამ შემთხვევაში, მატერიალიზირებული ცოცხალი არსებების გარეგნული ქაოსიდან გარეგან ტრანსცენდენტულობაში გადასვლა ხდება. ეს მეტისმეტად ინდივიდუალურ, მატერიალიზირებულ ცოცხალ არსებასა და მთელს სულიერ სამყაროს შორის ფაქიზი სულიერ-ინტიმური ურთიერთობაა. ვისაც ეს არ უგრძვნია (მატერიალურ სამყაროში მცხოვრებ ცოცხალ არსებებს ვგულისხმობ) ვერანაირად ვერ გააგებინებს და ვერ შეაგრძნობინებს ვერავინ. ეს არის საუკეთესო გზა ჭარბი აქტიურობის მქონეთათვის.

III თავის მოკლე ფასეულობრივი აღწერა

III თავის მოკლე განხილვისას მანომაიას აღარ შევეხები და მხოლოდ მანოზე, როგორც შედეგობრივი მდომარეობის აღწერაზე გავამახვილებ ყურადღებას. მანო საკუთარ ინიციატივებზე უარის თქმის ერთ-ერთ ძალიან მნიშვნელოვან საფეხურს წარმოადგენს. მინდა აღვნიშნო ის, რომ ანანდასა და ვიჯნანას მოთხოვნების ჯეროვნად დაკმაყოფილების გარეშე მანოს მოთხოვნების დაკმაყოფილება მატერიალიზირებული ცოცხალი არსებისათვის, კერძოდ ადამიანისათვის ძალიან ძნელი (თუ არა შეუძლებელი) რამ იქნება.

მანოს საშუალებით ინდივიდუალური სხეულისა და ინდივიდუალური სულის ფუნქციონალური ინტერესების განზოგადება ხდე-

ბა. ეს ორი ფენომენი ერთმანეთთან მშვიდობიანი თანაცხოვრების სურვილით იმუხტება და თავიანთ საქმიანობის საჭიროდ და სასურველად შესრულების მცდელობით კავდება.

მანოს დასაკმაყოფილებლად გარდაუვლად აუცილებელია და საჭიროა ასკეტიზმის ცნების ჭეშმარიტად აღქმა, შეგრძნება და რეალურად ამის ქმნის უნარის გამომუშავება საკუთარ პიროვნებაში.

ასკეტიზმის ცნების ყველაზე საუკეთესო განმარტებად მიმაჩნია საკუთარი კეთილი ნებით განგების ნების დარღვეულობის პოვნა და აღმოფხვრა საკუთარ პიროვნებაში.

ასკეტიზმის ჭეშმარიტ დონეს მიღწეული მატერიალიზირებული ცოცხალი არსება (ადამიანი) მზად არის იმისათვის, რომ მატერიალური სქესობრივი ურთიერთობებიდან შიდა სქესობრივ ურთიერთობებზე გადავიდეს რეალურ ცხოვრებაში იქამდე, ვიდრე მატერიალურ სხეულს დატოვებს. სწორედ ეს სულიერი ურთიერთობები მოუტანს მას მატერიალურ სამყაროშივე არამიწიერ, სულიერ-სამყაროსეულ ბედნიერებასა და სიხარულს, ამას შეიძლება ნეტარებაც კი ეწოდოს.

და კიდევ ერთი, ეს არის ის დონე, რომელიც შეაძლებინებს როგორც მამაკაცს ისე ქალს იპოვნო თავისთვის იდეალურად შესაფერისი მეწყვილე, სადაც, რა ურთიერთობების დროსაც არ იქნება მესაკუთრეობის, შენ-ჩემობის, პირველობის, განსაკუთრებულობის, ყალბი კეთილგანწყობის, ტყუილის თქმის, რაიმეს დამალვის სურვილები. და ისიც რატომ ? იმიტომ რომ ისინი ერთნაირ ფასეულობრივ სისტემაზე იქნებიან აწყობილები, ისინი თავისი შინაგანი აღქმით საკუთარი პიროვნების იდენტიფიკაციას საკუთარ ინდივიდუალურ სულებთან მოახდენენ და არა საკუთარ ინდივიდუალურ სხეულებთან.

მანო ზოგადად ინდივიდუალური სულის თვითგამოვლინების, თვითრეალიზაციის განყოფილებად შეიძლება მივიღოთ. სულიერი ურთიერთობები მანოს ბუნებრივი მდგომარეობის გამოვლინებას წარმოადგენს, ხოლო რაც შეეხება მატერიალურ ურთიერთობებს ისინი სულიერი ურთიერთობების ინტერესების საშუალებად მოიაზრებიან და მთლიანად მათი ინტერესების მსახურებას ეწევიან უკვე აი ამ გადასახედიდან.

ერთი მეტად მნიშვნელოვანი მომენტი გახლავთ ის, რომ ერთ ნაწილად გამთლიანებისა და დასახლების შემდგომ მამაკაცმა ფუნქციონალური რელიგიურობა უნდა დაიცვას და ქალს მისგან

მომდინარე შემეცნების სურვილში დახმარება უნდა გაუწიოს ანუ საკუთარი ინიციატივით არავითარ შემთხვევაში არ უნდა შესთავაზოს რაიმე სიახლე შემეცნების საკითხში. ამისათვის არის საჭირო მისთვის ფუნქციონალური რელიგიურობის დაცვა, ხოლო ხანდახან არსებულ კრიტიკულ მომენტებში ფუნქციონალური რელიგიურობა უნდა დაიცვას, თუმც სასურველია შემეცნების პროცესი თანაბრად, ზომიერად და მუდმივად მიმდინარეობდეს. შემეცნება ამ შემთხვევაში იქნება ყველაფერი სექსუალური აქტის ჩათვლითაც კი. ისე რომ, რა თქმა უნდა, ქალზეც, მაგრამ მამაკაცზე ძალიან დიდად არის დამოკიდებული როგორ წარიმართება. ეს ცხოვრების იდეალური ფორმაა.

IV თავი
პრანა
საკუთარი „მე“-ს ინიციატივაზე უარის თქმის მეოთხე საფეხური

კატეგორიულად უნდა შემოვიფარგლო იმ ყოფიერი ურთიერთობებით, მატერიალური კონტაქტით მატერიალურ გარემოსთან და მის წარმომადგენლებთან, რომლებიც ჩემთვის მატერიალური ყოფიერების გარდაუვალ აუცილებლობას უზრუნველყოფს.

პრანას შესასრულებლად საჭირო მოთხოვნები პირდაპირ ყალიბდება, გადმოდის და მომდინარეობს მანოს მოთხოვნებიდან. არაგაშალაშინებული, მეტაფორული ფორმით თუ ვიტყვით, ეს არის სულიერი სქესობრივი ურთიერთობების (მატერიალური გადასახედიდან ასკეტიზმის) გადაყვანა ე. წ. მსხვერპლშეწირვის ფუნქციონალურად რეალიზაციაში. ეს ძალიან, ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილია საკუთარ (არასაჭირო) იმიტაციაზე უარის თქმის პროცესში.

აქაც, ისევე როგორც დანარჩენ წინა თავებში, აუცილებლად გავაკეთებ ცხრილურ მონახაზს როგორც პრანასი, ისევე პრანამაიასი, რათა თვალნათელი გახდეს სურათი, თუ რაზეა ლაპარაკი და შემდეგ მთელს ამ მეოთხე თავში გაშლილად განვიხილავ მას

პრანა – განგების მიერ დაკისრებული მოვალეობა. სულიერი მსხვერპლშეწირვა (სულიერი ჭუჭყის, კარმის გან(რ)წმენდა)	
მამაკაცური საწყისი გარემოს შეცნობა – არაჭარბი, ზომიერი აქტიურობა	ქალური საწყისი შემოქმედება – პასიურობიდან გამოსვლა, გააქტიურება. შიდა სულიერი გაცოცხლება
პრანამაია – საკუთარი ინიციატივით აღებული მოვალეობა. მატერიალური მსხვერპლშეწირვა (დროის კვლა, გართობა)	
მამაკაცური საწყისი ზემოქმედება გარემოზე; გარემოს საკუთარ ინტერესებზე აწყობა – ჭარბი აქტიურობის რეალიზირება, საკუთარი შეხედულებების თავზე მოხვევა, ტექნიკური პროგრესი	ქალური საწყისი საკუთარ „მე“-ზე ზემოქმედება – პასიურობის გაღრმავება გარეგნული მატერიალური გააქტიურება, სოციალური ყოფიერება.

მატერიალური მსხვერპლშეწირვა (გართობა) და სულიერი მსხვერპლშეწირვა (სულიერი ჭუჭყის გან(რ)წმენდა)

მატერიალური მსხვერპლშეწირვისკენ (გართობისკენ, დროის „მოკვლისკენ) სწრაფვა პრანამაიას პირდაპირ გამოვლინებას წარმოადგენს. მატერიალური მსხვერპლშეწირვის წარმოქმნისა და მისი მრავალნაირი ფორმით გამოვლინების არსებობის მიზეზი მატერიალიზირებული ცოცხალი არსების მიერ საკუთარი მატერიალური ნაწილის ვიზუალური საჭიროების ძიების სურვილიდან მომდინარეობს. რაც უფრო დიდი იქნება მატერიალურ სამყაროში საკუთარი საჭიროებრივი ადგილის დამკვიდრების მცდელობები ვიზუალურ ასპექტში, მით მეტი იქნება ადამიანის მხრიდან მომდინარე მოვალეობების თავისზე აღების სურვილი სპონტანურად საკუთარი ინიციატივით. საჭიროება ამ ადამიანის მიერ აღქმული იქნება გარემოში არსებული „ეგო“-სი და ეგოსისტემის მსახურებაში, მისთვის საკუთარი მთელი პიროვნების მსხვერპლად მიძღვნაში და შეწირვაში. ეს პირდაპირი გაგრძელებაა ჭარბი აქტიურობისა და პასიურობის თემისა. ეს ცოცხალი არსება იმას კი არ უწევს ანგარიშს, თუ რეალურად რის მსახურებას ცდილობს, არამედ მისთვის მთავარი ხდება მარტოობაში არ აღმოჩნდეს წმინდაწყლის მატერიალური, ვიზუალური თვალსაზრისით.

არ შემიძლია არ გამოვყო ორი ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებული მიდგომა ამ საკითხში.

1) პირველი გახლავთ არსებულ გარემოზე პრიდაპირ, ბრმად, ზედმიწევნით მორგება. ამ შემთხვევაში ადამიანი სრულიად უწევს იგნორირებას ობიექტურად შეფასების უნარსა და ამის აუცილებლობას მის გარშემო შექმნილ სიტუაციებში.

2) მეორე გახლავთ არსებული გარემოს პირდაპირ და ზედმიწევნით საკუთარ შეხედულებებზე მორგება. თუ პირველი არის პასიურობის უფრო გაზრდის, გაღრმავების ფორმა, მეორე გახლავთ ჭარბი აქტიურობის განხორციელების მცდელობების, უფრო გაღრმავების ფორმა.

ორივე შემთხვევაში ადამიანი სრულად კარგავს და იგნორირებას უწევს საკუთარი პიროვნების ობიექტურად შეფასების უნარსა და ამის აუცილებლობას მის გარშემო შექმნილ სიტუაციებში (ყველაში უკლებლივ).

შედეგი ამ ქმედებებისა გახლავთ ის, რომ წაროიქმნება ე. წ. საფრთხის, დაპირისპირების, მტრის, შენ-ჩემობის, გაუცხოვების

ცნებები, რომლებიც აშკარად უწყობენ ხელს პიროვნებაში არსებული „ეგო“-ს გაზრდასა და გაღრმავებას. ეს წინააღმდეგობები კი, რაც ამ მატერიალიზირებულ ცოცხალ არსებას ხვდება წინ გახლავთ, თქვენ წარმოიდგინეთ, უდიდესი დამხმარე საშუალებები, უდიდესი მეგობრები, რომლებიც ცდილობენ ისინი მოაგონონ, გამოაღვიძონ და გონება დაუფიქრონ იმაზე თუ რას მსახურობენ.

პრანამაია თავად, უხეშად რომ ვთქვათ, საფრთხის ცნებას ნიშნავს და საფრთხისაგან თავის დაცვას მოიაზრებს. მაგრამ თუ იმ აზრამდე მივდივარ, რომ ეს საფრთხე ჩემი მოგონილია და რეალურად ის არსებობას შეწყვეტს, თუკი მე ჩემს ქმედებათა ობიექტურ, ჭეშმარიტად ობიექტურ შეფასებას მოვინდომებ, მაშინ სურათი რადიკალურად შეიცვლება.

მატერიალურ სამყაროში, პრანამაიას განყოფილებიდან თუ ვიმსჯელებ, სულიერ დონეზე მამაკაცურ საწყისში ცოცხალ არსებას გართობის ცნების დაკმაყოფილების სურვილი ამოძრავებს, ხოლო ქალურ საწყისში კი, დროის მოკვლის ცნების დაკმაყოფილების სურვილი.

გართობა კმაყოფილების მიღების მატერიალური ფორმა გახლავთ. გავერთე ნიშნავს დავიკმაყოფილე ჩემგან მომდინარე სურვილები, თუ სრულად გავერთე ე. ი. მთელი ჩემი სურვილები („ეგო“-დან მომდინარებული) დავაკმაყოფილე. აღსანიშნავია ის, რომ ერთხელ დაკმაყოფილებული სურვილის, მეორედ, მესამედ, მეათედ და ასე სუსარულდ დაკმაყოფილება მომინდება იმ დოზით, რა დოზითაც პირველად მოვახდინე ეს და, უფრო მეტიც, მეორედ დიდი დოზით მომინდება (არავითარ შემთხვევაში ნაკლებით, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერანაირად ვერ დავკმაყოფილდები, პირიქით დაუკმაყოფილებლობის შეგრძნება დამეუფლება), მესამედ უფრო დიდი დოზით და ა. შ და ა. შ. ეს, თვალნათელი შედარებისთვის თუ ავიღებთ, ნარკოტიკს გავს, რომლის აღარ მიღების შემთხვევაში საშინელი აგრესია ჩნდება ადამიანში.

„დროის კვლა“ კმაყოფილების მიღების ფსევდოსულიერი ფორმაა. მატერიალიზირებული ცოცხალი არსება სხვათა სურვილების დასაკმაყოფილებლად აკეთებს იმას, რაც თავად არ სურს, რისი ბუნებრივი მოთხოვნილებაც არ გააჩნია. თითქოს ერთი სული აქვს როდის ჩამთავრდება ის, რის გაკეთებასაც აიძულებს საკუთარ თავს. თავს კი, იმით იმშვიდებს, რომ საკუთარ მოვალეობას პირნათლად ასრულებს. ერთადერთი რამ, რითაც თავს ინუგეშებს ეს არსება გახლავთ ის, რომ საკუთარ მიკრომატერიალურ სამყა-

როში (საკუთარ სახლში, ან მასზედ გაპიროვნებულ მატერიალურ გარემოში) უსასრულოდ ახდენს არაცოცხალი გარემოს ვიზუალურ გაფორმება-გალამაზებას. ამ ყველაფერს კი, ისეთი არანორმალურად დიდი სერიოზულობით უდგება, რომ მისთვის ამაზე თვალის ახელის მცდელობას საერთოდ არა აქვს აზრი. მისი გაგებით, ის ჭეშმარიტ რწმენას ემსახურება და საკუთარი თავის მსხვერპლად მიტანა გარემოსთვის ყველაზე ღვთისმოსავ საქმედ მიაჩნია.

რა თქმა უნდა, სურათი რადიკალურად იცვლება, როდესაც მატერიალიზირებული ცოცხალი არსება საკუთარ „მე“-ს მატერიალურ სხეულს კი არა, ინდივიდუალურ სულს უწოდებს. მაშინ მატერილური გარემო რეალურად „ეგო“-ს ვიზუალური გამოვლინება გახდება, ხოლო ამ გარემოში არსებული პოტენციალი კი, „მე“-ს ვიზუალური გამოვლინება იქნება. ე. ი. მთავარი გახდება როგორ იქნას გამოყენებული მოქმედების უნარი, რომელიც სხეულს გააჩნია ე. ი. ვიდრე სული იმყოფება სხეულში.

სულიერი მსხვერპლშეწირვისკენ (სულიერი ჭუჭყის განრწმენდისკენ) სწრაფვა ჰრანას პირდაპირ გამოვლინებას წარმოადგენს. სულიერი მსხვერპლშეწირვის წარმოქმნისა და მისი მრავალნაირი ფორმით გამოვლინების არსებობის მიზეზი მატერიალიზირებული ცოცხალი არსების მიერ საკუთარი მატერიალური ნაწილის ფუნქციონალური საჭიროების ძიების სურვილიდან მომდინარეობს. რაც უფრო დიდი იქნება მატერიალურ სამყაროში განგების ნების რეალიზაციის საშუალებად საკუთარი პიროვნების გამოვლინების მცდელობები ვიზუალურ ასპექტში, მით უფრო ნაკლები იქნება ადამიანის მხრიდან მომდინარე მოვალეობების თავისზე აღების სურვილები საკუთარი ინიციატივიდან მომდინარე.

საჭიროების ცნება მოქმედებისა ამ ადამიანის მიერ აღქმული იქნება გარემოში არსებული „მე“-ს, ობიექტური რეალობის, დასამკვიდრებელი ცნობიერების დამკვიდრებაში მსახურებით, ამისათვის საკუთარი პიროვნების სრულად დახარჯვითა და საერთოდაც, მთლიანად თავისი პიროვნების მიძღვნითა და თუნდაც შეწირვით. ესეც, ალბათ, უდავოა, პირდაპირი გაგრძელებაა ჭარბი აქტიურობისა და პასიურობის თემისა.

აქაც მინდა გამოვყო ორი განშტოება, რომლებიც ერთმანეთისაგან საპირისპირო მხარეს კი არ მიემართებიან, პირიქით, სწორედ რომ ცდილობენ ერთმანეთში ზედმიწევნითა და სრულად შეერთდნენ:

1) **პირველი** გახლავთ არსებული გარემოს ობიექტური და ჭეშმარიტი შეცნობის სურვილი. ამ შემთხვევაში ადამიანი ახდენს საკუთარი შეხედულებების მკაცრ კონტროლს და, პრინციპში, საკუთარი ინიციატივით (თუ მოთხოვნილება გარემოდან არ მომდინარეობს) შეხედულებათა გავრცელებას არ ახდენს (თავზე მოხვევაზე უარს ამბობს).

2) **მეორე** გახლავთ საკუთარი შეხედულებების გამოთქმა და დეკლარირება იმისა, თუ რა სურს, რათა გააგებინოს გარემოს, გააცნოს თავი ვინ არის და რა სურს.

თუ პირველი ჭარბი აქტიურობის ზომიერ აქტიურობაში გადაყვანის პრეცენდენტია, მეორე პასიურობის გააქტიურების გამოვლინება გახლავთ. ორივე შემთხვევაში ადამიანი იძენს საკუთარი პიროვნების შემადგენელი ჭეშმარიტი „მე“-ს აღქმისა და შეგრძნების უნარსა და მისივე შემადგენელი ჭეშმარიტად „ეგო“-ს ნაწილის აღქმისა და შეგრძნების უნარს. ეს მათ საშუალებას მისცემს სურვილის შემთხვევაში (და გასაკვირი იქნებოდა ეს სურვილი რომ არ გააჩნდეს) „ეგო“-ს ნელი, ზომიერი გარდაქმნა მოახდინოს „მე“-დ, ანუ სულიერი ჭუჭყის გან(რ)წმენდა შეძლოს.

ამ ქმედებების შედეგი გახლავთ ის, რომ წარმოიქმნება სრული გამჭვირვალება, სრული გახსნილობა, სადაც საფრთხის, დაპირისპირების, მტრის, გაუცხოვების ცნებები ფეხს ვერანაირად ვეღარ მოიკიდებენ. აღარაფერი თუ არ იქნება დამალული და დაფარული და ყველა მხრიდან ნებაყოფილობითობა და არაძალადობა იქნება დაცული, მაშინ აღარც წინააღმდეგობების შექმნა გახდება საჭირო და ბედნიერების მატერიალური ცნებაც კი, სრულად მიიღწევა.

პრანას განყოფილებიდან თუ ვიმსჯელებთ სულიერ დონეზე:

ა) მამაკაცურ საწყისში ცოცხალ არსებას გარჩევის, ობიექტურად შეფასების უნარის დაკმაყოფილების სურვილი ამოძრევებს;

ბ) ქალურ საწყისში ცოცხალ არსებას საკუთარი არსებობის პერიოდის (დროის) საჭიროდ და სასურველად, შიდა სულიერი გააქტიურების (შემოქმედების) უნარის დაკმაყოფილების სურვილი ამოძრევებს.

ეს არის ჭარბი აქტიურობისაგან და პასიურობისაგან განკურნებისა და რეალურად ზომიერი აქტიურობისა და აქტივიზირებული პასიურობის რეალიზაციის გამოვლინების საუკეთესო (იდეალური) ფორმა.

ზემოქმედება (საკუთარ „მე“-ზე) და შემოქმედება (საკუთარ „მე“-ში)

ზემოქმედება საკუთარ „მე“-ზე პრანამაიას, იგივე მატერიალური (ფსევდოსულიერი) მსხვერპლშეწირვის ქალური საწყისის წარმომადგენლობითი ნაწილია. მის არსობრივ დატვირვაში სულიერი სიზარმაცის, პასიურობის სისტემით ცხოვრების იდეალიზირება მოიაზრება, რომელიც პიროვნებას გარემოში მატერიალიზირებული სხვა ცოცხალი არსებების დანამატად აქცევს. მატერიალიზირებული ცოცხალი არსებების ეს კატეგორია მატერიალური სხეულების არსებობის პერიოდის უზენაესობის შეგრძნებით არის დამუხტული. სიკვდილის ე. ი. მატერიალური სხეულიდან ინდივიდუალური სხეულის გასვლა ან ინდივიდუალური სულის ე. წ. არანორმალური, არაჩვეულებრივი მდგომარეობა, რაც ავადმყოფობის სახით ვლინდება (ავად მყოფობით მოიხსენიება) მისთვის ყველაზე არასასიამოვნო და ყველაზე საშინელი რაღაცეებია, რაც კი შეიძლება, რომ წარმოიდგინოს საერთოდ.

ამ ადამიანების ერთადერთ საზრუნავს თავის გარშემო არსებული ადამიანების სტაბილური ჯანმრთელი მდგომარეობა წარმოადგენს. სიყვარულის ცნებასაც კი ეს არსება იმ მოვალეობას ეძახის, რასაც მიჩვეულია და მიჯაჭვულია. ნებისმიერ სიახლეს შეუძლია იგი დისკომფორტში გადაიყვანოს. იგი მოსახმარებლად აძლევს როგორც თავის სულს, ისე თავის სხეულს იმ ადამიანებს, ვის წინაშეც მოვალეობის შეგრძებას ივითარებს თავისში, თუმც, ამ მოხმარების პროცესში თავად თავის ნება-სურვილებს არ ითვალისწინებს. დროთა განმავლობაში მას საკუთარი სურვილები საერთოდ უქრება და სხვათა ნება-სურვილების შესრულების და დაკმაყოფილების საშუალება ხდება მხოლოდ. უსიცოცხლო, უძრავ გარემოსთან (დუნე მატერიასთან) მიმართებაში, რაც მისი განმგებლობის ქვეშ იმყოფება, ის მუდმივ უცვლელი, სტაბილური სიტუაციის დამყარებას ცდილობს. ჭარბი მცდელობა გარეგნული მატერიალური სისუფთავის დამყარებისა, აშკარად გამოხატავს მასში ჩაბუდებული პასიურობის მიღმა არსებული სულიერი ჭუჭყის გან-(რ)წმენდისა და გასუფთავების მცდელობას, თუმც, ეს მცდელობები აშკარად ბუტაფორიულია. ის მატერიალურ სხეულში ყოფნის ბოლომდე აგრძელებს ცხოვრების ასეთ სტილს.

კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი რამ მინდა აღვნიშნო, რომ ის ძალიან, ძალიან უინტერესო და უღიმღამო არსება ხდება. აშკარა

მონურ სულისკვეთებას ივითარებს და თავად ადამიანი თავისნაირივე ადამიანებს შინაგანი აღქმით ისე უდგება როგორც ძაღლი პატრონებს. მესმის ეს არც თუ სასიამოვნო წასაკითხი და მოსასმენია, მაგრამ ეს გაცილებით უფრო არასასიამოვნო საყურებელია, როდესაც ამის დანახვის უნარი გაგაჩნია ყოველდღიური წვრილმანი ფუსფუსისა და თითიდან გამოწოვილი საქმიანობის მიღმა.

ამ არსებების განსაკუთრებულ გაღიზიანებას იწვევს ის, როდესაც საკუთარ პატრონად მიღებული ადამიანი მას შემცვლელს მოუძებნის ხოლმე და სხვა არსებებთან იწყებს აქტიური კონტაქტის დამყარებას. საინტერესოა, როგორ შეიძლება ამ ადამიანებს გააგებინო, რომ თუ საკუთარი „მეობა“ სულ დასთმე და ყველაფერი შეგიძლია მიიღო, რაც არ უნდა გაგიკეთოს მეორე ადამიანმა, ეს იმ ადამიანისთვისაც კი აუცილებლად უინტერესო გახდება. ცოცხალი არსებების მთავარი ფასეული ნიშან-თვისება ხომ თავად სიცოცხლეა, რომელიც მათში ჩქეფს და თუ ის ვინმეს ნების „ყურმოჭრილი მონაა“, ვინმეს მიერ სრულად მართავადი რამ გახდება, ეს არის სიკვდილი სწორედ და არა ის, როდესაც სხეულიდან სული გამოვა. პირველი, რასაც ამ არსებებს ვურჩევდი გახლავთ სიკვდილის ცნების ჭეშმარიტად შეცნობა. ვინც სიცოცხლის გამოვლინებაზე უარს იტყვის, სწორედ ის არის მკვდარი და არა ის, ვინც განგების ნებით დროებით თუ სამუდამოდ დატოვებს მატერიალურ სამყაროს.

და ბოლოს, ამ კატეგორიის ადამიანებისთვის ყველაზე ძნელი გადასატანი ხდება იმ გამოუყენებელი ენერგიის დაგროვება, რომელიც არაფერში მოიხმარა. ეს სიცოცხლის მასაზრდოებელი ელექსირი მათში შხამად გარდაიქმნება და სულიან-სხეულიანად წამლავს ყველაფერს. ეს მართლაც პარადოქსალურად უცნაური რაღაცაა. ამიტომაც ისინი იძულებულნი ხდებიან ძალმომრეობისკენ მიდრეკილ არსებებს ეს მათში ჩაგროვილი ენერგია ნებისმიერი საშუალებებით ამოაღებინონ მათგან და რაშიც სურთ იმაში მოახმარებინონ.

ახლა კი, მოდით, იმათ მდგომარეობას აღვწერ, ვისაც პასიური, სულიერი სიზარმაცის მდგომარეობიდან გამოსვლა დაიწყეს და აქტიურობისკენ, სულიერი სიბეჯითისკენ ე. ი. შემოქმედებისკენ აიღეს გეზი.

შემოქმდება (შიდა სულიერი მოქმედება) საკუთარ „მე“-ში პრანას, იგივე სულიერი მსხვერპლშეწირვის ქალური საწყისის წარმომადგენლობითი ნაწილია. მის არსობრივ დატვირთავში სულიერი

სიბეჯითის, პასიურობიდან გააქტიურების სისტემით ცხოვრების იდეალიზირება მოიაზრება, რომელიც პიროვნებას გარემოში მატერიალიზირებული სხვა ცოცხალი არსებების თანამგრძნობად, ჭეშმარიტ მეგობრად, ძვირფას, დასაფასებელ, ანგარიშგასაწევ წარმომადგენლად აქცევს. მატერიალიზირებული ცოცხალი არსებების ეს კატეგორია ინდივიდუალური სულების ვიზუალური (გამოსახული) ინტერესების შეგრძნების სურვილით არის დამუხტული. ინდივიდუალური სულების გაჭუჭყიანება, გაბინძურება და ბინძური ნაწილის გან(რ)წმენდაზე არზრუნვა არის ყველაზე ცუდი რამ, რაც კი შეიძლება საერთოდ წარმოიდგინოს ამ კატეგორიის წარმომადგენლობითმა ნაწილმა. ამისთვის ყველაზე მცირეს, რასაც ისინი აკეთებენ ზნეობრივი პრინციპების უზადოდ და ზედმიწევნით დაცვა გახლავთ, ხოლო ყველაზე დიდი კი, რასაც აკეთებენ, ეს არის საკუთარი გონების გაზრდა, სულიერი ჭეშმარიტი ცოდნის ძიების მცდელობა იმ მატერიალიზირებული ცოცხალი არსებების საშუალებით, რომლებიც ფლობენ ამ ჭეშმარიტ სულიერ ცოდნას.

ამ ადამიანების ერთადერთ საზრუნავს (სხვებთან მიმართებაში) თავის გარშემო არსებული ადამიანების დამაკმაყოფილებელი სულიერი მდგომარეობა წარმოადგენს. სიყვარულის ცნებას კი ეს არსება იმ მდგომარეობას ეძახის, რომელშიც სულიერი ურთიერთობები მომდინარეობს. ნებისმიერ სტაგნაციურ, არაცვალებად სიტუაციას ეს არსებები სიახლის შემოტანის სურვილით უდგებიან, ბრმა მოვალეობების მიჯაჭვულობითი ფორმით შესრულებას სკეპტიკურად უდგებიან და, რაც მთავარია, ჩემი შხედულებით, ისინი არათუ იგნორირებას უკეთებენ, არამედ აუცილებლად და ზედმიწევნით ითვალისწინებენ საკუთარ ნება-სურვილს. დროთა განმავლობაში ის საერთოდ მთლიანად გულით მართული ხდება. უძრავ გარემოსთან მიმართებაშიც კი, არა რაღაც სტანდარტის, არამედ განწყობის მიხედვით ეწყობა. საერთოდ ცდილობს წინასწარ არაფერი არ დაგეგმოს, ამ წამიერი მყისეული რეალობის შესაბამისი სიტუაციებით იცხოვროს.

განსხვავებულად საკუთარ თავზე ზემომქმედისაგან, საკუთარ „მე“-ში შემომქმედი უზომოდ საინტერესო და მიმზიდველია, მასთან ყოფნა და ურთიერთობა უკლებლივ ყველასათვის სასიამოვნო და სასურველია. ის თავის გარშემო მყოფთ ისე უდგება როგორც ეს მისგან ბუნებრივად მომდინარეობს, თუმც, ყოველთვის ცდილობს და ახერხებს არ დაარღვიოს კორექტულობის საზღვრები.

მისგან გამოუვალ მდგომარეობაში წამოსული არაკორექტულობაც კი სიტუაციის საერთო ფონზე კორექტულად გამოიყურება.

ყველაზე მთავარი ნიშან-თვისება ამ კატეგორიის წარმომადგნლებისა გახლავთ ის, რომ ისინი სიცოცხლით სავსენი არიან. მათ ჭეშმარიტად ცხოველმყოფელი ბუნება აქვთ. აგრეთვე ერთ, ადამიანებისათვის დღესდღეისობით სენტიმენტალურ წინადადებას ვიტყვი – ეს ადამიანები სულიწმიდასთან მიახლოვებისთვის ყველანაირი წინააღმდეგობის აღმოფხვრის გზაზე დგანან, რითაც სულიერი კათარზისისკენ იღებენ გეზს და ამ გზიდან არ გადახვევის შემთხვევაში ჭეშმარიტად სულიერ განათლებას და სრულ გასპეტაკებას აღწევენ.

რაც შეეხება სიკვდილის ცნებას, ამ კატეგორიის ადამიანებისათვის ასეთი რამ რეალურად არ არსებობს, რამეთუ დღეს თუ ისინი თვლიან რომ სხეულში იმყოფებიან და ხვალ სხეულის მიღმა იქნებიან, ეს მდგომარეობის, ადგილმდებარეობის ცვლილებას გამოიწვევს მათსას და არა გაქრობა-გაუჩინარებას. ისინი ხომ საკუთარ „მე“-ს ინდივიდუალურ სულს ეძახიან და „მე“-ს აღიქვამენ ამად და არა ინდივიდუალურ მატერიალურ სხეულს. როგორც ხედავთ ამით სულიც ბედნიერია და სხეულიც. მათში არასოდეს არ ხდება ენერგიის აკუმულირება, ჩაგროვება.

გარემოზე ზემოქმედება და გარემოს შეცნობა

ზემოქმედება გარშემო არსებულ მატერიალიზირებულ ცოცხალ არსებებზე პრანამაიას იგივე მატერიალური (ფსევდოსულიერი) მსხვერპლშეწირვის მამაკაცური საწყისის წარმომადგენლობითი ნაწილია. მის არსობრივ დატვირთვაში სულიერი სიჯიუტის, ჭარბი აქტიურობის სისტემით ცხოვრების იდეალიზირება მოიაზრება, რომელიც გარემოში მატერიალიზირებულ სხვა ცოცხალ არსებებს ამ პიროვნების დანამატად აქცევს. მატერიალიზირებული ცოცხალი არსებების ეს კატეგორია მატერიალური სხეულის (საკუთრების) უზენაესობის შეგრძნებით არის დამუხტული. სიკვდილი ე. ი. სხეულიდან გასვლა და ავადმყოფობები (სხეულის უსუსური მდგომარეობა) ყველაზე საშინელ მოვლენებად არის აღქმული ამ პიროვნებებისათვის.

ამ ადამიანების ერთადერთ საზრუნავს თავის გარშემო არსებული ადამიანების თავის შეხედულებებზე გადაყვანა-გადაბირება

წარმოადგენს. სიყვარულის ცნებას ეს არსება იმ უფლების მიხედვით განსაზღვრავს, რომელსაც ჭარბად ანიჭებს საკუთარ პიროვნებას. ნებისმიერი ერთფეროვნება მისთვის მომაბეზრებელია და ამიტომ, ვინაიდან არც თვითონ გამოირჩევა იდეათა სიმრავლით კონტაქტორთა, პარტნიორთა დაუსრულებელი ცვლით ახდენს იმ ილუზიის შექმნას საკუთარი თავისთვის თითქოს ათასგვარი სიახლით ცხოვრობს. იგი ცდილობს სრულად მოიხმაროს, გამოიყენოს იმ ადამიანების როგორც სულები და განსაკუთრებით კი სხეულები, რომლებზეც თავისი აღქმით უფლება გააჩნია. ამის შედეგად ის ამ ადამიანების ნება-სურვილებს დიდად არ დაგიდევთ და ყველაფერს ისე აკეთებინებს როგორც თავად თვლის საჭიროდ. წინააღმდეგობა მათი მხრიდან მხოლოდ ინტერესს აღვიძებს მასში უფრო მეტად, რათა დაპყრობის პროცესით დატკბეს. და უფრო მეტიც, თუ არანაირი წინააღმდეგობა აღარ ხვდება და მისი ნება უსიტყვოდ და ზედმიწევნით სრულდება, ასეთი პიროვნების მიმართ ის დროთა განმავლობაში საერთოდ კარგავს ინტერესს და ცდილობს ახალი პიროვნებები იპოვოს. ანუ კომფლიქტი (თუნდაც მიკროკომფლიქტი) ამ ადამიანისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელ მოთხოვნილებას წარმოადგენს. საკუთარ მფარველობაში არსებულ უძრავ მატერიალურ ქონებასთან მიმართბაში ის აბსოლუტურად გულგრილია, ინდიფერენტულია.

თავისი ბუნებით, ეს მატერიალიზირებული ცოცხალი არსებები, ცნობისმოყვარენი და ტრაბახა არიან. თუმცა თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ თავად როგორც ინდივიდები ძალიან უინტერესონი არიან. ისინი ყველაფერში ყოფენ ცხვირს და არად დაგიდევენ იმას, შეიძლება ეს თუ არა. ისინი ისე იქცევიან, თითქოს ყველაზე ყველაფრის უფლება აქვთ და სხვები მათზე მცირენი, დაბალნი იყვნენ.

განსაკუთრებულ გაღიზიანებას ამ ადამიანებისა იწვევს ის, როდესაც საკუთარ დაქვემდებარებაში მყოფად აღქმული ადამიანები ცდილობენ სხვა ახალი კონტაქტის დამყარებას. ე. ი. ისინი მათი გადასახედიდან სხვა პატრონს ეძებენ, რითაც თავად საკუთარ ღირსებას შეურაცხყოფილად აღიქვამენ. მაშინ აუცილებლად იწყებენ დაშინებას, შანტაჟს და თუ დასჭირდათ იმ ახალ პოტენციურ „პატრონთანაც“ მოსინჯავენ საკუთარ ძალებს, რათა ეს პრეცენდენტი ვერანაირად ვერ მოხდეს. თუ ვინიცობაა ეს მოხდება (იგულისხმება საკუთარ მფლობელობაში მყოფი არსების დაკარგვა), ეს

ისტორია მათ მეხსიერებაში მთელი ცხოვრების განმავლობაში დარჩება როგორც გადატანილი სირცხვილი და მიღებული მარცხი.

გასაკვირად ჩანს, მაგრამ ეს არსებები გულით არიან მართულნი. თუ საკუთარ „მე“-ზე ზემოქმდებაში გული არ მუშაობდა და მხოლოდ გონებით იმართებოდნენ, ესენი პირიქით, ცალსახად გულით იმართებიან და მათში გონება არ ან თითქმის არ მუშაობს. ამიტომაცაა, რომ ვერ დაუკარგავთ გულადობისა და სიმამაცისკენ მიდრეკილებას, მაგრამ ისინი არ ემსახურებიან იმას, რასაც საერთოდ უნდა ემსახურებოდეს ზოგადად ცოცხალი არსება, მათ შემთხვევაში კი მამა ღმერთს. ისინი ცდილობენ თავის პიროვნებას ემსახურონ და სხვებიც თავის პიროვნებას ამსახურონ. ფაქტიურად თვითგაკერპებასთან გვაქვს საქმე. სიჭარბე აქტიურობისა სწორედ რომ ამ პარამეტრების არსებობით წარმოიქმნება.

და ბოლოს, ამ კატეგორიის ადამიანებისთვის (დემონური ბუნების მქონეთათვის ზოგადად) ყოველთვის დიდ პრობლემას წარმოადგენს ენერგიის ნაკლებობის თემატიკა. ისინი ხომ ყოველთვის იმაზე გაცილებით დიდ ენერგიას ხარჯავენ, ვიდრე ეს საჭიროა მიმდინარე რეალობაში არსებული ობიექტური რეალობისთვის. ამიტომ მათში ენერგოვამპირული მიდრეკილება, ასე ვთქვათ, კოდირებულიც კია. ძალადობის, ზემოქმედების ნებისმიერი ფორმა და ამით მიზნის მიღწევა აძლევს სწორედ მათ საშუალებას ეს ენერგია წაიღონ სხვა ცოცხალი არსებებისაგან, თუმცა როგორც ნახეთ ბუნებაში ყველაფერი კანონზომიერებას ექვემდებარება.

ახლა კი იმ მდგომარეობას აღვწერ როდესაც ჭარბი აქტიურობიდან, სულიერი სიჯიუტიდან გამოსვლა იწყება და გეზი ზომიერი აქტიურობისკენ, სულიერი შეუპოვრობისკენ მიემართება ე. ი. გარემოს შეცნობისკენ. გარემოს შეცნობა საკუთარ „მე“-ში პრანას იგივე სულიერი მსხვერპლშეწირვის მამაკაცური საწყისის წარმომადგენლობითი ნაწილია. მის არსობრივ დატვირთვაში სულიერი შეუპოვრობის, ზომიერი აქტიურობის სისტემით ცხოვრების იდეალიზირება მოიაზრება, რომელიც გარემოში არსებულ მატერიალიზირებულ ცოცხალ არსებებს ამ პიროვნების ჭეშმარიტ დამხმარედ აქცევს არსებული რეალობის სათანადოდ გარჩევის, ჭეშმარიტად ობიექტურად შეფასების საქმეში.

მატერიალიზირებული ცოცხალი არსებების ეს კატეგორია ინდივიდუალური სულების ფუნქციონალური (წამოსახვითი) ინტერესების შეგრძნების სურვილით არის დამუხტული. ინდივიდუალურ სულებში არსებული სულიერი ჭუჭყის გან(რ)წმენდა-გასუფ-

თავებაზე არ ზრუნვა არის ყველაზე უარესი რამ, რაც კი საერთოდ შეიძლება წარმოიდგინოს ამ კატეგორიის მატერიალიზირებულმა ცოცხალმა არსებამ. ამისათვის ყველაზე მცირეს, რასაც ისინი აკეთებენ არის მორალური პრინციპების უზადოდ და ზედმიწევნით დაცვა, ხოლო ყველაზე დიდი კი, მათგან გამომდინარებული საქმიანობაში, გახლავთ საკუთარი ამბიციების გრძნობად, ჭეშმარიტ გრძნობად გარდაქმნა, სულიერი სიყვარულის მატების ძიება თავისში იმ მატერიალიზირებულ ცოცხალ არსებასთან მიმართებაში ამის გამოვლინებით, რომლებიც მის გარშემო არიან და რომლებთანაც განგებას შეყავს იგი პირდაპირ (ან არაპირდაპირ) ვიზუალურ კონტაქტში.

ამ ადამიანების ერთადერთ საზრუნავს (სხვებთან მიმართებაში) თავის გარშემო არსებული ადამიანებისთვის საკუთარი შეხედულებების საკუთარი ინიციატივით არ მიცემა, მათზე არ მოხვევის მიღწევა წარმოადგენს. სიყვარულის ცნებას ეს ცოცხალი არსება იმ მეტამორფოზას ეძახის, როდესაც რაღაცა ტიპის დამკვიდრებული, გაწერილი, პროტოკოლური წესრიგი ბუნებრივ, არადაანგარიშებულ ჰარმონიად გარდაიქმნება. ნებისმიერ ახალ ცვლილებას, რომელიც მისი მონაწილეობით ხდება ის უზარმაზარი პასუხისმგებლობით უდგება და ცდილობს საკუთარი ქმედების შედეგად მიიღოს, პოტენციურ რეალობას დიდი მოვალეობის გრძნობით მიუდგეს ანუ თავისი მხრიდან მაქსიმალურად არ დაუშვას შეცდომა. ე. ი. სულიერი ცოდნის მინიჭებისას დაიცვას ის პორციალურობა, რომელიც საჭიროა (არც ნაკლები და, მით უმეტეს, არც მეტი). მეტის მიცემის მიდრეკილება ხომ მასში, სამწუხაროდ, ისედაც იდო. ვფიქრობ, აი სწორედ ამას უნდა გადაეჩვიოს იგი. რაც შეეხება ნაკლები ჭეშმარიტი ცოდნის გაცემას, მეეჭვება რომ ეს პრობლემა არსებობდეს, რამეთუ მაშინ ის პასიურ კატეგორიაში გადავიდოდა, რაც მართლა ჩემთვის არათუ ძნელი წარმოსადგენი, წარმოუდგენელიც კია. ფაქტიურად ეს არსება უნდა მიეჩვიოს იმას, რომ ზედმიწევნით გაითვალისწინოს სხვა ცოცხალი არსებების ნება-სურვილები, ეს არის და ეს, ხოლო თავად რაც შეეხება მას, ეს ის პიროვნება არ არის საკუთარი ნება-სურვილების იგნორირებით, კომფორმიზმით რომ დაიწყოს ცხოვრება. უნდა თუ არა ფაქტიურად მან გონების იმაზე მეტად გამოყენება უნდა დაიწყოს, ვიდრე აქამდე იყენებდა, თუმცა ეჭვი არ მეპარება გონება ყოველთვის ეყოლება დაქვემდებარებული გულზე. ამ არსებამ ექსცენტრიზმით, წარსულის სკურპულოზური ანალიზით უნდა მოახდინოს რო-

გორც თავისი, ისევე მთელი გარემოს ცხოვრების გაუმჯობესება, წარსული და მომავალი ხომ პირდაპირ კავშირშია ერთმანეთთან, ყოველ შემთხვევაში აწმყოზე იგი არ უნდა იყოს აქცენტირებული.

ამ კატეგორიის ადამიანები არანორმალურად, უზომოდ საინტერესონი არიან და უზომოდ დიდი დახმარების გაწევა შეუძლიათ მთელი მატერიალური სამყაროსათვის. ის მუდმივად და ყოველთვის უნდა იყოს კომპეტენტური თვით ნებისმიერ არასტანდარტულ, თუნდაც რადიკალურ კომფლიქტურ, პროვოკაციულ სიტუაციებშიც კი.

ყველაზე მთავარი ნიშან-თვისება ამ კატეგორიის წარმომადგენლებისა გახლავთ ის, რომ ისინი ზეადამიანური, ანგელოზური დონისანი არიან. მათ ჭეშმარიტად ღვთიური ბუნება აქვთ. ამ გზაზე დამდგარი ადამიანები მამა ღმერთთან ყველანაირი ურთიერთობრივი გაუგებრობისა და წინააღმდეგობრივობის აღმოფხვრას ახდენენ როგორც საკუთარი ნებით ისე, თქვენ წარმოიდგინეთ, უნებურადაც კი. საბოლოო ჯამში, ისინი თუ ბოლომდე შეუპოვრად მიჰყვებიან ამ გზას ჭეშმრიტად სულიერ გასხივოსნებასა და სრულ გათავისუფლებას მიაღწევენ.

მათით ინტერესდებიან მხოლოდ და მხოლოდ პასიურობიდან ზომიერ აქტიურობაში გადასვლის მსურველი ადამიანები ან თავისნაირივე ჭარბი აქტიურობიდან ზომიერ აქტიურობაში გადასვლის მსურველი ადამიანები და ამათთვის ამ კატეგორიის ადამიანებს მოაქვთ ნეტარება ანუ მათთან ურთიერთობების შემდგომ ამ ადამიანებს ამ ურთიერთობების შედეგად მიღებული შეგრძნებებისა და ცოდნის გახსენებისა და ხელახლა ურთიერთობებში მათთან შესვლის გარდა სხვა სურვილები უბრალოდ აღარ რჩება.

IV თავის მოკლე ფასეულობრივი აღწერა

როგორც სხვა თავებში, აქაც პრანამაიას აღარ შევეხები და მხოლოდ ჰრანას ძალიან მოკლე საბოლოო განხილვაზე გავამახვილებ ყურადღებას.

პრანას საშუალებით მატერიალიზირებულ ცოცხალ არსებაში არსებული სულიერი ჭუჭყის (ფაქტიურად მატერილიზირებული მიზეზის) ნელი და თანამიმდევრული აღმოფხვრა ხდება როგორც ფუნქციონალურ ისე გარე-ვიზუალიზირებულ დონეზე. ეს ორი მიმართულება ერთმანეთის სრული გადაკვეთისაკენ მიისწრაფის და

თავის განვლილი გზის მანძილზე სულიერი ჭუჭყიდან ერთ ციცქნა სიბინძურის კვალსაც არ ტოვებს.

პრანას დასაკმაყოფილებლად გარდაუვლად აუცილებელია და საჭირო სულიერი მსხვერპლშეწირვის ცნების ჭეშმარიტად აღქმა, შეგრძნება და რეალურად ამის განხორციელება ცხოვრებაში საკუთარი პიროვნების მხრიდან. სულიერი მსხვერპლშეწირვის ცნების ყველაზე საუკეთესო განმარტებად მიმაჩნია საკუთარი ნებით საკუთარი ან სხვათა (ცოცხალ არსებათა) ნება-სურვილების დარღვეულობის პოვნა და ამ ტენდენციის ერთხელ და სამუდამოდ აღმოფხვრა საკუთარ პიროვნებაში.

პრანას ჭეშმარიტად დაკმაყოფილების საშუალებით და დაკმაყოფილების შემდგომად მატერიალიზირებული ცოცხალი არსება ჭეშმარიტად კმაყოფილებით და სიამოვნებით აღსავსე ცხოვრებით იქნება დაკავებული მატერიალურ სამყაროში ყოფნის, ინდივიდუალურ მატერიალურ სხეულში არსებობის პერიოდში. მიუხედავად იმისა, რომ ამ ადამიანებს მყარად ექნებათ გაცნობიერებული საკუთარი სულის პირველადობა საკუთარ სხეულთან შედარებით და უფრო მეტიც, საკუთარ „მე“-ს სულთან გააიგივებენ, ხოლო „ეგო“-ს სხეულთან, ისინი არანაირი კომფლიქტის ინსპირაციას არ მოახდენენ ამითი. პირიქით, სხეული შეეცდება სულის ღირსეული თანაშემწე და დამხმარე გახდეს სულიერი ჭუჭყის სულიერ სისპეტაკედ გარდაქმნის საქმეში.

პრანაში გადასული მატერიალიზირებული ცოცხალი არსება ფაქტიურად თავად მამა ღმერთისა და სულიწმიდის პირადი დაინტერესების სფეროშიც კი ხვდება, ისე რომ, უსაფრთხოებაზე ან წინააღმდეგობაზე თუა ლაპარაკი, სამყაროს უზენაესი და სამყაროს უწმინდესი პიროვნების პირადი კონტროლის ქვეშ ყოფნის შეგრძნება პიროვნებას ყოველთვის მათთან უფრო მეტად დაახლოვებს, რამეთუ დარწმუნებული იქნება, რომ მათი ნებით იქნება მისი დაჯილდოვებაც, მისი გამოცდაც და, თუ ასეთი რაღაცა შეიძლება ითქვას, მისი დასჯაც. სინამდვილეში ეს ყველაფერი ადამიანური ტერმინებია. ეს ცოცხალი არსება უმაღლესი იერარქიიდან ზედმიწევნით ობიექტურად მიიღებს საპასუხო შედეგებს იმისა, რა ქმედებებსაც ჩაიდენს.

V თავი
ანნა
საკუთარი „მე“-ს ინიციატივაზე უარის თქმის მეხუთე საფეხური

საკუთარ არსში დამკვიდრებული და შეგრძნებულიც კი, სულიერი ცოდნა კატერგორიულად არ უნდა გავცე ჩემი „მე“-ს ინიციატივით, თუნდაც იმისათვის, ვისაც რაიმენაირი სახით სურს ამის მიღება და მით უმეტეს ვისაც ეს საერთოდ არ სურს.

ანნას შესასრულებლად საჭირო მოთხოვნები პირდაპირ ყალიბდება და გამომდინარეობს პრანას ჯეროვნად შესრულება-ვერშესრულების შედეგობრივი მაჩვენებლიდან. ეს არის არასაკმარისად შესრულებული სულიერი მსხვერპლშეწირვის გადასვლა ე. წ. სულიერი საკვების მიღების აუცილებლობაში. ესეც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი, ამჯერად ბოლო ნაწილია საკუთარ (არასაჭირო) ინიციატივებზე უარის თქმის საქმეში.

აქაც პირველ რიგში ცხრილურ ჩანახაზს გავაკეთებ როგორც ანნასი ისევე ანნამაიასი, რათა თვალნათელი გახდეს ის, თუ ზოგადად რაზეა ლაპარაკი. შემდგომ ამისა შევეცდები თითოეული დეტალის შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად სიღრმისეულად და გასაგებად გახსნას.

ანნა – განგების მიერ მონიჭებული უფლება. სულიერი საკვები	
მამაკაცური საწყისი შინაგანი ქაოსი – აღსარება (დასამკვიდრებელი ცნობიერება)	ქალური საწყისი შინაგანი წესრიგი – მონანიება (დამკვიდრებული ცნობიერება)
ანნამაია – საკუთარი ინიციატივით აღებული უფლება. მატერიალური საკვები	
მამაკაცური საწყისი გემოვნება – უპირობითობების შემოტანა (ოცნებები)	ქალური საწყისი აზროვნება – პირობითობების გაზრდა (ეჭვები)

ეს იქნება განგების ნების რეალიზაციის საშუალებად გადაქცევისთვის საჭირო საქმიანობის ბოლო საფეხური.

მატერიალური საკვები და სულიერი საკვები

„მატერიალური საკვების“ მიღების სურვილი (აუცილებლობა) ანნამაიას პირდაპირ გამოვლინებას წარმოადგენს. მატერიალური საკვების მიღების აუცილებლობის მიზეზი მატერიალიზირებული ცოცხალი არსების მიერ საკუთარი მატერიალური ნაწილის საკუთარ „მე“-სთან იდენტიფიკაციის შედეგად წარმოიქმნება. ეს ძირითადად ორი ფაქტორით იქნება განპირობებული:

1) პიროვნებაში ჩარჩენილი პასიურობის შედეგად, რომლის დროსაც შიგნით არსებული შინაგანი სულიერი ენერგიის გადამუშავება არ ხდება და მატერიალური უხეში ენერგიით ხდება ორგანიზმის მატერიალური სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნება და გამოკვება.

2) პიროვნების მიერ ჭარბი აქტიურობის შედეგად შინაგანი სულიერი ენერგია არ (ან საკმარისი რაოდენობით არ) რჩება და ამ შემთხვევაშიც საჭირო ხდება მატერიალური უხეში ენერგიით მატერიალური სხეულის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნება და გამოკვება.

როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში საკუთარი ინიციატივით ხდება საკვების რაციონისა და რაოდენობის შერჩევა საკუთარი მატერიალური სხეულისთვის. ეს მართლაც საბოლოო შედეგობრივი მაჩვენებელი გახლავთ მატერიალიზირებულ ცოცხალ არსებაში. რაც უფრო დიდი რაოდენობით აქვს ადამიანს მატერიალური საკვების მიღების მოთხოვნილება, მით მეტია მასში დარღვევა ერთი ან მეორე მიმართულებით.

ფრიად საინტერესოა ის ფაქტი, რომ პასიურობაჩაგროვილი მატერიალიზირებული ცოცხალი არსება ძირითადად ცდილობს, არც მეტი და არც ნაკლები, ტვინი გამოკვებოს ე. ი. ყველა ის ნაწილი მატერიალურ სხეულში, რომელსაც დაახლოებით გონების მასალის სტრუქტურა გააჩნია ანუ ცხიმოვანი, ლორწოვანი, რბილი ბოჭკოვანი, ნერვიულ-ქსელური წარმონაქმნები. სწორედ ამ ჩამონათვალში არსებული ე. წ. ნივთიერებები უზრუნველყოფენ ადამიანში და საერთოდ, ზოგადად ნებისმიერ ცოცხალ არსებაში ჩაგროვილი სულიერი ენერგიის აკუმულირებას და, რაც ფრიად სამწუხაროა, მის არაფუნქციონალურ, არამიზნობრივ გამოვლინებას. რაც შეეხება ჭარბი აქტიურობის შედეგად ენერგიის ნაკლებობის მქონე მატერიალიზირებულ ცოცხალ არსებებს, ისინიც ძირითადად ცდილობენ ტვინის მოქმედებისთვის საჭირო საშუალებების გამოკვე-

ბას ე. ი. ყველა ის ნაწილი მატერიალურ სხეულში, რომელსაც დაახლოებით გრძნობის მასალის სტრუქტურა გააჩნია ანუ სისხლძარღვოვანი სისტემები, კუნთები, სახსრები, მცენარეული წარმონაქმნები. ამ ჩამონათვალში არსებული ე. წ. ნივთიერებები კი უზრუნველყოფენ ზოგადად ნებისმიერ მატერიალიზირებულ ცოცხალ არსებაში მატერიალური სხეულის ენერგიულ მოქმედებას ორგანიზმში ენერგიის მარაგის არ არსებობის შემთხვევაშიც კი. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ამ სისტემაზე გადართული არსება ფაქტიურად საკვებს არ აწვდის, ან ძალიან ცოტა რაოდენობით აწვდი, ცხიმოვან, ლორწოვან, რბილ-ბოჭკოვან და ნერვულ წარმონაქმნებს. ამიტომ ის ყოველთვის იმაზე გამხდარია, უფრო მსუბუქია, ვიდრე შესაბამისად საჭირო მდგომარეობაში უნდა იყოს, ხოლო პირველად მოყვანილი შემთხვევისას კი, ადამიანი ყოველთვის იმაზე მეტი მასისაა, ვიდრე ეს მის ნორმალურ წონას შეესაბამება.

აგრეთვე შეიძლება მეორე, ფრიად დამახასიათებელი ნიშანთვისებაც მოვიყვანოთ. კერძოდ, პასიურობით მცხოვრები ცოცხალი არსება აზროვნებას კვებავს მატერიალური საკვებით, ანუ ის კვებავს თავის არგამოთქმულ დამალულ შეხედულებებს, ეჭვებს, მერყეობას, გაორებულობას და ა. შ. მას თავის ფიქრებში ათასი სხვადასხვა პირობითობები შემოაქვს, რომლებიც, ძირითადად, არსებული ნეგატიურობის მკვეთრ გამუქებას ახდენენ. ამ, თავისი ფიქრების განხორციელებისა, მის ავტორს თავადვე საშინლად ეშინია, მაგრამ ისინი იმდენად ხდებიან მისი რეალური აღქმის ნაწილი, რომ მათგან გათავისუფლებას ვეღარ ახერხებს და, ფაქტიურად, შიშებისაგან დაკარგული ენერგიის ანაზღაურებას ცდილობს მატერიალური უხეში საკვებით. ამ აზროვნებად და შიშებად კი, სწორედ ის სულიერი გარდაიქმნება, რომელიც აკუმულირდა.

რაც შეეხება ჭარბი აქტიურობით მცხოვრებ ცოცხალ არებებს, ისინი საკუთარ გემოვნებას კვებავენ მატერიალური საკვებით, ანუ ისინი კვებავენ არ გამოთქმულ დამალულ ნება-სურვილებს, ოცნებებს, ზედმეტ თავდაჯერებულობას, სითამამეს და ა. შ. ამ არსებებს თავის წარმოსახვაში ათასი სხვადასხვა ტიპის უპირობითობები შემოაქვთ, რომლებიც ძირითადად არსებული პოზიტიურობის მკვეთრ გათეთრებას (გაუმჯობესებას) ახდენენ. თავისი ოცნებების განხორციელებისა მის ავტორს თავად სჯერა რომ შეძლებს, მაგრამ რეალურად, ცხოვრებაში როდესაც ამ ოცნებას რეალობა თუნდაც ოდნავადაც არ დაემთხვევა, პიროვნება საშინლად ღიზი-

ანდება, მაგრამ ოცნების განხორციელებაზე იმედს თავს კი არ ანებებს, ჯიუტად განაგრძობს რეალობის სასურველ მცნებასთან დაახლოვებას, თუმც, აქედან კარგი არასოდეს არაფერი გამოდის. მოდით, თემატიკად დავუბრუნდები და ვიტყვი, რომ ეს ცოცხალი არსებები მატერიალური საკვებით იმ ენერგიის ანაზღაურებას ცდილობენ ოცნებათა გარდაქმნის პროცესში საკუთარი წარმოსახვის დონეზე საკუთარი რეალობის დანახვასა და მოსმენაში, და თუნდაც შეგრძებაშიც რომ დახარჯეს.

სულიერი საკვების მიღების სურვილი ანნას პირდაპირ გამოვლინებას წარმოადგენს. სულიერი საკვების მიღების აუცილებლობის სურვილი მატერიალიზირებული ცოცხალი არსების მიერ საკუთარი „მე“-ს საკუთარ ინდივიდუალურ სულთან იდენტიფიკაციის შედეგად წარმოიქმნება. ეს ძირითადად ორი ფაქტორით შეიძლება იყოს განპირობებული:

1) პიროვნებაში პასიურობის შედეგად ჩარჩენილი სულიერი ენერგიის გამოსაღვიძებლად და ემოციური დონიდან გონებისმიერ დონეზე მის დასახარჯავად.

2) პიროვნების მიერ ჭარბი აქტიურობის შედეგად დახარჯული მთელი სულიერი ენერგიის პირიდაპირ სულიერი საკვების საშუალებით აღსადგენად და ახალი საქმიანობის საკეთებლად.

ორივე შემთხვევაში მეტად საჭირო და ჭეშმრიტად საკეთებელი რამ ხდება. კერძოდ, პასიურობის გააქტიურობა ხდება პირველ შემთხვევაში, ხოლო ჭარბი აქტიურობის ზომიერ აქტიურობაში გადაყვანა ხდება მეორე შემთხვევაში. პირველ შემთხვევაში, შინაგანი წესრიგის გარდაქმნა ხდება ტრანსცენდენციად, ცოცხალ მყისეულ შეგრძნებად. ეს ღვთაებრივი ცხოველმყოფელური პროცესია, როდესაც წარსულის გადაფასება ხდება. ამ შემთხვევაში წარმოუდგენლად დიდი დამხმარე საშუალებაა მონანიება. მონანიების საშუალებით ხდება უმნიშვნელოვანესი რამ, კერძოდ წარსულში მომხდარ მოვლენებზე და წარსულში შეხვედრილ პიროვნებებზე მიჯაჭვულობისაგან გათავისუფლება, განკითხვისაგან გასვლა, უსამართლობის შეგრძნების ამოძირკვა და აბსოლუტურად ყველაფრის ობიექტურ რეალობად მიღება. შედეგად ხდება წარსულიდან აწმყოში გადმოსვლა და მიმდინარე წამით ცხოვრებაზე გადართვა (რა თქმა უნდა, ეს ყველაზე სასურველ, იდეალურ შემთხვევაში).

მეორე შემთხვევაში კი, ჭარბი აქტიურობის ზომიერ აქტიურობაში გადაყვანის შემთხვევაში ხდება შინაგანი ქაოსის გარდაქმნა ჰარმონიად, მდგრად ძლიერ მყუდროებად. ესეც, რა თქმა უნდა,

ღვთიური პროცესია, როდესაც საკუთარი ინიციატივით დაგეგმარებული მომავლის გადაფასება ხდება. ამ შემთხვევაში წარმოუდგენლად დიდ დამხმარედ გვევლინება აღსარება. აღსარების საშუალებით ხდება მომავალში საკუთარი შეხედულებით დაგეგმარებული სასურველი მოვლენების გადაფასება და საკუთარ ოცნებებზე მიჯაჭვებულობისაგან გათავისუფლება. ყველაზე მნიშვენლოვანი კი რაც ხდება, ეს გახლავთ მამა ღმერთის პიროვნებაზე საკუთარი თავის დამორჩილების სურვილის გამოთქმა და ამის სერიოზული მცდელობა საკუთარ პიროვნებაში. სწორედ მამა ღემთთან ხდება აღიარება საკუთარი ზედმეტობისა ანუ მომავალში საკუთარი შეხედულებით აწყობის სიმცდარის აღიარება და თხოვნა იმისა, რომ პატიებულ იქნას იგი საკუთარი საქციელისათვის. ამ შემთხვევაში უმთავრესი გახლავთ ის, რომ ადამიანმა, მისმა გულმა ჭეშმარიტად მოახდინოს მომავალში გათვალისწინებული ოცნებებისაგან გათავისუფლება და აწმყოში მიმდინარე მოვლენების საჭიროდ და ჭეშმრიტად ობიექტურად მართვა დაიწყოს. დაუბრუნდეს ობიექტური რეალობის მიმდინარეობას.

მოკლედ თუ ჩამოვაყალიბებთ, მივიღებთ, რომ ანნაში მამაკაცურ საწყისში მატერიალიზირებული ცოცხალი არსება ოცნებებიდან უნდა გამოვიდეს და მათ ადგილას სულიერი ცოდნით უნდა ჩაანაცვლოს დასამკვიდრებელი ჭეშმარიტების შესახებ, ხოლო ქალურ საწყისში ეჭვებისაგან უნდა გამოვიდეს და მათ ადგილას სულიერი ცოდნით უნდა ჩაანაცვლოს დამკვიდრებული ჭეშმარიტების ანუ ზოგადი ცნობიერების შესახებ.

აზროვნება (ეჭვები) და შინაგანი წესრიგი (ტრანსცენდენცია)

აზროვნება ანნამაიას იგივე მატერიალური საკვების მიღების აუცილებლობის ქალური საწყისის წარმომადგენლობითი ნაწილია. მის არსობრივ დატვირთვაში სულიერი სიზარმაცის, პასიურობის სისტემით ცხოვრების შედეგად მიღებული ნაწილის განეიტრალება მოიაზრება და მას გარე მატერიალური უხეში საკვების საშუალებებით მომარაგებისა და უზრუნველყოფის აუცილებლობის წინაშე აყენებს.

იქამდე, ვიდრე ე. წ. პასიურობა ნებისმიერი ფორმით ჩაგროვებული, მატერიალიზირებული, განხორციელებული სახით გამოვლინებული არსებობს, მატერიალიზირებულ ცოცხალ არსებაში,

მასში აუცილებლად იარსებებს აზროვნება, რომელიც შემდგომ აუცილებლად გარდაიქმნება ეჭვებში. ეს გამოიხატება იმით, რომ სტატუსკვო ანუ არსებულ დამკვიდრებული პირობითობების სისტემაში ამ არსებას შემოაქვს თავის მიერ გამოგონებული პირობითობები. ისინი მის თავში ყოველთვის ერთი და იმავე ტონალური ინტონაციებით იწყება: „ეს კი ასეა, მაგრამ ის, ასე და ასე რომ მოხდეს...“ და ამ „ასე და ასე“-ში ყოველთვის ანგარიშობს ნეგატიურს, რაიმეს თავისი მატერიალური სხეულის (გონების) გადასახედიდან ცუდს, შემდეგ აჰყვება ამ თავის ჰიპოთეზებს, უფრო გააღრმავებს, გაზრდის და ვიდრე საკუთარ თავს პანიკურ შიშებამდე არ მიიყვანს არ გაჩერდება. თანაც, მხოლოდ იმიტომ ჩერდება, რომ მეტი ფიქრის თავი, უბრალოდ, არარა აქვს იმდენად იღლება, რომ არაქათი ეცლება და ტვინგადაღლილი და დამძიმებული იწყებს დამწუხრებული გლოვას იმის გამო, რომ თურმა რამდენი უბედურება და სატკივარი ელოდება წინ. ეს წარმოდგენილი ნეგატიურობა მისი ცხოვრების რეალობა ხდება თითქოს. ეს ადამიანი საკუთარ თავსაც მწუხარებაში ამყოფებს ამის შემდეგ და სხვა ადამიანებსაც აბა სიხარულს როგორღა მოუტანს. ეს ყველაფერი იმიტომ ხდება, რომ ეს პიროვნება ცალსახად შენარჩუნებაზე ფიქრობს და ზრუნავს და უბრალოდ, იმის ეშინია, რომ არ დაკარგოს ის, რაც გააჩნია, რადგანაც პასიურობის ეს ნაწილი ისე გაჯდა მასში, რომ ძიება რაიმე პოზიტიური სიახლის, საერთოდ აღარ ხდება.

შეიძლება ძალიან გასაკვირად ჟღერდეს, მაგრამ ამ ნაწილში ეს არსება ჭეშმარიტად მკვდარ მდგომარეობაში იმყოფება. სიკვდილის ცნების ჭეშმარიტი გამოვლინება სწორედ რომ აი ეს გახლავთ და არა სულის მიერ სხეულის დატოვების გარდამავალი პერიოდი და სულის სხეულის გარეშე არსებობის შუალედი. პირიქითაც კია, თუ სულს აღარ დაუდგება იმის აუცილებლობა, რომ ახალ მატერიალურ სხეულში ჩასახლდეს და სულიერ სამყაროში ნატურალური, ბუნებრივი სახით გააგრძელოს არსებობა სწორედ რომ ეს არის ჭეშმარიტად სრულყოფილი და ნამდვილი სიცოცხლის გამოვლინება.

ამ კატეგორიის წარმომადგენელი მატერიალიზირებული ცოცხალი არსებები, რბილად რომ ითქვას, მომავალს ჯეროვნად არ აფასებენ, უფრო სწორედ მომავლისთვის აუცილებელი ევოლუციური განვითარებისთვის საჭირო ცნობიერების შეცნობა არ სურთ და წარსულში განვლილი მომხდარი მოვლენების აშკარად ზედმეტი გადაფასებით, ემოციურ შეგრძნებაზე მიჯაჭვულობით ცხოვ-

რობენ. აი, ეს აგდებთ მათ ასეთ არცთუ სახარბიელო, სავალალო მდგომარეობაში. თუ პიროვნებას თვითონ არ გაუჩნდება სურვილი „თვალის ახელისა“ და აქედან გამოსვლისა, ჩაკეტილი გონების გახსნის საშუალებით, მისთვის რჩევა-დარიგებებისა და მისი დაკვალიანების თუნდაც მხურვალე, აქტიურ მცდელობას აბსოლუტურად არავითარი აზრი არ გააჩნია.

თავისდაუნებურად ეჭვები პირდაპირ კრიტიკულ მიდგომას წარმოადგენს განგებასთან მიმართბაში. თუ კონკრეტულად ავიღებთ, ეს არის სულიწმიდასთან დაპირისპირების მდგომარეობაში გადასვლა. სულიწმიდა (დედა ღმერთი) როგორც ბედის ქალღმერთი ყველა ცოცხალ არსებას ყოველთვის ზედმიწევნით ობიექტურად განუსაზღვრავს ცხოვრებისეულ მოვლენებსა და სიტუაციებს და ვინც საკუთარი ცხოვრებისეული მოვლენების მიმდინარეობის დეტალებში ნეგატიურობის ძიებითა და ამ შეხედულებების აღზევებით არის დაკავებული, სურს ეს მას თუ არა, პირდაპირ სულიწმიდას სწამებს ცილს იმაში, რომ იგი უსამართლოდ ექცევა თურმე. შეიძლება ძალიან უცნაურად ჟღერდეს, მაგრამ ეს ყოველივე სწორედ რომ ასეა.

ალბათ საინტერესოა ამ მიმართების საპირისპირო მიმართულება, ანუ თვით პასიურობის შედეგობრივ მაჩვენებელში როგორ უნდა მოხდეს ისეთი მიდგომა, რომ თვით ეს, უკვე შედეგობრივი დონე, დამხმარე საშუალება დახდეს სულიერი ჭუჭყის გან(რ)წმენდისა. ვიდრე აზროვნება ეჭვებში გადაიზრდება პიროვნებაში ამ შედეგობრივ დონეზე არსებობს შინაგანი წესრიგი (გრაფიკული თანამიმდევრული წესი და რიგი). აი, სწორედ ეს წესრიგი უნდა გარდაიქმნას ცოცხალ მოქმედებად, აზროვნება კი ეჭვებში კი არა, არამედ გონების დონეზე ამ შინაგანი წესრიგის წარმოშობისა და ახსნის სურვილითა და საქმიანობით უნდა დაკავდეს. რეალურად, ეს იქნება წარსულზე მიჯაჭვულობისაგან ნელი და ზომიერი, თანამიმდევრული გათავისუფლება და აწმყოს შეგრძნებაზე გადასვლა. მაშინ ეჭვების წარმოქმნა შეუძლებელიც კი გახდება.

შინაგანი წესრიგი ანნას იგივე სულიერი საკვების მიღების აუცილებლობის ქალური საწყისის წარმომადგენლობითი ნაწილია. მის არსობრივ დატვირთვაში სულიერი სიბეჯითის, პასიურობის გააქტიურების სისტემით ცხოვრების სურვილის ჩასახვა მოიაზრება, რომელიც პიროვნებას საკუთარი ინდივიდუალური სულის საკუთარი მატერიალური სხეულის საშუალებით მომარაგებისა და უზრუნველყოფის აუცილებლობის წინაშე დააყენებს, ანუ სხეული

სულის ინტერესების განხორციელების საშუალება გახდება და სერიოზულ დახმარებას გაუწევს.

სწორედ ამაში იმალება იმ საქციელის დედა აზრი თუ რატომ უნდა გამოიყურებოდეს ქალი ყოველთვის მიმზიდველად, ესთეტიკურად სასიამოვნოდ, რომ მასთან ურთიერთობის სურვილი გაუჩნდეს მამაკაცს. მაგრამ აქაც დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რას გულისხმობს ამაში თავად ქალი (მამაკაცზე რომ აღარაფერი ვთქვათ). თუ ეს მიმზიდველობა (მოძრაობა, საუბრის ტონალობა, სახის სილამაზე, ღიმილი, ჩაცმულობა, სიკეკლუცე, სიფაქიზე და ა. შ.) ქალის მიერ მხოლოდ იმისთვის მოიხმარება, რომ საკუთარი სხეული მოანდომოს, ეს მართლაც უკანასკნელი საზიზღრობაა, მაგრამ თუ ქალი თავს მხოლოდ სხეულად მიიჩნევს მას მეტს, პრინციპში ვერც მოსთხოვ. საბოლოო ჯამში, იგი მეძავეობის გზას დაადგება. მაგრამ, თუკი ქალის მიერ ეს იმისათვის მოიხმარება, რომ საკუთარი სული დაანახოს საკუთარი სხეულის საშუალებით და საკუთარ სულთან ურთიერთობა მოანდგომოს მამაკაცს, ეს მართლაც ერთ-ერთი უმშვენიერესი რამაა, რაც კი მატერიალურ სამყაროში არსებობს. საბოლოო ჯამში, ეს ქალი აუცილებლად იპოვის მამაკაცს, რომელიც მასში არსებულ ამ შინაგან წესრიგს შინაგან ტრანსცენდენციად გარდაქმნის, ისინი აუცილებლად გაერთიანდებიან და თავის ურთიერთობრივ მიკროსამყაროში სრულყოფილ ბენდიერებაში გალევენ მათთვის განსაზღვრული მიწიერი არსებობის პერიოდს.

თავის მოტყუებას არ დავიწყებ და ვიტყვი, რომ ესაა ყველაზე უდიდესი, მთავარი და უმნიშვნელოვანესი რამ, რისი გულისთვისაც ამ მატერიალურ სამყაროში მე მიღირს, რომ დავრჩე და ვიცხოვრო მას შემდეგ, რაც უკვე ვასრულებ ჩემი სულიერი ჭუჭყის გან(რ)წმენდის პროცესს, იმხელაზე, რამხელაზეც მე ამის უნარი მეყო.

ანნა ეს არის უმშვენიერესი პროცესი, სადაც (ქალურ საწყისზეა ლაპარაკი) არათუ ეჭვი, აზროვნებაც კი ვერ იკიდებს ფეხს. თუ პიროვნება პასიურობის შედეგს, შინაგან წესრიგს ტანსცენდენტციად გარდაქმნის ე. ი. გონების თვალით და, რაღა თქმა უნდა, მეორე მატერიალიზირებული, თავისზე მაღლა მდგომი ეთიკური ცოცხალი არსების საშუალებით და უანგარო დახმარებით წარსულზე საკუთარ მიჯაჭვულობებს ზოგად ცნობიერულ დონეზე დაინახავს, აღიქვამს და გათავისუფლდება იმ ემოციებისაგან, რომლებსაც ის გრძნობად მოიხსენიებდა. რა თქმა უნდა, აქ ლომის

წილი ამ პიროვნების მიმმართველზე, სულიერ მოძღვარზე, მეგობარზე, ჩემი სახელმძღვანელოების დონიდან, ჭეშმარიტ მეუღლეზე (ქმარზე) მოდის, მაგრამ თუ თავად მისგან, ამ შემთხვევაში ცოლისაგან, არ მომდინარეობს ეს მიმართულებითი სურვილი, სამწუხაროდ, ამ საქმიდან მსგავსი ვერაფერი არ გამოვა.

გემოვნება (ოცნებები) და შინაგანი ქაოსი (ჰარმონია)

გემოვნება ანნამაიას იგივე მატერიალური საკვების მიღების აუცილებლობის მამაკაცური საწყისის წარმომადგენლობითი ნაწილია. მის არსობრივ დატვირთვაში სულიერი სიჯიუტის, ჭარბი აქტიურობის სისტემით ცხოვრების შედეგად მიღებული ნაწილის განეიტრალება მოიაზრება გარე მატერიალური უხეში საკვების საშუალებით, რომელიც პიროვნებას მატერიალური სხეულის გარე დამხმარე საშუალებებით მოძიებისა და გამოყენების, ათვისების აუცილებლობის წინაშე აყენებს.

იქამდე, ვიდრე ე. წ. ჭარბი აქტიურობა ნებისმიერი ფორმით წარმოსახული, განსახორციელებელი სურვილის სახით გამოსავლინებლად გათვალისწინებული არსებობს მატერიალიზირებულ ცოცხალ არსებაში, მასში აუცილებლად იარსებებს (მამა ღმერთის შეხედულებებისაგან განსხვავებული შეხედულებები), რომლებიც შემდგომ აუცილებლად გარდაიქმნება ოცნებებში. ეს ზოგადად გამოხატული იქნება იმით, რომ სტატუსკვო ანუ არსებულ დამკვიდრებულ უპირობითობების სისტემაში ამ არსებას მოუნდება შემოიტანოს თავის მიერ გამოგონებული უპირობითობები. ისინი მის გულში ყოველთვის ერთი და იმავე სიხშირით ფეთქავენ და ამტკიცებენ, რომ ის, რაც არსებობს და არის, ისე კი არ უნდა იყოს, არამედ ისე, როგორც ეს მას სჯერა და სურს. ამ რწმენასა და სურვილში ეს არსება ყოველთვის გულისხმობს პოზიტიურს თავისი მატერიალური სხეულის მგრძნობელობით, შეგრძნებად რეალობაში არსებულს, ანუ სურს ეს არსებული პოზიტიურობა უფრო დადებითი, ფუნქციონალურად პროდუქტული, უფრო პოზიტიური მუხტის მქონე იყოს. შემდეგ, აჰყვება რა ამ თავის ჰიპოთეზებს, უფრო აღრმავებს, ზრდის და ვიდრე საკუთარ პიროვნებას მთლიანად არ მოსწყვიტავს მიმდინარე რეალობას, იქამდე არ ანებებს ამ მოქმედებას თავს. ამ დაწვრილებით განხილვასაც მხოლოდ იმიტომ ანებებს თავს, რომ არავინ აღარ რჩება თავის გარშემო, ვისაც მოუნ-

დება იმის გაზიარება, რასაც ასეთი სათუთი მოწიწებითა და დიდი სიყვარულით უდგება. ამ არსებაზე, შეიძლება ითქვას, რომ მან თავისი გემოვნება ოცნებების შექმნაში გადაიყვანა, მაგრამ ამ ოცნებებში არავინ აღმოჩნდა მის გვერდით. ეს ყველაფერი კი იმიტომ ხდება, რომ ეს პიროვნება ცალსახად ძიებაზე ფიქრობს, უკვე მოძიებული ჯერ არა აქვს რეალურ მატერიალურ დონეზე ნაპოვნი და განხორციელებული და წარმოსახვის დონეზე არსებული, მოძიებულის საშუალებით, უფრო ღრმად ძიებისკენ იღებს გეზს. მას განუწყვეტლივ სურს სიახლის შემოტანა თავის შიდა არსში. შედეგად, იგი არ მარტო წარსულს, არამედ აწმყოსაც სრულად სწყდება და თავის გარშემო არსებული მატერიალური ცოცხალი არებებისათვის სრულიად გაუგებარი, ძალიან ძნელად გასაგები და აღსაქმელი ხდება. მათ რატომღაც ხომ უნდა მოინდომონ დიდი შრომა გასწიონ და ჩაუღრმავდნენ ამ შეხედულებებს. ეს კი, რეალურად მხოლოდ ამ შემთხვევაში უნდა მოხდეს, თუ ეს განგების ნების გამოვლინების ინტერესებში იქნება. ისე რომ, ვიდრე ოცნებები განგების ნების ინტერესებზე არ აეწყობა (დროით-სივრცობრივ ჭრილში როგორც მინიმუმ) ეთიკური კანონების დარღვევის გარეშე მარტოობიდან თავის დაღწევის არანაირი შანსი არ ექნება.

ფრიად გასაკვირად გაისმება, მაგრამ ამ კატეგორიის ადამიანები მეტისმეტად ცოცხალი ინტერესებით, გარემოსთვის პროვოკაციული ინფორმაციის შემოტანით არიან დაინტერესებულნი. ისინი რეალურად ახერხებენ „დროის გასწრებას“ ე. ი. აწმყოში არსებულ ზოგად ცნობიერებაზე უფრო დიდ ცნობიერებაში წვდომას, მაგრამ, თუ მათ მიერ მიგნებული ეს ახალი ცნობიერება დასამკვიდრებელ ჭეშმარიტებას, მინიმუმ ძალიან დიდ ნაწილში არ ემთხვევა, მათი განწირული სულისკვეთება უდაბნოში მღაღადებლის ხმად დარჩენის რეალური კანდიდატია.

ამ კატეგორიის წარმომადგენლები, რეალურად რომ შეფასდეს, წარსულს ჯეროვნად არ აფასებენ, საჭიროდ არ უღრმავდებიან უკვე დამკვიდრებულ ზოგად ცნობიერებას. სამაგიეროდ, ზედმეტად აფასებენ, ზედმეტად დიდ ყურადღებას აქცევენ მომავალსა და მასში მოსახდენ მოვლენებს აშკარად ზედმეტი პირადი ინიციატივიანობით უღრმავდებიან. ამით, თავისდაუნებურად, ისინი განგების ინტერესებთან და განგების მიერ მამაკაცურ საწყისში პირად წარმომადგენლად დანიშნული პიროვნების, სამყაროს უზენაესი პიროვნების, მამა ღმერთის დაპირისპირებაში ხვდებიან. ეს, არცთუ ისე ძნელი გასაგებია. მამა ღმერთი ხომ, პრინციპში, უშუა-

ლოდ პირადად ამტკიცებს დასამკვიდრებელ ჭეშმარიტებას თავის ფუნქციონალურ და ვიზუალურ ნაწილში.

როგორ უნდა შეძლოს ამ კატეგორიის ცოცხალმა არსებამ საკუთარი ოცნებები დასამკვიდრებელ ცნობიერებას შეუსაბამოს და, უფრო მეტიც, მისთვის დასამკვიდრებელი ცნობიერების მიგნება უფრო მნიშვნელოვანი გახდეს, ვიდრე საკუთარ გულში ჩასახული განსხვავებული გემოვნების ოცნებებად გარდაქმნა. კიდევ უფრო მეტიც შეიძლება ითქვას, როგორ უნდა შეძლოს საკუთარ გულში არსებული მამა ღმერთისადმი უმწიკვლო და უანგარო ერთგულებად და აბსოლუტურ ნდობად გარდაქმნას. ამაზე დიდი მიზანი, პრინციპში, ამ არსებებისთვის უბრალოდ შეუძლებელია არსებობდეს მათივე საკეთილდღეოდ.

შინაგანი ქაოსი ანნას იგივე სულიერი საკვების მიღების აუცილებლობის მამაკაცური საწყისის წარმომადგენლობითი ნაწილია. მის არსობრივ დატვირთვაში სულიერი შეუპოვრობის, ჭარბი აქტიურობის ზომიერ აქტიურობაში გადაყვანის სისტემით ცხოვრების სურვილის ჩასახვა მოიაზრება, რომელიც პიროვნებას საკუთარი ინდივიდუალური სულის მიერ საკუთარი ინდივიდულური სხეულის ინტერესების გათვალისწინებისა და უზრუნველყოფის აუცილებლობის წინაშე დააყენებს. სული სულიერი ჭუჭყის წარმოჩინებულ ნაწილს (სხეულის სახით) გან(რ)წმედასა და გასპეტაკებაში დაეხმაება.

სწორედ ამაში იმალება დედა აზრი იმისა, თუ რატომ უნდა იყოს მამაკაცი ყოველთვის მიუკერძოებლად ობიექტური, ეთიკურად სამართლიანი, რომ მასთან ურთიერთობისას ქალს მის უანგარობასა და მისდამი სანდოობაში იოტისოდენა ეჭვი არ შეეპაროს. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაშიც უზარმაზარი მნიშვენლობა აქვს რა მიზანი ამოძრავებს მამაკაცს. თუ მას მატერიალურ სამყაროში მაქსიმალური სიამოვნების მიღების სურვილი ამოძრავებს, ეს ობიექტურობით მიდგომა გარდაუვლად ბუტაფორიული იქნება და მთელი მისი საქმიანობა სპეკულაციაზე იქნება აწყობილი. ეს კი, იმ შემთხვევაში მოხდება თუკი მამაკაცს საკუთარი „მე“ სხეულთან აქვს გაიგივებული. მაგრამ, თუკი ის საკუთარი „მე“-ს ინდივიდუალურ საკუთარ სულთან აიგივებს მაშინ მისი უმთავრესი მიზანი სულიერ სამყაროში დაბრუნება იქნება და სხვებისთვისაც (ამ შემთხვევაში ქალისთვის) სულიერ სამყაროში დაბრუნებაში დახმარების გაწევა იქნება. მაშინ მისგან გამომდინარე ობიექტურობა ჭეშმარიტი, არაბუტაფორიული იქნება და მამა ღმერთი მას დასამ-

კვიდრებელი ცნობიერების შესაბამის სულიერ ცოდნას აზიარებს. ის, ამ შემთხვევაში, სრულიად განეჯაჭვება მატერიალურ სამყაროს, თუმცა მატერიალურ სამყაროში უზარმაზარ ბედნიერებასა და სიხარულს მოუტანს ყვალას და ჭეშმარიტ სამართლიანობას, უანგარობასა და ობიექტურობას დაამკვიდრებს განგების მიერ მისთვის განსაზღვრული და მინიჭებული სამფლობელოს საზღვრებში. ის მოახდენს საკუთარ მატერიალურ სხეულში არსებული შინაგანი ქაოსის ჰარმონიად გარდაქმნას, გამორიცხავს ძალადობის ყოველგვარ გამოვლინებას თავისი მხრიდან და ყველგან, სადაც ეს მისი უფლებრივი მართვის ნაწილში იქნება გამოვლენილი, აღკვეთს.

ქალთან, თავის შესაბამის, ჭეშმარიტად ღირსეულ მეწყვილესთან ურთიერთობა შინაგანი ქაოსის ჰარმონიად გარდაქმნის საქმეში უპირველეს და უმნიშვნელოვანეს პროცესს წარმოადგენს. სწორედ მამაკაცის მხრიდან თავის მეორე ნაწილთან, თავის მეუღლესთან უნდა მოხდეს, პირველ რიგში, მამა ღმერთის მიერ მისთვის მინიჭებული დასამკვიდებელი ცნობიერების სულიერი ცოდნის სახით პროციალური მიცემა-გაზიარება. რა თქმა უნდა, ეს უნდა მიმდინარეობდეს ქალის მხრიდან მომდინარე სურვილითა და მისი ცხოველი ინტერესით. წინააღმდეგ შემთხვევაში, მეუღლეთა ურთიერთობაში აუცილებლად გაჩნდება ბზარი. თუ ქალს აღარ მოუნდება საკუთარი შინაგანი წესრიგის ტრანსცენდენტულ დონეზე გარდაქმნა მათი სრული ერთიანობის სრულყოფილი ფაზა დასრულდება. თუმცა მისათვის მამაკაცის მხრიდან ამის ძალით თავზე მოხვევა საშინლად დიდი, გამოუსწორებელი შეცდომა იქნებოდა.

ფრიად საინტერესოა, რა მეთოდს იყენებს ამ შემთხვევაში კრშნა თავის უსაყვარლეს მეუღლესთან, რუკმინთან, მიმართბაში, როდესაც ეს უკანასკნელი აღარ ცდილობს საკუთარი შინაგანი წესრიგის ტრანსცენდენციად გარდაქმნას კრშნას მხრიდან სულიერი ცოდნის ახალი პორციის მიღების საშუალებით. კრშნა ფაქიზად (და შემდეგ უხეშადაც კი) ახსენებს, რომ თუ იგი (რუკმინი) სულიერად კიდევ უფრო გაზრდისკენ არ მიმართავს თავის ნებას, მათი ურთიერთობები ისეთი არამიწიერი, უბრალოდ, ვეღარ იქნება როგორიც ისინი იყო აქამდე, სანამ რუკმინი კრშნას საერთოდ დაინახავდა (როგორც წარმოსახვით მეუღლეს) და როგორც იყო მას შემდეგ, რაც ის მისი უსაყვარლესი ცოლი გახდა. კრშნა აფრთხილებს მას, რომ თუ ეს ურთიერთობები მატერიალურ სამყაროზე მიჯაჭვულობაში, მატერიალურ სხეულზე მიჯაჭვულობაში გადაიზრდე-

ბა, მაშინ მათ დაშორება მოუწევთ ამის შედეგად, რუკმინს თავზარი ეცემა, რომ შეიძლება, თავისში სულიერი ცოდნის არ მატების სურვილმა, კრშნასთან ურთიერთობა დააკარგვინოს და გონებას კარგავს. რის შემდგომაც, ის გამოგონებული უკვე სხვა თვალით (ისევ სულიერი თვალით) იწყებს კრშნას დანახვას და ისევ უბრუნდება მხურვალე სურვილი ის მასში ჩაგროვებული შინაგანი წესრიგიც, რაც არის ტრანსცენდენციად იქამდე გარდაქმნას, ვიდრე იქნება მატერიალურ სამყაროში. საოცარია კარშნას ტაქტი და, ამავე დროს, მიუკერძოებელი ობიექტურობის გამოვლინება თვით უსაყვარლეს მეუღლესთან მიმართებაშიც კი. ის წამიერადვე იმის შესაბამისად ხდება, რაც ამ პატარა უსიამოვნო მომენტის შემდგომ რუკმინში იდებს ბინას, ამაზე უფრო ღრმა და მნიშვნელოვანი. ცოლ-ქმრული სულიერი ურთიერთობების კრიტიკული მომენტის გადაწყვეტის საკითხში, მე არც არაფერი წამიკითხავს და ალბათ, ვერც ვერაფერს ვეღარ წავაწყდები. ისე მოაგვარო პრობლემა, რომ პირველ რიგში, განგებასთან არაფერი დაარღვიო და, მეორე რიგში, არანაირი ფორმით ნებაყოფილობითობისა და არაძალადობის პრინციპი არ დაარღვიო ცოლთან (როდესაც გულწრფელობის ხარისხი და რაოდენობა არ არის დამაკმაყოფილებელი) ამაზე უკეთ, ჩემის აზრით, უბრალოდ, შეუძლებელია. ეს ასპექტი უბრალოდ, უზომოდ მნიშვნელოვნად მიმაჩნდა და ამიტომ დავუთმე ამხელა ადგილი ჩემი წიგნის პირველი თავის ბოლო დამაგვირგვინებელ ნაწილში.

ვინც სულიერი საკვების მიღებას შეიმცირებს, ის მატერიალურ საკვებს მიეძალება და, დროთა განმავლობაში, მთლიანად გადასული მატერიალურ საკვებზე, მთავარ მიზანს, სულიერ სამყაროში დაბრუნების სურვილს, დაივიწყებს და დაჰკარგავს.

mTlianad I nawilis mokle faseulobrivi aRwera

მამაკაცური საწყისი	**ქალური საწყისი**
ანანდა – განგების ნების რეალიზაციის საშუალებად გარდაქმნილობა **სულიერი განდეგილობა**	
თვითკმარობა – საკუთარ „მე“-ში თავ-დაპირველად არსებული ცნობიერების აღდგენა და მისი ობიექტური შეფასება	სარწმუნოება – მიმდინარე რეალობაში არსებული დარღვეული ნაწილის საზ-ღვრების შესაბამისი ცნობიერების გა-მოვლინება
ანანდამაია – საკუთარი ინიციატივების რეალიზაციის საშუალებად გარდაქმნილობა **წარმართულობა**	
ყოფითკმარობა – მეცადინეობა დამ-კვიდრებული ცნობიერების შესაცნო-ბად და ობიექტურად შესაფასებლად	ვიზუალური რელიგია – მიმდინარე რეა-ლობაში დარღვეული გაკულტებული ნა-წილის რიტუალური დაცვა
ვიჯნანა – განგების მიერ მონიჭებული უფლებამოსილება **ქველმოქმედება**	
მეცნიერება – სტატუსკვო პირობითო-ბების შესრულება	კულტურა – სტატუსკვო უპირობითო-ბების დაკმაყოფილება
ვიჯნანამაია – საკუთარი ინიციატივით აღებული უფლებამოსილება **ანგარებითი თვითუზრუნველყოფა**	
თვითგაკერპება – სტატუსკვო პირობი-თობებში პოზიტიურობის შეტანის მცდელობები	კერპთაყვანისმცემლობა – სტატუსკვო უპირობითობებში არსებული ნეგატიუ-რობის პოზიტიურობად აღქმა
მანო – განგების მიერ დაკისრებული პასუხისმგებლობა **სულიერი სქესობრივი ურთიერთობები**	
შემეცნება – პირობითობების არ შემოტანა	ფუნქციონალური რელიგიურობა – უპირობითობების არ გაზრდა
მანომაია – საკუთარი ინიციაიატივით აღებული პასუხისმგებლობა **მატერიალური სქესობრივი ურთიერთობები**	
გარეგანი ქაოსი – შემოტანილი პირობი-თოებების არ შემოტანა	გარეგანი წესრიგი – შემოტანილ უპი-რობითობებზე მიჯაჭვა
პრანა – განგების მიერ დაკისრებული მოვალეობა **სულიერი მსხვერპლშეწირვა**	
გარემოს შეცნობა – არაჭარბი, ზომიერი აქტიურობა	შემოქმედება – პასიურობიდან გამოს-ვლა გააქტიურებისკენ
პრანამაია – საკუთარი ინიციატივით აღებული მოვალეობა **მატერიალური მსხვერპლშეწირვა**	
გარემოზე ზემოქმედება – ჭარბი აქტიურობა	ზემოქმედება საკუთარ „მე“-ზე – პასიურობა
ანნა – განგების მიერ მონიჭებული უფლება **სულიერი საკვები**	
შინაგანი ქაოსი - აღსარება	შინაგანი წესრიგი – მონანიება
ანნამაია – საკუთარი ინიციატივით აღებული უფლება **მატერიალური საკვები**	
გემოვნება (ოცნებები) – უპირობითობის შემოტანა	აზროვნება (ეჭვები) – პირობითობების შემოტანა

II ნაწილი
სრულყოფილების მიღწევა საკუთარი „მე“-ს გამოვლინების საზღვრებში

არასრულყოფილების კომპლექსის აღმოფხვრა მხოლოდ ჭეშმარიტი სრულყოფილებით შეიძლება ისე, რომ არასრულყოფილებამ ეს განსხვავებულობა სრულად გაცნობიერებული უნდა შეიგრძნოს, ვიდრე ჭეშმარიტ სრულყოფილებად არ გარდაიქმნება.

სრულყოფილების კომპლექსი არასრულყოფილების სრულყოფილებად მონათვლის შედეგად ყალიბდება და მკვიდრდება. სრულყოფილების კომპლექსს მხოლოდ ჭეშმარიტი სრულყოფილება გაუმკლავდება მატერიალურ სამყაროში (რამეთუ სრულყოფილების კომპლექსის არსებობა მხოლოდ მატერიალურ სამყაროებში და ქვესამყაროებშია შესაძლებელი) და აზრს კი, ალბათ, ძნელად თუ (უფრო სწორედ ვერ) შეაცვლევინებს, მაგრამ მავნე შეხედულებების გავრცელებას და დამკვიდრებას აღმოფხვრის ამ სრულყოფილების კომპლექსის მატარებელ წარმომადგენლობით ნაწილთან ერთად.

იმ ნაწილთან შედარებით, რომელსაც ჩემთან შედარებით მეტი არასრულყოფილება ანუ უფრო მეტი არასწორად შეფასებული შეხედულებები გააჩნია და ეს აწუხებს ანუ არასრულყოფილების კომპლექსით (შეგრძნებით) არის დაავადებული, მათთან მიდგომისას მე უფრო ნაკლებად უნდა მინდოდეს მათ გაასწორონ ეს არასწორად შეფასებული შეხედულებები და სწორად შეფასებულ შეხედულებებად გადააქციონ, ვიდრე ეს მათ თავად სურთ სულით, გულით და გონებით.

ნებისმიერი ურთიერთობა (კონტაქტი), როგორც სქესობრივი ურთიერთობების გამოვლინების რაობა

მიმმართველი ნაწილი ამ ურთიერთობებისა (როგორც მამაკაცური საწყისი) არ უნდა უდგებოდეს მისამართ, სამართავ ნაწილს (როგორც ქალურ საწყისს) ისე, როგორც „წასაკითხ წიგნს“ ანუ თავისი ინტერესების დაკმაყოფილების საშუალებას. ხოლო სამართავი ნაწილი (ქალური საწყისი) არ უნდა უდგებოდეს მიმმართველ ნაწილს (მამაკაცურ საწყისს) ურთიერთობებისა როგორც „წაკითხულ წიგნს“, თავის ინტერესების სიამოვნების საშუალებას.

შემდგომად იმისა, რაც მიმმართველი ნაწილი რაღაც ინფორმაციას ჭეშმარიტ გონებად გარდაქმნის, არ უნდა დაიმუხტოს იმის სურვილით, რომ მისი რეალიზაცია მოახდინოს ამ ჭეშმარიტი ცოდნის გავრცელების სახით. ის უნდა მივიდეს იმ დონის აღქმამდე და შეგნებამდე, რომ შეცნობილი ცოდნის გავრცელებისთვის საჭირო და სასურველი სიტუაცია უშუალოდ განგების მიერ უნდა შეიქმნას და არა მისი პიროვნების მიერ ხელოვნურად შექმნილი სიტუაციებით იმოქმედოს. ეს არის არა რეკომენდაცია, არამედ აუცილებლად გასათავლისწინებელი პირობა, რომლის ნებისმიერი ფრომით დარღვევა გარდაუვლად გამოიწვევს არასასრუველ შედეგებს როგორც თავისთვის, ანუ მიმმართველისათვის (მამაკაცური საწყისისათვის), ისე მართულისთვის (ქალური საწყისისთვის). თუ პიროვნება ამ პირობას თავისთვის უზენაესი კანონის დონემდე გაითავისებს აუცილებლად დადგება იმ პოტენციალის რეალიზაციის რაობის საკითხი, რომელიც შეიქმნა ჭეშმარიტი ცოდნის უკვე შეძენასა და ამ ცოდნაზე უფრო დიდი ჭეშმარიტი ცოდნის შეძენამდე არსებული დროით-სივრცობრივ ვაკუუმში.

თუ წამყვანი მიმმართველი ნაწილი (ანუ მამაკაცური საწყისი) რაღაც ჭეშმარიტ ცოდნას შეიძენს, აღიქვამს და შეგრძნების დონეზე გაითავისებს, განგება მას აუცილებლად მოახვედრებს ისეთ კონტაქტურ გარემოში სამართავად, მიმყოლ ნაწილთან (ანუ ქალურ საწყისთან), რომელსაც ამ ცოდნასთან ზიარება, მისი შეცნობა ესაჭიროება ამ მიმმართველის (მამაკაცური საწყისის) საშუალებით. მაგრამ ვიდრე მამაკაცურ საწყისს ეს ჭეშმარიტი ცოდნა გონების დონეზე აღქმული აქვს, მაგრამ გრძნობის დონეზე ჯერ არ შეუთვისებია განგება აუცილებლად შეეცდება თავი შეიკავოს ამ კონტაქტური სიტუაციების შექმნისაგან. ე. ი. ამ ე. წ. ვაკუუმის წარმოქმნის პერიოდში მამაკაცური საწყისი უნდა დაკავდეს აღქმული ჭეშმარიტი ცოდნის ჭეშმარიტად შეგრძნებით. ყოველ შემთვევაში, მისი მხრიდან გამოვლინებული სიტუაციების ხელოვნურად შექმნილი მცდელობა მასში არსებული სულსწრაფობისა და მოუთმენლობის მაჩვენებელი იქნება და მეტი ვერაფერი. მისი ყველა მცდელობა ჭეშმარიტების არ დარღვევით რაიმენაირი წარმატების მიღწევისა, მარცხისთვის იქნება განწირული.

თუ ის ამას არ აკეთებს, მაგრამ იმითიღა კავდება, რომ ელოდება განგებას როდის შეიყვანს იგი მამაკაცურ საწყისს ფუნქციონალურ თუ ვიზუალურ კონტაქტში ე. წ. ქალურ საწყისთან, მასში აკუმულირებული ჭეშმარიტი ცოდნის გასაზიარებლად, მაშინ ამ

მამაკაცურ საწყისში აუცილებლად გაიღვიძებს სქესობრივი ლტოლვის სურვილი, რომელიც შეიძლება თავადვე აღიზიანებდეს საკუთარ „მე“-ზე დროდადრო კონტროლის დაკარგვის გამო.

ამ ლოდინს ე. წ. მამაკაცური საწყისი სჯობს გონებით აღქმული ჭეშმარიტი ცოდნის გადახედვას დაუბრუნდეს და მისი სრულყოფილად შეგრძნებისათვის დახარჯოს საკუთარი პოტენციალი. ნებისმიერი პოტენციური ენერგია, მაგალითად, წყლის მდგომარეობით შეიძლება ავხსნათ. მოძრავი წყალი, განსაკუთრებით მიწაში ჩამავალი და შემდგომ მიწიდან გამომავალი სუფთაა, მტკნარია და სიცოცხლის წყაროს წარმოადგენს, ხოლო უძრავ მდგომარეობაში გადასული წყალი ბინძურია, ლპება და სიკვდილის წყარო ხდება.

თუკი განგება ე. წ. მამაკაცურ საწყისს არაშეგრძებული, მაგრამ გონების მიერ აღქმული თუნდაც ჭეშმარიტი ცოდნის გაცემას დაეხმარება, მაშინ ეს უკანასკნელი ზომიერიებას ვერ დაიცავს და ე. წ. ქალურ საწყისს იმაზე მეტ ინფორმაციულ ცოდნას მიაწვდის, ვიდრე მას ამის აღქმისა და ადაპტირების უნარი გააჩნია. ეს თავისთავად გამოიწვევს ე. წ. ქალური საწყისის მხრიდან დისტანცირების სურვილს ე. წ. მამაკაცურ საწყისთან მიმართებაში, რათა მისთვის მიწოდებული ინფორმაცია აითვისოს. ამ ე.წ. მამაკაცურ საწყისს კი მოუთმენლობის ჟინი ჰკლავს და სურს შეფასებულ იქნას ჯეროვნად. ფაქტიურად მეტისმეტად დიდი ალბათობა იმისა (ალბათ უპრიანია ითქვას გარდაუვალია), რომ ე. წ. ქალური საწყისი ბოლომდე მაინც ვერ შეძლებს მთელი მიწოდებული ინფორმაციული ჭეშმარიტი ცოდნის სრულ სიღრმისეულ აღქმას და იგი სქესობრივი ლტოლვის სურვილით დაიმუხტება. ეს იმაში იქნება გამოხატული, რომ ფუნქციონალურად ვერ აღქმული ნაწილის ათვისებას ინფორმაციის წყაროსთან ვიზუალური კონტაქტის ხარჯზე მოინდომებს. ამაზეც წინასწარ შეიძლება ითქვას, რომ ვიზუალური კონტაქტის საშუალებით ასათვისებლად უკვე გაცემული ინფორმაციული ჭეშმრიტი ცოდნის გონებისმიერ დონეზე აღქმა ე. წ. ქალური საწყისის მიერ ვერ მოხდება და იგი მხოლოდ ემოციურ დონეზე იქნება აღქმული, ისიც მხოლოდ და მხოლოდ ვიზუალური ურთიერთობრივი კონტაქტის მიმდინარეობის პროცესში.

ეს ე. წ. მამაკაცური საწყისის ილუზიურ დაკმაყოფილებას იწვევს. იგი ან მართლა ვერ ხვდება ან იმითაც კმაყოფილდება, რომ ე. წ. ქალურმა საწყისმა მის მიერ მოწოდებული ინფორმაციული ჭეშმარიტი ცოდნა გონებრივი აღქმის საფუძველზე კი არ აღიარა როგორც ღირებული და ღირსეული მიმმართველი, არამედ ემოციური

აღქმის საფუძველზე. შედეგად კი, იმის ნაცვლად, რომ მამაკაცურ საწყისში არსებული ჭეშმარიტი ცოდნა გონებისმიერ აღქმიდან გრძნობისმიერ აღქმამდე გადასულიყო, ამბიციისმიერ აღქმაში გადადის და თავადვე იმუხტება სქესობრივი ლტოლვის დაუოკებელი სურვილით. ასეთია მაამებლობის შეშვების შედეგი თავისში მამაკაცური საწყისის მიერ ქალური საწყისის მხრიდან. აი, ასე შეიძლება გადაიქცეს ჭეშმარიტი ცოდნის რაღაც ფრაგმენტალური ნაწილი ნებისმიერი ცოცხალი არსების დაცემის მიზეზად.

ამიტომ ყველას (ვგულისხმობ სრულყოფის გზაზე დამდგარს) ვურჩევდი საკუთარი პიროვნების ჩათვლით, ნუ გამოიჩენთ სულსწრაფობასა და მოუთმენლობას. იცოდეთ, რომ ეს განგების პირდაპირი კრიტიკის არაპირდაპირი გამოვლინება გახლავთ. ამის კეთებას სჯობს საჭირო საქმიანობით დაკავდეთ და იცოდეთ, სადაც ზედმეტი ინფორმაციის გაცემას ან მიღებას ცდილობთ, შეგრძნების იგნორირების შედეგად, განგება ყოველთვის ეცდება თქვენს კორექტირებას ნებისმიერი მისთვის მისაღები საშუალებით. გირჩევთ მოუსმინოთ და ჩაუღრმავდეთ მის ქმედებას თქვენთან მიმართებაში და საკუთარი პიროვნების კორექტირებაში ანუ თვითკორექტირებისათვის გამოიყენოთ.

თუ სქესობრივი ლტოლვის მექანიზმი ამოტივტივდება თქვენში ე. ი. თქვენ გაქვთ საფუძვლიანი მიზეზი იმისა, რომ საკუთარ თავზე იმუშაოთ. ეს განსაკუთრებით ეხებათ მიმმართველებს ანუ ე. წ. მამაკაცური საწყისის ფუნქციონალურ წარმომადგენლებს. მათში არსებული სქესობრივი ლტოლვა მთლიანად უნდა იყოს მიმყოლი მათი შესაბამისი ე. წ. ქალური საწყისის ფუნქციონალური წარმომადგენლებისა.

ამ ნაწილში აუცილებლად ეთიკისა და ესთეტიკის ათ-ათი მცნების და მათი შესაბამისი ათ-ათი პრინციპის დაფიქსირება (გახსენება), რომელთა საფუძველზეც ეს მცნებები ჩამოყალიბდა:

ათი მცნება

ზოგიერთი განმარტებანი:

⚓ მამაკაცური საწყისი. ⚓ ქალური საწყისი.

⇧ მაღალ დონესთან მიმართებაში.

⇔ თანასწორ დონესთან მიმართებაში.

⇩ დაბალ დონესთან მიმართებაში.

⚓ პირველი მცნება

მამაკაცური საწყისი

⇧ მარადიული სამყაროს უზენაესი პიროვნების სრულყოფილ არსებად აღიარება და აღქმა.

⇔ I შედეგი სულიწმიდისა — **სიყვარული.**

⇩ გიყვარდეს უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა.

ქალური საწყისი

⇧ მარადიული სამყაროს უწმიდესი პიროვნების სრულყოფილ არსებად აღიარება და აღქმა.

⇔ I ნიჭი სულიწმიდისა — **შიში ღვთისა.**

⇩ **„მე ვარ უფალი ღმერთი შენი და არა იყვნენ შენდა ღმერთნი უცხონი ჩემსა გარეშე“.**

⚓ მეორე მცნება

მამაკაცური საწყისი

⇧ აბსოლუტურად ყველა ცოცხალი არსების, ინდივიდუალური სულის „მე“-დ (არა უცხოდ, სხვად, მტრად, „ეგო“-დ) აღიარება და აღქმა.

⇔ II შედეგი სულიწმიდისა — **სიხარული.**

⇩ გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი.

ქალური საწყისი

⇧ სამყაროში წარმოქმნილი „ეგო“-ს არანაირი ფორმით არ დაშვება, არ შეშვება „მე“-ში.

⇔ II ნიჭი სულიწმიდისა — **ღვთის მსახურება.**

⇩ **„არა ჰქმნე თავისა შენისა კერპი, არცა ყოველივე მსგავსნი, რაოდენი არს ცათა შინა-ზე, რაოდენი არს ქვეყანასა ზედა-ქვე და რაოდენი არს წყალთა შინა-ქვეშე ქვეყანასა. არა თაყვანსა სცემდე მათ, არცა მსახურებდე მათ“.**

⚓ მესამე მცნება

მამაკაცური საწყისი

⇧ სრულყოფილებად გარდაქმნისკენ მიმართვა.
⇔ III შედეგი სულიწმიდისა — **მშვიდობა.**
⇩ ყოველთვის ეცადე გახდე იმაზე უკეთესი, ვიდრე ხარ.
ქალური საწყისი
⇧ არასრულყოფილების ბლოკირება, მისი გამიჯვნა სრულყოფილებისაგან და მისი სრულყოფილებად გარდაქმნის ძიება.
⇔ III ნიჭი სულიწმიდისა — **ძლიერება.**
⇩ **„არა მოიღო სახელი ღვთისა უფლისა შენისა ამაოსა ზედა“.**

🕹 მეოთხე მცნება
მამაკაცური საწყისი
⇧ მორჩილი თაყვანისცემა.
⇔ IV შედეგი სულიწმიდისა — **სულგრძელობა.**
⇩ პატივი მიაგე და დაემორჩილე მას, ვინც შენზე უფრო მაღალია სულიერად, უპირატესია შენზე.
ქალური საწყისი
⇧ თაყვანისცემა ყოველგვარი პირადი მოსაზრების გარეშე.
⇔ IV ნიჭი სულიწმიდისა — **განზრახვა.**
⇩ **„მოიხსენიე დღე იგი შაბათი და წმინდა-ჰყავ იგი. ექვსი დღე იქმოდე და ჰქმენი მათ შინა ყოველი საქმე შენი, ხოლო დღე იგი მეშვიდე შაბათი არს უფლისა ღვთისა შენისა“.**

🕹 მეხუთე მცნება
მამაკაცური საწყისი
⇧ საკუთარი არსის გამჭვირვალეობა და გაცემა.
⇔ V შედეგი სულიწმიდისა — **სიტკბოება.**
⇩ მხოლოდ მაშინ უნდა მოახდინო საკუთარი არსის გაცემა, როდესაც ეს სურს მას, ვისთვისაც გასცემ შენს შიდა არსს ანუ შენს „მე“-ს.
ქალური საწყისი
⇧ გარემოს შესახებ გაცნობიერებული არსის გამჭვირვალეობა და გაცემა.
⇔ V ნიჭი სულიწმიდისა — **მეცნიერება.**
⇩ **„პატივი ეცი მამასა შენსა და დედასა შენსა, რათა კეთილი გეყოს შენ და დღეგრძელ იყვე ქვეყანასა ზედა“.**

🕹 მეექვსე მცნება

მამაკაცური საწყისი

⇧ გულწრფელობა.

⇔ VI შედეგი სულიწმიდისა — **სიწმინდე.**

⇩ ეცადე არასოდეს არ დაუშვა შენში ტყუილი და ყოველთვის, ყველგან და ყველაფერში იყავი ის, რაც ხარ.

ქალური საწყისი

⇧ გულახდილობა.

⇔ VI ნიჭი სულიწმიდისა — **გულის-ხმის-ყოფა.**

⇩ **„არა (კაც) ჰკლა“.**

⚓ მეშვიდე მცნება

მამაკაცური საწყისი

⇧ არაძალადობა.

⇔ VII შედეგი სულიწმიდისა — **სარწმუნოება.**

⇩ შენზე სულიერად დაბლა მდგომს მხოლოდ მაშინ შეასწავლე რაც იცი, როდესაც ის ამას გთხოვს. ამით შენ უფრო საჭირო ექნები მისთვის, ვიდრე ის შენთვის და არ მიეჯაჭვები მას.

ქალური საწყისი

⇧ დიდაქტიკა.

⇔ VII ნიჭი სულიწმიდისა — **სიბრძნე.**

⇩ **„არა იმრუშო“.**

⚓ მერვე მცნება

მამაკაცური საწყისი

⇧ მოწაფეობრივი თანამიმდევრულობა.

⇔ VIII შედეგი სულიწმიდისა — **მყუდროება.**

⇩ ეცადე მოიძიო შენს სულიერ დონეზე უფრო მაღალი დონის მქონე პიროვნება, დაუმოწაფდი, შენს მასწავლებლად აღიარე იგი და სთხოვე გასწავლოს რაც არ იცი.

ქალური საწყისი

⇧ „კულტ(ი)“-ური თანამიმდევრულობა.

⇔ VIII ნიჭი სულიწმიდისა — **აღზრდა.**

⇩ **„არა იპარო“.**

⚓ მეცხრე მცნება

მამაკაცური საწყისი

⇧ თვითკმარობა.

⇔ IX შედეგი სულიწმიდისა — **მოთმინება** (ძალაუფლება საკუთარ „ეგო“-ზე).
⇩ ნუ ეცდები გონება გაუხსნა მათ, ვინც შენზე მცირეა სულიერად და ეს არ ანაღვლებს (რომ მცირეა მისი სულიერება). ის უფრო მცირე გახდება სულიერად და შენი მიცემული ცოდნით კი ბევრს გაამწარებს შემდგომ. ამაზე კი პასუხი შენ მოგეთხოვება შემდგომ.

ქალური საწყისი

⇧ ყოფითკმარობა.
⇔ IX ნიჭი სულიწმიდისა — **განცხრომა** („მე“-ს კონტროლზე უარის თქმა).
⇩ **„არა ცილი სწამო მოყვასსა შენსა წამებითა ცრუითა“.**

☙ მეათე მცნება

მამაკაცური საწყისი

⇧ ნებაყოფილობითობა.
⇔ X შედეგი სულიწმიდისა — **ცხოვ(ელური)ნება** (არსებული „ეგო“-ს გამოვლინება).
⇩ თუ მიგაჩნია, რომ ის რაც იცი აბსოლუტურად დამაკმაყოფილებელია შენთვის, მაშინ ყველაფერს თავი უნდა დაანებო და საკუთარი ცხოველური ნება განახორციელო ისე, რომ აზროვნება აღარ მიაშველო მას.

ქალური საწყისი

⇧ ნებისყოფა.
⇔ X ნიჭი სულიწმიდისა — **არსებობა** („მე“-ს კონტროლი).
⇩ **„არა გული გითქმოდეს ცოლისათვის მოყვასისა შენისა, არც ყანისა მისისა, არცა მონისა მისისა, არცა მხევალისა მისისა, არცა ხარისა მისისა, არცა კარაულისა მისისა, რაიცა იყვეს მოყვასისა შენისა“.**

თუ ჩემი ან ნებისმიერი სხვა ცოცხალი არსების „მე“-ს მატერიალურ სამყაროში ჩამოვარდნის, მოხვედრის (ზოგისთვის კი პირიქით ასვლის) ძირეულ საფუძვლიან მიზეზებს გამოვიკვლევთ დიდის გამოწვლილობით, ასეთ რამეს მივიღებთ:

რამხელაზეც განგების მიერ მონიჭებულ უფლებას სრულად არ გამოვიყენებ, იმხელაზე წარმოვქმნი ჩემს „მე“-ში საკუთარი ინიციატივით აღებული მოვალეობის პრეცენდენტს.

რამხელაზეც განგების მიერ დაკისრებულ მოვალეობას სრულად არ შევასრულებ, იმხელაზე წარმოვქმნი ჩემს „მე“-ში საკუთარი ინიციატივით აღებული უფლების პრეცენდენტს.

თუ ცოცხალი არსება დაარღვევს ერთ პარამეტრს ავტომატურად დაარღვევს მეორესაც. დარღვევით კი არღვევს იმიტომ, რომ იერარქიულად უფრო მაღალ საფეხურზე იმაზე უფრო ჩქარა ან იმაზე უფრო ნელა გადასვლა მოინდომა, ვიდრე ის ამ გადასვლისთვის მზად იყო და, ავტომატურად, უფრო დაბალ საფეხურზე უწევს ჩამოსვლა ე. წ. „სარკის“, სიმეტრიის ღერძის ეფექტით.

თუ ცოცხალი არსება სულიერად ძლიერი ბუნების მქონე აღმოჩნდება საკუთარი ინიციატივით აღებული უფლების შესაბამისი მოვალეობის მოძიებას დაიწყებს და საკუთარი ინიციატივით აღებული მოვალეობის შესაბამისი უფლების მოთხოვნის სურვილიც უნდა გაუჩნდეს უკვე დაბალ იერარქიულ საფეხურზე მყოფ გარემოსთან მიმართებაში. ამისთვის მან უნდა იხელმძღვანელოს ჭეშმარიტი რწმენისა და ჭეშმარიტი ნდობის ურთიერდამოკიდებულების იდეალური თანაარსებობის ზოგადი პრინციპებით. ჯერ ვერ გასწორებულ, დარღვეულ ნაწილში კი, ცალსახად სარწმუნო(ვ)ნებისა და ჰარმონიზირების ურთიერთდამოკიდებულების იდეალური თანაარსებობის ზოგადი პრინციპებით უნდა იხელმძღვანელოს.

ახლა კი ჩამოვაყალიბებ ამ ურთიერთდამოკიდებულებათა ცნობიერი ფუნქციონალური არსის რაობას, რომელიც არაფრით არ ჩამოუვარდება თავისი მნიშვნელობით იმ მცნებებს, რომლებიც უკვე ჩამოყალიბებულია წინა ფურცლებზე. დასაწყისისთვის ცოტაოდენ განვავრცობ და ვიტყვი, რომ თავისი გლობალური სტრატეგიული და ტაქტიკური გაგებით ეს არის ის ზემოდუსის გამოვლინება, რომელიც ნახსენები იყო მეორე და მესამე წიგნებში. ამჯერად ამ მოდუსებს ოდნავ გადავარქმევ სახელებს და მოვიხსენიებ: მეობის მოდუსად, სათნო(ვ)ნების მოდუსად, საამო(ვ)ნების მოდუსად და გაუცხოვების მოდუსად.

მაგრამ ეს ყველა მოდუსები უმაღლესი გამოვლინებულობის „მე“-ს გადასახედიდან იქნებიან შეფასებულნი, აღქმულნი, დანახულნი და შეგრძნობილნი.

1. <u>ჭეშმარიტი ნდობა</u>. მეობის მოდუსი. ჰარმონიზირების პროცესი.

სრულყოფილების მიღწევა საკუთარი „მე“-ს გამოვლინების საზღვრებში, რომლებიც განგების მიერ არის განსაზღვრული.

ჭეშმარიტი რწმენა უნდა მივიღო მაშინ და მხოლოდ მაშინ თუ ჭეშმარიტად ერთგული ვარ იმისა, ვისგანაც (რისგანაც) ეს მინდა მივიღო ანუ თუ ჭეშმარიტი ნდობა გამაჩნია.

ეს ჩემი „მე“-ს გადასახედიდან სულიერი ცოდნა იქნება.

ეს არის ჭეშმარიტად სწორად შეფასებულ შეხედულებათა მიღების დამსახურება ჩემს „მე“-ში.

ჩემი „მე“-სთვის ეს არის მომავალი, რომელიც მომავალშივე უნდა დავტოვო.

2. ჭეშმარიტი რწმენა. სათნო(ვ)ნების მოდუსი. დაკმაყოფილების პროცესი.

ჩემი „მე“-ს განგების ნების რეალიზაციის საშუალებად გარდაქმნა-გადაქცევა.

ჭეშმარიტი ნდობით უნდა მივუდგე მას და მხოლოდ მას, ვისაც ჭეშმარიტი რწმენა გააჩნია მინიმუმ იმდენად, რამდენადაც მე თავადვე.

ეს ჩემი „მე“-ს გადასახედიდან სულიერი კეთილდღეობა იქნება.

ეს არის ჭეშმარიტად სწორად შეფასებულ შეხედულებათა რეალიზაცია ჩემს „მე“-ში.

ჩემი „მე“-სთვის ეს არის მომავალი, რომელიც აწმყოში უნდა გამოვიყენო.

3. ჭეშმარიტი სარწმუნოება. (სიამო)ვნების მოდუსი. სიამოვნების პროცესი.

ცნობიერი ურთიერთობების დამყარება, რომელთა საშუალებითაც ვეცდები ჩემი „მე“-ს მიერ ჭეშმარიტად სწორად შეფასებული შეხედულებების გაზიარებას. ამ ურთიერთობების მთავარი აზრი ჩემი „მე“-სთვის თვითრეალიზაციის სურვილის გამოვლინებისას საჭიროების ზუსტი და სკურპულიოზური პორციალური გათავისებაა.

ჭეშმარიტი ნდობა უნდა მივიღო მაშინ და მხოლოდ მაშინ, თუ ამას მოვითხოვ იმხელაზე, რამხელა ჭეშმარიტი რწმენაც გამაჩნია, ანუ რამხელაზეც ჭეშმარიტად სწორად მაქვს შეფასებული შეხედულებები.

ეს ჩემი „მე“-ს გადასახედიდან მატერიალური კეთილდღეობა იქნება.

ეს არის ჭეშმარიტად სწორად შეფასებულ შეხეულებათა რეალიზაცია ჩემს „მე“-ში არსებულ „ეგო“-ში.

ჩემი „მე“-სთვის ეს არის წარსული, რომელიც აწმყოში უნდა გამოვიყენო.

4. ჭეშმარიტი წესრიგი. გაუცხოვებულობის მოდუსი. მოწესრიგების პროცესი.

ყოფიერი ურთიერთობების დამყარება, რომლებსაც ჩემს „მე“-ში ჯერ კიდევ ჭეშმარიტად არასრულყოფილად სწორად შეფასებულ შეხედულებათა შესაბამისი სიტუაციების სახით შემიქმნის განგება და რომელთა საშუალებითაც შევძლებ ჩემი „მე“-სთვის არსებული მატერიალური ყოფიერების გარდაუვალი აუცილებლობის უზრუნველყოფას.

ჭეშმარიტი რწმენა უნდა მივცე მას და მხოლოდ მას, ვინც ჭეშმრიტად ჩემი ერთგულია ანუ ჭეშმარიტი ნდობა გააჩნია ჩემს მიმართ და ზუსტად იმდენად უნდა მივცე ჭეშმარიტად სწორად შეფასებული შეხედულებები, რამდენადაც თავადვე მთხოვს.

ეს ჩემი „მე“-ს გადასახედიდან მატერიალური ცოდნა იქნება.

ეს არის ჭეშმარიტად სწორად შეფასებულ შეხედულებათა გაცემა, მინიჭება ჩემს „მე“-ში აღარ არსებული „ეგო“-სთვის.

ჩემი „მე“-სთვის ეს არის წარსული, რომელიც წარსულშივე უნდა დავტოვო.

დასკვნა:

მატერიალური ცოდნა, მატერიალური კეთილდღეობა, სულიერი კეთილდღეობა და სულიერი ცოდნა ფარდობითი ცნებები არიან თავიანთ გამოვლინებაში. მათგან შედგება ისეთი უდიდესი ცნებები როგორებიცაა: 1. ცოდნა (ტრანსცენდენტული განდეგილობა); 2. მოქმედება (ტრანსცენდენტული სიბრძნე); 3. მოვალეობა (ტრანსცენდენტული სილამაზე); 4. გაგება (ტრანსცენდენტული დიდება); 5. შეუპოვრობა (ტრანსცენდენტული ძლევამოსილება); 6. მეცნიერება (ტრანსცენდენტული სიმდიდრე).

თუ ჩემი კონცეფცია ჭეშმრიტად მართალია და მე მართლა ცათა სასუფევლიდან ჩამოვვარდი (ჩამოვქვეითი) მიწიერ, მატერიალურ სამყაროში მაშინ აუცილებლად უნდა მოვახდინო იმის განსაზღვრა თუ რა მოხდა.

1. ზეცაში განგების ნების რეალიზაცია ხდება მონიჭებული უფლებამოსილების კუთხით და ზეცაში უზენაესი პიროვნება მამა ღმერთია.

2. ცათა სასუფეველში განგების ნების რეალიზაცია ხდება მონიჭებული უფლების კუთხით და ცათა სასუფევლის უზენაესი პიროვნება ღვთის ძეა.

3. სამოთხეში განგების ნების რეალიზაცია ხდება დაკისრებული პასუხისმგებლობის კუთხით და სამოთხის უზენაესი პიროვნება დედა ღმერთია ანუ სულიწმიდაა.

4. მატერიალურ სამყაროში განგების ნების რალიზაცია ხდება დაკისრებული მოვალეობის კუთხით და მატერიალური სამყაროს უზენაესი პიროვნება ღვთის ასულია.

თუ ამ თეზისებით ვიხელმძღვანელებ, გამოდის რომ, მე ზეცაში გადასვლის სურვილით ანთებულმა, განგების მიერ მონიჭებულ უფლებას გადავაჭარბე ე. ი. საკუთარი ინიციატივით ავიღე უფლება, რომელიც მე არ მეკუთვნოდა. რაღა თქმა უნდა, ამ უფლების შესაბამისი მოვალეობის გათავისება და აღქმა ვერ მოვახერხე და შედეგად აღმოვჩნდი მატერიალურ სამყაროში, სადაც განგების მიერ ამ არ გათავისებული მოვალეობის შეცნობა და შეგრძნება და შესრულება დამეკისრა. ალბათ ამის გამოა ისიც, რომ აქ მატერიალურ სამყაროში თითქმის შეუძლებელია ერთი თანამოაზრეც რომ გამომიჩნდეს, ვიდრე ბოლომდე არ გავითავისებ ამ მოვალეობას და, ისიც საინტერესოა, ამის ქმნის შემდეგ განგება გამომიჩენს თუ არა თანამოაზრეს, ვიდრე აქ ვიქნები.

ეს ყოველივე კი, იმისათვის არის საჭირო განგების თვალთახედვით, რომ ჩემს თავდაპირველ სურვილს ცათა სასუფეველში გაჩენილს ასრულება ეღირსება და რომ განგებამ იქამდე გამწვრთნას და აღმზარდოს, ვიდრე უფლებამოსილების მონიჭების ღირსად არ ჩამთვლის და ზეცაში გადასვლის უფლებას არ მომაპოვებინებს.

ამის მისაღწევად ჩემს მიერ უფლებისა და მოვალეობის ცნებათა ცალ-ცალკე განხილვა უნდა დამთავრდეს და მათი აბსოლუტური თანასწორობის მდგომარეობა ჩვეულებრივ, ბუნებრივ რაიმედ უნდა იქნას აღქმული. თუ მე შევძლებ ამ ორი ცნების აბსოლუტურ შესაბამისობაში მოყვანას და ამასთან ერთად, საკუთარ არსში არსებული არაინდივიდუალიზმის გაზრდის სურვილი მთელი სამყაროსთვის სიკეთის ჭეშმარიტად საუკეთესოდ მოსატანად არ ჩაქრება, არ დაჩლუნგდება, არ მოკვდება, მაშინ, ვფიქრობ, განგება

ჭეშმარიტად გადამიყვანს ზეციურ რეალობაში, სადაც უზენაესი განმგებელი თავად მამა ღმერთი გახლავთ.

ამ ყოველივეს სუმირების შედეგად ზემოთ ჩამოთვლილი ფორმულირებები შემდეგნაირი სახით იქნება ჩამოყალიბებული:

რამხელაზეც განგების მიერ მონიჭებული უფლებამოსილება სრულად არ გამოიყენება, იმხელაზე წარმოიქმნება ჩემს „მე“-ში საკუთარი ინიციატივით აღებული პასუხისმგებლობის პრეცენდენტი.

რამხელაზეც განგების მიერ დაკისრებული პასუხისმგებლობა სრულად არ შესრულდება, იმხელაზე წარმოიქმნება ჩემს „მე“-ში საკუთარი ინიციტივით აღებული უფლებამოსილების პრეცენდენტი.

აქვე კიდევ ერთი რჩევა მინდა მივაწერო ამ ყოველივეს. ეს არის რჩევა, რომელიც მუდმივად, სამარადისოდ უნდა იქნას დაცული:

კატეგორიულად დაუშვებელია უსაყვარლესი საქმიანობა და მით უმეტეს შემოქმედება ჩვეულებრივ, ჩვევაში გადასულ, მოწესრიგებულ, სავალდებულო საქმიანობად ე. წ. პროფესიად, სტაბილურობის უზრუნველყოფის საშუალებად გარდაიქმნას ანუ თუნდაც იოტისოდენაზე წინასწარგათვლილ, მოწესრიგებულ, დაგეგმარებულ მიდგომას დაემორჩილოს. უნდა იცხოვრო დღევანდელი დღის მიმდინარე წამის მიმდინარე მემილიონედით. ეს არის სიყვარულის გამოვლინების, განგების ნების რეალიზაციად გადაქცეულობის, სრულყოფილების მიღწევის უმაღლესი ფორმა. ეს ჰგავს ბუნებრივ სუნთქვას ბუნებრივი სუფთა ჰაერით, ეს ჰგავს მუდმივად და დაუსრულებლად ერთჯერად ქმედებათა ერთობლიობას, რომელშიც იმიტაცია არანაირი ფორმით არც არსებობს და ვერც ვერასოდეს მოიკიდებს ფეხს. ეს არის ის, რისი მიღწევაც, უკლებლივ ყველა და ნებისმიერი ცოცხალი არსებისათვის, უზენაეს მიზანს უნდა წარმოადგენდეს.

<u>ჩემი „მე“-სთვის ეს არის ეთერი, რომელიც მიმდინარე აწმყოში მიღებულ შედეგად უნდა იყოს აღქმული და შეგრძნობილი.</u>

5. <u>ჭეშმარიტი ჰარმონია.</u> მოდუსების არ არსებობა. ბუნებრივი პროცესი. ეთერული მოდუსი.

განგების ნების რეალიზაციის საშუალებად გადაქცეულობა ნიშნავს ისეთ მდგომარეობას, როდესაც საკუთარ შიდა პიროვნულ აღქმაში და შეგრძნებაში მე არ ვმართავ სიტუაციას, მაგრამ რეალურად ჩემი საშუალებით იმართება ის, ხოლო სიტუაციაში მონა-

წილეთა აღქმითა და შეგრძნებით ეს სიტუაცია ჩემს მიერ მართულად არის აღქმული და შეგრძნობილი (საკუთარი „მე“-ს ჭეშმარიტად ნდობა).

სრულყოფილების მიღწევა საკუთარი „მე“-ს გამოვლინების საზღვრებში ნიშნავს ისეთ მდგომარეობას, როდესაც საკუთარ შიდა აზრთაწყობრივ აღქმაში და შიდა შეგრძნებაში მე ვმართავ სიტუაციას სწორედ ისე ზედმიწევნით როგორც ეს განგების ნებაა ამ სიტუაციის მართვასთან მიმართებაში. ამ სიტუაციაში მონაწილეთა აღქმისა და შეგრძნების გადასახედიდან კი, სიტუაცია ჩემს მიერ კი არ იმართება, არამედ ჩემი საშუალებით (საკუთარი „მე“-ს ჭეშმარიტად რწმუნება, დაჯერება).

ეს ჩემი „მე“-ს გადასახედიდან სულიერი ცოდნა, მატერიალური ცოდნა, მაგრამ განსაკუთრებით სულიერი კეთილდღეობა და მატერიალური კეთილდღეობა ერთად იქნება შეზავებული.

ეს არის 1. ცოდნის (ტრანსცენდენტული განდეგილობის), 2. მოქმედების (ტრანსენდენტული სიბრძნის), 3. მოვალეობის (ტრანსცენდენტული სილამაზის), 4. გაგების (ტრანსცენდენტული დიდების), 5. შეუპოვრობის (ტრანსცენდენტული ძლევამოსილების), 6. ბედნიერების (ტრანსცენდენტული სიმდიდრის) ფლობისა და სრულყოფილად მართვის ფენომენური გამოვლინების გამოხატული ფორმა.

ჩემი „მე“-სთვის ეს არის მიმდინარე აწმყო, რომელიც მომავლისა და წარსულის იდეალური შერწყმის ეთერული შედეგია.

მეორე ნაწილის ერთგვარი განზოგადებისთვის, რათა სახელმძღვანელოდ უფრო პრაქტიკული იყოს ხუთ თავად დავყოფ. სწორედ ამ ხუთი თავის ჩამონათვალი მინდა ახლა რომ გავაკეთო. ეს ხუთი ნაწილი იქნება ის ხუთი მოდუსი, რომლებიც ზემოთ იქნა განხილული. ახლა კი პატარა ცხრილურ მონახაზს გავაკეთებ უფრო ადვილად აღსაქმელად.

V თავი	IV თავი	III თავი	II თავი	I თავი
ეთერული მოდუსი	მეობის მოდუსი	სათნო(ვ)ნების მოდუსი	სიამოვნების მოდუსი	გაუცხოვების მოდუსი
იდეალიზმი	რომანტიზი	რეალიზმი	ფანატიზმი	პრაგმატიზმი
ჭკუა	გრძნობა	გონება	ემოცია	ამბიცია
ჭეშმარიტი ჰარმონია	ჭეშმარიტი ნდობა	ჭეშმარიტი რწმენა	ჭეშმარიტი სარწმუნოება	ჭეშმარიტი წესრიგი
მიმდინარე ეთერი	შორეული მომავალი	უახლოესი მომავალი	უახლოესი წარსული	შორეული წარსული
პარამანანდა განდეგილობა	პარამვიჯნანა ქველმოქმედება	პარამმანო ასკეტიზმი	პარამპრანა მსხვერპლშეწირვა	პარამანნა კვება
დროის გამთლიანება	სივრცის გამთლიანება	სულიერი გამოვლინებულობის გამთ.	ინტერესების გამთლიანება	მატერიალური გამოვლინებულობის გამთ.
სულიერებაზე ენერგეტიკული ზემოქმედების უნარი	წარსულში აწმყოში და მომავალში ხედვის უნარი	პარამეტრალური სულიერი ენა	მესამე (სულიერი) ყური	მესამე (სულიერი) თვალი

I თავის არსობრივი დატვირთვა იქნება: **პარამანნა – კვება.**

ჩემი „მე“-სთვის მატერიალურ ცოდნად აღქმული და შეგრძნებული სულიერი ცოდნა უნდა გავცე მისი მიღების მსურველ ნებისმიერ ცოცხალ არსებაზე. მაგრამ იმ აუცილებელი პირობის გათვალისწინებით, რომ ზედმიწევნით იმხელაზე უნდა გავცე ეს ჩემთვის უკვე მატერიალური და მსურველისათვის ჯერ სულიერი ცოდნა, რამხელაზეც მისგან იქნება მომდინარებული გულწრფელი თხოვნა. ამ თხოვნის შემდგომ კი, უნდა მივცე ზუსტად ამ თხოვნის შესაბამისი ცოდნა ანუ არც მეტი და არც ნაკლები. ერთიცა და მეორეც მავნებლობა იქნება ჩემი „მე“-ს მიერ ჩადენილი.

II თავის არსობრივი დატვირთვა: **პარამპრანა – მსხვერპლშეწირვა.**

ყოფიერ, მატერიალურ კონტაქტში მთელს არსებულობასთან უნდა შევიდე იმხელაზე, რამხელაზეც ჩემი „მე“-ს რეალურ აღქმულობაში და შეგრძენულობაში არსებული მატერიალური ყოფიერების ჭეშმარიტად მისთვის შესაბამისი გარდაუვალი აუცილებლობის უზრუნველყოფას კმარობს ანუ რამხელაზეც ეს მთელი არსებულობა განგების ნების გამოვლინებას ემორჩილება.

III თავის არსობრივი დატვირთვა: **პარამმანო – ასკეტიზმი.**

ჩემი „მე“-ს ანუ საკუთარი შემოქმედების მაქსიმალურად მოკლე ფუნქციონალური შეფასება უნდა გავაკეთო, ზოგად ცნობიერულ, სულიერ ცოდნად გარდავქმნა (რაც ჩემი „მე“-სთვის მატერილურ ცოდნად იქნება უკვე აღქმული) და შემდგომ ამისა, ახალი, იერარქიულად უფრო მაღალი შემოქმედების შექმნისთვის მოღვაწეობის სისტემური მუდმივი პროცესით დავკავდე.

IV თავის არსობრივი დატვირთვა: **პარამვიჯნანა – ქველმოქმედება.**

ჩემს „მე“-ში არსებული ინტელექტუალური სიღრმისეული აღქმა და შეგრძნება არაინდივიდუალიზმად გარდავქმნა. ეს არაინდივიდუალიზმად იყო აღქმული ჩემი „მე“-ს მიერ მის გაცნობიერებამდე და შეგრძებამდე, ამის შემდგომ კი, ეს ჩემი ინდივიდუალიზმი იქნება. იმ გარემოსთვის კი, რომელთანაც გამანაწილა განგებამ ამის შეცნობა-შეგრძნებამდე ეს ისევ არაინდივიდუალიზმად აღქმულად დარჩება და შეიძლება ამადაც კი ვეღარ აღიქვამდეს ეს გარემო ამას.

V თავის არსობრივი დატვირთვა: **პარამანანდა – განდეგილობა.**

ჩემი „მე“-ს მიზნები და სურვილები ზედმიწევნით თანხვედრილი უნდა გახდეს განგების მიზნებისა და სურვილებისა. ამის შემდგომ კი, ჩემი „მე“-ს ნებისმიერი გამოვლინება გახდება სიკეთის მომტანი ანუ ჭეშმარიტად საკეთებელის მეტს მე უკვე ვეღარაფერს გავაკეთებ და მოვიმოქმედებ მთელს ჩემს აღქმაში არსებულობასთან მიმართებაში. ეს იქნება სრულყოფილების მიღწევის ფაქტიური გამოვლინება ჩემი „მე“-ს მიერ განგების მიერ ჩემთვის განსაზღვრული გამოვლინების საზღვრებში.

I თავი
ანანდა — პარამანნა
საკუთარი „მე“-ს ფუნციონალური საქმიანობის განსაზღვრის პირველი საფეხური

ყველანაირი ცნობიერი ურთიერთობების, სულიერი კონტაქტის დამყარება სულიერ სამყაროსთან და მის წარმომადგენლებთან მიმართებაში, რომლებიც უშუალოდ საკუთარი, ანუ ჩემი „მე“-ს ინიციატივით უნდა მოხდეს.

II ნაწილი ამ წიგნისა ფაქტიურად მთლიანად ცოცხალი არსების ინდივიდუალური სულის იდეალურად საჭირო და სასურველი საქმიანობისა და მდგომარეობის აღმწერი იქნება. ამ პირველ თავში II ნაწილისა ამ საქმიანობის (მდგომარეობის) კონცეფტუალური, საერთო ხედვა იქნება გადმოცემული, როგორც სრული სურათის ზოგადი განხილვა და პუნქტობრივი წარმოჩინება. უპირველეს ყოვლისა კი მინდა აღვნიშნო, რომ ეს იქნება არსებული სულიერი ნაწილის „მე“-ს მხრიდან ანანდადან (სულიერი განდეგილობიდან) პარამანნაში სულიერი საკვების მიწოდების და ამით გამოკვების, შინაგანი ვაკუუმის შევსების ფუნქციის შესრულება.

ანანდა – საკუთარი „მე“-ს კოსმიურ-კონსტიტუციური მდგომარეობა განგებასთან მიმართებაში. სულიერი განდეგილობა	
მამაკაცური საწყისი თვითკმარობა – საკუთარ „მე“-ში (მატერიალიზირებამდე) თავდაპირველად არსებული ცნობიერების აღდგენა და მისი ობიექტურად შეფასება	ქალური საწყისი სარწმუნო(ვ)ნება – მიმდინარე რეალობაში არსებული დარღვეული ნაწილის საზღვრების შესაბამისი ცნობიერების გამოვლინება მატერიალურ სამყაროში
პარამანნა – საკუთარი „მე“-ს ინიციატივით ასაღები უფლება. სულიერი „საკვებით“ კვება (გაცემა და მიღება)	
მამაკაცური საწყისი გაზიარება (თვითკმარი მყუდროება) – განგების მიერ მოწოდებული საკუთარ „მე“-ში არსებული ცნობიერების სხვა ცოცხალ არსებათა პირადი ნდობისა და სურვილის დონის შესაბამისად. ამ პროცესს განგება თავად უშუალოდ განაპირობებს და უზრუნველყოფს	ქალური საწყისი მოსმენა (ნებაყოფილობითობა) –საკუთარ „მე“-ში განგების მიერ მოწოდებული ცნობიერების მიღება და გათვისება სხვა ცოცხალი არსების მხრიდან იმხელაზე, რამხელაზეც ამ „მე“-ში ჭეშმარიტი ნდობა და სურვილი არსებობს სულიერი საჭირო ცოდნის მიღებისა (ცნობისწადილისა)

პარამანნა – სულიერი სამყაროდან მატერიალურ სამყაროში ავტომატურად გადამყვანი ცნობიერების აღარანაირი სახით აღარ მიღება, მიყოლა და, რა თქმა უნდა, არ გავრცელება. სულიერი სამყაროსთვის აუცილებლად საჭირო და გარდაუვლად შესაბამისი სულიერი ცოდნის აღება (აღქმა) და გაცემა თავის მხრივ მისთვის, ვისაც იგი ჭეშმარიტად გულით, სულით და გონებით სურს.

სულიერი განდეგილობა და სულიერი „საკვებით“ კვება

წიგნის I ნაწილში თუ სულიერი განდეგილობის მიღწევა ფაქტიურად უმაღლეს მიზანს წარმოადგენდა, როგორც მატერიალური სამყაროს თვალთახედვიდან უმაღლესი წარმატების მიღწეულობას, II ნაწილში მისი დატვირთვა რადიკალურად იცვლება. კერძოდ, II ნაწილში სულიერი განდეგილობა ის სასტარტო კაპიტალია, რომლითაც შესაძლებელი ხდება მატერიალური სამყაროსაგან სრული განჯაჭვულობა-გათავლისუფლება და თვით მატერიალურ სამყაროში ყოფნის პირობებშიც კი, სულიერი სამყაროს რეალობის აღქმით ცხოვრება.

ანუ სულირი განდეგილობა, სულიერი სამყროს თვალთახედვითი ცნობიერი აღქმით ცხოვრების დაწყების საწყის, პირველ საფეხურს წარმოადგენს, უფრო სწორედ კი, იმ პლატფორმას, საიდანაც შესაძლებელი გახდება პირველ საფეხურზე გადასვლა. რეალურად ცოცხალი არსება საკუთარი წარსულის იმ წერტილში ინაცვლებს, სადაც მისი იმ სახით მატერიალიზირება გადაწყდა რა სახითაც არის ის მატერიალიზირებული (რა შინაგანი სიღრმისეული დატვირთვითაცაა დაფიქსირებული). ამიტომაც, თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ჭეშმრიტად მატერიალურ სამყაროზე ყველანაირი მიჯაჭვულობისაგან გათავისუფლების რეალური შანსი უჩნდება იმ ცოცხალ არსებას, რომელიც იმ წერტილში გადაინაცვლებს თავისი წარსულისა, საიდანაც მისი მატერიალიზირების გარდაუვალი აუცილებლობა დაიწყო და იმ სახით, რა სახითაც ის არის მატერიალიზირებული.

აუცილებლად მინდა აღვნიშნო ის, რომ ამ შემთხვევაში პრიორიტეტები რადიკალურად იცვლება. ამ პრიორიტეტებში ვგულისხმობ იმას, რომ განგების მხრიდან, ცოცხალ (მატერიალიზირებულ) არსებასთან მიმართებაში ჩნდება მისი აქტივიზირების მოთხოვნა. სულიერ განდეგილობაში გადასული ადამიანი ფაქტიუ-

რად, არათუ ჭარბი აქტიურობისაგან თავისუფლდება, არამედ პასიურობის მდგომარეობაშიც კი გადადის იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ საკუთარ თავს არავითარ შემთხვევაში აღარ აძლევს საკუთარი შეხედულებების ვინმეზე ან რაიმეზე თავზე მოხვევის უფლებას. მაგრამ, ამ დროს აუცილებლად გასათვალსიწინებელი ხდება მისთვის ის უცილობელი ფაქტი, რომ მთელი მატერიალური სამყარო თავისი მენტალური ბუნებით პასიურია სულიერი საკითხების შეცნობასა და ათვისებასთან მიმართებაში. ამიტომ, განგება მისგან მოითხოვს, რომ იგი მატერიალურ სამყაროში სულიერი სამყაროს გადასახედიდან არსებული შექმნილი მდგომარეობის ადეკვატური იყოს, ანუ რაღაცა ფორმით და რაღაცა დოზით ის უნდა გააქტიურდეს ისე, რომ საკუთარ საქმიანობას არანაირი ფორმით არ მიეჯაჭვოს ისევე, როგორც ამ საქმიანობის შედეგებს. თუ ეს ადამიანი ამას არ იზამს, იგი თავისდაუნებურად მასში არსებული პოტენციური ენერგიის რაიმანეირად გარდაუვლად, აუცილებლად დახარჯვის გამო, მანომაიაში დაბრუნდება ანუ მატერიალური სქესობრივი ურთიერთობებით დაკავდება, თან ეს იქნება ყველაზე ამორალური და ზნედაცემული ფორმით გამოვლინებული. რატომ? – ჩვეულებრივ ინსტიქტუალურ რეფლექსებზე აწყობილი ადამიანების შემთხვევაში, მათ, საბოლოო ჯამში, ერთი ან ორი სქესობრივი პარტნიორი დააკმაყოფილებთ, ხოლო ამ რეფლექსებისაგან გათავისუფლებულ ადამიანს მოუწევს სქესობრივი პარტნიორების მუდმივი და პერმანენტული ცვლა, რამეთუ როგორც კი მას პარტნიორი რაიმე ფორმით მიეჯაჭვება, და ეს გარდაუვლად მოხდება, თუ მის სულიერად მაღალ დონეს გავითვალისწინებთ, ამ ადამიანს აღარ დააინტერესებს ეს სქესობრივი პარტნიორი და ახალ, ჯერ მიჯაჭვულობისაგან თავისუფალ პარტნიორს დაუწყებს ძებნას. მისთვის ხომ მატერიალური სქესობრივი პროცესი და სქესობრივი აქტი სულიერი ცოდნისა და ჭეშმარიტი გრძნობების ურთიერთგაცვლის საშუალებად იქნება აღქმული. ეს, ამ ადამიანის მხრიდან სულიერი საკვების გაცემის საშუალება იქნება თავისი სქესობრივი პარტნიორისათვის ისე, რომ ეს უკანასკნელი შეგნების, გონების დონეზე ამას ვერ გაიცნობიერებს და რაღაც მომენტში თავადაც კი დაჰკარგავს ამის გაცნობიერების უნარს. შემდგომ ეს უბრალოდ ჩვევაში გადაეზრდება და ძალიან გაუჭირდება აქედან გასვლა.

მოკლედ, იმისათვის რომ აი, ამ გზას არ დაადგეს სულიერ განდეგილობას მიღწეული ადამიანი, სჯობს საკუთარი ინიციატივით

გააქტიურდეს და გაცხადებული, „ხულული“ სახით ეცადოს მიაწოდოს სულიერი „საკვები“ მატერიალურ სამყაროში მყოფ ადამიანებს (რა თქმა უნდა, იმათ, ვისშიც ამის სურვილი შეიძლება მიძინებულ, მაგრამ რეალურ პოტენციურ დონეზე არსებობს). ოღონდ, ეს ისე უნდა მოხდეს, რომ ეს ადამიანი უფრო საჭირო იყოს მათთვის, ვისაც მიაწვდის იმ ჭეშმარიტ ცოდნას, რაც მასშია აკუმულირებული, ვიდრე ეს ადამიანები მისთვის თავადვე.

ანუ ამით გადავდივართ იმ პირველ საფეხურზე, რომელზეც იყო ლაპარაკი ცხრილურ მონაცემში ანუ მოხდება გადასვლა ანანდადან პარამანნაში. ე. ი. მოხდება გადასვლა სულიერი განდეგილობიდან სულიერი „საკვებით“ კვებაში.

ამ საფეხურზე ასვლის, ანუ პარამანნაში გადასვლის შემდეგ, მატერიალიზირებული ცოცხალი არსებაც კი სულიერი სამყაროს წარმომადგენელი (უხეშად რომ ვთქვათ, სულიერი სამყაროს „მოქალაქე“) ხდება. ერთი მხრივ, ეს, რა თქმა უნდა, უდიდესი პატივია მატერიალიზირებული ცოცხალი არსებისთვის (ადამიანისთვის) და წარმატების ჭეშმარიტი გამოვლინებაა, მაგრამ, მეორე მხრივ, ეს უდიდესი პასუხისმგებლობაა იმავე ადამიანზე განპიროვნებული. იგი ფაქტიურად მატერიალურ სამყაროზე მიჯაჭვულობისაგან რეალურად გათავისუფლებული უნდა იყოს. თუმც, ისიც მინდა აღვნიშნო, რომ ძალიან მეპარება ეჭვი იმაში, რომ განგებამ, ღმერთმა და, საერთოდ, მთელმა სულიერმა სამყარომ დაუშვას ის, რომ პარამანნაში გადასვლისთვის რეალურად მზად არ მყოფ ადამიანს ამ საფეხურისთვის შესაბამისი ხელშეწყობით, მიეხმაროს.

საბოლოო ჯამში, მაინც, იმ აზრამდე მივყავართ ამ ყოველივეს, რომ განგების დახმარებითა და კურთხევით, პარამანნაში გადასული ადამიანი მატერიალური სამყაროს მიჯაჭვულობისაგან გათავისუფლებული იქნება და სულიერი სამყაროს წარმომადგენლად გადაიქცევა მატერიალურ სამყაროში.

ეს არ არის უბრალო და მარტივი რამ. ეს არის გრანდიოზული მნიშვნელობის გარდამავალი მომენტი ადამიანის არსებობის პერიოდში, თვით სულიერი სამყაროსთვისაც კი, ეს ძალიან მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს. მთელი სულიერი სამყარო თავისდაუნებურად გულშემატკივარი ხდება ამ ადამიანისა, რამეთუ ის, უკვე ამ მატერიალიზირებულ ცოცხალ არსებას თავის ერთ-ერთ წარმომადგენელ ნაწილად აღიქვამს. რაღა თქმა უნდა, ამ ადამიანისადმი სულიერი სამყაროს მხრიდან რაიმე შეღავათების დაშვება არ იგულისხმება და ობიექტური მიდგომა უპირობოდ ძალაში რჩება, მაგ-

რამ მისდამი ნდობა უდიდესი დახმარება და მადლია. ამ ადამიანის გარშემო ხდება კონტაქტური სიტუაციების არნახული გაზრდა სულიერების რაობის ჩამოყალიბებისა და გავრცელების გარშემო. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სულიერი სამყაროს სურვილებსა და ინტერესებშიც, უდავოდ, შედის ჭეშმარიტი სულიერების ფუნქციონალური საკითხების კომპეტენტური შეცნობილობის შეტანა და გავრცელება მატერიალურ სამყაროში. იქ რომ ძალიან იშვიათად ხდება ხოლმე ისეთი რამ, რომ მატერიალიზირების შემდგომ, ცოცხალმა არსებამ შეძლოს ჭეშმარიტი სულიერი ცოდნის შენარჩუნება (უკვე აღარაფერს ვიტყვი მოძიებასა და აღქმაზე) და შეტანა იმ მატერიალურ გარემოში, სადაც იგი ხვდება. სწორედ ეს არის ის, რასაც მე სულიერი „საკვების“ სახელით მოვიხსენიებ.

ამ გზაზე დამდგარი ადამიანისთვის დაუწერელ და უპირობო კანონად, აუცილებელ შესასრულებელ უპირობო აქსიომატურ პირობად უნდა იქცეს ის, რომ ამიერიდან არავისა და არაფრის გულისათვის არასდროს, არსად, არანაირ სიტუაციაში აღარ დააყენოს გონება გულზე ზევით, და გულმაც ჯეროვნად უნდა მოინდომოს გონების დაფასება. ამის საზომად გამოადგება შიდა მდგომარეობის დაფიქსირება ანუ არანაირი ვაკუუმი აღარ უნდა შეიქმნას მასში. ეს ადამიანი უბრალოდ ისე უნდა უდგებოდეს თავის გარშემო მიმდინარე მოვლენებს მატერიალურ სამყაროში, როგორც დამკვირვებელი და მისთვის მატერიალური ცხოვრება თამაში უნდა გახდეს, არავისა და არაფერს (ვგულისხმობ, გარე მატერიალურ ფორმებს) არ უნდა მიეჯაჭვოს, და მასში ემოციები და ამბიციები აღარ უნდა წარმოიქმნას. ეს სავსებით შესაძლებელ რაიმეს წარმოადგენს.

სარწმუნო(ვნ)ება და მოსმენა (ნებაყოფილობითობა)

სარწმუნო(ვნ)ება როგორც სულიერი განდეგილობის წარმომადგენლობითი ნაწილი მატერიალურ სამყაროში არსებულ მიმდინარე რეალობაში განგების მიერ დაშვებული სულიერი ნაწილის გამოვლინებულობას წარმოადგენს. სარწმუნო(ვნ)ებას არ მოეკითხება პასუხი იმაზე, თუ რატომ სჩადის ამა თუ იმ დარღვეულობას, რამეთუ იგი მატერიალურ სამყაროში არსებული დარღვეული ნაწილის ვიზუალურ დონეზე გადმომცემი და თვალნათლივ დამნახველია.

ამ ყოველივეს თავისი დანიშნულება გააჩნია. ძალიან ძნელია შეაფასო ესა თუ ის მოვლენა, თუ იგი მალული, არ გამოჩინებული, არ აფიშირებული ფორმით არის წარმოდგენილი. ამავე დროს, დიდ სისულელეს წარმოადგენს ისეთი მიდგომა ამა თუ იმ საკითხისადმი, თუ ცოცხალ არსებაში ესა თუ ის მიდრეკილება ფესვგადგმული ფორმით არსებობს და ნებისყოფის დახმარებით, მოთმენით ის ამას შინაგანად იჭერს, აკავებს და არც ამის გადაფასებაზე არ ზრუნავს ამავდროულად. ფაქტიურად, სარწმუნო(ვნ)ება მატერიალურ სამყაროში არსებული ნეგატიური (არასულიერი სამყაროსეული) ნაწილის ღიად, თვალნათლივ ჩვენების საუკეთესო (თუ არა ერთადერთი) საშუალება გახლავთ. ეს არის ლუსტრაცია ყოველივესი, რაც კი იყო და არის. ეს ყოველივე პრინციპში თვითჩაღრმავებას ემსახურება.

სამწუხაროდ, მატერიალურ სამყაროში, ძირითადში, ისე ხდება ხოლმე, რომ სარწმუნო(ვნ)ებას ადამიანები ძირითადად, გარყვნილებაში გადაზრდიან ხოლმე. ეს იმიტომ ხდება, რომ ადამიანებს ავადმყოფურად დიდი მიდრეკილება აქვთ ყოველივეს გრაფიკულ, განსაზღვრულ და შემდგომ ამის დაუსრულებლად გამეორებად პროცესად გადაქცევისკენ. სარწმუნო(ვნ)ება საერთოდ ვერასოდეს ვერ ჩაჯდება ვერანაირ ჩარჩოებში და გრაფიკებში, ის მყისეული შინაგანი უპირობითობის სრულყოფილად დაკმაყოფილების საშუალებაა. ალბათ, ამის გამოცაა, რომ ადამიანებს მხოლოდ რამოდენიმე დღე, კვირა, თვე და ხანდახან წელი აქვთ გატარებული ხოლმე ისე, რომ მართლა თავისუფლად და ბედნიერად გრძნობდნენ თავს. მთელ თავის დარჩენილ სიცოცხლეს კი, ზომბირებული ქცევების გამოვლინებაში და ამ ბედნიერი წუთების გახსენებაში ატარებენ ხოლმე. სამწუხაროდ, ვიდრე ადამიანები საკუთარი პიროვნების სერიოზულად განხილვას ან ჭეშმარიტად განათლებულ, განრწმენდილი ადამიანების მოსმენას არ მოინდომებენ, მათთვის ეს ნაწერი აბსოლუტურად გაუგებარი იქნება და მათი ცხოვრების ეს მონოტონური მიმდინარეობა არანაირად არ (ვერ) შეიცვლება.

სარწმუნო(ვნ)ების ამ თვალით შეხედვის შემდგომ, საკუთარ არსში შესაძლებელი ხდება იმის ამოტივტივება, თუ რა არის ეს ყოველივე, სულიერი სამყაროსა და მის წარმომადგენელთა გადასახედიდან. ეს თავიდან შეიძლება ძალიან რთულ თავსატეხს ჰგავდეს, მაგრამ შემდგომ, ეს თავსატეხი სულ უფრო და უფრო მარტივდება და სრულიად მარტივი და ადვილად აღსაქმელი რამ ხდება. მთავარი, რაც ამ დროს ხდება, გახლავთ ის, რომ აქცენტი მატე-

რიალური სქესობრივი ურთიერთობების დამყარების მცდელობებიდან ამ მატერიალური სქესობრივი ურთიერთობების სურვილების გამომწვევი მიზეზის გაგებისა და აღქმის მცდელობებში გადადის, რაც, თავისთავად, პირდაპირ სულიერი საკვების მიღების სურვილად შეიძლება და უნდა შეფასდეს კიდეც.

სარწმუნო(ვნ)ება ხდება დამხმარე საშუალება იმისა, რათა ადამიანმა თავისთვის განსაზღვროს მატერიალური ცხოვრების ამა თუ იმ პერიოდში რა არის მისთვის საჭირო მოსმენისა და შესმენის თვალსაზრისით. ეს იქნება არა უბრალოდ რაიმე რიგითი ცვლილების შემოტანა, არამედ ცხოვრების სტილის შეცვლა.

აქამდე თუ სარწმუნო(ვნ)ების საშუალებით ხდებოდა ადამიანში ჩაგროვილი სულიერ სამყაროსთან არათანხვედრილი შეხედულებების ენერგეტიკულ დონეზე გამოვლინებულობისაგან უბრალოდ დაცლა-გათავისუფლება, ამიერიდან მოხდება ამ არათანხვედრილი ნაწილის ახსნა-განმარტების გათავისება საკუთარ შიდა არსში. პრინციპში, შეიძლება ითქვას, რომ ეს შეხედულებები აღარ გარდაიქმნებიან შემდგომ ჩაგროვილ ენერგეტიკულ გამოვლინებებად და არც მათგან გათავისუფლება აღარ გახდება საჭირო, რამეთუ არ იქნება ჩაგროვებული ენერგია, როგორც ასეთი, როგორღა გახდება საჭირო დაცლა იმისაგან, რაც რეალურად არ იარსებებს.

ვფიქრობ, ახლა უკვე შეიძლება გადავიდე იმის განხილვაზე, თუ რას მოიაზრებს თავის არსში ცნება, რაც ცხრილურ მონაცემში მოხსენიებულია <u>მოსმენის, იგივე ნებაყოფილობითობის</u> სახელით. პატარა შესავლის სახით მინდა ვთქვა, რომ მატერიალიზირებულ ცოცხალ არსებაში არსებული სარწმუნო(ვნ)ება მატერიალურ სამყაროზე მიჯაჭვულობის მაჩვენებელია (ხარისხითაც და რაოდენობითაც). თავის არსობრივ დატვირთვაში სარწმუნო(ვნ)ება ჭეშმარიტების იმ პორციალური ნაწილის დანახვის, აღქმის მცდელობაა, რომელიც ცოცხალ არსებას ვერ აქვს თავისში აღქმული და გათავისებული და, რომელიც სულიერ სამყაროში უკვე გაშიფრული და ზედმიწევნით ახსნილი სახით არსებობს. თუ პიროვნება (ამ შემთხვევაში ადამიანი) არ მოინდომებს მოუსმინოს სულიერ სამყაროს მისი წარმომადგენლების საშუალებით, ამ მის მიერ ვერ აღქმულ ნაწილს ის, პრინციპში, ვერანაირად და, ალბათ, ვერასოდეს ვერ შეძლებს ვერ აღქმული ჭეშმარიტების გათავისებას. სხვათაშორის, ძალიან საინტერესოა ამ ყოველივეს დაკავშირება ნებაყოფილობითობის ცნებასთან. სწორედ საკუთარი „მე“-ს ნებაყოფილობითობის შეზღუდვამ ე. წ. პასიურობამ იგივე საკუთარ „მე“-ზე

ჭარბი მოვალეობის აღებამ (ანუ მოვალეობის იმაზე მეტად აღებამ, ვიდრე უფლება აქვს აღებული) მიაჯაჭვა ცოცხალი არსება მატერიალურ სამყაროსა და მასში ეს სარწმუნო(ვნ)ების სახითა და საშუალებით გამოვლინდა. და ბოლოს, დავსვამ ერთ ლოგიკურ შეკითხვას: როგორ გავთავისუფლდე ამ ჭარბი მოვალეობისაგან და როგორ გარდავქმნა ჩემში არსებული სარწმუნო(ვნ)ება (ანუ ჩემში არსებული ვნება, ემოციური ბუნება) რწმენად ანუ იმ ცოდნად, რომელიც სულიერ სამყაროში ჭეშმარიტებად და გონიერებად არის აღიარებული? – პასუხი იქნება ასეთი: უკვე მატერიალიზირებულმა ცოცხალმა არსებამ საკუთარი ნებით, ნებაყოფილობითობით უნდა მოინდომოს საკუთარი პასიურობის პერიოდში სულიერ სამყაროში მოძიებული და მიღებული, დამკვიდრებული ჭეშმარიტი ცოდნა მოისმინოს. თქვენ წარმოიდგინეთ, აი ეს მონდომება, ეს სურვილი სრულიად საკმარისი აღმოჩნდება იმისათვის, რომ განგებამ შეუქმნას ისეთი სიტუაცია, რომელშიც გამოჩნდება მისნაირივე მატერიალიზირებული პიროვნება, რომელიც დააკმაყოფილებს მის ამ სურვილს (რა თქმა უნდა, იმხელაზე, რამხელაც იქნება სიღრმისეული და რაოდენობრივი თვალთახედვით ეს სურვილი).

უფრო გასაგები რომ გახდეს, ვიტყვი, რომ ეს მოსმენა გულისხმობს საკუთარი „მე“-ს ქალურ საწყისად აღქმას იმასთან დაკავშირებით, ვისაც უსმენს პიროვნება და თემატიკა უნდა იყოს ცალსახად სულიერების ზოგადი განხილვა. საკუთარი ინტერესების ვიწროპიროვნულ ჭრილში გადაყვანა ამ შემთხვევაში ამ პროცესს მომენტალურად მოკლავს და მატერიალურ სქესობრივ ასპექტში გადაიყვანს ანუ გონების კარს დახურავს და ემოციურ კარს გააღებს ადამიანში. ამ მატერიალურ სქესობრივ ურთიერთობებზე გადასვლა კი, პიროვნებას, ამ შემთხვევაში ქალური საწყისის მიერ, გარეგან წესრიგში გადასვლის მცდელობის შედეგად მოხდება.

მოსმენა იმისა, რაც ზემოთ აღვნიშნე იქნება საკუთარი პიროვნების ჭარბი მოვალეობისაგან გათავისუფლება, ეს არის საკუთარ „მე“-ში საკუთარი ნების, საკუთარი ნებაყოფილობითობის დარღვეული, შეზღუდული ნაწილის აღდგენა, ეს არის მატერიალურ სამყაროზე მიჯაჭვულობისგან გათავისუფლების ერთადერთი გზა, ეს არის სულიერ სამყაროში უკვე აღქმული და დამკვიდრებული ჭეშმარიტების აღქმა და დამკვიდრება საკუთარ „მე“-ში. მოკლედ, ეს არის ძალიან საჭირო და ძალიან აუცილებელი ადამიანისთვის. უფრო მეტსაც ვიტყვი, პრინციპულად ვაცხადებ, რომ მოსმენის სურვილის გარეშე (რომელ და რის მოსმენასაც ვგულისხმობ

ალბათ გასაგებია) ადამიანის არსებობას მატერიალურ სამყაროში აზრი არა აქვს. ის, უბრალოდ იბორიალებს დედამიწაზე, ვიდრე ბოლომდე არ ამოწურავს მატერიალურ სხეულში ყოფნისთვის საჭირო ენერგეტიკულ რესურსებს. შემდგომ, დატოვებს სხეულს, რაღაც პერიოდი იქნება გაურკვეველ მდგომარეობაში მატერიალიზაციის ნოსტალგიის სურვილით დამძიმებული, შემდეგ ხელახლა დაიბადება და აი, ასე უსასრულოდ გადავა სხეულიდან სხეულში, ვიდრე მატერიალური სამყარო საერთოდ არ გაუქმდება და ისიც, მილიარდობით წლების განმავლობაში, ძილის მდგომარეობაში გადავა, ვიდრე კვლავ არ გამოვლინდება მატერიალური სამყარო და ისევ დაიწყება სხეულიდან სხეულში გადასვლის მარათონი და ა. შ.

მომიტევეთ, მაგრამ ამ ბორიალს მე სულიერ სამყაროში დაბრუნება მირჩევნია და სხვებს კი, როგორც სურდეთ ისე მოიქცნენ, ნება მათია.

თვითკმარობა და გაზიარება (თვითკმარი მყუდროება)

თვითკმარობა, როგორც სულიერი განდეგილობის მამაკაცური საწყისის წარმომადგენლობითი ნაწილი, მატერიალურ სამყაროში მატერიალიზირებამდე არსებული შინაგანი არსის აღქმის ამსახველია. თვითკმარობას არ მოეკითხება პასუხი იმაზე, თუ რატომ მოხვდა ადამიანი ამ არასრულყოფილების მდგომარეობაში. მას ევალება დაბადებამდე არსებული ცნობიერების მაქსიმალურად ზედმიწევნითი დაფიქსირება.

მატერიალური სამყაროს თვალთახედვითი გადასახედიდან თვითკმარობის მიღწევა უსერიოზულეს წარმატებად არის მიჩნეული, მაშინ, როდესაც სულიერი სამყაროს თვალთახედვითი გადასახედიდან ეს მხოლოდ ცოცხალი არსების მიერ საკუთარი საქმიანობით ჩადენილი დარღვეულობის აღნუსხვასა და აღქმას წარმოადგენს ზოგად ცნობიერულ დონეზე. მე იმას არ ვამბობ, რომ ეს ცოტაა, მაგრამ იმას ნამდვილად ვგულისხმობ, რომ ეს, ჩემი შეხედულებით, არ არის სასურველი საკმარისად და მატერიალიზირებულ ცოცხალ არსებაზე (ადამიანზე) განგების მიერ გაპიროვნებული ვალდებულების შესრულების მაქსიმუმად ჩაითვალოს.

ფაქტიურად, ამ დონის მიღწევა ადამიანს უხსნის და აგებინებს იმას, თუ რა აღარ უნდა აკეთოს იმ საქმიანობების ნუსხიდან, რასაც იგი აკეთებდა და, ხშირ შემთხვევაში, სხვებსაც აძალებდა. მაგ-

რამ, კმარა კი იმის ცოდნა ადამიანისთვის თუ რა არ უნდა აკეთოს? ერთი კია, ვინაიდან მამაკაცურ საწყისზეა ლაპარაკი, ავტომატურად იგულისხმება – ჭარბი აქტიურობის გადაჩვევა. ვიდრე ეს გადაჩვევა მოხდება, იქამდე ამით დაკავება ჭეშმრიტად იდეალურად საჭირო საქმიანობად შეიძლება იქნას მიჩნეული ადამიანისათვის.

თვითკმარობის ფუნქციონალურ გამოვლინებაში მატერიალურ სამყაროში მიღებულ და იქ დამკვიდრებულ პირობითობებზე დამოკიდებულობისაგან გათავისუფლება მიმაჩნია. ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანს აღარ აინტერესებს კაცობრიობის (მატერიალური სამყაროს) მიერ გამოგონებული სპეკულაციური ღირებულებები, მათი დაცვა და პატივისცემა. თუმცა არანაირად არ უჩნდება სურვილი ამ პირობითობებთან დაპირისპირებაში მოხვდეს და ყველას მტკიცება დაუწყოს იმის თაობაზე, რომ ისინი სპეკულაციური გზით მიღებული ღირებულებებია და რეალურად, მხოლოდ სულიერი ფასეულობის დამახინჯების სურვილით არიან დამუხტულები, რათა მატერიალიზმი სულიერებაზე უპირატეს და საჭირო ცნებად მონათლონ.

თვითკმარობას მიღწეული ადამიანი ადამიანთა საზოგადოებაში უმაღლეს საფეხურს არის მიღწეული, მაგრამ სულიერ სამყაროში დაბრუნების უფლება (ვიზა) მას ჯერ არა აქვს სრულყოფილად მოპოვებული. მატერიალურ სამყაროში ყოფნის პერიოდშივე უნდა მოახერხოს ამ ადამიანმა საკუთარი ცდომილებები მართებულ შეხედულებებად გადააქციოს, რითაც თვით მამა ღმერთისა და სულიწმიდის გარემოცვაშიც კი შეიძლება მოიპოვოს დამკვიდრების უფლება. ეს რეალურად საკუთარ პიროვნებაზე მუშაობით იქნება გამოხატული. ამ ცოცხალ არსებას ეჩქარებოდა ახალი ცნობიერების შემოტანა სულიერ სამყაროში, მოვლენებს დაასწრო, არ გაითვალისწინა ობიექტური რეალობისთვის შესაბამისობა, საკუთარი შეხედულებები დასამკვიდრებელ ჭეშმარიტებად მონათლა და აი, ამან მოახვედრა მატერიალურ სამყაროში. ახლა კი, სწორედ რომ, იმ შეხედულებათა თანამიმდევრული და სკურპულოზური გადახედვა და მატერიალურ (ან სულიერ) სამყაროში მიმდინარე მოვლენებეთან შეთანხმება, რაიმენაირად შესაბამისობაში მოყვანა მოუწევს. ისე რომ, ძნელია ამ ცოცხალ არსებას სულიერ სამყაროში მიმდინარე მოვლენებს ჩამორჩენილი ვუწოდოთ, მასში მართალია, არეული, მაგრამ მაინც არის ყველა ინფორმაცია, რაც სულიერ სამყაროში უკვე მიიღეს და დაამკვიდრეს კიდეც. და, უფრო მეტსაც ვიტყვი, მას ის ინფორმაციაც კი გააჩნია, რასაც მისი მატე-

რიალურ სამყაროში სხეულის სახით ყოფნის პერიოდში სულიერ სამყაროში მიიღებენ და დაამკვიდრებენ. ისე რომ, ამ ადამიანს უჯობს მიხვდეს, რომ არსად საჩქარო მას არა აქვს. იგი უნდა ეცადოს ამ ინფორმაციული ცოდნის მიღმა (მისთვის) მყოფი ცოცხალი არსებები დაინახოს. დააკვირდეს იმას, თუ რამდენად შეუძლიათ მათ იმის აწევა და აღქმა და რა ინტენსივობით. ეს მის უმთავრეს და უმნიშვნელოვანეს ამოცანად უნდა იქცეს ალბათ, მრავალი ათასწლეულების განმავლობაში იქამდე, ვიდრე არ მიხვდება და არ შეიგრძნობს იმას, ვის რა პორციალური ცოდნა უნდა მიეცეს, როდის და როგორ. არ შეიძლება სხვას მოსთხოვო ისეთი რამ, რაც რეალურად, მის ძალებსა და მის შესაძლებლობებს ბევრად, ან თუნდაც, იოტისოდენადაც კი, აღემატება.

აი, ამის გამო თვითკმარობა უნდა გადავიდეს იმ ცნებაში, რასაც გაზიარებად (თვითკმარ მყუდროებად) მოვიხსენიებდი ცხრილში.

სწორედ ჭეშმარიტი გაზიარების (არაჩასაფრებულობის, არაკრიტიკულობის, არაიგნორირების) გზით არის შესაძლებელი ამ ადამიანისათვის იმის პოვნა და მოძიება, თუ რა უნდა აკეთოს სანაცვლოდ იმისა, თუ რა არ უნდა აკეთოს. გაზიარების უმთავრესი პრინციპი დგას იმაზე, რომ ე. წ. წარმმართველი ძალა, მართული ნაწილის ნება-სურვილების სრული გათვალისწინებით, ახდენს სიტუაციის მართვას. შეიძლება ამას დემოკრატიის ცნების სუნი უდიოდეს. პრინციპში, თუ რაიმე პოზიტიური არსებობს ამ სიტყვაში, მაშინ სწორედ რომ ეს უნდა მოიაზრებოდეს ალბათ. მაგრამ სიტუაციის მმართველად ყოფნის სურვილის გამო წარმოქმნილი საკუთარი მრწამსისა, რწმენის და ობიექტურობის ღალატთან დაპირისპირებაა მატერიალურ სამყაროში დემოკრატიის ცნების გამოვლინებად მონათლული. აქ მთავარია იყოს მმართველი და არა დაამკვიდროს თავისი რწმენა მისი გულწრფელი გაზიარების გზით. ეს ერთგვარი მცირედი გადახვევა იყო, უბრალოდ სულმა წამძლია, ალბათ ძალიან მომბეზრდა ყველას მხრიდან დემოკრატიის ქებადიდების მოსმენა.

საინტერესო შეკითხვა მინდა დავსვა: როგორ უნდა მოახერხოს ადამიანმა თვითკმარობიდან გაზიარებაზე გადავიდეს? პასუხი შემდეგია – თვითკმარობას მიღწეულმა ადამიანმა უბრალოდ უნდა მოინდომოს სხვა ადამიანებს გაუზიაროს თავისი ცოდნა სულიერების შესახებ. აქ უკვე იგულისხმება, რომ ის ჭარბად აქტიურობას ანუ საკუთარი შეხედულებების თავზე მოხვევას არავის დაუწყებს.

მოკლედ, ამ მონდომების ე. ი. სურვილის წარმოქმნის შემდგომ განგება მას ისეთ სიტუაციას შეუქმნის, რომელშიც იქნებიან ადამიანები, რომლებიც თავადვე სთხოვენ მას გაუზიაროს თავისი შეხედულებები ამა თუ იმ საკითხის გარშემო. ისე რომ გაზიარებაზე გადასვლა მიღწევადია და ეს ადამიანს ჭეშმარიტად თვითკმარ მყუდროებას მოუტანს. თვითკმარი მყუდროება ძლიერ განსხვავებული რამაა თვითკმარობისაგან. რაში მდგომარეობს განსხვავება? პირველ შემთხვევაში ძირითადი აქცენტი მყუდროებაზე ანუ საკუთარ არაინდივიდუალიზმზეა გამახვილებული, ხოლო სხვა ენაზე თუ ვიტყვი, ღმერთების უზენაეს პიროვნებაზე მამა ღმერთზე როგორც ყველა მოვლენის წამყვანზე.

აგრეთვე ერთი ფრიად ნიშანდობლივი რამ მინდა აღვნიშნო გაზიარებისა და თვითკმარი მყუდროების განყოფილებაში მოხვედრის მსურველთათვის. აქ ჭეშმარიტად მოხვედრის მსურველმა უნდა გაიცნობიეროს ის, რომ ერთხელ და სამუდამოდ საკუთარი მატერიალური ცხოვრების მთელი ხანგრძლივობის პერიოდში გონება და გული ერთმანეთთან შეჯერებულნი უნდა იყვნენ. ასეთი პიროვნება უნდა გრძნობდეს თანამოსაუბრეებს, სიტუაციის ატმოსფეროს, ადამიანების განწყობას, საჭიროებასა და არ საჭიროებას, რაიმე სახის მლიქვნელობასა ან უტაქტობას.

კიდევ ერთხელ ვაცხადებ ამ საფეხურზე გადასული ადამიანი მადლცხებულია განგების მიერ და სულიერი სამყაროს წარმომადგენლად გადაიქცევა მატერიალურ სამყაროში მატერიალური სხეულით ყოფნის მიუხედავად.

II თავი
ვიჯნანა – პარამპრანა
საკუთარი „მე“-ს ფუნციონალური საქმიანობის განსაზღვრის მეორე საფეხური

პარამპრანა – სულიერ სამყაროში დამკვიდრებული ცნობიერების (ე. წ წარსულის) ათვისება და აღქმა ისე და იმად როგორც ამას მოიაზრებს და ღებულობს განგება თავის ცნობიერ აღქმაში. ამის შედეგად მატერიალიზირებულ ცოცხალ არსებაშიც კი, წარსულთან მიმართებაში, ასე ვთქვათ, გაჯერება (შიდა ინტელექტუალური დაკმაყოფილება) ხდება, რაც იმით გამოიხატება, რომ მას „მატერიალური“ ანუ გამოსახულებასთან დაკავშირებული ნატვრები და სურვილები აღარ გააჩნია და ე. წ. ორგაზმის, ნეტარების მდგომარეობაში იმყოფება მუდმივად.

პარამპრანაში გადასვლა შესაძლებელია მოხდეს ვიჯნანადან, როგორ უცნაურადაც არ უნდა ჩანდეს ეს გვერდიდან, უხეშად რომ ვთქვათ, არაპროფესიონალური გადასახედიდან. ამ შემთხვევაში უმთავრეს დატვირთვას იძენს სტატუსკვო სიტუაციის უპირობოდ მიღების უნარის ქონა.

ვიჯნანა – საკუთარი „მე“-სთვის განგების მიერ მონიჭებული უფლებამოსილება ქველმოქმედება	
მამაკაცური საწყისი მეცნიერება – მატერიალურ სამყაროში არსებული სტატუსკვო პირობითობების მიღება და შესრულება	ქალური საწყისი კულტურა – მატერიალურ სამყაროში არსებული სტატუსკვო უპირობითობების მიღება და დაკმაყოფილება
პარამპრანა – საკუთარი „მე“-ს ინიციატივით ასაღები მოვალეობა. სულიერი ნაწილის (მისი ინტერესების) დაცვა	
მამაკაცური საწყისი განათლებულობა – სულიერ სამყაროში არსებული სტატუსკვო პირობითობების ზედმიწევნით მიღება, აღქმა და სრულყოფილად შესრულება	ქალური საწყისი ნეტარება – სულიერ სამყაროში არსებული სტატუსკვო უპირობითობების მიღება პირადი მოსაზრების ჩარევის გარეშე და მათი დაკმაყოფილება

ქველმოქმედება და სულიერი ნაწილის დაცვა

ჭეშმარიტი ქველმოქმედების (სიქველის) გამოვლინების უნარი მხოლოდ იმ მატერიალიზირებულ ცოცხალ არსებას (ადამიანს) გააჩნია, რომელმაც შეძლო აბსოლუტურად (რაც ხდება) ყველაფრის

ობიექტურ რეალობად მიღება. ამის გარეშე ადამიანის მხრიდან გამოვლინებული ქველმოქმედება საკუთარი შეხედულებით ანუ სიქველის გამოვლინების ნებისმიერი მცდელობა მხოლოდ ამის ბუტაფორია იქნება და მეტი ვერაფერი.

აუცილებლად მინდა აღვნიშნო ის, რომ ამ არასწორად გამოვლინებულ ე. ი. ბუტაფორიულ ქველმოქმედებას ადამიანი მატერიალიზირებული ნაწილის ნებისმიერ ფასად დაცვის მცდელობაში გადაჰყავს. ეს რეალურად გამოხატული იქნება, ერთი მხრივ, გარემოზე ზემოქმედების სახით, ხოლო, მეორე მხრივ, ზემოქმედებით საკუთარ „მე“-ზე.

მატერიალურ სამყაროში გამოვლინებული ქველმოქმედება, ძირითადად, მატერიალური თვალსაწიერიდან სრულდება. შედეგად გონებით გათვალისწინებულ საქმიანობას ეფუძვნება და, საბოლოო ჯამში, სამწუხაროდ, მაამებლობად, მლიქვნელობად გარდაიქმნება. თუმცა ჩანაფიქრში ეს საქმიანობა უანგარობის სულისკევეთებით არის დამუხტული, უკვე ამის განხორციელების პროცესში, იგი, არათუ ჭეშმარიტი ფუნქციონალურობის შესრულების სამსახურში ვერ დგება, არამედ პირიქითაც კია, მხოლოდ ვიზუალურობის შენარჩუნებას ემსახურება. ეს უბრალოდ, იმიტომ ხდება, რომ სულიერი ნაწილის ინტერესების არ გათვალისწინების ხარჯზე ხდება მატერიალური ნაწილის ინტერესების დაკმაყოფილება. მოკლედ, სულიერი ნაწილისთვის უპირატესობის არ მინიჭების შედეგად თვით ისეთი დიდებული მცდელობაც, როგორიცაა ქველმოქმედება, მლიქვნელობის, მაამებლობის სახეს იღებს და მისი უძირითადესი აზრი საერთოდ იკარგება.

ფაქტიურად, თავისდაუნებურად ირღვევა ის პირველი პრინციპი, რომელიც მეორე ნაწილის პირველ თავში გადასვლის აუცილებლობისთვისაა აღნიშნული. ის, ვინც წინასწარ უკვე რაღაც დაგეგმა და განსახორციელებლად დაამტკიცა, თავისივე რწმენითი ბეჭდით, ნებით თუ უნებლიედ, უკვე უგულვებელყო იმის აზრი და შეხედულება, ამის შესახებ ვის მიმართაც გადაწყვიტა სიქველის ჩადენა. ფაქტობრივად, დაარღვია ნებაყოფილობითობისა და თვითკმარი მყუდროების პრინციპი. აქვე არის მეორე საკითხიც. ეს, მის მიერ გათვალისწინებული ქველმოქმედება, მეორე (ან მრავალ სხვა) პიროვნებასთან მიმართებაში შეიძლება ამ პიროვნებაზე ზემოქმდების ან საკუთარ თავზე ზემოქმედების შემოტანის ხარჯზე მოხდეს რეალურ ცხოვრებაში. პირველ შემთხვევაში, თუ თვითნებურად შეავიწროვებს სხვა პიროვნებას, მეორე შემთხვევაში,

თვითნებურად გარყვნის მას. ნამდვილად ძნელი სათქმელია ამ ორი უბედურებიდან რომელია უარესი, მაგრამ ერთი რამ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, ამათგან არც ერთია საჭირო და სასურველი და არც მეორე. ორივე ჭეშმარიტად უბედურების მომტანია.

ამ დაგეგმარებას ადამიანმა უმჯობესია თავი ანებოს და ეცადოს შეძლოს თავისში აბსოლუტურად ყველა უკვე მომხდარი, მიმდინარე და მომავალში მოსახდენი მოვლენის ობიექტურ რეალობად მიღება და აღქმა. წინააღმდეგ შემთხვევაში ის აუცილებლად წინააღმდეგობაში აღმოჩნდება ვიღაცასთან ან რაღაცასთან, უსათუოდ შემოიტანს თავისში უსამართლობის არსებობის ცნებას, რითაც ავტომატურად მოხვდება განგებასთან, მამა ღმერთთან, სულიწმიდასთან, ღვთის ძესთან, ღვთის ასულთან, მთელს სულიერ სამყაროსთან და მის წარმომადგენლებთან დაპირისპირებაში. თუ ადამიანს მიღებული აქვს ყველა მოვლენის ობიექტურად მიღებისა და აღქმის თეზისი, როგორც თეორიულ ისე პრაქტიკულ დონეზე და მატერიალურ სამყაროში მასთან ვინმე ან რაიმე თვითონ შევა მასთან დაპირისპირებაში, ეს განგების მიერ მისთვის დაკისრებულ სამსახურად, სამუშაოდ უნდა ჩათვალოს და ისე უნდა მოექცეს ამ ვიღაცას ან რაღაცას როგორც ის თავად ექცევა მას. თუ სიქველესთან დავაკავშირებთ, სწორედ ეს იქნება ამ შემთხვევაში ჭეშმარიტი ქველმოქმედების გამოვლინება (თუნდაც სხვა ადამიანის ე. წ. მოკვლა ანუ მისი სულის სხეულიდან გამოყვანა მოითხოვოს სიტუაციამ).

აი, სწორედ ამაზე იყო ლაპარაკი, რომ რეალურად, ქველმოქმედება სულიერი, მთელი ნაწილის ინტერესების დაცვაა. ვისაც საკუთარი „მე“ მატერიალური სხეული ჰგონია ე. ი. თითქმის მთელი მატერიალიზირებული ცოცხალი არსებები, რა თქმა უნდა, ამას ვერ გაიგებენ, ვერ მიხვდებიან და ვერ შეიგრძნობენ, მაგრამ, პრინციპში, ეს მათი პრობლემაა. თუ დომინანტურ რაოდენობას ქველმოქმედების ცნების ჭეშმარიტი არსის გაგება არ სურს, ეს იმას როდი ნიშნავ, რომ ეს ცნება, თავის არსობრივ დატვირთვაში, მათი გულისათვის შეიცვლება. აი, ეს იყო სულ, რაც ქველმოქმედებაზე მინდოდა მეთქვა, საიდანაც უნდა მოხდეს გადასვლა პარამპრანას საფეხურზე ანუ მთელი (თუნდაც საკუთარი) სულიერი ნაწილის დაცვაზე.

პარამანნა საკუთარი მატერიალიზირების მომენტში არსებულ ცნობიერებასთან შედარებით წარსულში არსებული ცნობიერების გააანალიზება და გააანალიზებინებაა (მოსმენა და გაზიარებაა).

პარამაპრანა, საკუთარი მატერიალიზირების მომენტში არსებულ ცნობიერებასთან შედარებით, აწმყოში არსებული ცნობიერების სრულყოფილი დაცვაა. ის გამოიხატება განათლებითა და ნეტარებით. ნეტარებაში ვგულისხმობ იმას, რომ ადამიანში არანაირი სახის სურვილები აღარ არსებობს მატერიალურ სამყაროსთან მიმართებაში საკუთარი ინიციატივიდან მომდინარებული. ეს თავისთავად მიიღწევა თუ ადამიანი ჭეშმარიტად მიჰყვება იმას, რაც მისთვის განგების მიერ არის განსაზღვრული. სურვილი მატერიალურ სამყაროსთან მიმართებაში საკუთარი ინიციატივიდან მომდინარებული კი იმიტომ აღარ გააჩნია, რომ მისი სურვილები მთლიანად სულიერ სამყაროსთან მიმართებაში ხდება დაკავშირებული. და ისიც სისულელეა, თუ ვინმე იტყვის, რომ ამ ადამიანს მატერიალური სხეული მიგდებული და დაჩაგრული ჰყავს. შეიძლება ითქვას პირიქითაც კია. მისი ინდივიდუალური სხეული სრულიად თავისუფალი ხდება და ამ ადამიანს იმასაც კი აბრალებენ, რომ იგი სხვათა უბედურებებს არ განიცდის და სხვათა ბედნიერებებს არ იზიარებს, უბრალოდ, ამ ადამიანს ეს ე. წ. უბედურებები და ბედნიერებები ობიექტური რეალობის მიმდინარეობის შედეგებად მიაჩნია, ჯერ ერთი და, მეორეც, მატერიალურ მოვლენებს ადამიანთა სულების მდგომარეობის ექოდ აღიქვამს და, სიმართლე რომ ითქვას, სულთა რეალური მდგომარეობის დანახვისა და გაგების (თუნდაც შეგრძნების) საშუალება გახლავთ და მეტი არაფერი. ამ ადამიანს ხომ საკუთარი „მე“ ნამდვილად აქვს აღქმული საკუთარ ინდივიდუალურ სულად და არა საკუთარ მატერიალურ სხეულად.

როგორც პარამპრანას განმარტებაში აღვნიშნე, ეს საკუთარი სულიერი სტატუსისა და სტატუსკვო მდგომარეობის დაფიქსირება და მისი დაცვაა საკუთარი მატერიალიზაციის მომენტის შესაბამის დროში. განათლებულობაც სწორედ ამას მოიაზრებს თავისში. ეს, ჭეშმარიტად სულიერი ნაწილის, მისი ინტერესების დაცვაა სწორედ. ეს, დაახლოებით იმას ჰგავს ადამიანი უზარმარი სიჩქარით მოძრავ მატარებელში რომ იჯდეს და შემდეგ, ამ მატარებლიდან ჩამოვიდეს, იმ მატერებელზე დაჯდეს, რომელიც საპირისპირო მიმართულებით მოძრაობს და იქ ჩამოვიდეს ამ მატარებლიდან, სადაც თავდაპირველ მატარებელში ავიდა. პარამანნასაგან განსხვავებით იგი აღარ ბორგავს და ქექიალობს უფრო შორეულ წარსულში. ის, უბრალოდ, ადგილზე რჩება და განგების, ღმერთის, სულიერი სამყაროს მითითებებს ელოდება. ხოლო ვიდრე ამ მითითებებს მიიღებს,

უხეშად რომ ვთქვათ, საკუთარი მოუთმენლობისაგან თვითგანკურნებით კავდება.

ის, ვინც სულიერი ნაწილის დაცვით არის დაკავებული, ავტომატურად ახდენს საკუთარი და თუნდაც მთელი მატერიალური ნაწილის დაცვას, ოღონდ არა სულიერი ნაწილის დაზიანების, მისი ინტერესების იგნორირების ხარჯზე. პრინციპში, შეიძლება ითქვას, რომ ეს პროცესი სულიერ სამყაროში დაბრუნების მეორე უმნიშვნელოვანეს საფეხურს წარმოადგენს. ეს ადამიანი სულიერი სამყაროსთვის ხდება მყარად, სტაბილურად საიმედო ცოცხალი არსება, რომელსაც ასე ადვილად აღარ წასძლევს სული გაუაზრებლად გაექანოს იქით, სადაც ნებისმიერი სპონტანური მოვლენა დიდ ან პატარა ხმაურსა და აურზაურს გამოიწვევს. პარამპრანა თავის არსში მოიაზრებს საკუთარი მატერიალიზირების მომენტში სულიერ სამყაროში არებული სტატუსკვო მდგომარეობის ობიექტურ რეალობად მიღებას და აღქმას. ამ შემთხვევაში, მართლა უმნიშვნელოვანესი დატვირთვა ეძლევა საკუთარი სურვილების არ ქონის მიღწევას საკუთარი ინიციატივებიდან გამომდინარეს მატერიალურ სამყროსთან მიმართებაში, მხოლოდ მასთან მიმართებაში სხვათა ინიციატივებიდან მომდინარე სურვილების განგების ნების გამხმოვანებლად გადაქცევას. ხოლო სულიერ სამყაროსთან მიმართებაში კი, პირიქით, სწორედ რომ საკუთარი ინიციატივით საკუთარი სურვილების გაჩენა და ჩამოყალიბება მოხდება. ამ ადამიანის ინტერესების სფერო მთლიანად სულიერი სამყაროს გარშემო, მის შესახებ უნდა ტრიალებდეს და იზრდებოდეს იქამდე, ვიდრე მასში უკლებლივ ყველა სურვილი, ყველა ინტერესი სულიერ სამყაროსთან არ იქნება დაკავშირებული. ეს იქნება პარამპრანას, სულიერი ნაწილის დაცვის ჭეშმარიტი გამოვლინება.

კულტურა და ნეტარება (ზომიერი თანამიმდევრულობა)

კულტურა, როგორც ვიჯნანას იგივე ქველმოქმედების ქალური საწყისის წარმომადგენლობითი ნაწილი, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს მატერიალიზირებული ცოცხალი არსებების (განსაკუთრებით ადამიანების) მატერიალური სახით არსებობის მთელი პერიოდის განმავლობაში.

როგორც არ უნდა მოვინდომო კულტურის ცნების გალამაზება ან დამახინჯება, რეალურად იგი მთლიანად წარსულში მომხდარი

მოვლენების გონების დონეზე ვერ აღქმულ ნაწილს გამოხატავს. თუმცა აუცილებლად მინდა აღვნიშნო, რომ ამ ვერ აღქმულობის მაქსიმალურად საუკეთესოდ გამოხატვას ემსახურება (ყოველ შემთხვევაში, უნდა ემსახურებოდეს). სხვა სიტყვებით რომ ითქვას, კულტურა ადამიანებში არსებული ემოციების მოთვინიერების და მართვის მექანიზმს წარმოადგენს. თავის მხრივ, ემოციები ხომ გონების დონეზე რაღაცა ინფორამციის ვერ აღქმის შედეგია.

კიდევ ერთ განმარტებას თუ გამოვიყენებ, კულტურა მატერიალურ სამყაროში არსებული სტატუსკვო უპირობითობების მიღება და დაკმაყოფილებაა. იგი ერთგვარ ბაქანს წარმოადგენს, საიდანაც ორი გზა არსებობს ერთმანეთის საპირისპირო მიმართულებით განთავსებული. ერთ მათგანს ადამიანის დაბლა ჩამოყვანის უნარი გააჩნია. ამ გზას ადამიანი ფანატიზმში გადაჰყავს. აქ გადასული კულტურაში მიღებული ქცევების ზედმიწევნით შესრულების მსახური და უკაცრავად და მონა-მორჩილი ხდება. ადამიანი გადადის პრანამაიაში ანუ მატერიალური სხეულისთვის განგების მიერ მინიჭებული მატერიალური ყოფიერების დაცვაში და ცალსახად მის შენარჩუნებაში. ამ ქმედებით ადამიანი, ასე ვთქვათ, წარსულში ჩარჩება ხოლმე. ისე როგორც ინდივიდუალური სული ფაქტიურად კვდება და საკუთარ „მე“-ს გაგება მხოლოდ მატერიალურ სხეულად აღქმულობამდე დაჰყავს. ამჟამად, ჩემდა საბედნიეროდ, დარწმუნებული ვარ, რომ ეს ყველა ადამიანისათვის გარდაუვალ პროცესს არ წარმოადგენს, თუმცა, ჩემდა სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ ეს ადამიანთა აბსოლუტური უმრავლესობის ცხოვრებაში ვლინდება, მით უმეტეს დღეს-დღეისობით, როდესაც სულიერება აგრერიგადაა დაკნინებული და გაბითურებული დედამიწაზე. ამ ადამიანთა „გაცოცხლება“ თითქმის შეუძლებელიც კია, იმდენად ძნელია აქედან მათი გამოყვანა და თუნდაც, ისევ კულტურის ცნების ჭეშმარიტად მიყოლაში დაბრუნება. ადამიანი მაინც რაღაცა სტაბილურობის დამყარების მოსურნე არსებაა. მას გარდაქმნები რატომღაც მუდმივად აშინებს. რაღაც გრაფიკულ-ცხრილურ მონახაზს დამსგავსებული ცხოვრება მისთვის წესიერების საუკეთესო გამოვლინებად არის მიღებული და ყველაფერი, რაც ამ გრაფიკში ვერ ჯდება, მზად არის უწესობად, უზნეობად მონათლოს. ამ გზას მიყოლილი ადამიანები საკუთარ გულში არსებული სურვილების ჯერ ჩუმად, მალვით ტარებით, შემდეგ, მათთან დაპირისპირებით, მათი იგნორირებით, ბოლოს კი, მათი განადგურების სურვილით მოქმედებენ. ეს აშკარა ზემოქმედება საკუთარ „მე“-ზე

ადამიანებში ენერგიის ჩაგროვებას იწვევს, რაც შემდგომ, მათში ჭარბი წონის წარმოქმნაში გამოიხატება ხოლმე. ისინი იძინებენ, იღვიძებენ, ჭამენ, სვამენ, საზოგადოებრივ სამსახურში რაღაცა სამუშაოთი არიან დაკავებულნი, ლაპარაკობენ, სექსით კავდებიან, შვილებს აჩენენ და ა. შ... მაგრამ სინამდვილეში, ისინი უკვე „მკვდრები“ არიან, თუმცა ამას, რა თქმა უნდა, ვერანაირად ვეღარ აცნობიერებენ. თავიდან მიჭირდა ამის ყურება, მას შემდეგ, რაც ეს გავიცნობიერე და ამის გამო მიდრეკილი ვიყავი იმისაკენ, რომ როგორმე დამენახვებინა ეს მათთვის და მხოლოდ ამ ბოლო დროს მივხვდი, რომ თუ ეს მათ თავადვე არ აწუხებთ და თანაც – ძალიან, ჩემი მცდელობები აბსოლუტური სისულელეა. ინიციატივა, აქედან გამოსვლისა, სწორედ მათგან უნდა მომდინარეობდეს და არც ერთ შემთხვევაში არ უნდა ხდებოდეს ჩემგან. თუ საკუთარ ინტერესებზე ვიტყვი, მე მათ ვერაფრით დავეხმარები ამ სულელური აქტიურობით, აი იმათ კი, თავის დაჭაობებულ ცნობიერებაში ნამდვილად შეიძლება რომ ჩამითრიონ და მეც თავისნაირ ყოფაში გადამიყვანონ.

მეორე გზა კულტურიდან მიმავალი, პირიქით, ზედა საფეხურზე ასვლის საშუალებას იძლევა. ამ გზას ადამიანი ჭეშმარიტ რეალობაში გადაჰყავს. აქ გადასულისთვის კულტურის ცნების საფუძველზე შემოტანილი ქცევები გონების მიერ აღქმის დონემდე მიდის, ანუ, იმის აღქმის დონემდე, თუ რამ გახადა საჭირო ამა თუ იმ ქცევის, წესის, რიტუალის, ტრადიციის ასეთად შემოტანის საჭიროება და აუცილებლობა. ეს იქნება მატერიალურ სამყაროში გამოვლინებული კულტურული ცნობიერების შესაბამისი ემოციების გონებად გარდაქმნა. რეალურად გადასვლა ხდება ვიჯნანადან პარამპრანაში ანუ სულიერი ნაწილის, ინდივიდუალური სულის ინტერესების დაცვაში.

აქ გადასული ადამიანისათვის კულტურაში მიღებული და დამკვიდრებული ქცევები მხოლოდ და მხოლოდ სხვა ადამიანებთან კომუნიკაციის, ურთიერთობის დამყარებისა და ხელშეწყობის საშუალება ხდება და მეტი არაფერი. მისთვის კულტურისა და მისი გამოვლინებების ყველანაირი სხვანაირი ფორმის დატვირთვა უქმდება და მხოლოდ აი, ეს ერთადერთი დატვირთვა რჩება. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ პრინციპში, სწორედ ეს გახლავთ კულტურის ცნების ფუნქციონალური დატვირთვა და მეტი არაფერი არ უნდა შეიზილოს, შეირიოს მასში.

ადამიანი, რომელიც შეძლებს საკუთარ ცნობიერებაში კულტურის ცნებასთან ასეთი მიდგომა გამოიმუშაოს, ჭეშმარიტად სრულყოფილ დონეზე, მთლიანად გათავისუფლდება ე. წ. მატერიალური სურვილებისაგან, რაც თავისდაუნებურად, ე. წ. ნეტარების მდგომარეობაში გადაიყვანს მას. ნეტარება არის მდგომარეობა, როდესაც ადამიანს მატერიალური ანუ „ეგო"-დან მომდინარე სურვილები არანაირი ფორმით აღარ გააჩნია.

მე კიდევ ერთ განმარტებას გავაკეთებ ნეტარებისა, ასეთ ფორმულირებას ჩავსვამ: ნეტარება (ზომიერი თანამიმდევრულობა) სულიერ სამყაროში არსებული უპირობითობების მიღებაა პირადი მოსაზრების ჩარევის გარეშე და მათი დაკმაყოფილებაა.

რას ნიშნავს ეს და რატომ მოვიტანე ეს მეორე განმარტება? საქმე იმაშია, რომ მატერიალური სამყაროდან სულიერი სამყაროს ან სრული იგნორირება ხდება ან სულიერი სამყაროს ზედმეტი იდეალიზირება. სინამდვილეში, სულიერ სამყაროში არსებობს უპირობითობები, რომლებიც სულიერ სამყაროში არსებული ემოციებისაგან წარმოიქმნენ. მაგრამ მატერიალურ სამყაროში არსებული უპირობითობებისაგან განსხვავებით, სულიერ სამყაროში არსებული უპირობითობები, ანუ იქ არსებული ემოციები თუ შესრულდება ცოცხალი არსების მიერ, ის სულიერად დაკმაყოფილდება, რამეთუ კმაყოფილების (სულიერი კმაყოფილების) მინიჭებით იქნება დაკავებული და, რეალურად არსებული მდგომარეობით სრულყოფილად და მუდმივად იქნება თვითკმარი.

რაც შეეხება ზომიერი თანამიმდევრულობის ცნებას, მასზე გადასვლა წინა თავში მოხსენიებული მოსმენის უნარის გამომუშავებიდან, იგივე მორჩილი თაყვანისცემიდან ხდება. ცოცხალი არსება უკვე მოქმედებაში მოდის და გულის მიყოლით ახდენს იმის და მხოლოდ იმის კეთებას, რაც სულიერ სამყაროში არსებული ემოციებისთვის (უპირობითობებისთვის) არის მისაღები. სწორედ ამას ნიშნავს სიტყვა „ზომიერი" და სიტყვა „თანამიმდევრულობა". ამ გზაზე დამდგარი ცოცხალი არსებები იოტისოდენადაც არ და ვერ დაარღვევენ განგების მიერ სულიერი სამყაროსთვის განსაზღვრული ობიექტური რეალობის მიმდინარეობას.

ნეტარება, მატერიალური („ეგო"-დან მომდინარებული) სურვილებისაგან გათავისუფლება, პარამპრანას ქალური საწყისის წარმომადგენლობითი ნაწილია. ამით სრულდება მატერიალიზირებული ცოცხალი არსების ქალური საწყისის მიერ სულიერ სამყაროში მიღებული ქმედებების დარღვევის ალბათობაც კი. ეს იქნება

ცოცხალი არსების ქალური საწყისის მიერ სულიერი ნაწილის დაცვა. ეს იქნება არა მარტო საკუთარი ინდივიდუალური სულის ჭეშმარიტი ინტერესების დაცვა, არამედ მთელს არსებულ გამოვლინებაში არსებული მთელი სულიერების სრულყოფილი დაცვა, თვით მატერიალურ სამყაროშიც კი.

უფრო მეტიც კი შეიძლება ითქვას, მართალია, ეს ძალიან, ძალიან ძნელია, მაგრამ, მატერიალურ სამყაროში მატერიალურ სხეულში ყოფნის პირობებში ამის გაკეთება, ანუ სულიერი ნაწილის ინტერესების ჭეშმარიტად დაცვა, უფრო მეტად დასაფასებელია და დაფასდება კიდევაც განგების მიერ. თუმცა არც იმას ვუარყოფ, რომ ეს ცოცხალი არსების მიერ საკუთარი შეცდომების გასწორება იქნება. მთელი სულიერი სამყარო სიყვარულითა და სიხარულით მიიღებს ამ ცოცხალ არსებას უკან თავისთან მისი მატერიალური სხეულიდან გასვლის შემდგომ.

მეცნიერება და განათლებულობა (არაძალადობა)

მეცნიერება, როგორც ვიჯნანას იგივე ქველმოქმედების მამაკაცური საწყისის წარმომადგენლობითი ნაწილი, ისევე როგორც კულტურა, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ცნებაა, რომელიც უზარმაზარ როლს თამაშობს მატერიალიზირებული მოაზროვნე ცოცხალი არსებების (განსაკუთრებით ადამიანების) მატერიალიზირებული სახით არსებობის მთელი პერიოდის განმავლობაში.

როგორც წიგნის დასაწყისშიც აღვნიშნე, სულიერებისა და მატერიალურობის აღქმა ინდივიდუალურია ნებისმიერი ცოცხალი არსებისათვის. ეს აღქმა მთლიანად ფარდობითობის, შედარებითობის შედეგად ყალიბდება. იმისდა შესაბამისად, თუ რას მიაკუთვნებს ადამიანი სულიერების წარმომადგენლობით გრაფას და რას მატერიალურობის წარმომადგენლობით გრაფას, ხდება ადამიანის ფსიქოტიპის, ხასიათის, ჩვეულებებისა და თვით სქესის განსაზღვრაც. თუ უხეშ დაკომპლექტებას მოვახდენ, მამაკაცები უფრო პრაგმატიკოსები არიან ანუ სულიერ სამყაროში მატერიალურობად აღიარებული ნაწილის მცირე ან დიდ ნაწილს მატერიალურობად აღიქვამენ, ხოლო ქალები უფრო ფანატიკოსები არიან, ანუ სულიერ სამყაროში მატერიალურობად აღიარებული ნაწილის მცირე ან დიდ ნაწილს სულიერებად აღიქვამენ. თუ ამ საზომებით

შევხედავთ, სწორედ ეს ორი ფაქტორი ხდება ცოცხალი არსებების მატერიალიზირების მიზეზი.

როგორც არ უნდა მოვინდომო მეცნიერების ცნების გალამაზება ან დამახინჯება, რეალურად იგი მთლიანად მომავალში მოსახდენი მოვლენების, როგორც დასამკვიდრებელი ჭეშმარიტების გრძნობის დონეზე ვერ აღქმულ ნაწილს გამოხატავს. თუმცა მისდა სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ ამ ვერ აღქმულობის მაქსიმალურად საუკეთესოდ გამოხატვას ემსახურება (ყოველ შემთხვევაში უნდა ემსახურებოდეს და თუ არ ემსახურება, ის მეცნიერება აღარ არის, უბრალოდ სულ სხვა რამაა და მეცნიერებასთან საერთო არაფერი აქვს).

სხვა სიტყვებით რომ ითქვას, მეცნიერება ადამიანებში არსებული ამბიციების მოთვინიერების და მართვის მექანიზმს წარმოადგენს. ამბიციები ხომ, თავის მხრივ, გრძნობის დონეზე რაღაცა ინფორამციის ვერ აღქმისა და ვერ შეგრძნების შედეგია.

კიდევ ერთი დამატებითი განმარტებით თუ ვიხელმძღვანელებ, ვიტყვი, რომ მეცნიერება მატერიალურ სამყაროში არსებული სტატუსკვო პირობითობების მიღება, აღქმა და სრულყოფილად შესრულებაა.

იგი, ისევე როგორც კულტურა, ერთგვარ ბაქანს წარმოადგენს, საიდანაც ორი ერთმანეთის საპირისპირო მიმართულებით განთავსებული გზა არსებობს. ერთ მათგანს ადამიანის დაბლა ჩამოყვანის უნარი გააჩნია. ამ გზას ადამიანი პრაგმატიზმში გადაჰყავს მატერიალური სამყაროსთვის შესაბამისობაში მოყვანილი გადასახედიდანაც კი. აქ გადასული ცოცხალი არსება მეცნიერებაში მიღებული პირობითობის დარღვევის, ახალი პირობითობების შემოტანის მცდელობებით ხასიათდება და ყველასი და ყველაფრის საკუთარი დაქვემდებარების ქვეშ მოქცევის მცდელობაში გარდაუვლად, აუცილებლად გადაიზრდება. ადამიანი გადადის პრანამაიაში და, გარემოზე ზემოქმედების მოხდენის მცდელობებით, გაერთიანების მცდელობის ნაცვლად, დაშლასა და დაქუცმაცებას, გარემოში არსებული მატერიალიზირებული ცოცხალი არსებების, ადამიანების ურთიერთდაპირისპირების მუხტს სდებს და თავისდაუნებურად, მატერიალურ სამყაროში არსებულ ამ ტენდენციას უფრო და უფრო აძლიერებს. ამ გზაზე დამდგარი ადამიანი ცვლილებების, გარადაქმნის სურვილით მოქმედებს, მაგრამ ვერ ხედავს იმას, რომ მის მიერ შეთავაზებული იდეები ვერაფერს პოზიტიურს ვერ მოუტანს ვერავის. პირიქითაც კია, ნეგატიურობის გაზრდას ახდენს. ეს

იმიტომ ხდება, რომ მისთვის სულიერებად აღსაქმელ ნაწილს თვითონ ხომ მატერიალურობად აღიქვამს და სხვებსაც უნდა ასე დაანახოს და აღაქმევინოს ეს. სინამდვილეში, ეს გონებაზე კი არა, გრძნობაზე უნდა იყოს აქცენტირებული და კონცენტრირებული. სხვათაშორის, ეს ყოველივე არის ის, რაც ჩემნაირი ტიპის ადამიანებმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ. ამ ადამიანებმა საკუთარი ამბიციები გრძნობად უნდა გადააქციონ და გონებრივად აღქმული ნაწილის ვინმესთვის თავზე მოხვევის სურვილები ერთხელ და სამუდამოდ უნდა ამოიძირკვონ საკუთარი გულებიდან. თუ ვინმეს მოუნდება რაიმეს დანახვა და გაგება გონებრივ დონეზე, თვითონ უნდა მოვიდეს და ითხოვოს, ეს ძალიან დიდ დატვირთვას იძენს. თუ ისინი ასეთი ადამიანის ცხოვრებაში არ ჩნდებიან ეს განგების მიერ არის ასე ორგანიზებული, რამეთუ, ჯერ თავისში ამ ადამიანს ჭარბი ინფორმაციის არ გაცემის უნარი ვერ აქვს გამომუშვებული, ანუ იმ გაცემული ინფორმაციული ცოდნის რაციონი, რომელიც მისთვის არავის უთხოვია, ეს კი თავისდაუნებურად ძალადობას წარმოადგენს. ამ ქმედებით ურთიერთობაში მყოფ ადამიანში ემოცია გონებად კი არა, ამბიციად გარდაიქმნება. აი ამიტომ ითესება ნეგატიურობა.

მეორე გზა მეცნიერებიდან მომავალი პირიქით, ზედა საფეხურზე ასვლის საშუალებას იძლევა. ამ გზას ადამიანი, ჭეშმარიტ რომანტიზმში გადაჰყავს. აქ გადასული ადამიანი მეცნიერების ცნების საფუძველზე შემოტანილი წარმოსახვით, გრძნობის მიერ შეგრძნების დონემდე მიდის, ანუ იმის შეგრძნების დონემდე, თუ რამ გახადა საჭირო ამა თუ იმ პირობითობების, რეგულირების საშუალებების ურთიერთობებში შემოტანა. ეს იქნება მატერიალურ სამყაროში გამოვლინებული მეცნიერული ცნობიერების შესაბამისი ამბიციების გრძნობად გარდაქმნა. რეალურად, გადასვლა კი, ხდება ვიჯნანადან პარამპრანაში ანუ სულიერი ნაწილის, ინდივიდუალური სულის ინტერესების დაცვაში.

აქ გადასული ადამიანებისათვის მეცნიერებაში მიღებული და დამკვიდრებული წინადადებები, იდეები მხოლოდ და მხოლოდ თავისზე უფრო მაღალი ეთიკური დონის წარმომადგენლებთან, ყველაზე საუკეთესო შემთხვევაში სამყაროს უზენაეს პიროვნებასთან, იგივე მამა ღმერთთან ურთიერთობის დამყარებისა და საკუთარი პიროვნების ჭეშმარიტად განათლების საშუალება ხდება მხოლოდ და მხოლოდ. მისთვის მეცნიერებისა და მისი გამოვლინებების ყველანაირი სხვანაირი დატვირთვა უქმდება და მხოლოდ აი

ეს ერთადერთი დატვირთვა რჩება. სწორედ ეს გახლავთ მეცნიერების ფუნქციონალური დატვირთვა.

ადამიანი, რომელიც შეძლებს საკუთარ ცნობიერებაში მეცნიერების ცნებასთან ასეთი მიდგომა გამოიმუშავოს ჭეშმარიტად სრულყოფილ დონეზე, იგი მთლიანად იმ სულიერი სურვილების შესრულების მცდელობით განიმსჭვალება, რომელიც უნდა ჰქონდეს სულიერი სამყაროს წარმომადგენელს, ეს თავისთავად გამოიწვევს ადამიანის ჭეშმარიტად განათლებას. თავისთავად კი, ეს იმას ნიშნავს, რომ მატერიალურ სამყაროში ყოფნის მიუხედავად ადამიანი შეძლებს სულიერ სამყაროში მიღებული შეხედულებების აბსოლუტურად შესაბამისად აღიქვას – რა არის სულიერება და რა არის მატერიალურობა (რა თქმა უნდა, სრული განათლებულობის შემდგომ, როდესაც მასში აღარ იარსებებენ საკუთარი გონიერების გავრცელების სურვილები).

განათლებულობა არის მდგომარეობა, როდესაც ადამიანს სულიერი ანუ „მე“-დან მომდინარე სურვილების გარდა სხვა სურვილები აღარ გააჩნია.

აქვე გავაკეთებ განათლებულობის კიდევ ერთ განმარტებას – იგი სულიერ სამყაროში არსებული სტატუსკვო პირობითობების ზედმიწევნით მიღება, აღქმა და სრულყოფილად შესრულებაა. ამის მიღმა შემოტანილი პირობითობები ამბიციებია, რომლებიც ჭეშმარიტი გრძნობის ნაცვლად იკავებს ადგილს და ადამიანს საკუთარი მნიშვნელოვნების შეგრძნებას უვითარებს, უყალიბებს. ვიდრე ერთი ზედმეტი პირობითობა ანუ ამბიციის მცირეოდენი გამოვლინება მაინც არსებობს ადამიანში, იგი სულიერი სამყაროს წარმომადგენლად ვერ იქნება დაფიქსირებული განგების, ღმერთის (განგების პირადი წამომადგენლის), სულიერი სამყაროსა და მისი წარმომადგენლების მიერ.

როგორც კულტურისა და ნეტარების ნაწილში აღნიშნული მნიშვნელოვანი ფაქტის შემთხვევაში, მეცნიერებისა და განათლების ნაწილშიც აუცილებლად ვთვლი აღვნიშნო ის, რომ სულიერ სამყაროშიც არსებობს პირობითობები, რომლებიც სულიერ სამყაროში არსებული ამბიციებისაგან წარმოიქმნება. მაგრამ მატერიალური სამყაროსგან განსხვავებით, სულიერ სამყაროში არსებული პირობითობები ანუ იქ არსებული ამბიციები თუ შესრულდება ცოცხალი არსების მიერ ის სულიერ სიამოვნებას მიიღებს, რამეთუ სულიერი სიამოვნების მინიჭებით იქნება დაკავებული და რეალურად, მუდმივად და მინიჭებული სიამოვნების შესაბამისად მიენი-

ჭება ჭეშმარიტი ცოდნა, რომელიც ამ მომენტამდე არ გააჩნდა. ე. ი. სულიერ სამყაროში ამბიციები სიამოვნების მინიჭების სურვილში გამოიხატება, ხოლო ემოციები კი კმაყოფილების მინიჭების სურვილში.

რაც შეეხება არაძალადობას, მასზე გადასვლა წინა თავში მოხსენიებული გაზიარების უნარის გამომუშავებიდან, თვითკმარი მყუდროების მიღწეულობიდან უნდა მოხდეს. ცოცხალი არსება უფრო აქტიური მომქმედი ხდება, მაგრამ გარეგნულ დონეზე მატერიალურ სამყაროში იგი უმოქმედო არსებად მოჩანს.

განათლებულობა (არაძალადობა) პარამპრანას მამაკაცური საწყისის წარმომადგენლობითი ნაწილია. ამით სრულდება მატერიალიზირებული ცოცხალი არსების მამაკაცური საწყისის მიერ სულიერ სამყაროში მიღებული სამოქმედო, სამომავლოდ გათვალისწინებული შეხედულებების დარღვევის ალბათობაც კი. ეს იქნება ცოცხალი არსების მამაკაცური საწყისის მიერ სულიერი ნაწილის დაცვა. ეს იქნება არა მარტო საკუთარი ინდივიდუალური სულის ჭეშმარიტი ინტერესების დაცვა, არამედ მთელს არსებულ გამოვლინებულობაში არსებული მთელი სულიერების სრულყოფილი დაცვა, თვით მატერიალურ სამყაროშიც კი.

აქვე აღვნიშნავ, რომ ამ საფეხურის გავლა მატერიალურ სამყაროში მატერიალურ ინდივიდუალურ სხეულში ყოფნის პირობებში ძალიან, ძალიან რთულს, მაგრამ საბედნიეროდ, არა შეუძლებელ მიზანს წარმოადგენს. თუ ადამიანი ამ საფეხურის გავლას შეძლებს, ის სულიერ სამყაროში გადასვლისთვის გასავლელი გზის მეორე საფეხურს სრულად დააკმაყოფილებს.

III თავი
მანო – პარამანანდა
საკუთარი „მე“-ს ფუნქციონალური საქმიანობის განსაზღვრის მესამე საფეხური

პარამანანდა – სულიერ სამყაროში მიმდინარე არსებული ცნობიერების აღქმის მიღწევა და განგებასთან მიმართებაში (ნებაყოფილობითი თუ უნებური) დაპირისპირებულობის პრეცენდენტის აღმოფხვრა (თუნდაც) მატერიალიზირებულ ცოცხალ არსებაში. ამის შედეგად ეს არსება განგების მხრიდან ნდობას მიიღებს (მოიპოვებს, დაიმსახურებს), ხოლო მასში კი ჭეშმარიტი რწმენა დამკვიდრდება ამ მიმდინარე წამის გადასახედიდან აბსოლუტური ჭეშმარიტების სიღრმისეული აღქმის დონემდეც კი.

პარამანანდაში გადასვლა მანოდან არის შესაძლებელი. ეს ფაქტი ძალიან მნიშვნელოვანია და ძალიან ანგარიშგასაწევია ამ დონეზე წარმატების მიღწევის მსურველისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ეს ცოცხალი არსებისთვის მაქსიმალური შესაძლებლობის მიღებას მოიაზრებს, უმნიშვნელოვანეს რამედ, მიმაჩნია ის, რომ პარამანანდა არ არის მაქსიმალური მიზანი ცოცხალი არსებისათვის. ამას შემდგომში ავხსნი.

მანო – საკუთარი „მე“-თვის განგების მიერ დაკისრებული პასუხისმგებლობა ასკეტიზმი (საკუთარი მამაკაცური და ქალური საწყისის ურთიერთობა)	
მამაკაცური საწყისი შემეცნება – მატერიალურ სამყაროში არსებული დამკვიდრებული პირობითობებისაგან გამიჯვნა, საკუთარ „მე“-ში ჩაღრმავებით „მე“-ს ცნების გაგება	ქალური საწყისი ფუნქციონალური რელიგიურობა – მატერიალურ სამყაროში არსებული დამკვიდრებული უპირობითობებისაგან გამიჯვნა. საკუთარი „ეგო“-ს (სხეულის) გან(რ)წმენდის მცდელობა
პარამანანდა – საკუთრი „მე“-ს ინიციატივით სრულყოფილების მიღწევა კეთილშობილება (საკუთარი მამაკაცური და ქალური საწყისების სრული შეთავსებულობა)	
მამაკაცური საწყისი ნდობა (სრულყოფილების მიღწევა საკუთარი „მე“-ს გამოვლინების დიაპაზონში) – სულიერ სამყაროში არსებული პირობითობების ცნობიერ დონეზე აღქმა და პირობითობების შემცირება თავის „მე“-ში მათ სრულ აღმოფხვრამდე	ქალური საწყისი რწმენა (განგების ნების გამოვლინების საშუალებად გადაქცეულობა) – სულიერ სამყაროში არსებული უპირობითობების ცნობიერ დონეზე აღქმა და უპირობითობების ახსნა უპირობითობებზე დამოკიდებულებისაგან სრულად გათავისუფლებამდე

ასკეტიზმი და კეთილშობილება

ასკეტიზმი თავისი არსობრივი მნიშვნელობით მატერიალურ განდეგილობას (სხვა მატერიალიზირებული ცოცხალი არსებისაგან განზე დგომილებას) ნიშნავს. ასკეტიზმის ფუნქციონალური დატვირთვა იმაში მდგომარეობს, რომ მატერიალიზირებულმა ცოცხალმა არსებამ (ალბათ, ამ შემთხვევაში უპრიანია ადამიანი ვიგულისხმოთ, თუმცა მე მიმაჩნია რომ ამ პროცესს ვერც ერთი მატერიალიზირებული ცოცხალი არსება ვერ ასცდება რაღაცა დოზით) თავისი შემადგენელი მამაკაცური და ქალური საწყისები ერთმანეთთან რაღაცა დონის აქტიურ ურთიერთობაში მოიყვანოს და იმაზე მეტად ურთიერთდაახლოება და ურთიერთგაგება მოახდინოს მათში, ვიდრე ეს ასკეტიზმის მდგომარეობაში გადასვლამდე იყო. ალბათ ნიშანდობლივია ისიც, რომ ასკეტიზმის ცნების მამაკაცურ საწყისში მოხსენიებულია შემეცნება, ხოლო ქალურ საწყისში კი მოხსენიებულია ფუნქციონალური რელიგიურობა.

იმაზე აღარ შევჩერდები, უბრალოდ ვახსენებ, რომ დანარჩენი მატერიალიზირებული ცოცხალი არსებებისათვის (აბსოლუტური უმრავლესობისათვის ყოველ შემთხვევაში) ასკეტიზმში, მატერიალურ განდეგილობაში მყოფი მატერიალიზირებული ცოცხალი არსება ერთგვარად გაუგებარი და უინტერესო ხდება. აქ უფრო სხვა მხარეს მინდა ჩავუღრმავდე. რა ხდება ამ პერიოდში თავად ამ ადამიანში (ან ნებისმიერ ასკეტიზმში გადასულ მატერიალიზირებულ ცოცხალ არსებაში), ეს უფრო მნიშვნელოვან თემად მიმაჩნია, რამეთუ, სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ასკეტიზმის პერიოდი სწორედ საკუთარ არსში ჩაღრმავებასა და „მე“-ს ძიებასა და შეცნობას უნდა ემსახურებოდეს. აქაც ორი ძირითადი მიმართულება არსებობს:

ერთი, მხოლოდ ვიზუალური ფორმით არის გამოხატული, რაც ფაქტიურად გარშემო არსებული მატერიალური რეალობიდან გაქცევას უფრო ჰგავს იმის შიშით, რომ გარემოში არსებული დაცემულობასთან გარდაუვალი თანაცხოვრების პროცესში იმაზე მეტად არ მოხდეს გაბინძურება, ცდუნებაში შესვლა, რაც უკვე აქვს.

მეორე, მხოლოდ ფუნქციონალური ფორმით არის გამოხატული, რაც ფაქტიურად გარშემო არსებული მატერიალური რეალობის გვერდიდან დაკვირვებას და დაწვრილებითი განხილვა-განსჯის მცდელობას უფრო ჰგავს. ეს, ფაქტიურად, იმ ჩაღრმავების მცდელობით (ჩემის შეხედულებით, თავისდაუნებურად წარმოქ-

მნილი სიყვარულით) მოხდება, რომელსაც ადამიანი მოახდენს იმისათვის, რომ მატერიალურ სამყაროში არსებული სიბინძურის შეცნობა, აღქმა და გაშიფვრა შეძლოს. ამ შემთხვევაში ამ ადამიანს არათუ ცდუნებაში შესვლის შიში არ გააჩნია, იმის დროც კი არ რჩება, ამაზე დაფიქრდეს, იმდენად დაკავებულია სიბინძურის, სიბნელის, სიმცდარის აღმოფხვრითა და სიწმინდედ, სინათლედ, ჭეშმარიტებად გარდაქმნის მცდელობით. ამ საქმიანობის შედეგად, თავისდაუნებურადაც კი, ამ ადამიანის შიდა არსი იცვლება და მისი როგორც სული, ისე სხეული იწმინდება.

პირველი მიმართულებით სვლის შემთხვევაში ადამიანი ანნამაიაში გადავარდება ანუ მატერიალური საკვებით იქნება შემოფარგლული. შემოვა ისეთი ცნებები როგორიცაა მართვა, წირვა, კვებითი რაციონული განსაზღვრა დღეების, საათების მიხედვით. აგრეთვე გემოვნების ამ პირდაპირ მატერიალურ ფორმასთან შემოვა აზროვნების მატერიალური ფორმების, ჩემი გადასახედიდან, პასიური ბლოკირების მცდელობები. მაგალითად: ყოველ სამ საათში ერთი და იგივე სიტყვების (ლოცვების) კითხვა, ამის ჩვევის დონეზე დაყვანა, ლიტურგიული წესების დაწესება, ერთგვაროვნების სიწმინდეების უმაღლეს გამოვლინებად დამტკიცება და ა. შ და ა. შ.

სხვათა შორის, დღევანდელი მატერიალური გლობალიზაციის პროცესში არა მხოლოდ ცალკეული ადამიანები, არამედ მთელი ერები და სახელმწიფოები თავისდაუნებურად ამ გზაზე დამდგრები სიბინძურით თანამიმდევრული ძალმომრეობითი გასვრის მსხვერპლნი გახდნენ. ის სახელმწიფოები კი (მათ შორის საქართველოც), რომლებმაც წინააღმდეგობის გაწევა მოინდომეს ეკონომიკური და პოლიტიკური ბლოკადის მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. საქმე იმაშია, რომ მათ სულიერი სამყაროდან, ღმერთისაგან, განგებისაგან მხარდაჭერა ვერ მოიპოვეს, რამეთუ ერთ ადგილზე დგომა აირჩიეს და ფუნქციონალური საქმიანობის შესრულება აღარ ინდომეს. თუმცა სამწუხაროდ, ამის ასე დანახვება ამ ერებისათვისა და სახელმწიფოებისათვის წარმოუდგენლად რთულ რაღაცას წარმოადგენს. საბოლოოდ, ისინი მაინც მოძალებული სიბინძურითა და სიმცდარით გასვრისთვის არიან განწირულები.

მეორე მიმართულებით სვლის შემთხვევაში, ადამიანი პარამანანდაში გადავა, ანუ კეთილშობილების, ჭეშმარიტი სიკეთის ცნობიერ დონეზე აღქმისა და შემოტანის მცდელობით იქნება დაკავებული. ვნახოთ რა ხდება ამ შემთხვევაში. როგორც არა ერთხელ აღმინიშნავს, მაგრამ კიდევ მინდა განვსაზღვრო სიკეთის ცნება.

სიკეთე არის ის, რაც მართლა, ჭეშმარიტად საკეთებელია და რაც უნდა აკეთოს აბსოლუტურად ყველა და ნებისმიერმა ცოცხალმა არსებამ იდეალურ შემთხვევაში. სიკეთე თავად ორ ძირითად ცნებაზე ბაზირდება. ესენია ნდობა და რწმენა. ეს ორი უმთავრესი ფასეულობაა, რომლებიც მართავენ აბსოლუტურად ყველა სხვა დანარჩენ ფასეულობებსა და ცნებებს. სადაც არ არის ნდობა შემოდიან პირობითობები ანუ იგივე ამბიციები, ხოლო სადაც არ არის რწმენა, შემოდიან უპირობითობები ანუ იგივე ემოციები. ამ საკითხებს უფრო ღრმად შემდგომში შევეხები, ახლა კი, ისევ კეთილშობილების ზოგად თემატურ განხილვას მინდა დავუბრუნდეთ. თუ ასკეტიზმი ერთ პიროვნებაში არსებული მამაკაცური და ქალური საწყისების ურთიერთდაბალანსების მცდელობები იყო, როგორც აღვნიშნე, კეთილშობილება ასკეტიზმის პროცესში ფუნქციონალური საქმიანობის შესრულების შედეგად მიღებული სრულყოფილი ჯამური შედეგის გამოვლინება გახლავთ. ე. ი. კეთილშობილება ერთ პიროვნებაში არსებული მამაკაცური და ქალური საწყისების სრული და იდეალური ურთიერთშეთავსებულობის გამოხატულებაა. ეს სრულყოფილების მიღწევაა ნებისმიერი პიროვნებისათვის განგების მიერ მისთვის განსაზღვრული გამოვლინებულობის საზღვრებში მამაკაცური საწყისის მიერ, ხოლო ქალური საწყისის მიერ ეს არის განგების ნების რეალიზაციის საშუალებად გადაქცეულობა. ამ თავში ხდება იმის მიღწევისა და მიღწეულობის ახსნა რა ძირითადი მიზანი და დატვირთვაც გააჩნია ამ წიგნის გენერალურ ხაზს და ძირეულ ინტერესს.

ამ შემთხვევაში ორი მნიშვნელოვანი მომენტი არსებობს.

1. პირველი გახლავთ ის, რომ ამ უდიდესი მიზნის მისაღწევად თურმე გამოყენებული უნდა იქნას ასკეტიზმის ცნების ფუნქციონალური საქმიანობა ანუ მატერიალური სამყაროს გვერდიდან დაკვირვების საშუალებით სიბინძურის საკუთარ არსში აღმოფხვრა. ამ საქმიანობით დაკავებული ადამიანი ითავისებს იმას, რომ „მე“ გაცილებით უფრო დიდი რამაა, ვიდრე მხოლოდ საკუთარი სხეული ან თუნდაც საკუთარი ინდივიდუალური სული. „მე“ ხდება აბსოლუტურად ყველასა და ყველაფრის აღმნიშვნელი და გამომხატველი სიტყვა, რამეთუ სწორედ გარემოზე დაკვირვებით გარდაიქმნება იგი და არა საკუთარ ნაჭუჭში ჩაკეტვითა და ყველაფერზე თვალების დახუჭვითა და ყურების დაცობით. თუ ადამიანი სხვაში აღმოჩენილ თვისებას გაშიფრავს, თვითონაც თავისდაუნებურად შეიცვლება ე. ი. ეს ერთი მთლიანი ნაწილით საკუთარი პიროვნების

ჩათვლით და იგი სხვას ისე დაუწყებს მოპყრობას, როგორც თავადვე სურს სხვა მოეპყრას მას. მოკლედ რომ ითქვას, მოხდება შემეცნება, „მე“-ს ცნების გადაფასება და შემდგომ თავისი პიროვნების „მე“-ს ცნების საუკეთესო გამოვლინებულ ფორმასთან შესაბამისობაში მოყვანა. აგრეთვე მოხდება უკვე იმის განუხრელად დაცვა, რაც ჭეშმარიტად შემეცნებული ექნება ანუ ფუნქციონალური რელიგიურობის გამოვლინება აბსოლუტურად ყველასთან და ყველაფერთან.

2. მეორე გახლავთ ის, რომ ამ უდიდესი მიზნის მიღწევის შემდგომ, თურმე ინტერესების არსებობა პიროვნებაში არათუ მთავრდება, არამედ პირიქითაც კი შეიძლება ითქვას, ინტერესების ახალი, გაცილებით უფრო დიდი ტალღა იწყება. ეს ადამიანი განგების ნდობით და პირად ინდივიდუალობაში ჭეშმარიტი რწმენით შეიმოსება. ის გაცილებით უფრო დიდი მიზნების განხორციელების სამსახურში დგება, ვიდრე აქამდე მისი ვიწრო მერკანტილური ინტერესები იყო. მინდა ვთქვა, რომ ამ მომენტის აღმოჩენა ჩემთვის ერთგვარი შოკისმომგვრელი რამ იყო, თუმცა სასიამოვნოდ შოკისმომგვრელი. რატომღაც ადრე სრულყოფილების მიღწევა პიროვნულობის დამთვრების სინონიმი მეგონა. სხვათა შორის, ამ მომენტის აღმოჩენამ და დაფიქსირებამ უზარმაზარი სტიმული მომცა და გამიათმაგა სურვილი მიმეღწია ჭეშმარიტი სრულყოფილებისათვის, საკუთარი „მე“-ს გამოვლინების დიაპაზონში და მიმეღწია განგების ნების რეალიზაციის საშუალებად გადაქცეულობისთვის. თვითონ იმის წარმოდგენაც კი დიდ ბედნიერებას მანიჭებს, რომ უშუალოდ განგების პირადი წარმომადგენლების მამა ღმერთისა და სულიწმიდის უშუალო სამსახურში ვიქნა მიღებული და მათი ნდობით ე. ი. მათი, როგორც მამისა და დედის სიყვარულით პირადად მათთან ურთიერთობებში ყოფნით ვტკბებოდე.

მაგრამ მისი აღწერა შეუძლებელია, ეს უნდა იგრძნო !!!

ფუნქციონალური რელიგიურობა და რწმენა

ფუნქციონალური რელიგიურობა როგორც მანოს იგივე ასკეტიზმის ქალური საწყისის წარმომადგენლობითი ნაწილი მატერიალურ სამყაროში არსებულ და დამკვიდრებულ უპირობითობებს უპირისპირდება. რადგანაც ეს უპირობითობები მიღებული და დამკვიდრებულია ხელშეუხებელ, არაგადასახედ განსახორციელე-

ბელ ქმედებებად. მათი გადახედვა გარდაქმნისა თუ შემცირების მიზნით სისულელედ, არასაჭირო საქმიანობად არის მიჩნეული. აი, სწორედ ამის საპირისპიროს ემსახურება ფუნქციონალური რელიგიურობა. იგი აცხადებს, რომ ეს უპირობითობები განგების მიერ მატერიალურ სამყაროში დასაშვებ საზღვრებში არსებული „ეგო“-ს ქალური საწყისის წარმომადგენლობითი ნაწილიაო. ამიტომაც, იგი ემიჯნება ამ უპირობითობებსა და მატერიალური სხეულების ანუ ცოცხალ არსებაში არსებული „ეგო“-ს შემცირებისა (ან უფრო სწორედ „მე“-დ გარდაქმნის) და გან(რ)წმენდის მცდელობით არის დაკავებული.

ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი ვიზუალურ რელიგიურობასა და ფუნქციონალურ რელიგიურობას შორის გახლავთ ის, რომ პირველ შემთხვევაში მოქმედების წამყვანობა ემოციებზეა გაპიროვნებული, ხოლო მეორე შემთხვევაში კი მოქმედების წამყვანი გონებაა.

თავად რელიგიურობა, ვიზუალური იქნება ეს, თუ ფუნქციონალური, აშკარად ასკეტიზმის ქალური საწყისის განშტოებას წარმოადგენს იმ გაგებით, რომ მთელი მიმდინარე პროცესი უშუალოდ ერთ პიროვნებაში ერთ მატერიალიზირებულ ცოცხალ არსებაში შიგნით ხდება, როგორც მისი შემადგენელი მამაკაცური და ქალური საწყისების ურთიერთობრივი გამოვლინებულობის ფორმა.

ფუნქციონალური რელიგიურობა (თუნდაც ვიზუალური რელიგიურობისკენაც კი) მხოლოდ და მხოლოდ იმ ნაწილზე კონცენტრირებულობით უნდა იყოს დაკავებული, სადაც ჭეშმარიტი რწმენა არ სუფევს, სადაც ადამიანის მიერ განგებისადმი, ღმერთისადმი, სულიერი სამყაროსადმი ნდობა უბრალოდ დაკარგულია და დავიწყებულია. არსებობს ერთი მარტივი ჭეშმარიტება: <u>გვერდიდან უკეთ სჩანს</u>. აი, სწორედ ამით უნდა ხელმძღვანელობდეს ადამიანი. ის თავის გარშემო არსებულ რეალობას გულმოდგინედ, დიდი გულისყურით უნდა დააკვირდეს და ამ შემთხვევაში ის სიყალბე უნდა აღმოაჩინოს, რომელიც მის გარშემო სუფევს. ფუნქციონალურ რელიგიურობაში უზარმაზარ მნიშვნელობას იძენს ტყუილის არდაშვება თავისში. არ არსებობს მახინჯი და ლამაზი ტყუილი (ტყუილი ტყუილია). სწორედ ტყუილი გახლავთ სიბინძურისა და სიმცდარის საძირკველი. თუ რაიმე უკვე დამკვიდრებული იყო მატერიალურ სამყაროში სიწმინდის, სისპეტაკის თვალსაზრისით და შემდგომ ხდება ამის დარღვევა, სწორედ ამის განსახორციელებლად და შემოსატანად გამოიყენება ზოგადად ტყუილი. ტყუილის ფენომენის

გაშიფვრას თუ მოვინდომებთ ეს გახლავთ ადამიანის მიერ რაღაც დამკვიდრებული მორალური თუ ზნეობრივი ნორმების დარღვევის, დამახინჯების მცდელობა საკუთარი ანგარებითი, მერკანტილური ინტერესების მისაღწევად. ის, ვინც ჭეშმარიტად მიჰყვება და დაიცავს ფუნქციონალურ რელიგიურობას, მან თავისკენ მომართულ მისი მოტყუების მცდელობას ყოველთვის, ყველგან და ყველასთან მიმართებაში ფარდა უნდა ახადოს, ნიღაბი ჩამოხსნას. ამ შემთხვევაში ხათრიანობა, დათმობა, თვალის დახუჭვა, შეცოდება, სწორედ რომ, ამ ფუნქციონალური რელიგიურობის დარღვევა იქნება. მაამებლობა, არწყენინება ვინმესი, ნებისმიერის, ვინც მოტყუებას აპირებს და ცდილობს, ადამიანის მიერ განგებისა და ღმერთის წყენინებას გამოიწვევს, მათი იმედის გაცრუებას, რომელსაც ისინი მასზე ამყარებდნენ. ვფიქრობ, ამაზე მარტივად ამის ახსნა და გადმოცემა შეუძლებელია და არც არის ალბათ საჭირო პრიმიტივიზირება. თუმცა აქვე მინდა ვთქვა, რომ ამის გაკეთება ანუ ტყუილისათვის ნიღბის ჩამოხსნა ყოველთვის, ყველგან და ყველასთან მიმართებაში, ძალიან რთულ საქმეს წარმოადგენს. რეალურად, თუ ადამიანი ამას ჭეშმარიტად შეძლებს, ის მატერიალურ სამყაროზე და მატერიალიზირებულ ცოცხალ არსებებზე, სხვა ადამიანებზე მიჯაჭვულობისაგან ჭეშმარიტად გათავისუფლებულ იქნება. სხვა მხრივ, ფუნქციონალურ რელიგიას მიყოლილი ადამიანები სიმართლესთან დაკავშირებით რუპორის როლს არავითარ შემთხვევაში არ აიღებს, რამეთუ, ასკეტიზმის გზაზე დამდგარი ადამიანი სხვისთვის ნიშნის მოგებით არ და ვერ დაკავდება. სიმართლეც შეიძლება მახინჯი ფორმით გამოვლინდეს და აქაც ერთ პატარა ფორმულირებას ჩავდებ: ***იმ სიმართლის თქმას აზრი არა აქვს, რომელიც ნიშნის მოგებას, საკუთარი პიროვნების უპირატესობის გამოჩინებას ემსახურება და რომელიც ჭეშმარიტებას არ ემსახურება.***

ამით, მე მსურს ფუნქციონალური რელიგიის უფრო მაღალ საფეხურზე აყვანის, ასე ვთქვათ, მისი მიზნის შესახებ ვილაპარაკო. ეს საფეხური გახლავთ ის, რომელსაც გამოხატავს რწმენის ცნება.

მე რწმენის ცნების გარშემო ჩემს წინა წიგნებში ძალიან ბევრი მაქვს დაწერილი, მაგრამ აქ ცოტა სხვა კუთხიდან მინდა შევხედო. ამ წიგნში რწმენის მიღწევადობა უფრო ხელშესახებ, უფრო შინაგანად შეგრძნებად, ძალიან ახლოში და მასში სიღრმისეულ შესვლად რაიმედ არის გადმოცემული. ასე ვთქვათ, უფრო მეტი გაში-

ნაურებაა ამ ცნებასთან დაკავშირებით. შიში (რომელიც უდავოდ უნდა არსებობდეს ურწმუნოების მქონესთვის) უფრო სიყვარულით მასში ჩაღრმავებულობით არის მეტად ჩანაცვლებული. საბოლოო ჯამში, რწმენა ხომ განგების ნების სრულყოფილად მიღების უნარის მიხედვით იზომება. ვისაც განგებისა და მისი პირადი წარმომადგენლების არ სჯერა (ან თუ შევარბილებთ, ბოლომდე არ სჯერა), მაშინ ამ ადამიანს ეჭვი ეპარება მათში და მისი ურწმუნოებაც (ანუ ჭეშმარიტი რწმენის არ ქონაც) ამ ეჭვდამკვიდრებული ნაწილით იქნება გამოხატული.

თუ ცხრილურ მონაცემში შემოტანილ განმარტებას რწმენისას კიდევ ერთხელ გავახმოვანებ, ეს არის სულიერ სამყაროში არსებული უპირობითობების ცნობიერ დონეზე აღქმისა და მათი ახსნის გამოხატულება. აქ უკვე იგულისხმება ის, რომ ცოცხალი არსება უკვე იქნება განგების ნების რეალიზაციის საშუალება ანუ სრულად ექნება მიღებული განგების ნებისმიერი გადაწყვეტილება სისრულეში მოყვანილი თუ ჯერ არ მოყვანილი. უფრო მეტიც, აქ ლაპარაკია განგების მიერ მოწყობილი სიტუაციების მიზნების აღქმაზე, ის თუ რისთვის აკეთებს განგება ამას და არა მატერიალურ, არამედ სულიერ სამყაროში არსებული უპირობითობების (ემოციების) გონებად გარდაქმნაზე.

თითქმის პარადოქსალურად ჟღერს, მაგრამ უნდა ვთქვა, რომ იქ, სადაც ჭეშმარიტი რწმენა არის დამკვიდრეული რელიგიურობა, ფუნქციონალურიც კი თავის არსებობის საჭიროებასა და აუცილებლობას ჰკარგავს. ეს ისე ისმინება, თითქოს რელიგიურობა არასაჭიროებად იქცევა, მაგრამ რომ არ გავლილიყო რელიგიურობის და განსაკუთრებით ფუნქციონალური რელიგიურობის ათვისებისა და გათავისების გზა, ჭეშმარიტი რწმენა ვერ დამკვიდრდებოდა. უბრალოდ აქ იმაზეა ლაპარაკი, რომ აბსოლუტურად ყველაფერზე, თვით ფუნქციონალურ რელიგიურობაზეც კი, ჩვევის დონეზე გამომუშავებული ბრმა მიჯაჭვულობა დროის მოთხოვნილებების უგულვებელყოფაა. აი, ასე გადაიქცევა ხოლმე მეტად დადებითი და მეტად საჭირო ცნებებზე აწყობა ნეგატიურ, უარყოფით და არასაჭირო ტენდენციებად. სხვათა შორის, ახლა ვწერ და თან ჩემდაუნებურად ვაკვირდები და მიკვირს. ქართულ ენაში ყველა მნიშვნელოვან და ფუნქციონალურ სიტყვიერ ცნებებში გული და გონება ფიგურირებს. გულის-ყური, ყურად-ღება, გულის-ხმიერება, შე-გონება, გა-გონება, მო-გონება, გულ-დასმა, გულის-ხმობს (ნიშნავს) და ა. შ და ა. შ. თვითონ ქართულ ცნობიერებაში ძევს ის,

რომ ეს ადამიანისთვის არა ალტერნატიული, არამედ უალტერნატივოდ საჭიროდ ასარჩევი გზაა.

ამჟამად მიმდინარე მოვლენები, ვფიქრობ, სწორედ რომ ადასტურებს ამას. ქართველმა საზოგადოებამ გულსა და გონებას უღალატა და აი, ამიტომაც ჩავარდა იმ სავალალო დღეში, რაშიც ამჟამად იგი იმყოფება და, ვფიქრობ, განგება სწორედ რომ იძულებას უკეთებს იმისათვის, რათა როგორმე უკიდურეს გაჭირვებაში ჩავარდნილ მდგომარეობაში ყოფნის პირობებში მაინც მოინდომოს ქართველმა ერმა დაუბრუნდეს იმას, რისთვისაც არსებობდა იგი, როგორც განსხვავებული ფენომენი დედამიწის პირობებში. უკაცრავად ამ სენტიმენტალური გადახვევისათვის, უბრალოდ სულმა წამძლია და რატომღაც ვეღარ მოვითმინე.

სულ ბოლოს ამ მიკროთავისა არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ ახლა დედამიწაზე სწორედ იმის დრო მოვიდა როდესაც ვიზუალური რელიგიურობა ფუნქციონალურ რელიგიურობაში უნდა გადაიზარდოს, ხოლო ეს კი, თავის მხრივ, საფუძველი უნდა გახდეს ჭეშმარიტი რწმენის ჩამოყალიბებისა და მიღების საქმეში. ჭადრაკის ენაზე რომ ვთქვა ამჟამად მატერიალიზირებული ცოცხალი არსებები ცაიტნოტში არიან და უფრო მეტიც, ამ ცაიტნოტს (დროში მძაფრ შეზღუდულობას) ცუნგ-ცვანგის მდგომარეობაც აქვს დართული. ეს ნიშნავს იმას, რომ რა სვლაც არ უნდა გააკეთო მაინც წააგებ. ისე რომ დღეს-დღეისობით ადამიანებმა სჯობია გამოსავალი ღმერთის, განგების ძიებაში და მასთან საკუთარი თავის შესაბამისობაში მოყვანაში ეძებონ. შემდგომში მათ ამის დრო და საშუალება, მათდა სამწუხაროდ, უბრალოდ აღარ ექნებათ. საკუთარი სიბინძურე და სიმცდარე ძალიან დიდი ხნით გადაიყვანს მათ იქ, სადაც მათ ყოფნა ნამდვილად არ მოეწონებათ.

შემეცნება და ნდობა

შემეცნება, როგორც მანოს, იგივე ასკეტიზმის მამაკაცური საწყისის წარმომადგენლობითი ნაწილი, მატერიალურ სამყაროში არსებულ და დამკვიდრებულ პირობითობებს (ამბიციებს) სულიერად უპირისპირდება და უღრმავდება.

როგორც ამ თავის დასაწყისში აღვნიშნე, შემეცნება პირდაპირ დაკავშირებულია „მე“-ს შეცნობასთან და „მე“-ს ცნების გადაფასება-გაანალიზებასთან. სიტყვა „მე“ საოცრად დიდ მასშტაბებს

იძენს და ასკეტიზმის მამაკაცური საწყისის პირობაზე მთელი მატერიალური სამყაროს მომცველი და აღმნიშვნელი ცნება ხდება. უხეშად რომ ვთქვათ, აზრი ეკარგება მესამე პირის ნაცვალსახელებს, რომელთა ქვაკუთხედი არის „ის“, ინგრევა უცხოს, მტრის, პიროვნული დაპირისპირებულობის, ჩასაფრებულობის არსებობის მიზეზიცა და საბაბიც.

შემეცნებას მიყოლილი პიროვნება სკურპულიოზურად ახდენს საზოგადოებაში არსებული იმ პირობითობების (ამბიციების) გეგმაზომიერ დაკვირვებასა და ახსნას, რაც მატერიალურ სამყაროში მიღებულ და დამკვიდრებულ ნორმად არის მიჩნეული. შეიძლება ეს მატერიალური სამყაროს სხვა წარმომადგენლებისთვის სრულიად გაუგებარი დარჩეს, მაგრამ შემეცნების გზაზე დამდგარი ადამიანისთვის არათუ პირობითობით ცხოვრება აღარ არის სასურველი (იმ პირობითობებით, რომლებიც საკუთარი გულმოდგინებითა და განგების უშუალო დახმარებით გაიშიფრა მის არსობრივ აღქმაში), არამედ მისთვის არასწორად, არამართებულად მიიჩნევა ამ პირობითობების შესრულებით დაკავება და მისთვის განკუთვნილი არსებობის პერიოდის ამაზე დაკარგვა. საინტერესოა რა სურს მას?

ამ ადამიანს მხოლოდ ორი გზა გააჩნია. მეტი არჩევანი მის მიერ ვერ იქნება მიღებული, რადგან ეს ლოგიკურად მარტივად აქეთ წაიყვანს მას (ამიტომ ვიძახი, რომ მაღალგონიერების გადასახედიდან, ნებისმიერი ცოცხალი არსება ადვილად არის წინასწარგანჭვრეტადი).

პირველი გზა შეიძლება მიმართული იყოს ანნამაიას მამაკაცური საწყისისკენ ანუ საკუთარი გემოვნების გამოვლენისა და მისი დაკმაყოფილების მცდელობისკენ. მეორე გზა კი მიმართული იქნება პარამანანდას მამაკაცური საწყისისკენ ანუ განგებისა და განგების ნების უნაკლოდ გამომვლინებლების მხრიდან ნდობის დამსახურებისა და მოპოვების მცდელობისკენ.

გემოვნება ამ შემთხვევაში ალბათ, მეტ-ნაკლებად გაუმჯობესებული გრძნობის (არაემოციის) უნარის გამომუშავებას ნიშნავს პიროვნებაში, მაგრამ საკითხი აქ იმ მხრივ დგას არასწორად (პირადად ჩემი გადასახედიდან), რომ ეს ადამიანი თავის თავს შედარებით ჭრილში აყენებს მატერიალური სამყაროს სხვა დანარჩენ წარმომადგენლებთან, რითაც საბოლოოდ, ადრე თუ გვიან, იმ დასკვნამდე მიდის, რომ მისი გაგების არც სურვილი და არც უნარი მის გარშემო მყოფ სხვა პიროვნებებს არ გააჩნიათ. ხვდება ერთგვარ

ვაკუუმში, მარტოობაში და ამის შემდგომ, რაც უკვე შეიცნო და შეიგნო, უბრალოდ, არ იცის სად წაიღოს. ეს პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ვიდრე რაიმე აღიარებული და დაფასებული არ არის, ადამიანებს ეს არ სურთ ანუ მისი ცოდნა არავის სჭირდება (უფრო სწორად, სჭირდებათ, მაგრამ არ სურთ სარგებლის აშკარად მიღების ალბათობის გარეშე, საკუთარ თავზე ძალისხმევის მოხდენა), თავად ამ ადამიანს კი ისე ცხოვრება არ სურს და არც შეუძლია როგორც ცხოვრობდა იქამდე, ვიდრე იმას შეიცნობდა, რაც შეიცნო ე. ი. ისე როგორც ცხოვრობენ მის გარშემო მყოფი არსებები.

მაშინ ამ ადამიანის წინაშე დგება იმის აუცილებლობა, რომ იგი ან უნდა გარდაიცვალოს, მოშორდეს იმ გარემოს, რომელთან ურთიერთობაც უბრალოდ არ აინტერესებს, ან უნდა დაადგეს იმ გზას, რაც მეორე გზად არის მოხსენიებული. ისე, აქვე აღვნიშნავ, თუ ეს ადამიანი თვითმიზნად სხვა ადამიანების მიერ მისი აღიარებულობის და ნდობის მოპოვებას დაისახავს, იგი ხელახლა გაეხვევა იმ ამბიციების ანუ პირობითობების ქსელში, რომელთაგანაც მეტნაკლებად თავის დახსნა შეძლო. ამის ახსნა არც ისე რთულია. ადამიანების მხრიდან დიდებისა და აღიარების მისაღწევად ის იძულებული გახდება საკუთარი პრინციპები არსებულ დამკვიდრებულ რეალობას შეუსაბამოს მატერიალური სამყაროს თვალთახედვით დანახულს. დღეს ერთი კომპრომისის გაწევა მოუწევს, ხვალ მეორის, ზეგ მესამის და, საბოლოო ჯამში, ის მხოლოდ იმაზე იქნება კონცენტრირებული ვისთან რა კომპრომისი აქვს გასაწევი იმისათვის, რომ ასეთი წვალებით მიღწეული აღიარებულობა საზოგადოების მხრიდან არ დაკარგოს.

მეორე გზა, უნდა ვაღიარო, ძალიან რთულია, მაგრამ პირადად მე ამის ალტერნატივა, უბრალოდ, ვერ ვიპოვე. ეს არის ნდობის დამსახურება და მიღება განგების მხრიდან. ამისთვის, უბრალოდ, აუცილებელიც კია ადამიანი მატერიალურ სამყაროში არსებული პირობითობებისაგან ანუ მატერიიდან, „ეგო“-დან მომდინარე ამბიციებისგან სრულად გათავისუფლდეს და იმის სურვილით იყოს დამუხტული, რომ მომავალში სულიერ სამყაროში არსებული პირობითობების ანუ სულიერებიდან, „მე“-დან მომდინარე ამბიციები შეისწავლოს და ისინიც გრძნობად გარდაქმნას. საქმე იმაშია, რომ როგორი დიდიც არ უნდა იყოს მიღწეული შედეგი, აუცილებელია მას მოჰყვებოდეს საჭირო და ღირსეული მიზანი, წინააღმდეგ შემთხვევაში, ნებისმიერი უმიზნოდ დარჩენილი ცოცხალი არსება გან-

გებასთან მოხვდება წინააღმდეგობაში და სულიერ სამყაროში ყოფნის უფლებას დაკარგავს. სხვათაშორის, ისევე, როგორც მიზნისკენ კისრისტეხვით სწრაფვის სურვილით მის მიერ უკვე მიღწეული შედეგის ჯეროვნად არ დაფასებისა და არაფრად მიჩნევის შემთხვევაში.

მოკლედ, **ის ადამიანი, რომელიც შეძლებს განგებისა და მისი მთელი წარმომადგენლობითი ნაწილის მხრიდან ნდობის დამსახურებისა და მოპოვების სურვილზე აეწყოს და შეძლებს მის რეალურ მატერიალურ გარემოში არსებულ პირობითობებში (ამბიციებში) სრულყოფილად გარკვევას და ამ პირობითობების გრძნობად გარდაქმნას თავისში, შეიძლება ითქვას, რომ სრულყოფილებას მიაღწევს განგების მიერ მისთვის განსაზღვრულ დიაპაზონში.** ის ხომ რეალურად მატერიალურ სამყაროში ცხოვრობს და არსებობს და მატერიალურ ინდივიდუალურ სხეულში იმყოფება საკუთარი ინდივიდუალური სულის სახით.

ეს ძალიან მნიშვნელოვანი დასკვნა გახლავთ. ასეთი ტიპის ადამიანებისთვის არათუ დიდი, პატარა შეცდომაც კი, ძალიან ხელისშემშლელ და არასასურველ ფაქტორს წარმოადგენს. იმისათვის, რომ შეცდომები არ ჩაედენინოთ ნებით თუ უნებურად, მათ მკაცრად განსაზღვრული უნდა ჰქონდეთ თავისში – რა ქნან, საით წავიდნენ, რისთვის მოიმოქმედონ ესა თუ ის ქმედება. აი ეს განსაზღვრება კი, რაც ახლა დაიწერა არის ის ბრწინვალე გამოსავალი, რომლითაც ისინი წინააღმდეგობაში ვეღარანაირად ვერ მოხვდებიან როგორც განგებასთან, ისე მის პირად წარმომადგენლებთან, მთელს სულიერ სამყაროსთან, და ბოლოს, მატერიალურ სამყაროსთან მიმართებაშიც კი. თვით მატერიალურ სამყაროში ყოფნის პერიოდშიც კი ყველა ამ ჩამოთვლილი კატეგორიის მიერ მათ მიეცემათ ფუნქცია და დანიშნულება. ისინი აღარ იბორიალებენ უსაქმურად იმ აზრით შეწუხებულნი, რომ არავის სჭირდებიან. ამიტომაც ვთქვი, რომ ეს არის იდეალური და ალბათ ერთადერთი პოზიტიური გამოსავალი ამ ადამიანებისათვის.

თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ადამიანების, საზოგადოების, მატერიალური სამყაროს მიერ აღიარება არ იქნება მიზანი, არამედ მიზანი იქნება განგების ნდობისა და აღიარების მოპოვება, არანაირად არ მოახდენენ თავისში დამკვიდრებული პრინციპებისაგან გადახვევას. ფაქტიურად ისინი მართლაც სრულყოფილნი იქნებიან მატერიალური სამყაროს პირობებშიც კი, ანუ მატერიალური სამყაროს თვალთახედვით ჭვრეტის შემთხვევაში.

ძალიან უცნაური რამ მინდა ვთქვა, მაგრამ ეს არის საუკეთესო ფორმულა იმის სახელმძვანელოდ, თუ როგორ უნდა მიიღწეს ნებისმიერი რამ: **ნებისმიერი ცოცხალი არსება, მატერიალიზირებული თუ არამატერიალიზირებული, ნებისმიერ თავის სურვილს მიაღწევს როდესაც ამოხსნის თავის აღქმაში, თუ რატომ სურს ის, რაც სურს.** ერთი კია, როდესაც ცოცხალი არსება ამას ჩასწვდება, მას სურვილი უქრება, მაგრამ ის თავისთავად, ბუნებრივად იწყებს შესრულებას.

ამ ლოგიკით თუ მივუდგებით, თუ ადამიანი მართლა, ჭეშმარიტად გათავისუფლდება ყველანაირი მატერიალური სურვილებისაგან, მას ნებისმიერი სურვილი შეიძლება შეუსრულდეს, რაც კი მატერიალურ სამყაროში შეიძლება სურვილის დონეზე ჰქონდეს მატერიალიზირებულ ცოცხალ არსებას.

მეორე საკითხი გახლავთ ის, ხელახლა მიეჯაჭვება თუ არა ადამიანი მატერიალურ სამყაროს იმ შემთხვევაში თუ განგების მხრიდან ნდობას მოიპოვებს. მე მიმაჩნია, რომ ეს შეუძლებელია, რამეთუ განგება ჯერ წვრთნის და მერე უცხადებს ნდობას ანუ, როგორც უკვე წეღან ვთქვი, მიუხედავად ამ უდიდესი მიზნის მიღწეულობისა, ადამიანი ამას უკვე შემდეგ აღიქვამს და განგების მისაღებ მიზნებს ისახავს, რომლებზეც შემდგომ, ბოლო ორ თავში, განსაკუთრებით კი, შემგომ, მეოთხე თავში ვისაუბრებ. მაგრამ თუ მოხდება ასეთი სულელური პარადოქსი, ეს მხოლოდ ამ ადამიანის სიბრიყვის გამოვლინება იქნებოდა, თუმცა როგორც უკვე აღვნიშნე, ეს (ღვთიური ლოგიკიდან გამომდინარეც კი) არ უნდა მოხდეს. თუმცა ისიც არის, რომ არასოდეს არ უნდა დაისვას რადიკალური შეფასება. ასეთი რაიმეს გამოვლინების შემთხვევაში ეს ადამიანი თავის პირვანდელ, მარტოსულ მდგომარეობაში იქნება დაბრუნებული განგების მიერ.

IV თავი
პრანა – პარამვიჯნანა
საკუთარი „მე“-ს ფუნციონალური საქმიანობის განსაზღვრის მეოთხე საფეხური

პარამვიჯნანა – სულიერ სამყაროში დასამკვიდრებელი ჭეშმარიტებისა და დამკვიდრებული ცნობიერების ურთიერთკავშირის დამყარება, მათი ურთიერთობების საჭიროდ და საუკეთესოდ განხორციელების გაგება წარმოსახვით დონეზე. ეს მამა ღმერთისადმი და სულიწმიდისადმი ერთგულებისა და ნდობის გამოხატულების უმაღლესი ფორმაა, სადაც საკუთარი ინიციატივა გამოვლინდება და განგების სურვილებს მაქსიმალურად და სრულყოფილად ემთხვევა.

პარამვიჯნანაში გადასვლა პრანადან შეიძლება მოხერხდეს. თვითონ პარამვიჯნანა სულიერ სამყაროში მიმდინარე მოვლენებში მონაწილეობის მიღებას გულისხმობს პიროვნულ დონეზე მატერიალიზირებული ცოცხალი არსების მიერაც კი. ეს უკიდურესად იშვიათი გამონაკლისი შემთხვევაა, მაგრამ რეალურად, როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ დონეზე, ეს შესაძლებელია. ეს უკიდურესი იშვიათობაა, მაგრამ მაგალითად, ჩემს შემთხვევაში რეალურად ვგონებ, რაღაცა დონეზე სრულიად შესაძლებელია.

პრანა – საკუთარი „მე“-სთვის განგების მიერ დაკისრებული მოვალეობა მსხვერპლშეწირვა	
მამაკაცური საწყისი გარემოს შეცნობა – არაჭარბი, ზომიერი აქტიურობა	ქალური საწყისი შემოქმედება – პასიურობიდან გასვლა, გააქტიურება
პარამვიჯნანა – საკუთარი „მე“-ს ინიციატივით აღებული საჭირო უფლებამოსილება სულიერი ნაწილის (მისი ინტერესების) უზრუნველყოფა	
მამაკაცური საწყისი ევოლუცირება (სრულყოფილებისკენ სწრაფვა) – სულიერ სამყაროში უშუალოდ მამა ღმერთის მსახურება და მისი ინტერესების განხორციელებაში მონაწილეობის მიღება. მის სამსახურში ყოფნა	ქალური საწყისი ცივილიზირება (აღიარების, დიდების დამსახურება) – სულიერ სამყაროში უშუალოდ სულიწმიდის მსახურება და მისი ინტერესების განხორციელებაში მონაწილეობის მიღება. მის დამსახურში ჩადგომა

მსხვერპლშეწირვა და სულიერი ნაწილის უზრუნველყოფა

მანოს სრულყოფილად გავლის შემდგომ, მატერიალიზირებული ცოცხალი არსების ინდივიდუალური სულისთვის გარდაუვალი

რამ არის პრანას განყოფილებაში გადასვლა. წინასწარ მინდა ვთქვა, რომ ეს საკმაოდ რთული და, უფრო მეტიც, მტკივნეული პროცესია. ასკეტიზმში ყოფნის დროს თუ ყოველივეს გადაფასება ხდებოდა შიდა არსობრივ დონეზე, ხორციელდებოდა ზოგადი ცნობიერების ფუნდამენტური გასწორების მცდელობა საკუთარ შიდა აღქმაში.

და აი, დგება მომენტი, როდესაც ადამიანში ასკეტიზმის საჭიროება აზრს კარგავს, რამეთუ რაღაც მომენტში გადასაფასებელი მასალა მასში უბრალოდ მთავრდება. ამის შემდგომ ის უბრალოდ ვალდებული ხდება, განგების მიერ დაკისრებული ვალდებულებით, თეორიულ დონეზე მიღებული ცვლილებების პრაქტიკულად განხორციელება სცადოს. სხვაგვარად იგი მძიმე დეპრესიულ მდგომარეობაში, სპეკულაციურ მცდელობებში, ფიგურალურად რომ ვთქვა, წყლის ნაყვაში გადავა.

გარეგნულად ეს გადასვლა მატერიალური ყოფიერების გარდაუვალი აუცილებლობის უზრუნველყოფის აუცილებლობას მოითხოვს. აი, რატომ არის ეს პრანაში გადასვლა და აი რატომ არის ეს ასკეტიზმში მყოფი არსებისათვის ასე მტკივნეული. ის ისევ მატერიალურ რეალობაში უნდა დაბრუნდეს, თუმცა შინაგანად ამის გაკეთება წარმოუდგენლად დიდ დისკომფორტს უქმნის. თუ ის მეტისმეტად ჩაეთრევინება ამ ტენდენციას, ვიჯნანამაიაში მოუწევს გადასვლა. ამიტომაც არა თუ არ არის სასურველი, არამედ კატეგორიულად დაუშვებელია თვითუზრუნველყოფაზე კონცენტრირდეს. ამ ადამიანს ერთი წამითაც არ უნდა დაავიწყდეს რისთვის ბრუნდება მატერიალურ რეალობაში საცხოვრებლად, ცოცხალი ურთიერთობების ფართო დიაპაზონით გამოვლინებულობაში. პირველი და უმთავრესი, რაც მან თავის პიროვნებაში უნდა ატაროს, ეს გახლავთ ის, რომ თუ ეს საკუთარ არსში გადაფასებული ზოგადი ცნობიერების მართებულობის გარკვევის პროცესი იქნება, სწორედ განგებაზე სრული მინდობით შეძლებს მხოლოდ და მხოლოდ ამის გაგებას. თვით განგება გაუკეთებს მას მატერიალური ყოფიერების უზრუნველყოფას ზუსტად იმხელაზე, რამხელაზეც მის მიერ ჩამოყალიბებული ცნობიერება იქნება მართებული ან, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მიმდინარე ობიექტური რეალობისთვის საჭირო და შესაბამის მატერიალურ სამყაროში. თუ საკუთარი შიდა არსისთვის კეთდება პრანაში გადასვლა, ვფიქრობ, უპრიანი იქნება სწორედ ასეთი მიდგომა და არანაირად სხვანაირი. თუ

ამასთან მეტ-ნაკლებად ჩამოყალიბდა პოზიცია და, ვფიქრობ, ასეა (ყოველ შემთხვევაში მე ასე მიმაჩნია).

მსხვერპლშეწირვის ცნების გარკვევაზე გადავალ. ინდუიზმის ლიტერატურულ გამოცემებში არის ადგილი, სადაც ხაზგასმულია, რომ კრშნა თავისთავად, უშუალოდ იმ დროსა და იმ ადგილზე, სადაც იგი იმყოფებოდა, ყველა მიღებულ რიტუალსა თუ წეს-ჩვეულებებს იცავდა. ის ამბობს, რომ თუ ასე არ მოიქცეოდა და მაგალითს არ მისცემდა ამით სხვებს, მაშინ მთელს მატერიალურ სამყაროში ქაოსი დაისადგურებდა. თუმცა ალბათ ყველას ესმის, რომ ღმერთების უზენაეს პიროვნებას არანაირი მსხვერპლშეწირვის (სულიერისა და, მით უმეტეს, მატერიალურის) ჩატარება რეალურად არ ესაჭიროება. კრშნა ამბობს, რომ რასაც საზოგადოებაში აღიარებული დიდი პიროვნებები აკეთებენ, ის ყველა ადამიანისათვის მისაბაძი ხდება და სწორედ ამიტომ აკეთებდა იმას, რაც უკლებლივ ყველა ადამიანს, განსაკუთრებით სულიერად ნაკლებგანვითარებულს ესაჭიროება. აი, ეს იმასთან დაკავშირებით – რა პოზიცია უნდა ჰქონდეს ჭეშმარიტად ასკეტიზმგავლილ ადამიანს მსხვერპლშეწირვასთან მიმართებაში. აგრეთვე არის მეორე ფაქტორიც. მატერიალურ ცხოვრებაში დაბრუნებული ადამიანი ყოველთვის უნდა იყოს დამუხტული სულიერი სამყაროს, განგების პირადი წარმომადგენლებისა და თავად განგებისთვის კმაყოფილების მინიჭების სურვილით. სხვაგვარად, ადრე თუ გვიან, მას ისევ მატერიალური სურვილები მიეწებებიან და ჩაითრევენ. მსხვერპლშეწირვა კი, მატერიალური სახით და განსაკუთრებით სულიერი ფორმით, უნიკალური პროფილაქტიკური საშუალება გახლავთ მატერიალურ სურვილებში არდაბრუნებისა და მთელი სულიერი ნაწილისთვის კმაყოფილების მინიჭებით დაკავებულობისა.

ეს რაც შეეხება პრანას ანუ მსხვერპლშეწირვას, როგორც პლატფორმას, რომლიდანაც შესაძლებელია ერთ-ერთ ძალიან მაღალ საფეხურზე პარამვიჯნანაზე გადასვლა. ახლა კი, სწორედ ამ საფეხურის გარშემო ვაპირებ მსჯელობასა და მის გარშემო არსებული კონცეფტუალური საკითხების გაშლას.

პარამვიჯნანა იგივე სულიერი ნაწილის უზრუნველყოფა, არა მარტო ჩემი, არამედ ნებისმიერი გონიერი ცოცხალი არსების გადასახედიდან, ერთ-ერთ უმთავრესსა და უმნიშვნელოვანეს საკითხს უნდა წარმოადგენდეს. ეს არის ძირითადი ფუნქციის განსაზღვრა, რითაც უნდა იყოს დაკავებული ჭეშმარიტად სულიერად

მაღალგანვითარებული ცოცხალი არსება. უფრო ნათლად რომ გამოვავლინო ამის მნიშვნელობა ვიტყვი, რომ განგების პირადი წარმომადგენლები მამა ღმერთი და სულიწმიდა სწორედ ამ საფეხურზე იმყოფებიან და მისი შესაბამისი საქმიანობის განხორციელებით ხელმძღვანელობენ.

უპირველეს ყოვლისა, აუცილებლად მინდა აღვნიშნო ის, რომ მიდგომა სულიერი ნაწილის უზრუნველყოფის მიმართ განსაზღვრული უნდა იყოს ურთიერთობაში მყოფი არსებების უფლება-მოსილებისა და პასუხისმგებლობის გადანაწილება-გამიჯვნის კუთხით. სხვათაშორის, ეს ის საკითხია, რომლის გაგონება და მოსმენა არც ერთ ადამიანს არ მოუნდა, ვისთანაც ამის გატანა ვცადე. კერძოდ, ვინ უნდა იყოს უფრო მეტად ვისთვის საჭირო. ახლავე გავშლი და ავხსნი იმას, თუ რას ვგულისხმობ ამაში.

იმ არსებას, რომელსაც მეორე არსების აღზრდა-განათლება აქვს მინდობილი და ჩაბარებული, თავად უნდა გაისიგრძეგანოს ის, რომ თავად უფრო საჭირო უნდა იყოს აღსაზრდელისათვის, ვიდრე აღსაზრდელი იქნება მისთვის. რა თქმა უნდა, იმაში ორი აზრი არ შეიძლება იყოს, რომ ისინი ერთმანეთისათვის უცილობლად საჭირონი არიან, მაგრამ მე აქ ვაყენებ საკითხს – ვინ ვისთვის უნდა იყოს უფრო მეტად საჭირო? შეიძლება ისე ჩანდეს, რომ ეს თითიდან გამოწოვილი საკითხია, მაგრამ მე ჯერ შედეგებს გეტყვით იმ ვარიანტებისა, რაც არსებობს და მერე შეიძლება ეს არათუ უმნიშვნელო, არამედ უმნიშნველოვანეს საკითხადაც კი მოგეჩვენოთ.

თუ აღსაზრდელი აღმზრდელისათვის უფრო მეტად საჭირო შეიქნება ე. ი. უფრო მეტად იქნება მიჯაჭვული მასზე, მაშინ აღსაზრდელის ინტერესები უფრო მეტად იქნებიან დაცული, ვიდრე აღმზრდელის. აღზრდა თვითონ ყველაზე რთული და შრომატევადი პროცესია. თვითონ ცოცხალ არსებას ამის უნარი რომ გააჩნდეს (არ ვგულისხმობ მამა ღმერთს, სულიწმიდას, ღვთის ძეს, ღვთის ასულსა და მთელს არსებულ რეალობაში არსებულ დიად სულებს), მაშინ მას არც სხვა უფრო სულიერად მაღალი ცოცხალი არსების დახმარება არ დასჭირდებოდა ამ საქმეში. ამ ზედმეტი მიჭაჯვულობის შედეგად, აღმზრდელის ფუნქციის შემსრულებელი ცოცხალი არსება, რბილად რომ ვთქვათ, აზარმაცებს აღსაზრდელს ხათრის გაწევით, დათმობით, რაღაცეებზე თვალის დახუჭვით, რაც ამ უკანასკნელის გარყვნას იწვევს ადრე თუ გვიან. თავად აღმზრდელი კი აღსაზრდელის ინტერესების მიყოლით კომ-

პრომისების შემდგომ, ობიექტური რეალობიდან უკან, წარსულში ინაცვლებს. ობიექტური რეალობა ხომ ყოველთვის აწმყოს განასახიერებს. წარსულში გადასული კი მატერიალური ბუნებისა და მატერიალური სურვილების ტყვეობაში ექცევა.

დროთა განმავლობაში მათ შორის მწიფდება კომფლიქტი, რამეთუ აღსაზრდელი სულ უფრო ზარმაცდება, ხოლო აღმზრდელი სულ უფრო ძნელად მიდის კომპრომისებზე. ადრე თუ გვიან აუცილებლად დგება ისეთი მდგომარეობა, რომ მათი ურთიერთსაჭიროების მაჩვენებელი, როგორც ერთის, ისე მეორის მხრიდან, თანაბრდება და მაშინ ისინი აუცილებლად დაშორიშორდებიან ერთმანეთს, თუმცა ერთმანეთის მიმართ მიჯაჭვულობას არ დაკარგავენ და წარმოსახვით დონეზე უფრო კარგი ურთიერთობა ექნებათ, ვიდრე რეალურ გამოსახულ დონეზე ჰქონდათ.

მეორე შემთხვევაში – თუ აღსაზრდელში აღმზრდელის მიმართ საჭიროება უფრო მეტად არის აღქმული, ვიდრე აღმზრდელში აღსაზრდელის მიმართ, მაშინ აღზრდა-განათლების პროცესი უნაკლოდ მიმდინარეობს. ვინაიდან სულიერი ცოდნის მინიჭებაზეა ლაპარაკი, ამ საჭიროების ნომინალური განსხვავებულობის დიდი მაჩვენებელი ანომალიას ვერ გამოიწვევს. თუმცა მაინც მინდა ვაღიარო, რომ ძალიან დიდი განსხვავება სულიერი განვითარებულობის დონეებს შორის არ არის სასურველი, რამეთუ აღმზრდელისთვის საინტერესო უნდა იყოს განგების მიერ მისთვის განსაზღვრულ აღსაზრდელთან ყოფნა. თუმცა ამ განსხვავებულობის სასურველი დოზით დაცვა, ვფიქრობ, მკაცრად დაცულია თავად განგების მიერ. ამ შემთხვევაშიც ადრე თუ გვიან, როდესაც ბოლომდე გადასცემს აღმზრდელი აღსაზრდელს თავის არსენალში არსებულ სულიერ ცოდნას, მათ შორის არსებული ურთიერთსაჭიროების ნომინალური მაჩვენებლები გათანაბრდება და მაშინ ისინიც აუცილებლად უნდა დაცილდნენ ერთმანეთს ვიზუალური ურთიერთობის დონეზე და მხოლოდ წარმოსახვის დონეზე გაგრძელდება მათი ურთიერთობა. აღმზრდელი თავად იპოვის თავისზე უფრო მაღალგანვითარებულ ცოცხალ არსებას სულიერებაში და თავადვე აღიარებს თავს მის აღსაზრდელად, თვითონ კი თავის აღმზრდელად აღიარებს მას. ყოფილი აღსაზრდელი კი პირიქით, თავისზე დაბალგანვითარებულ ცოცხალ არებასთან შევა ურთიერთობაში და მისი აღმზრდელი გახდება. ეს ცოცხალი არსება კი მის აღსაზრდელად აღიქვამს თავის თავს.

შემოქმედება და ცივილიზირება (თაყვანისცემის მიღება)

თუ ამ თავში შემოტანილი საჭიროების შედარებითობით ხედვას გენერალურ ხაზად მივიღებ, მაშინ აუცილებლად უნდა ითქვას, რომ მატერიალურ სამყაროში სწორედ ის, პირველი ტენდენცია მოქმედებს, ანუ აღმზრდელის მიერ აღსაზრდელი უფრო საჭიროდ არის მიჩნეული და აღქმული, ვიდრე აღსაზრდელის მიერ აღმზრდელი. მოსწონს ეს ვინმეს თუ არ მოსწონს, ეს ფაქტია და ამის იგნორირება, არ დანახვა, უბრალოდ, სიბეცე და უმეცრება იქნებოდა. ეს კი იმიტომ არის ამგვარად დამკვიდრებული, რომ მატერიალურ სამყაროში არსებული რეალობით სიამოვნების მიღებაა პრიორიტეტულ გლობალურ მიზნად მიჩნეული და არა სრულყოფილებისკენ სწრაფვისა და ჭეშმარიტების წვდომის სურვილი.

შემოქმედება როგორც მსხვერპლშეწირვის ქალური საწყისის წარმომადგენლობითი ნაწილი, სწორედ ამ კონტექსტში მინდა განვიხილო. ალბათ არ არის ძნელი მისახვედრი, რომ აქ ლაპარაკია აღსაზრდელზე, რომელზეც აღმზრდელი უფრო მეტად არის მიჯაჭვული, ვიდრე ეს აღსაზრდელი თავადვე ამ აღმზრდელზე. ანუ აქ იგულისხმება ის, რომ თავად აღსაზრდელს მისთვის მინიჭებული დაუკვალიანებელი თავისუფლების დაიპაზონში გაუჩნდეს სურვილი საკუთარი პიროვნების შიდა არსის რაიმენაირი სახით გადმოცემა მოინდომოს. სხვათაშორის, მატერიალურ სამყაროში აი ამ განყოფილებას ყველაზე მეტად აფასებენ. შემოქმედებაში მოიაზრება აბსოლუტურად ყველაფერი, რაც ადამიანის შიდა სიღრმისეული ბუნებიდან მომდინარეობს და რაღაცა ნებისმიერი ფორმით სხვა ადამიანების აღქმისა და შეგრძნებისთვის ხელმისაწვდომი ხდება. პრინციპში, ეს არის ის ფენომენური გამოვლინება, რასაც ჭეშმარიტად ხელოვნება შეიძლება და უნდა ეწოდოს კიდეც. ამის მეშვეობით ადამიანი თითქოს ცდილობს დაეხმაროს თავისივე აღზრდისათვის განპიროვნებულ მეორე ადამიანს, დაანახოს საით მიმართოს თავისი აღზრდის კონცეპტუალური, სტრატეგიული მიდგომა.

შემომქმედი მართლა სულით და გულით გადმოსცემს თავის შინაგან მდგომარეობას ნახატის, მოთხრობის, ლექსის, პრესის, ფილმის, სპექტაკლის, თუნდაც ჩაცმულობის ან აურაცხელი სხვა საშუალებით, მაგრამ მის მიდგომას აკლია ის, რასაც უნდა მოემსახუროს შემოქმედების დამნახველი ის ნაწილი, რომელსაც ამ შემომქმედის სრულყოფისკენ მიმართვა, ჭეშმარიტი ცოდნის მი-

ნიჭება ძალუძს. ამ შემოქმედებაში არ არის გონებრივი კოცონი. ფაქტიურად, შემოქმედების ყველანაირი ფორმა და მისი ყველანაირი გამოვლინება ემოციების უამრავ ინტერპრეტაციებზეა აწყობილი. არის შემთხვევები, როცა შემოქმედებით ჭრილში გადაყვანილი წიგნების უზარმაზარი რაოდენობა, ფილმების წყება, მრავალწლიანი დისკუსიები, ერთი წინადადებით შეიძლება იქნას გადმოცემული. ეს წინადადება ემოციების გონების ენაზე გადაყვანის გამოვლინება გახლავთ.

როგორც ყველაფერში, აქაც ორი გზა არსებობს:

პირველი გახლავთ შემოქმედის (და მისი გულშემატკივრების) მიერ შექმნილ შემოქმედებაზე მიჯაჭვა ანუ შემოქმედება, როგორც რაღაც უკეთესის მიღწევისა და წვდომის საშუალება. ხდება კერპთაყვანისმცემლობის არაცოცხალი გამოსახული გამოვლინება, როგორც საუკეთესოს მიღწეულობად აღქმული რაღაც, როგორც სრულყოფილი შედეგი შესაძლო მისაღებ პოტენციურ შედეგებს შორის.

თუ გონების ენაზე გადავთარგმნით, აღსაზრდელი, რომელიც ცდილობდა აღმზრდელისათვის თავისი სულის ფუნქციონალური მდგომარეობა დაენახვებინა, იწყებს აღმზრდელის უგულვებელყოფას, აცხადებს რა, რომ ის უკვე აღიზარდა საკმარის დონეზე და აღარ ესაჭიროება ეს და მას (ჯერ ვერშემდგარს აღმზრდელად) თავად უნდება იყოს ჯერ დამოუკიდებელი და შემდგომ აღიარებული მასზე სულიერად უფრო დაბალ განვითარებული ცოცხალი არსებების, ადამიანების მიერ. შემდგომში ისინიც არ დაახანებენ და გამოჩნდებიან. მაგრამ ეს მის მოსწავლეებად მონათლული ადამიანები ზუსტად ისევე ან უფრო ხშირად იმაზე უარესად მოექცევიან ამ შემომქმედს, ვიდრე იგი მოექცა საკუთარ აღმზრდელს. თუ დაფიქრდებით, ადვილად მიხვდებით, რომ ეს აქსიომაა.

ეს ყოფელივე კი, იმიტომ მოხდება, რომ ემოციურ ენაზე გადმოცემული საკუთარი შემოქმედება ამ ადამიანმა გონების დონეზე ვერ აიყვანა, თუმცა უნდა ვაღიარო, ბევრი არაშემომქმედი არსებისგან განსხვავებით, ძალიან, ძალიან ახლოს იყო.

რაც შეეხება შემომქმედის, შემქმნელის მეორე გზას, გახლავთ მისი გადასვლა ცივილიზირებაში, პარამვიჯნანას ქალურ საწყისში, იგივე სულიერი ნაწილის უზრუნველყოფაში. ამ შემთხვევაში, საქმე გვექნება იმ აღსაზრდელთან, რომელიც ისეთ აღმზრდელს მოიძიებს, რომელიც მისთვის უფრო საჭიროდ იქნება საკუთარ აღქმაში მიჩნეული, ვიდრე ის თავად ამ აღმზრდელისთვის იქნება

საჭირო (რაც იმას არანაირად არ ნიშნავს, რომ საჭირო არ იქნება ან მცირედ საჭირო იქნება).

ფაქტიურად, აქედან გამომდინარეობს ის, რომ მატერიალიზირებული ცოცხალი არსება შეძლებს ამ მიდგომით ურთიერთობის დამყარებას სულიერი სამყაროს წარმომადგენელთან. იმისდა შესაბამისად, რამხელაც იქნება მისი შემოქმედების სიღრმისეული წვდომა, იმხელა სულიერი დონის აღმზრდელი იქნება მიჩენილი სულიერი სამყაროს მრავალმილიონიანი წარმომადგენლებიდან. ვფიქრობ, ეს მეტად საინტერესო და მნიშვენლოვანი ინფორმაციაა. აქედან გამომდინარეობს, რომ თვით მატერიალურ სამყაროში ყოფნის პერიოდშიც კი შესაძლებელია სულიერ სამყაროსთან და მის ერთ-ერთ წარმომადგენელთან უშუალო ურთიერთობის დამყარება. მე თავად მოხიბლული ვარ აი ამ დასკვნით, რაც აქ დაიწერა, და ჩემი აზრით, საკმაოდ არგუმენტირებულად დამტკიცდა და დადასტურდა.

აღსაზრდელის მიერ საკუთარი აღმზრდელის უფრო საჭიროდ მიჩნევა, ვიდრე აღმზრდელის მიერ აღსაზრდელისა, იმაში იქნება გამოხატული, რომ ეს აღსაზრდელი მორჩილი თაყვანისცემის სულისკვეთებით იქნება განმსჭვალული თავის მოძღვართან. სწორედ ამ პროცესში ხდება შესაძლებელი მის მიერ სრულყოფილების მიმართულებით სვლა, ჭეშმარიტი ცოდნის შეძენა, მინიმუმ იმ დონემდე, ვიდრე ამ არსებას სწავლა-განათლების მიღება არ მობეზრდება ანუ, ვიდრე მორჩილი თაყვანისცემის მიდგომას აღმზრდელისადმი არ შეცვლის. რაც შეეხება მაქსიმუმს, ამ სულიერ ცოდნას მოწყურებულ არსებას ვიდრე მისი სულიერი აღმზრდელი თავის სულიერ დონემდე არ აიყვანს, ანუ სრულად არ მისცემს იმ ცოდნას, რაც თავად გააჩნია, ასეთი ბეჯითი და განათლების მოსურნე არსება არ დაიღლება არც სწავლითა და არც მოისვენებს. აი ამის შემდგომ კი, მას დაუდგება დრო, როცა უნდა დაშორდეს თავის მასწავლებელს, რამეთუ მოძღვარს ამის შემდგომ თავად მოუწევს საკუთარი სულიერი ცოდნის გაზრდაზე ზრუნვა, რადგან შეძლო ეპოვა ერთი არსება მაინც სრულად მიმყოლი თავის ცოდნისა. მას თავისი ეთიკურ-ესთეტიკური დონე გაჯერებული აქვს და დროა ახალი ცოდნის მოძიებისთვის თავად მოძღვრის ძიებაში გადავიდეს. რაც შეეხება აღსაზრდელს, რომელმაც თავისი აღმზრდელის დონეს სრულად მიაღწია, თავად ენიჭება უფლება იყოს მოძღვარი, აღმზრდელი და განგების ჩარევითა და დახმარებით ეძლევა სიტუაციები, როდესაც შესაძლებელი ხდება ამის რეალურ ცხოვრებაში

განხორციელება. თავიდან ამ სიტუაციის მიღება უჭირს „ახლად გამომცხვარ“ აღმზრდელს, უჭირს ის რომ აღსაზრდელები, მოსწავლეები სათანადო ადგილზე დააყენოს და ზედმეტად არ გაუშინაურდეს, მაგრამ ერთი-ორი შეცდომის შემდგომ მიღებული შედეგი აგებინებს, რომ მისი დონე ჭეშმარიტად უფრო მაღალია სულიერი წვდომის, გონიერების თვალსაზრისით, ვიდრე მისი მოწაფეებისა და უკვე დისტანციას ამყარებს მათთან, ანუ აღარ უშვებს ურთიერთობა ფამილიარობაში, უტაქტო გაშიანაურებაში გადაიზარდოს. შემდეგ თავად უწევს ათასგვარი მეთოდისა და სისტემის ცდა იმისთვის, რომ აღზრდის პროცესის ეფექტურობა გააუმჯობესოს. აწყობს სხვადასხვა ტიპის გამოცდებს, წამახალისებელ ეფექტებს და ა. შ.

ერთი რამ არის აქ ფაქტიურად ძირითადი და მთავარი – ეს, აღმზრდელად გადაქცეული აღსაზრდელი, უკვე მისთვის განგების მიერ მინდობილ აღსაზრდელებს იმაზე მეტად არ მიეჯაჭვოს, ვიდრე მოსწავლეები მიეჯაჭვებიან მას. მისთვის, განგების მიერ განსაზღვრულ პედაგოგობის პროცესში, სწორედ აი ეს ფაქტორი უნდა გაიაზროს. თუმცა ეს ფაქტიურად ურთულეს ამოცანას წარმოადგენს, რამეთუ არ დაგვავიწყდეს, ეს მატერიალურ სამყაროში ურთულეს საქმიანობაზე – აღზრდაზეა ლაპარაკი. სხვათაშორის, დედამიწაზე, ჩემი დაკვირვების შემდგომ, შემიძლია გითხრათ, რომ ასეთი პედაგოგები არ უყვართ, მაგრამ, როგორც პედაგოგებს, ყოველთვის უზომოდ დიდ პატივს სცემენ. თუ გავითვალისწინებთ, რომ იმას რასაც დედამიწაზე სიყვარულს ეძახიან, მე სიყვარულს ვერ დავარქმევდი. აქ სიყვარულად ძირითადად დაუმსახურებელი შეღავათებით, დათმობით, ჭეშმარიტების იგნორირების ფასად ახდენილ სურვილებს ჰქვია, ყოველ შემთხვევაში დღეს-დღეისობით ეს ასეა. ისე რომ მე მირჩევნია მიყურებდნენ ადამიანები ისე როგორც ასეთ პედაგოგებს უყურებენ.

პრინციპში, პარამვიჯნანამ საზოგადოებრივი ურთიერთობების საკითხში გადაგვიყვანა, თუმცა შეგნებულად არ გავამახვილე ყურადღება. ახლა კი მხოლოდ იმიტომ ვახსენე, რომ ოჯახისა და ოჯახის წევრების, განსაკუთრებით ცოლ-ქმრის თემატიკა აქ არ შეიძლება შეერიოს. ეს ბოლო მეხუთე თავში იქნება განხილული წვრილად და საკმაოდ სკურპულიოზურად.

გარემოს შეცნობა და ევოლუცირება
(სრულყოფილებისკენ მიმართვა)

არც აქ ვაპირებ აღებული ორიენტაციის შეცვლას და საჭიროების ურთიერთფარდობითობაზე ავაწყობ ამ ცნებათა გახსნას და განხილვას.

გარემოს შეცნობა, როგორც პრანას იგივე მსხვერპლშეწირვის მამაკაცური საწყისის წარმომადგენლობითი ნაწილი, შეეხება აღმზრდელს, რომელიც თავის აღსაზრდელზე უფრო მეტად არის მიჯაჭვული, უფრო მეტ საჭიროებას აღიქვამს და შეიგრძნობს, ვიდრე აღსაზრდელი თავად ამ აღმზრდელის მიმართ. ამ ზედმეტი მიჯაჭვულობის ნაწილში იგი თავის პირად მიზნებს, მისწრაფებებს, ცხოვრების აზრს კომპრომისების შედეგად ანაცვლებს აღსაზრდელის მიზნებით, მისწრაფებებით და მსოფლმხედველობითაც კი.

ვფიქრობ, არ არის გასაკვირი ის, რომ ასეთი ტიპის აღმზრდელისათვის ერთიანი „მე“-ს ცნება იშლება და შემოდის უცხოს, საფრთხის, მტრის ან უბედური შემთხვევების ალბათობის ცნებები. თუკი მანოს მამაკაცური საწყისი წარმოდგენილი იყო შემეცნებით, აქ, როგორც ხედავთ, ეს გარემოს შემეცნებით შეიცვალა. აღმზრდელი ჭარბი მიჯაჭვულობის ნაწილით ბრმავდება და აღსაზრდელისათვის სასიამოვნოსა და სასურველის მიღების სურვილით მართული ობიექტური შეფასების უნარს კარგავს. გარემოს შეცნობა მას მხოლოდ იმიტომ სჭირდება, რომ წინასწარ ნახოს, მოისმინოს, დარწმუნდეს, რომ მის აღსაზრდელს არანაირი ხიფათი არ დაემუქრება და საკუთარი მიზნების მიღწევის პროცესში ხელი არ შეეშლება.

არ შეიძლება არ დაეთანხმო იმას, რომ ძალიან ბრიყვული, მაგრამ ეს აშკარა მსხვერპლშეწირვაა საკუთარი პიროვნებისა საკუთარი შვილის ინტერესების დაცვისათვის. შეიძლება ვიღაცისათვის ეს გულისამაჩუყებელი და მისაღები საქციელი იყოს, მაგრამ ეს მიუღებელია და რბილად რომ ვთქვათ, მეტად არასასურველია მთელი სულიერი სამყაროსათვის და განგებისათვის. მე პირადად ძალიან მსურს ასეთი ტენდენციურობისაგან იმდენად სრულყოფილად განვიკურნო, რომ ამის კეთების სურვილიც კი აბსოლუტურად გაუგებარი გახდეს ჩემთვის. სამწუხაროდ, მატერიალურ სამყაროში სწორედ ეს არის მიჩნეული სიყვარულად და მის გამოვლინებად. ალბათ ჩემნაირი ადამიანები უნდა მიხვდნენ – ვიდრე მატერიალურ სხეულში იმყოფებიან და სულიერი სამყაროსთვის დამ-

კვიდრებული ცნობიერებით იცხოვრებენ, ადამიანები მათ არც მოსმენას და გაგებას, არც ურთიერთობას და მით უმეტეს ჭეშმარიტი სიყვარულის გამოვლინებას არ მოინდომებენ. სხვათაშორის, თუ ეს საერთოდ შესაძლებელია მოხდეს, მოხდება მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც ჩემნაირი ადამიანები გათავისუფლდებიან მატერიალურ სამყაროზე მიჯაჭვულობებისგან და მიხვდებიან იმას, რომ ისინი უფრო საჭირონი არიან ადამიანებისთვის, ვიდრე ეს ადამიანები მათთვის.

ვიდრე ამ მიმართულებაზე გადავალ, მინდა ვახსენო მეორე ამის საპირისპირო გზა, როდესაც აღმზრდელი პრანადან ვიჯნანამაიაში გადადის. ამ შემთხვევაში გარემოს შეცნობა მისთვის იდეაფიქსივით ხდება, მატერიალური ნაწილის უზრუნველყოფა ანგარებით თვითუზრუნველყოფაზე დაყრდნობით ამ აღმზრდელის ძვალ-რბილში ჯდება და თვითონ იწყებს აღსაზრდელის მიზნების, სურვილების საჭიროების განსაზღვარასა და ამის მასზე მოხვევას. ეს თვითგაკერპების ფენომენი გახლავთ. სხვათაშორის, აბსოლუტური უმრავლესობის შემთხვევაში დღეს ეს გზა არის მიღებული და დამკვიდრებული. პრინციპში ეს სხვა არაფერია თუ არა სრულყოფილების კომპლექსით დაავადებულობა და მისგან განკურნების საშუალება დიდი შრომითა და ნებისყოფით არის მხოლოდ და მხოლოდ შესაძლებელი. ჩემი შეხედულებით, თუ არ მოხდება ტოტალური მასშტაბით ღვთის შიშის შემოსვლა, ადამიანები ამ გზიდან არასოდეს არ გადაუხვევენ და მეორე გზას უბრალოდ არ დაადგებიან.

მოკლედ, ამ აშკარად ნეგატიურ მიმართულებაზე აღარ შევჩერდები და მეორე გზაზე პრანადან პარამვიჯნანაში გადასვლის გზაზე გადავალ. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს გარემოს შეცნობიდან ევოლუცირებაზე გადასვლასთან. აუცილებლად ავხსნი ამას თუ რას ნიშნავს.

როდესაც ადამიანი შემეცნებიდან გარემოს შეცნობაზე გადავიდა, ის ნებით თუ უნებლიედ „მე“-ს შეცნობიდან „ეგო“-ს შეცნობაზე გადაერთო. რა თქმა უნდა, სისულელეა იმის მტკიცება, რომ მატერიალურ სამყაროში ან თუნდაც სულიერ სამყაროში „ეგო“ არ არსებობს ან არსებობს, მაგრამ ჩვენ თვალები უნდა დავხუჭოთ იმისთვის, რომ იგი ვერ დავინახოთ და სტრაუსის პოზაში დავდგეთ. უბრალოდ საქმე იმაშია რომ, „ეგო“-ს შეცნობა მაშინ უნდა დაიწყოს ადამიანმა, როდესაც ამისთვის მზად იქნება. მზადყოფნა-არყოფნას კი ისევ და ისევ განგება წყვეტს კონკრეტული სიტუაცი-

ების შექმნის საშუალებით ამ პიროვნების გარშემო. სწორედ აღ-მზრდელად მისი გამწესების შემდგომ ეს გარდაუვალად გადასა-ლახავი ბარიერი ხდება ნებისმიერი არსებისათვის. ამ შემთხვევაში საერთოდ აღარა აქვს მნიშვნელობა მატერიალიზირებულია იგი თუ სულიერი სამყაროს „მოქალაქეა“. მაგრამ უსერიოზულესი გან-სხვავება იმაში მდგომარეობს, რომ მატერიალურ სამყაროში არსე-ბული „ეგო“ მამა ღმერთისა და სულიწმიდის „ეგო“-ს ნომინალური დიაპაზონის მაჩვენებლის მიღმა იმყოფება, ხოლო სულიერ სამყა-როში არსებული „ეგო“ მამა ღმერთისა და სულიწმიდის „ეგო“-ს საზღვრებს არასოდეს სცდება.

ისე რომ, აქ მოყვანილი ტერმინი „გარემოს შეცნობა“ მატერია-ლურ სამყაროში არსებული „ეგო“-ს შეცნობისა და საკუთარ აღ-ქმაში მისი „მე“-დ გარდაქმნის მცდელობად უნდა შეფასდეს, ხოლო ტერმინი „ევოლუცირება“ ამ წიგნში შემოტანილი სულიერ სამყა-როში არსებული „ეგო“-ს შეცნობისა და საკუთარ აღქმაში არსებუ-ლი „მე“-დ გარდაქმნის მცდელობად უნდა შეფასდეს.

ამდენად, არცთუ ისე ძნელი მისახვედრი უნდა იყოს, თუნდაც სულიერების ფუნქციონალურ საკითხებში ჩაუხედავი ადამიანის-თვისაც კი, თუ რამხელა დატვირთვას იძენს ეს გარდამავალი პე-რიოდი (ვგულისხმობ, პრანადან პარამვიჯნანაში, ორივე საწყისში). ფაქტიურად ამით ხდება თვით მამა ღმერთთან და სულიწმიდასთან ფუნქციონალურ ურთიერთობებში შესვლა. ეს ხომ მათი პრობლე-მატიკაა.

უპირველესი რამ, რაც ამ შემთხვევაში ადამიანმა უნდა გამოი-მუშავოს თავისში გახლავთ ის, რომ განგების მიერ მისთვის აღსაზ-რდელად ამორჩეული და განპიროვნებული ადამიანები მისთვის უფრო ნაკლებ საჭირონი უნდა გახდნენ, ვიდრე ის თავად ამ აღსაზ-რდელებისათვის. ეს არის ერთ-ერთი ძირითადი პირობა, რაც ადა-მიანმა უნდა დააკმაყოფილოს იმისთვის რომ ჭეშმარიტად მოახერ-ხოს პარამვიჯნანაში და მის საწყისებში ევოლუცირებაში და შემ-გომ ცივილიზირებაშიც გადასვლა. ეს არის ერთ-ერთი უდიდესი პატივი არა მარტო მატერიალიზირებული ცოცხალი არსებისთვის (კერძოდ, ადამიანისთვის), რისი მიღწევაც საერთოდ არის შესაძ-ლებელი ინდივიდუალურად გამოვლინებულობისა და სულიერად თვითგამოხატულების დონეზე.

მინდა გამოვყო ძირითადი და აუცილებელი მომენტები ევო-ლუცირების იმ გაგებისა, რომელიც ახლა ჩამოვაყალიბე. პირველი და აუცილებელი, რაც გასათვალისწინებელია ამ საქმიანობით და-

კავებული ნებისმიერი ცოცხალი არსებისათვის გახლავთ ის, რომ სამყაროს უზენაესი პიროვნება მამა ღმერთი და სამყაროს უწმინდესი პიროვნება სულიწმიდა, როგორც სამყაროს მამაკაცური და ქალური საწყისების პირადი წარმომადგენლები, უნდა აღიქვას თავის უმაღლეს შემფასებლად და ნებისმიერი რამ, რაც მის გონებაში თუ გრძნობაში იდეისა და სხვადასხვა შეხედულების სახით მომწიფდეს პირდაპირ და უშუალოდ მათ უნდა წარუდგინოს და გააცნოს. ის უნდა მიხვდეს, რომ ყოველივე ამ ორი პიროვნების შინაგანი თუ გარეგანი მდგომარეობით განისაზღვრება საკუთარი პიროვნების ჩათვლით და მათ ჭეშმარიტ სიდიადესა და უალტერნატივო უპირატესობას თუ ვერ ჩაწვდება, ვერ დაძლევს იმ კონკურენციის სურვილს, რომელიც მასში ჩაისახება, საკუთარ თავს სავალალო მდგომარეობაში ჩაიგდებს.

მოკლედ ვიტყვი, უდიდესი კი არა, უპირველესი როლი ამ პროცესში ენიჭება ერთგულებას მამა ღმერთისა და სულიწმიდის მიმართ. თუ ვიღაცას ეს ოდნავ მაინც გაუიოლებს საქმეს, ვიტყვი რომ მამაკაცური საწყისით აქტივიზირებული ცოცხალი არსება (სულიერ თუ მატერიალურ სამყაროში, არა აქვს მნიშვნელობა) შეიძლება მამა ღმერთის ერთგულებაზე იყოს კონცენტრირებული, ხოლო ქალური საწყისით აქტივიზირებული პიროვნება შეიძლება სულიწმიდის ერთგულებაზე იყოს კონცენტრირებული. ოღონდ ეს იმდენად უზადოდ და სრულყოფილად უნდა შესრულდეს, რომ მართლა შეიძლებოდეს ერთგულება ეწოდოს, ანუ მთლიანად მთელი გონება და გული უნდა მიუძღვნან.

ამით მინდა დავასრულო მიმდინარე ობიექტური რეალობიდან ანუ აწმყოდან წარსულში ან მომავალში ადამიანთა და საერთოდ ცოცხალ არსებათა სასურველი და საჭირო ქმედებების გარშემო წერა და აწმყოში ყოფნისათვის და იქ დამკვიდრებისათვის საჭირო და აუცილებელი საქმიანობის გარშემო მინდა დავწერო ბოლო მეხუთე თავი.

V თავი
ანნა – პარამმანო
საკუთარი „მე“-ს ფუნციონალური საქმიანობის განსაზღვრის მეხუთე საფეხური

პარამმანო – სულიერ სამყაროში დასამკვიდრებელი ცნობიერებისა და დამკვიდრებული ცნობიერების ურთიერთშერწყმა, წარმოსახვის გამოსახულ ფორმად გარდაქმნა, აწმყოდ ფორმირება განგების სურვილის ზედმიწევნით მისაღებად და შესაბამისად.

პარამმანოში გადასვლა ანნადან არის შესაძლებელი. პარამმანო სხვა ცოცხალ არსებებთან წარმოუდგენლად, მაქსიმალურად საუკეთესო და სასურველი ურთიერთობების დამყარებას გულისხმობს როგორც განგების გადასახედიდან, ისე თვითონ ცოცხალი არსებების გადასახედიდან. სწორედ ანნაა ის განყოფილება, სადაც ცოცხალი არსებების ინდივიდუალურ სულებში ე. წ. ვაკუუმი ანუ ვაკუუმის მოძიების სურვილი იდებს ბინას. პარამმანო, შეიძლება ითქვას, არის ის საბოლოო მიზანი, რისკენაც უნდა მიისწრაფოდეს ნებისმიერი ცოცხალი არსება, ამ შემთხვევაში არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ის მატერიალიზირებულია თუ არ არის მატერიალიზირებული.

ანნა – საკუთარი „მე“-სთვის განგების მიერ მინიჭებული უფლება კვება (შიმშილის, წყურვილის, ენერგიის აღდგენის აუცილებლობა)	
მამაკაცური საწყისი შინაგანი ქაოსი – მატერიალიზირებულ ცოცხალ არსებაში ჩარჩენილი ჭარბი აქტიურობისკენ მიდრეკილება	ქალური საწყისი შინაგანი წესრიგი – მატერიალიზირებულ ცოცხალ არსებაში ჩარჩენილი პასიურობისკენ მიდრეკილება
პარამმანო – საკუთრი „მე“-ს ინიციატივით აღებული საჭირო პასუხისმგებლობა სულიერი სქესობრივი ურთიერთობები	
მამაკაცური საწყისი ჰარმონიზირება (უშუალობა) – მამაკაცური საწყისით აქტივიზირებული ცოცხალი არსების მიერ საკუთარი შესაბამისი ე. წ. მეორე ნახევრის, ქალური საწყისით აქტივიზირებული ცოცხალი არსების პოვნა	ქალური საწყისი ტრანსცენდენტულობა (გულწრფელობა) – ქალური საწყისით აქტივიზირებული ცოცხალი არსების მიერ საკუთარი შესაბამისი ე. წ. მეორე ნახევრის, მამაკაცური საწყისით აქტივიზირებული ცოცხალი არსების პოვნა

კვების მოთხოვნილება და სულიერი სქესობრივი ურთიერთობები

ეს ბოლო თავი ჩემი მეოთხე (ამ თემატიკის შესახებ დაწერილი ალბათ ბოლო) წიგნისა შეეხება იმას, თუ როგორ უნდა შეძლოს ნებისმიერმა ცოცხალმა არსებამ მიმდინარე ობიექტური რეალობის

შესაბამისი საქმიანობით იყოს დაკავებული და ამის შედეგად მუდმივად აწმყოში იმყოფებოდეს, არ გადავარდეს სპონტანურად ხან მომავალში და ხანაც წარსულში. ამ შემთხვევაში მინდა ვთქვა, რომ ორი ცოცხალი არსების თანაცხოვრება და თანაარსებობა აუცილებელი პირობა ხდება. ეს არის ის ფენომენი, რასაც ზოგადად ოჯახი ეწოდება.

აწმყო რეალურად მაშინ ხდება აწმყო, როდესაც ურთიერთსაჭიროება მამაკაცური საწყისით აქტივიზირებული და ქალური საწყისით აქტივიზირებული ორი ცოცხალი არსების მხრიდან აბსოლუტურად თანაბარია. ამ შემთხვევაში იგულისხმება როგორც მატერიალური, ისე სულიერი სამყაროები იმ განსხვავებით, რომ მატერიალურ სამყაროში მიმდინარე ობიექტური რეალობა სხვა რამეს მოიაზრებს, ხოლო სულიერ სამყაროში მიმდინარე ობიექტური რეალობა სხვას.

პირადად მე ეს საკითხი ურთულესად და უმნიშვნელოვანესად მიმაჩნია და ვფიქრობ, აი ამის ახსნისა და ამოხსნის შედეგად მართლაც შევძლებ ჩავთვალო ჩემი მხრიდან ამ ინკარნაციაში ჩატარებული კვლევა-ძიება დამთავრებულად. რა თქმა უნდა, ამის რეალურობას განგება გადაწყვეტს და გამაგებინებს. ყოველ შემთხვევაში აი ახლა, ამ წამს მე ასე მგონია და ალბათ მსურს კიდეც. მით უმეტეს, რომ დედამიწაზე უკვე დაიწყო ის კატაკლიზმები, რაც ადამიანთა მსოფლმხედველობის, მათი ცნობიერების რადიკალურად შეცვლას გამოიწვევს. სწორედ მომავალში განგების მიერ ჩემზე გაპიროვნებული ფუნქცია გამაგებინებს საკუთარ შეხედულებებს ჩემს შესახებ.

მატერიალურ სამყაროში არსებული ობიექტური რეალობა ზოგადად ყოველთვის სულიერ სამყაროში არსებული ობიექტური რეალობის იგნორირების გამოვლინებას წარმოადგენს. აქსიომის დონეზე უნდა დავიდეს ჭეშმარიტად გონიერი ადამიანისთვის ის, რომ მატერიალური სამყარო განგების პირადი წარმომადგენლების მიერ დადგენილ და დამკვიდრებულ ცნობიერებასთან დაპირისპირების შედეგია. ვფიქრობ, ახალს არაფერს ვამბობ განსხვავებულად იმისა, რაც აქამდე მითქვამს, მაგრამ ეს უფრო მარტივ და უბრალო გაგებამდე მინდა დავიყვანო. თუ ცოცხალი არსება მატერიალიზირდება, ეს უკვე უნდა გულისხმობდეს გონიერი არსებების აღქმაში რომ მას ცდომილება აქვს ჩადენილი მამა ღმერთთან (მამა-

კაცური საწყისით აქტივიზირებულს) ან დედა ღმერთთან, სულიწმიდასთან (ქალური საწყისით აქტივიზირებულს) მიმართებაში.

კვების აუცილებლობას სწორედ ამ ცდომილების არსებობა იწვევს მატერიალიზირებულ ცოცხალ არსებაში. კვება, თავისი ფუნქციონალური თვალსაზრისით, ინფორმაციის გვერდიდან შეტანით საკუთარ არსში არსებული მცდარი ინფორმაციის დროებით გაბრუებას, დროებით დაკმაყოფილებას, ან ინფორმაციის არ არსებული მაგრამ საჭირო ნაწილის დროებით შეგრძნებას, დროებითი სიამოვნების მიღებას ემსახურება. სხვათა შორის, ისიც შეიძლება ითქვას, რომ რამდენადაც არასრულყოფილად სრულდება მსხვერპლშეწირვა მატერიალიზირებული ცოცხალი არსების მიერ (გარემოს შეცნობა და შემოქმედების შექმნა), იმხელაზე იქნება მასში კვების სურვილი.

თუ ანნადან ქვემოთ ჩამოვარდება ადამიანი, იგი ანანდამაიაში გადავა, ანუ წარმართულობაში მოხვდება. წარმართულობის ცნების გარჩევას აქ აღარ დავიწყებ, მხოლოდ ვიტყვი, რომ ადამიანის მხრიდან ეს უკან გადადგმული ნაბიჯი იქნებოდა. ამ ყოფითკმაროსა და ვიზუალურ რელიგიურობაში გადასვლა ვერ დაეხმარება თავისში არსებული შინაგანი ქაოსისა და შინაგანი წესრიგის განეიტრალებაში. ერთადერთი ჭეშმარიტად მართებული გამოსავალი ადამიანისათვის შინაგანი ქაოსის არსებულ ნაწილში აღსარების გამოხატვაა მამა ღმერთის მიმართ, შინაგანი წესრიგის ნაწილში კი – მონანიების გამოხატვა სულიწმიდის მიმართ. ეს იქნებოდა საკმაოდ უნივერსალური საშუალება საკუთარი მცდარი შეხედულებებისაგან გათავისუფლებისა. სასურველია ეს იქამდე გაგრძელდეს, ვიდრე შინაგანი ქაოსი და შინაგანი წესრიგი ბოლომდე არ გამოილევა და არ გაქრება. ვფიქრობ, ეს გაუგებარი უნდა იყოს აღსაქმელად, მაგრამ შევეცდები მათი შემდგომი გახსნისას უფრო გასაგები გავხადო ის, თუ რას ვგულისხმობ.

ახლა კი გადავალ იმაზე, რაც ანნადან პარამმანოზე გადასვლას მოიაზრებს. ეს სულიერ სქესობრივ ურთიერთობებში გადასვლას ნიშნავს. სწორედ აქ იწყება ორი ადამიანის, ორი მატერიალიზირებული ცოცხალი არსების, მამაკაცისა და ქალის ურთიერთობების საუკეთესო გამოვლინება მატერიალური სამყაროს პირობებშიც კი. ისინი ერთმანეთს თავის არსში არსებულ საუკეთესო ნაწილს მისცემენ ერთმანეთს. როგორც ამ თავის დასაწყისში უკვე აღვნიშნე – მათ ერთმანეთი თანაბრად სჭირდებათ. ამ შემთხვევაში ხდება მეტად უცნაური რამ – ეს ორი არსება მატერიალური სხე-

ულით, მატერიალურ სამყაროში ყოფნის მიუხედავად, სულიერი სამყაროსთვის შესაბამისი ობიექტური რეალობის დაცვითა და ამის მიყოლით იწყებენ ცხოვრებას (სამწუხაროდ, ეს პროცესი არც თუ ისე დიდხანს გრძელდება ხოლმე). აქვე, საჭიროდ ვთვლი როგორმე გადმოვცე, რას წარმოადგენს სულიერ სამყაროში არსებული ობიექტური რეალობა. სულიერ სამყაროში არსებული ობიექტური რეალობა ზოგადად ყოველთვის განგების პირადი წარმომადგენლების, სამყაროს უზენაესი პიროვნებისა და სამყაროს უწმინდესი პიროვნების შინაგანი მდგომარეობის გამოვლინებას წარმოადგენს. უფრო თუ დავაკონკრეტებთ, მამა ღმერთში არსებული შინაგანი ქაოსისა და სულიწმიდაში არსებული შინაგანი წესრიგის ურთიერთობის გამოხატვა გახლავთ.

სულიერ სამყაროში არსებული მიმდინარე ობიექტური რეალობის მიმყოლი ცოცხალი არსებები მთლიანად თავისუფლდებიან ყოველგვარი ბრალეულობის დადებისაგან მათზე განგების მხრიდან. უფრო მეტიც, მათ ეძლევათ უნიკალური საშუალება წყვილად არსებობისა და უბედნიერეს და უნეტარეს მდგომარეობაში ყოფნისა. ეს ორი ცოცხალი არსება სრულ სინთეზში არიან ერთმანეთთან. მათთვის აქსიომატურ დონეზე დგას მამა ღმერთისა და სულიწმიდისადმი ერთგულების მდგომარეობის დამკვიდრებულობა თავისში და აი, იმ გაურკვეველ ნაწილში კი, რომელიც მამა ღმერთსა და სულიწმიდას შორის სუფევს, ისინი ასე სრულყოფილად უკავშირდებიან ერთმანეთს. მიუხედავად იმისა, რომ სპეციალურად არანაირად არ კონცენტრირდებიან ამაზე, მამაკაცური საწყისით აქტივიზირებული ცოცხალი არსება ქალური საწყისით აქტივიზირებულის გონების პარამეტრთან ამყარებს კონტაქტს, ხოლო ქალური საწყისით აქტივიზირებული ცოცხალი არსება მამაკაცური საწყისით აქტივიზირებულის გრძნობის პარამეტრთან. ეს ურთიერთობები მხოლოდ სულიერ სამყაროშია შესაძლებელი (დასწრებულად ან დაუსწრებლად, ე. ი. მატერიალური სამყაროდან წარმოსახვის გზით). მამაკაცური საწყისით აქტივიზირებული ჭეშმარიტ ცოდნას უზიარებს ქალური საწყისით აქტივიზირებულს, რაც უშაულობის დაცვითა და საშუალებით ხდება. ქალური საწყისით აქტივიზირებული კი ღებულობს ამ ცოდნას ყოველგვარი პირადი მოსაზრების კრიტიკული ხედვის ჩარევის გარეშე, მყისეულად გარდაქმნის ამას სიამოვნებად, ორგაზმად, ტრანსად. ეს იდეალური ოჯახის ფორმირებული, შემდგარი გამოვლინება გახლავთ.

ფაქტიურად, მთელს ტვირთს პრობლემათა გადაწყვეტისა მამა ღმერთი და სულიწმიდა იღებენ თავის თავზე. თუ ამას ვერ მიხვდით, ე. ი. ვერაფერი გაიგეთ ამ თავში წაკითხული ნაწერისა.

შინაგანი წესრიგი და ტრანსცენდენცირება (გულწრფელობა)

თუ ქრონოლოგიური თანამიმდევრულობით მივუდგებით, ასეთ რაღაცას მივიღებთ: ქალური საწყისით აქტივიზირებული ცოცხალი არსება იმ საკითხების გადაწყვეტით ინტერესდება, რომლებზედაც თავად სულიწმიდა, დედა ღმერთი, სამყაროს უწმინდესი პიროვნება მუშაობს. თუ ეს არსება მთლიანად არ არის მინდობილი სულიწმიდაზე და უშუალოდ და გულწრფელად მისგან დამკვიდრებულ ცნობიერებას არ უღრმავდება და წარსულში არსებულ და უკვე დამკვიდრებულ (ე. ი. მეტნაკლებად უკვე შეცვლილ) ცნობიერებაზე კონცენტრირდება თავისდაუნებურადაც კი ხვდება წინააღმდეგობრივ დაპირისპირებულობაში მასთან. ეს არსება ფაქტიურად უკვე არსებულის უცვლელად შენარჩუნებაზეა კონცენტრირებული, რის შედეგადაც, რაღაც პარალელურ (უკვე წარსულ) ცნობიერებაში გადადის და ერთგვარი პრეტენზიები უჩნდება იმ სიახლეების მიმართ, რაც სულიწმიდას თავად უშუალოდ შემოაქვს. ის აღარ თანამშრომლობს მასთან და უკვე არსებულით სიამოვნების მიღების სურვილზეა გამოკერებული, მიწებებული. ამ ტიპის ცოცხალი არსება ყოველთვის უნდა ენდობოდეს სულიწმიდას და ნებისმიერი მის მიერ შემოტანილი რამ, მისთვის უპირობოდ განსახორციელებელი უნდა იყოს. ეს არსება წარსულში მომხდარი რაიმე სასიამოვნო პროცესუალური თანამიმდევრულობების განმეორებადობის, ფაქტიურად, იმიტაციის სურვილით არის მართული. მან ყოველთვის უნდა მოისმინოს და მიიღოს სულიწმიდის მიერ მისთვის მიცემული რეკომენდაციები და მითითებები. ჩუმი და მალული ურჩობის შედეგად ის კონსერვატიულობის (უცვლელობის სურვილის) მატარებელი ხდება. ის ამ საქციელით მოვლენათა ბუნებრივი სვლის პროცესის გარდაუვალობას ეწინააღმდეგება.

შედეგად ამისა, ამ ცოცხალ არსებას (თითქმის ყველა შემთხვევაში) მოუწევს მატერიალიზირება, ანუ სულიერი სამყაროს პარალელურ სამყაროში გადასახლება. მასში აქ მუდმივად იარსებებს შინაგანი წესრიგი. ის „წარსულში“ ზედმეტად არის გადასული. ამის გასანეიტრალებლად განგება მასში საპირისპირო სქესის მა-

ტერიალიზირებული ნაწილის წარმომადგენელთა მიმართ სქესობრივი ლტოლვის მიდრეკილებას ნერგავს, რათა „მომავალში“ ამ პროვოცირებული სურვილით მიდრეკის პროცესში როგორმე „აწმყოში“ დააბრუნოს. ეს მისთვის „ლაკმუსის ქაღალდის“ მაგვარი რამ იქნება. რამდენადაც ამ პასიური არსების შეხედულებები განგების მისაღები გახდება (თუმცა სულიერ სამყაროში მიმდინარე ობიექტური რეალობისთვის ისინი მაინც ჩამორჩენილ, განვლილ საფეხურად იქნება აღქმული, თუნდაც მათი იდეალურად გადაწყვეტის შემთხვევაშიც კი), იმდენად ეცდება ეს ცოცხალი არსება სქესობრივი ლტოლვით სიამოვნებას არა კმაყოფილების ზედაპირული, სპეკულაციური, გარემატერიალური, გონებისმიერი გზებით, არამედ კმაყოფილების მინიჭებით სქესობრივ პარტნიორად არჩეული ცოცხალი არსებისათვის, მისი ინტერესების სრულყოფილად და საჭიროდ გათვალისწინებით. აქ საქმე იმაში გახლავთ, რომ ამ მეორე მატერიალიზირებულ ცოცხალ არსებას ჭეშმარიტად ესაჭიროება ასეთი პასიურობის მქონე ცოცხალ არსებასთან კონტაქტი, რამეთუ თავად ჭარბი აქტიურობის გამოა მოხვედრილი მატერიალურ სამყაროში. ამ შემთხვევაში ასეთი ტიპის სქესობრივი ურთიერთობები მეტად საჭირო და პოზიტიური შედეგის მომტანი იქნება. ისინი სულიერ სამყაროში დაბრუნების გზაზე იდგებიან ამ სისტემის მიყოლით. ამ პასიურმა ცოცხალმა არსებამ პასიურობა და ფსევდომოთმინება (ჭარბი მოთმინება, მოთმენა) მხოლოდ იმიტომ გამოავლინა, რომ ბუნებრივი მოვლენებისთვის შესაბამის ბუნებრივი სვლის პროცესს ფეხი არ აუბა, ცვლილებების მიღებაზე უარი თქვა და მისთვის გამზადებული, გადამუშავებული ჭეშმარიტება (ასე ვთქვათ პირში ჩადებული) არ მიიღო, დაეზარა საკუთარ თავზე ოდნავი ძალისხმევა გაეკეთებინა და ამ სულელური ნაბიჯით თვით სულიწმიდასთან დაპირისპირებაში მოიხვედრა თავი. სწორედ ეს გახდა შემდგომში მასში ემოციების წარმოშობის მიზეზიც. აი ამ ზემოთ მოყვანილი პროცესით კი, იგი ამ ჩადენილი შეცდომისგან იკურნება. თავისდაუნებურადაც კი ეს ცოცხალი არსება დაადგება მონანიების გზას, სულიწმიდასთან მის მიერ შეცდომის აღიარების გზას. ეს სინანული მის ემოციებს გონებად გარდაქმნის, რამეთუ ის თავისში სულიწმიდის მიერ მიწოდებულ და ადრე არ შესმენილ ცნობიერებას ამჯერად მოუსმენს, შეისმენს და გაითავისებს.

შემდგომ, თუ გავყვებით ქრონოლოგიურ თანმიმდევრულობას, იმ ნაწილში სადაც ეს არსება ვერ ახერხებს საკუთარი ემოციებისა-

გან გათავისუფლებას, მასში კვების აუცილებლობა წარმოიქმნება, ანუ მასში არსებული წარსულსმიჯაჭვულობა, უკვე ცნობიერ დონეზე გადაშიფრული მოვლენები ხელოვნური ინფორმაციული გზებით ნეიტრალიზირდება. კვება ამ შემთხვევაში ყველაფერს გულისხმობს რაც კი საერთოდ არსებობს. ამ შემთხვევაში კონკრეტულად ეს რაიმე წესრიგის გრაფიცირებული პროცესის უზრუნველყოფის საშუალებებს გულისხმობს. ვისაც უნდა ისე გაიგოს, მაგრამ მე ვიტყვი, რომ ეს უსერიოზულესი დაავადებაა, რომლით დაავადმყოფების შემდგომაც თუ ავადმყოფს განკურნების სურვილი თავადვე არ გააჩნია მას ვერც ერთი მკურნალი და ექიმი ვერ მოარჩენს. უკაცრავად და სწორედ ეს არის ის ფენომენი, რასაც შეიძლება ეწოდოს სიკვდილის გამოვლინებული მდგომარეობა მთელი თავისი სიგრძე-სიგანით. ეს ის მდგომარეობაა, როდესაც ამ ტიპის არსებას აღარ სჭირდება განგება, განგების პირადი წარმომადგენლები, სულიერი სამყარო, ჭეშმარიტების რაობის აღქმა, სიამოვნების მიღება და მხოლოდ სხეულის დაკმაყოფილებისა და უპირატესობის მოპოვების სურვილით იმართება სხვა სხეულებთან შედარებითობაში საკუთარი თავის დაყენებით.

ახლა კი გადავალ იმაზე, რასაც ანნადა პარამმანოს ქალურ საწყისში ნეტარებაში (გულწრფელობაში) გადასვლა და იქ დამკვიდრება მოიაზრებს თავის არსობრივ აღქმაში.

ნეტარება თავისი სრულყოფილი გაგებით ისეთ მდგომარეობას ნიშნავს, როდესაც საკუთარი აზროვნებიდან მომდინარე სურვილი არ არსებობს. ეს არის ქალური საწყისით აქტივიზირებულ ცოცხალ არსებაში ისეთი მდგომარეობის დამკვიდრება, როდესაც ის მთელი თავისი არსებით არის მინდობილი სულიწმიდაზე, არავითარი დაპირისპირების, ჩუმი დაუთანხმებლობის არც სურვილი არსებობს და არც არანაირი ამის გამოვლინებული ფორმა.

თუმცა არსებობს მაინც ერთგვარი ვაკუუმი. ეს ის ნაწილია, რომელშიც თავად სულიწმიდა ახდენს თავისში არსებული შინაგანი წესრიგის გარშემო ტრანსფორმაციულ-გარდაქმნით სამუშოებს, მაგრამ ეს არ ეხებათ მასზე მინდობილ ქალური საწყისით აქტივიზირებულ ცოცხალ არსებებს. სწორედ ამ ნაწილის შესაბამის ადგილში სულიწმიდის მიერ მისი უშუალო დახმარებითა და უზრუნველყოფით მათი დაკავშირება ხდება იმ მამაკაცური საწყისით აქტივიზირებულ ცოცხალ არსებებთან, რომლებიც ამ არსებებს სიამოვნებისა და სიტკბოს მეტს ვერაფერს მოუტანენ. ეს არის ოჯახის ფენომენის გამოვლინებული ფორმა სულიერ სამყა-

როში. ყველა ქალური საწყისით აქტივიზირებული ცოცხალი არსება არის ამით უზრუნველყოფილი და ყოველი მათგანი უზომო ბედნიერებასა და სიხარულში იმყოფება.

ეს ცოცხალი არსებები აბსოლუტურად სრულყოფილად გულწრფელნი არიან და ნდობა სულიწმიდის მიმართ მათი ბედნიერებისა და სიხარულის გარანტორია. მათ აღარ ესაჭიროებათ იზრუნონ რაღაც პრობლემებზე, რამეთუ მათ პრობლემებს სამყაროს უწმინდესი პიროვნება თავად წყვიტავს და უხსნის ყოველგვარ დაბრკოლებას. ერთადერთი რამ, რაც მათ ევალებათ გახლავთ ის, რომ სულიწმიდაზე წინ არავინ და არაფერი არ უნდა დააყენონ. ის უნდა იყოს მათთვის უალტერნატივოდ და უპირობოდ უმაღლესი ავტორიტეტი და არ უნდა დათესონ თავისში თუნდაც იოტისოდენა ეჭვი. ამისთვის კი, მთლიანად მინდობილნი ყოველგვარი პირადი მოსაზრების გარეშე, ყოველთვის, ყველგან და ყველაფერში, უნდა მიჰყვებოდნენ მას იქით, საითაც იგი მათ მიუთითებს.

რაც შეეხება ამ არსების ურთიერთობას თავისი შესაბამისი მამაკაცური საწყისის წარმომადგენელთან, ეს იქნება პირადი აზროვნების დამკვალიანებელთან ურთიერთობის გამოვლინება. მისი საშუალებით ეს ქალური საწყისით აქტივიზირებული ნაწილი მამა ღმერთის შეხედულებებს გაეცნობა და მიიღებს სულიწმიდაში არსებული ჯერ კიდევ გადასამუშავებელი საკითხების შესახებ. ეს იქნება სულიერ სამყაროში მიმდინარე ობიექტურ რეალობაში ყოფნის, რეალურ აწმყოში ყოფნის საშუალება ყოველთვის, ვიდრე ამ ცოცხალი არსების მხრიდან სპეკულაციური აზროვნების სურვილი არ წარმოიქმნება. ვინაიდან ეს ყოველივე გონების ენაზე იწერება, რომანტიკული სულისკვეთება არ იგრძნობა, მაგრამ თვითონ ამ გზით ცხოვრების პროცესში ეს მართლა ენითაუწერელი ბედნიერებაა, ეს მართლაც ნეტარების მდგომარეობაში ყოფნაა.

ამ არსებისათვის, როგორც ქალური საწყისის წარმომადგენლისათვის ხომ მთავარი ის არის, რომ იგი უყვარდეთ, მას უფრთხილდებოდნენ და სათუთად ეპყრობოდნენ. ჰოდა სწორედ ამას ღებულობს იგი როგორც სულიწმიდის მხრიდან, ისე იმ მამაკაცური საწყისის წარმომადგენლის მხრიდან, რომელიც მისი ჭეშმარიტად მეორე ნახევარი, მისი სრულყოფილი ნაწილი ხდება. ეს არსება ესთეტიკის გამოვლინებულ გამოხატულებას ემსახურება. ურთიერთობა მასსა და მის მეორე ნახევარს შორის ისეთი სიღრმისაა, როგორც მატერიალურ სამყაროში მამაკაცსა და ქალს შორის სქესობრივი აქტის დროს წარმოქმნილი რამოდენიმეწამიანი ორგაზ-

მის მომენტში, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ იქ, სულიერ სამყაროში ეს მდგომარეობა მუდმივად სუფევს მათ შორის ნებისმიერი სახით ურთიერთობის დროს.

აუცილებლად მინდა ვთქვა, რომ არაფერს არ ვაიდეალიზირებ და არ ვაჭარბებ, ეს ჭეშმარიტად ასე იყო, ასე არის და ასე იქნება აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. დღეს ცინიკურად ხმარობენ, მაგრამ მე ცინიზმის გარეშე მინდა მოვიხსენიო ერთი ფრაზა და ამით დავასრულო ეს მიკროთავი – ნეტარ არიან მორწმუნენი.

შინაგანი ქაოსი და ჰარმონიზირება (უშუალობა)

თუ ქრონოლოგიური თანმიმდევრულობით მივუდგებით, ასეთ რაღაცას მივიღებთ: მამაკაცური საწყისით აქტივიზირებული ცოცხალი არსება იმ საკითხების გადაწყვეტით ინტერესდება, რომლებზეც თავად სამყაროს უზენაესი პიროვნება, მამა ღმერთი მუშაობს. თუ ეს არსება მთლიანად არ არის მინდობილი მამა ღმერთზე და პირდაპირ და უშუალოდ მას არ აწვდის და მასთან არ განიხილავს თავისი კვლევის შედეგებს თავისდაუნებურადაც კი, გარდაუვლად მის პარალელურად ახდენს ამ საკითხების გარშემო მუშაობას. შემდგომში ეს მამა ღმერთთან კამათის, მასთან არ დათანხმების სურვილში გადაიზრდება. ეს არსება ვერ ითავისებს უკვე იმას, რომ განგების პირად წარმომადგენლად გადაქცევის პრეტენზიას ატარებს თავისში არ თანამშრომლობს რა განგების პირად წარმომადგენელთან მამაკაცური საწყისის წარმომადგენლობით ნაწილში. როგორ ლამაზადაც არ უნდა ითქვას, ამ ცოცხალმა არსებამ თავისში მიგნებული წარმოსახვითი შეხედულებების მამა ღმერთისათვის გაზიარება აღარ მოინდომა, რაღაც დამალა მისგან, შეიძლება რაღაცა სულელური წყენის ან მამა ღმერთთან რაღაცაში არ დათანხმების გამო. როგორ მიუღებლადაც არ უნდა ეჩვენოს, ეს არსება უნდა მიენდოს ყოველთვის და მთლიანად, რა თქმა უნდა, მამა ღმერთის მიერ მისთვის მიცემულ რეკომენდაციებსა და მითითებებს. სამწუხაროდ, ეს არსება რევოლუციონერობის მუხტის მატარებელი ხდება.

შემდგომ ამისა, ამ ცოცხალ არსებას (თითქმის ყველა შემთხვევაში) მოუწევს მატერიალიზირება ანუ სულიერი სამყაროს პარალელურ სამყაროში გადასახლება. მასში აქ მუდმივად იარსებებს შინაგანი ქაოსი. ის „მომავალში“ ზედმეტად არის გადასული. ამის

გასანეიტრალებლად განგება მასში საპირისპირო სქესის მატერიალიზირებული ნაწილის წარმომადგენელთა მიმართ სქესობრივი ლტოლვის მიდრეკილებას უნერგავს, რათა „წარსულში“ ამ პროვოცირებული სურვილით მიდრეკის პროცესში როგორმე „აწმყოში“ დააბრუნოს. აი ეს არის ჩემი გადასახედიდან „ლაკმუსის ქაღალდი“ და ამაზე ოდნავ გავჩერდები. რამდენადაც ამ აქტივიზირებული მატერიალიზირებული ცოცხალი არსების შეხედულებები განგებისთვის მისაღები გახდება (თუმცა სულიერი სამყაროში მიმდინარე ობიექტური რეალობისთვის ისინი მაინც ნაადრევი იქნება, თუნდაც მათი იდეალურად სასურველად გადაწყვეტის შემთხვევაშიც კი), იმდენად ეს ცოცხალი არსება სქესობრივი ლტოლვის დაკმაყოფილებას არა სიამოვნების მიღების უხეში ძალადობრივი, ანგარებითი, დაუფლებითი გზებით ეცდება, არამედ სიამოვნების მინიჭებით, სქესობრივ პარტნიორად არჩეული ცოცხალი არსების ინტერესების სრულყოფილად და საჭიროდ გათვალისწინებით. საქმე იმაში გახლავთ, რომ ამ მეორე მატერიალიზირებულ ცოცხალ არსებას ჭეშმარიტად ესაჭიროება ასეთი ჭარბი აქტიურობის მქონე არსებასთან კონტაქტი, რამეთუ თავად ჭარბი პასიურობის გამოა მოხვედრილი მატერიალურ სამყაროში. ამ შემთხვევაში ასეთი ტიპის სქესობრივი ურთიერთობები მეტად დადებითი და უაღრესად საჭირო პროცესია. ამის მეშვეობით ისინი სულიერ სამყაროში დაბრუნების უფლების მოპოვების გზას ადგებიან. ამ ჭარბი აქტიურობის მქონე არსებამ ხომ სიჭარბე და მოუთმენლობა მხოლოდ იმიტომ გამოავლინა, რომ სხვა ცოცხალი არსებების აღქმისა და რეალურად სტატუსკვო შიდა არსობრივი მდგომარეობის დანახვის სურვილი და უნარი დაკარგა. სწორედ ეს იყო მამა ღმერთთან მისი გაუცხოვების ძირითადი მიზეზიცა და მასში ამ უცნაური ამბიციურობის წარმოშობის მიზეზიც. აი ამ პროცესით კი იგი ამ მიდრეკილებისაგან ნელ-ნელა და მტკიცედ იკურნება. თავისდაუნებურადაც კი, ეს არსება აუცილებლად დაადგება აღსარების, მამა ღმერთთან საკუთარი შეცდომების აღიარების გზას და ის გაუცხოვება, რომელიც თავად დათესა თავისში, მის მიერვე ამოიძირკვება, თუმცა ეს ერთ წამში არ მოხდება. სასაცილო რაიმე მინდა ვთქვა: თვით მამა ღმერთს ძალიან უყვარს და არც შეიძლება არ უყვარდეს ასეთი აქტიური და მოუსვენარი არსებები. ის მათ ყოველთვის თვალს ადევნებს და სწყინს, როდესაც ისინი შეცდომებს ზრდიან და უხარია, როდესაც ამ შეცდომების გამოსწორებას ახდენენ. შეიძლება უცნაურადაც კი ჟღერდეს, მაგრამ ამ არსებებში

წარმოქმნილი შეხედულებები მომავალში მამა ღმერთის მიერ რაღაცაშიც კი შეიძლება იქნას გამოყენებული (შეიძლება არც იყოს გამოყენებული), მაგრამ ამას ამ შემთხვევაში არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

შემდგომ თუ გავყვებით ქრონოლოგიას, იმ ნაწილში, სადაც ეს არსება ვერ ახერხებს საკუთარი ამბიციებისაგან გათავისუფლებას, წარმოიქმნება მასში კვების აუცილებლობის ფენომენი ანუ მცდარი ან ნაადრევად მიგნებული ჭეშმარიტების დროზე ადრე დამკვიდრების ინფორმაციული ფონის განეიტრალებისათვის ხდება მისი გამოკვება. ამ შემთხვევაში საკვებში შეიძლება მოაზრებულ იქნას ნებისმიერი რამ, რაც შინაგან ქაოსს რამდენადმე გაანეიტრალებს დროებით, რა თქმა უნდა. ძალიან უხეშად თუ ვიტყვით, ეს საკვები საშუალებები „გამაბრუებელი ნარკოტიკებია". რაც უფრო ნაკლები იქნება ეს საშუალებები (თუ ცოცხალი არსება ამას ფსიქიურად აიტანს), მით უკეთესი იქნება იმისათვის, რათა რაც შეიძლება მეტი ამბიცია გარდაიქმნას მასში გრძნობად, მამა ღმერთისადმი ერთგულებად და ნდობად. თუ მატერიალიზირებული ცოცხალი არსება მატერიალური სამყაროს ილუზიურობას ჭეშმარიტად სრულყოფილად აღიქვამს, ის საკუთარ პიროვნებას ჭეშმარიტ ობიექტურ შეფასებით ჭრილში დაინახავს და ვფიქრობ, ნამდვილად შეძლებს მამა ღმერთის უშუალო გარემოცვაში ყოფნის უფლება მოიპოვოს (ან ვინც დაკარგა დაიბრუნოს). ეს ცოცხალი არსებები ხომ ყველაზე ნიჭიერნი არიან ყველა ცოცხალ არსებებს შორის და შეუძლებელია მამა ღმერთი და თვით განგება არ იყვნენ დაინტერესებულნი მათი პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენებით.

ახლა კი გადავალ იმაზე, რასაც ანნადან პარამმანოს მამაკაცურ საწყისში, ჰარმონიზირებაში (უშუალობაში) გადასვლა მოიაზრებს თავის არსობრივ აღქმაში. ჰარმონიზირება, თავისი სრულყოფილი გაგებით, ისეთ მდგომარეობას ნიშნავს, როდესაც საკუთარი სურვილები მამა ღმერთიდან და მამა ღმერთისათვის იდეალური აზრთაწყობიდან არის მომდინარებული. ეს არის მამაკაცური საწყისით აქტივიზირებული ცოცხალი არსების ისეთი მდგომარეობის დამკვიდრება, როდესაც ის მთელი თავისი არსებით არის მინდობილი მამა ღმერთს, არავითარი უთანხმოების, გაუცხოვების, კრიტიკულობის სურვილი არ არსებობს.

თუმცა აქაც არსებობს მაინც ერთგვარი ვაკუუმი. ეს ის ნაწილია, რომელშიც თავად მამა ღმერთი ახდენს თავისში არსებული

შინაგანი ქაოსის გარშემო გარდაქმნით სამუშაოებს, მაგრამ ეს არანაირად არ ეხებათ მასზედ მინდობილ მამაკაცური საწყისით აქტივიზირებულ ცოცხალ არსებებს. სწორედ ამ ნაწილის შესაბამის ადგილში მამა ღმერთის მიერ, მისი უშუალო უზრუნველყოფით, მათი დაკავშირება ხდება იმ ქალური საწყისით აქტივიზირებულ ცოცხალ არსებებთან, რომლებიც ამ არსებებს კმაყოფილებასა და მყუდროებას ანიჭებენ. ეს არის ოჯახის ფენომენის გამოვლინება სულიერ სამყაროში ამჯერად სულიერი სამყაროს მამაკაცური საწყისის გადასახედიდან. ყველა მამაკაცური საწყისით აქტივიზირებული ცოცხალი არსება არის ამით უზრუნველყოფილი და ყოველი მათგანი უზომო ნეტარებასა და სიყვარულში იმყოფება.

ეს ცოცხალი არსებები აბსოლუტურად სრულყოფილად უშუალონი არიან და ნდობა მამა ღმერთის მიმართ მათი ნეტარებაში და სიყვარულში ყოფნის უალტერნატივო გარანტორია. მათ აღარ ესაჭიროებათ რაღაცა პრობლემების მოგონება, იმისათვის რომ ვინმეს ყურადღება მიიპყრონ. მამა ღმერთი მათ ჭეშმარიტად გადასაწყვეტ პრობლემებს უნაწილებს და ასაქმებს თავის სამსახურში რაც, საბოლოო ჯამში, მთელი სულიერი სამყაროს კეთილდღეობისა და საჭიროების შემოტანით უზრუნველყოფს. ყველაზე მთავარი, რაც მათ ევალებათ, გახლავთ ის, რომ მამა ღმერთზე წინ არავინ და არაფერი არ უნდა დააყენონ. ის უნდა იყოს მათთვის უალტერნატივოდ და უპირობოდ უმაღლესი ავტორიტეტი. მათ არ უნდა დამალონ არაფერი, თუნდაც სულ უმნიშვნელო რამეც კი. სხვაგვარად მათი უშუალობა ამ დამალულ ნაწილში დაიკარგება და ამ ადგილზე საკუთარი მნიშვნელოვნების შეგრძნება ამოიზრდება სარეველა ბალახივით, რომელიც შემდგომ დროთა განმავლობაში მთლიანად მოედება მათ სულს. არასოდეს არაფერში მამა ღმერთისათვის მიუღებელი და მით უმეტეს მის მიერ აკრძალული რამ არ უნდა ჩაიდინონ. თუ მოხდება ისე რომ ამის პროვოცირებული სურვილი გაჩნდება მათში, თავადვე საკუთარი ინიციატივით უნდა მივიდნენ მამა ღმერთთან და ეს აუწყონ. ის აუცილებლად მონახავს აქედან გამოსავალს და აუწყებს როგორ მოიქცნენ. ბოლოსდაბოლოს ამ სურვილის გადაშიფვრაში დაეხმარება გონებრივ და გრძნობით დონეზე და ეს „განხეთქილების ვაშლები“ საპნის ბუშტივით გასკდება და გაქრება.

რაც შეეხება ამ ცოცხალი არსების ურთიერთობებს თავისი შესაბამისი ქალური საწყისის მქონე ცოცხალ არსებასთან ეს იქნება

მის გულში არსებული ვაკუუმის დასამკვიდრებელი რამ. მისი საშუალებით ეს მამაკაცური საწყისით აქტივიზირებული ცოცხალი არსება სულიწმიდის შეხედულებებს გაეცნობა იმის გარშემო, რაც ზოგადად ქალური საწყისისათვის სულიერ სამყაროში ცნობიერული ინტერესის მყისეულ ნაწილს წარმოადგენს. ამით ეს არსება არც მომავალში გადავარდება, რამეთუ ე. წ. წარსული, მასთან ცნობიერული ურთიერთობების დამყარებით, მასზედ ფუნქციონალური საქმიანობის პასუხისმგებლობას გაუღვიძებს და რეალურად სულიერ სამყაროში მიმდინარე ობიექტურ რეალობაში ანუ აწმყოში იქნება მუდმივად. ის თავისი შეხედულებების გაზიარებით ქალური საწყისით აქტივიზირებული ცოცხალი არსებისათვის (რომლებიც მამა ღმერთიდან მომდინარე და მასთან უშუალოდ შეთანხმებული იქნება), თავისი მეორე ნახევრის ჰარმონიზირებას მოახდენს. როდესაც იგრძნობს, რომ ის შესმენილია და საინტერესოა ამ არსებისათვის ეს ძალიან დიდ კმაყოფილებას და სიამოვნებას მიანიჭებს. ეს არსება თავის სრულ ნაწილად იქნება აღქმული და ისე მოექცევა როგორც ეთიკის წარმომადგენელი უნდა იქცეოდეს ესთეტიკასთან და ესთეტიკის პირად წარმომადგენელთან.

მთლიანად ორივე ნაწილის მოკლე ფასეულობრივი აღწერისთვის შედგენილი ცხრილი

არაინდივიდუალური სული (ზესული)				
პარამანანდა	**პარამვიჯნანა**	**პარამანო**	**პარამპრანა**	**პარამანნა**
ნდობა	ევოლუცირება	ჰარმონია	განდეგილობა	გაზიარება
რწმენა	ცივილიზაცია	ტრანსცენდენცია	ნეტარება	გაცნობიერება
ინდივიდუალური სული (სულიერი სხეული)				
ანანდა	**ვიჯნანა**	**მანო**	**პრანა**	**ანნა**
თვითკმაობი	მეციერება	„მე“-ს შეცნება	„ეგო“-ს შეცნობა	შინაგანი ქაოსი
სარწმუნო (ვნ)ება	კულტურა	ფუნქციონალური რელიგიურობა	შემოქმედება	შინაგანი წესრიგი
ინდივიდუალური სხეული (მატერიალური სხეული)				
ანანდამაია	**ვიჯნანამაია**	**მანომაია**	**პრანამაია**	**ანნამაია**
ყოფით კმარობა	თვითგაკერპება	გარეგანი ქაოსი	გარემოზე ზემოქმედება	გემოვნება ოცნებები
ვიზუალური რელიგიურობა	კერპთაყვანის-მცემლობა	გარეგანი წესრიგი	საკუთარ „მე“-ზე ზემოქმედება	აზროვნება ეჭვები

დასკვნა

ჩემი, როგორც ინდივიდუალური სულისა და ინდივიდუალური სხეულის სრულქმნისათვის საჭირო და აუცილებელი პრინციპების ჩამოყალიბება, მათთან მიდგომის კონცეფტუალური თვითგანსაზღვრა. ინდივიდუალური სულისა და ინდივიდუალური სხეულის იდეალურად მართებულად თანაცხოვრებისა და თანამშრომლობის მიღწეულობის გამოვლინებულობის აღწერა.

ჩემს მიერ პირველ წიგნში მოყვანილია ოთხი პრინციპი, რომელთა საფუძველზეც დაიწერა და შეიქმნა ყველა წიგნი, რაც კი დავწერე. მე კარგად მესმოდა, რომ არსებობდა მე-5 პრინციპიც, მაგრამ ისიც კარგად მესმოდა, რომ მისი იქ შემოტანა კატეგორიულად დაუშვებელი იყო. აი ახლა კი, ჩემი შემოქმედებითი მოღვაწეობის დასასრულს (ორიენტაციის მკაფიოდ განსაზღვრის კუთხით) ვაძლევ ჩემს თავს იმის უფლებას, რომ ეს მე-5 პრინციპიც შემოვიტანო, რომელიც რეალურად პირველი იქნება ჩამონათვალის ნუსხაში. თვითონ მიდგომაც კი შეიცვლება ყველა პრინციპთან მიმართებაში და ეს იქნება სწორედ ამ სიახლის გავლენისა და მნიშვნელობის გათვალისწინების შედეგი.

რა თქმა უნდა, ამით ჩემს არც ერთ წიგნს თავისი ფუნქციონალური მნიშვნელობა არ შეუმცირდება, რამეთუ ისინი სწორედ რომ შეასრულებენ აღმზრდელების როლს ადამიანებთან მიმართებაში (თუ ეს განგებას ენდომება), ხოლო ეს წიგნი მათთვის მაღალი დონის რელიქვიად დარჩება და ამის გაგებას კანტი-კუნტად ვინმე თუ შეძლებს და ისინიც მხოლოდ ნაწილობრივ. თან, ვფიქრობ, ეს ჩემი სხეულიდან გასვლის შემდგომ მოხდება. ისე რომ, როგორც ადამიანებს სჩვევიათ ხოლმე, ეს წიგნი უფრო გაკულტებულ ნივთად ექნებათ, რომელსაც ყოველ დილა-საღამოს შეიძლება თაყვანი სცენ და ლოცვები მიუძღვნან.

ესეა თუ ისე, შემოდის მე-5 პრინციპი და ახლა მე ყველა პრინციპის ჩამონათვალსა და განსაზღვრებას მოვახდენ ამ დასკვნით ნაწილში.

1. ჩემს დონეზე უფრო მაღალი ეთიკურ-ესთეტიკური დონე, რომელიც თავისზე დაბლა მყოფი ეთიკურ-ესთეტიკური დონის

წარმომადგენელთა სულიერად ამაღლებით არის დაინტერესებული.

ა) მამაკაცური საწყისი. პარამანანდა.
მამა ღმერთის ერთგულება. თვითკმარობა.
სრულყოფილება საკუთარი „მე“-ს გამოვლინების საზღვრებში.

ბ) ქალური საწყისი. ანანდა.
სულიწმიდის ერთგულება. გათვითცნობიერებულობა.
განგების ნების რეალიზაციის საშუალებად გადაქცეულობა.

2. ჩემს დონეზე უფრო მაღალი ეთიკურ-ესთეტიკური დონე, რომელიც თავისზე მაღლა მყოფი ეთიკურ-ესთეტიკური დონის წარმომადგენელთა სულიერ დონემდე ამაღლებით არის დაინტერესებული

ა) მამაკაცური საწყისი. პარამვიჯნანა
სრულყოფილებისკენ სწრაფვა.

ბ) ქალური საწყისი. ვიჯნანა.
მორჩილი თაყვანისცემა

3. ჩემი დონის ტოლი ეთიკურ-ესთეტიკური დონე, რომელიც თავისი ტოლი ეთიკურ-ესთეტიკური დონის წარმომადგენლებთან სულიერი ურთიერთგაზიარებით არის დაინტერესებული.

ა) მამაკაცური საწყისი. პარამმანო
საკუთარი შიდა არსის გამჭვირვალობა და გაცემა;
უშუალობა.

ბ) ქალური საწყისი. მანო.
გულწრფელობა.

4. ჩემს დონეზე უფრო დაბალი ეთიკურ-ესთეტიკური დონე, რომელიც თავისზე მაღლა მყოფი ეთიკურ-ესთეტიკური დონის წარმომადგენელთა სულიერ დონემდე ამაღლებით არის დაინტერესებული.

ა) მამაკაცური საწყისი. პარამპრანა
არაძალადობა.

ბ) ქალური საწყისი. პრანა.
ზომიერი თანამიმდევრულობა.

5. ჩემს დონეზე უფრო დაბალი ეთიკურ-ესთეტიკური დონე, რომელიც თავისზე უფრო დაბლა მყოფი ეთიკური დონის წარმომადგენელთა სულიერი ამაღლებით არის დაინტერესებული.

ა) მამაკაცური საწყისი. პარამანნა.
თვითკმარი მყუდროება.

ბ) ქალური საწყისი. ანნა.
ნებაყოფილობითობა.

ე. წ. იდეალური მდგომარეობა მაშინ იქნება მიღწეული ჩემს მიერ, როდესაც ჩემი ინდივიდუალური სული სრულყოფილად დააკმაყოფილებს I პრინციპის დაცვას მას შემდეგ, რაც მე-3 და მე-2 პრინციპებს შეიმეცნებს და მათ მოთხოვნებს სრულყოფილად შეასრულებს, ხოლო ინდივიდუალური სხეული კი სრულყოფილად დააკმაყოფილებს III პრინციპის დაცვას, მას შემდეგ რაც მე-5 და მე-4 პრინციპებს შეიმეცნებს და მათ მოთხოვნებს სრულყოფილად შეასრულებს.

I პრინციპის შესრულება ინდივიდუალურ სულში განაპირობებს მისი გაორების ტენდენციის აღმოფხვრას ანუ თავისუფლდება სულიერი სქესობრივი ვნების არსებობისაგან თავის არსში. I პრინციპის ვერ (არ) შესრულების შემთხვევაში კი ყველაფერი პირიქით მოხდება, ინდივიდუალურ სულში გაორებულობა წარმოიქმნება და არსებული მანკიერი ნაწილის სხვა ცოცხალი არსებებისათვის მისი თავზე მოხვევის სურვილი გაჩნდება, ანუ დაავადდება სულიერი სქესობრივი ვნებით ინდივიდუალური სულის არსში, მისი გაჩენით.

II პრინციპის შესრულება ინდივიდუალურ სულში განაპირობებს მისგან სულსწრაფობის ტენდენციის აღმოფხვრას ანუ ინდივიდუალური სული თავისუფლდება სულიერი სქესობრივი ლტოლვის არსებობისაგან თავის არსში. II პრინციპის ვერ (არ) შესრულების შემთხვევაში კი ყველაფერი პირიქით მოხდება, ანუ ინდივიდუალურ სულში მოუთმენლობა ან ჭარბი მოთმინება (სიზარმაცე, მოთმენა) წარმოიქმნება და შეძენილი მანკიერი ნაწილით საკუთარ „მე"-ს (ამ შემთხვევაში ინდივიდუალურ სულს) დიდი ხნით ატარებს ლაბირინთებში. ანუ დაავადდება სულიერი სქესობრივი ლტოლვით.

III პრინციპის შესრულება ამჯერად უკვე ერთიან „მე"-ში (ინდივიდუალურ სულში და ინდივიდუალურ სხეულში) განაპირობებს წინასწარ რაღაცის დაგეგმარებისა და ამ დაგეგმარებულით ხელმძღვანელობის ტენდენციის აღმოფხვრას ანუ ზოგადად განგებისა და განგების წარმომადგენლების მიერ მიენიჭება უფლებაცა და საშუალებაც. „მე"-ში არსებული მანკიერების მოცილებისათვის სულიერი და მატერიალური ლტოლვისა და ვნების დაკმაყოფილება მოახდინოს განგების მიერ მისთვის მკაცრად განსაზღვრულ დიაპაზონში. III პრინციპის ვერ (არ) შესრულების შემთხვევაში შემოდის ეჭვები და შიშები „მე"-ში და ცდილობს იმიტაციური კალკირება მოახდინოს იმისა, რაც წინასწარ დაგეგმა და ხელსაყრელ მომენტში წინასწარ განზრახული გეგმებიდან ყველაზე ადვილად განხორციელებული იმ მომენტში ნებისმიერი გზითა და საშუალებით შეაპაროს, დაამკვიდროს.

IV პრინციპის შესრულება ინდივიდუალურ სხეულში განაპირობებს მისგან სუბიექტურობის ტენდენციის აღმოფხვრას ანუ ინდივიდუალური სხეული თავისუფლდება მატერიალური სქესობრივი ლტოლვის არსებობისაგან თავის არსში. IV პრინციპის ვერ (არ) შესრულების შემთხვევაში კი ყველაფერი პირიქით ხდება ანუ ინდივიდუალურ სხეულში სუბიექტურობა წარმოიქმნება და შეძენილი ჭარბი მანკიერი ნაწილით, საკუთარ ინდივიდუალურ სხეულს ახალ დამატებით „ხილულ" პრობლემებს შეუქმნის ანუ დაავადდება მატერიალური სქესობრივი ლტოლვით.

V პრინციპის შესრულება ინდივიდუალურ სხეულში განაპირობებს მასში არსებული ეგოისტური ტენდენციების გამოვლინების აღმოფხვრას ანუ ინდივიდუალური სხეული თავისუფლდება მატე-

რიალური სქესობრივი ვნების არსებობისაგან თავის არსში. V პრინციპის ვერ (არ) შესრულების შემთხვევაში ინდივიდუალური სხეულის მიერ მასში არსებული ეგოიზმის გამოვლინება იზრდება, რაც თავად იწვევს ეგოისტური ბუნების ახალი დამატებითი ფორმების წარმოქმნას, რითაც სულიერი (კარმიული) ჭუჭყის გაზრდას უწყობს ხელს და შემდგომ ინკარნაციებში უფრო მეტად და მეტად ამძიმებს საკუთარ მატერიალურ მდგომარეობას (რაც მომავალ დაბადებებში შეექმნება), ანუ დაავადდება მატერიალური სქესობრივი ვნებით.

სამყაროში შექმნილი სისტემის ნებისმიერ წერტილში შესაბამისი ობიექტური რეალობის ადაპტაციის სახელმძღვანელო – დაახლოებით ასე შეიძლება იწოდოს ის, რასაც მოემსახურება აქ ჩამოთვლილი ხუთი პრინციპი. ახლა ზოგადად თვითოეული პრინციპის შესაბამისი კატეგორიის წარმომადგენლებთან „მე“-ს საჭირო და სასურველ ურთიერთობებს ჩამოვაყალიბებ და ეს იქნება ის დასკვნითი, საბოლოო მითითება თუ რჩევა-დარიგება, რასაც „მე“-ში შეტანა მოიტანს.

მთელს არსებულ სამყაროში განგების მიერ შექმნილი სისტემების ნებისმიერი წერტილისთვის შესაბამისი ობიექტური რეალობის ადაპტაციისათვის საჭირო და აუცილებელი დასკვნითი რჩევა-დარიგებები

მეხუთე კატეგორიის წარმომადგენლებთან (სადაც მე-5 პრინციპი უნდა იქნას დაცული) ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ საკუთარი ინიციატივით არანაირი კონტაქტი არ უნდა დამყარდეს. თავისდაუნებურად (არა საკუთარი ინიციატივით) წარმოქმნილი კონტაქტის შემთხვევაში საკუთარი ნებაყოფილობითობა არ უნდა შეიზღუდოს და არანაირი ფორმით შინაგანი მყუდროება არ უნდა დაირღვეს. შეიძლება ძალიან უხეშადაც კი ჟღერდეს, მაგრამ ამ კატეგორიის წარმომადგენლები ცნობიერი ურთიერთობების ღირსად არ უნდა ჩაითვალონ. ისინი შორეულ წარსულს მიწებებული ნაწილი არიან და სრულყოფილების კომპლექსით არიან სერიოზულად დაავადებულნი. მათთან მიმართებაში „გზის ადამიანს“ ევა-

ლება მათი ყოფიერების უზრუნველყოფა იმხელაზე, რამხელაზეც თავად არ დაარღვევენ მის კეთილ ნებასა და მყუდროებას.

მეოთხე კატეგორიის წარმომადგენლებთანაც შეიძლება ითქვას საკუთარი ინიციატივით არ უნდა დამყარდეს ურთიერთობა, მაგრამ მათი მხრიდან კონტაქტის დამყარების სურვილის შემთხვევაში, ისინი უფრო დაბალ ეთიკურ დონედ უნდა აღიქმებოდეს წინასწარ და მიდგომა ისე უნდა მოხდეს, როგორც მასწავლებლისა მოსწავლესთან ანუ მუდმივად უნდა არსებობდეს და კონტროლირდებოდეს დისტანცია, რომელიც მათ ფამილიარობაში გადასვლის საშუალებას არ მისცემს. თუ მათ ასეთი ტიპის ურთიერთობები მობეზრდებათ და გავლენ ურთიერთობიდან (გაუქრებათ ურთიერთობის სურვილი) მშვიდად უნდა მოხდეს შეხვედრა ამასთან ანუ არანაირად არ უნდა მოხდეს მიწებება მათზე. ისინი არ უნდა იქნან აღქმულნი, როგორც „გზის ადამიანში“ არსებული არსის მიზანდასახულად მიწოდების საშუალებები. ფაქტიურად ეს იქნებოდა ერთგვარი ცნობიერულ-ინფორმაციული ძალადობის, არაზომიერებისა და არათანამიმდევრულობის გამოვლინება, მაშინ, როდესაც ამ კატეგორიის წარმომადგენლებთან უნდა იყოს არაძალადობითა და ზომიერი თანამიმდევრულობით განმსჭვალული სულისკვეთება. ფაქტიურად მათთან „გზის ადამიანმა“ ყოფითი ურთიერთობები არ უნდა დაამყაროს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს მათში არსებული პოტენციური შესაძლებლობების ცნობიერულ დონეზე განვითარების პარალიზებას ან, უკეთეს შემთხვევაში, გაზარმაცებას გამოიწვევს. ისინი „გზის ადამიანისთვის“ უნდა იყვნენ უახლოესი წარსულის წარმომადგენლები, რომლებმაც მათივე სურვილისა და ინიციატივის გამოვლინების შემთხვევაში აწმყოში შეიძლება გადაინაცვლონ. „გზის ადამიანს“ მათთან მიმართებაში ევალება მათი ცნობიერების განვითარების უზრუნველყოფა იმხელაზე, რამხელაზეც არ დაირღვევა მისი, როგორც მასწავლებლის უფლება და მათზე განპიროვნებული მოწაფეობრივი თანამიმდევრულობა.

მესამე კატეგორიის წარმომადგენლებთან ურთიერთობისას არანაირი დისტანცია არ უნდა არსებობდეს ანუ აბსოლუტურად არაფერი არ უნდა იყოს უხერხულობისა და ერთმანეთში დამალულობის მიზეზი და საბაბი. ე. ი. უნდა სუფევდეს აბსოლუტური უშუალობისა და გულწრფელობის ატმოსფერო. ურთიერთობები უნდა იყოს აწყობილი საკუთარ არსში უკვე გამართულად, მყარად დარ-

წმუნებულად არსებულის ბაზაზე. ამ ურთიერთობებს ორივე მხარისთვის უნდა მოჰქონდეს უზარმაზარი სიამოვნებისა და კმაყოფილების შეგრძნება. ეს იქნება ჭეშმარიტად თანასწორად აღქმულად შეგრძნებული ცოცხალი არსებების კონტაქტი, სადაც რაიმენაირი სახის უპირატესობის მიღებაზე, თუნდაც მცირეოდენი შეჯიბრის მცდელობაზე ფიქრს არათუ ადგილი, აზრიც კი არ უნდა ჰქონდეს. ეს ურთიერთობები განმსჭვალული უნდა იყოს საკუთარი არსის სრულად გამჭვირვალედ გამოვლინების, გაზიარების და გულწრფელობის სულისკვეთებით. ეს იქნება აწმყოს, მიმდინარე წამის გამოვლინება და ამ მიმდინარე წამით ცხოვრება. ამ შემთხვევაში ცნობიერებისა და ყოფიერების ერთმანეთისაგან გამიჯვნაც კი აზრს კარგავს, იმდენად ჰარმონიულად არიან ერთმანეთში შეზავებულნი. ამ კატეგორიასთან ურთიერთობისას „გზის ადამიანისა“ და მისი წარმომადგენლების სურვილები და ინიციატივები იმდენად თანხვედრილია, რომ ეს ინიციატივები უბრალოდ მათ ბუნებრივ მდგომარეობად შეიძლება იწოდოს და შეიძლება ინიციატივებადაც კი აღარ მოინათლოს, თუმცა აშკარაა, რომ ეს მაინც ინიციატივები იქნება რაც არ უნდა დაერქვათ მათ. ეს არის გრძნობისა და გონების ან პირიქით გონებისა და გრძნობის იდეალური ალიანსი, თანამშრომლობა, როცა ელემენტარულად უბრალოდ ვაკუუმიც კი არ რჩება რაიმენაირი ე. წ. პრობლემების გამოსაგონებლად და შესაქმნელად.

მეორე კატეგორიის წარმომადგენლებთან შეიძლება ითქვას, რომ სწორედ „გზის ადამიანის“ ინიციატივით უნდა ხდებოდეს ურთიერთობების დამყარება. მათთან მიმართებაში საკუთარი დონე უფრო დაბალ ეთიკურ-ესთეტიკურად უნდა აღიქვას და აღიაროს. უნდა დაიცვას ისეთი დისტანცია პატივისცემისა როგორიც ევალება ჭეშმარიტად დაბლა მდგომს ჭეშმარიტად მაღლა მდგომთან მიმართებაში. ამ შემთხვევაში ის ისე უნდა მიუდგეს ამ კატეგორიის წარმომადგენლებს როგორც თავად სურს, რომ მე-4 კატეგორიის წარმომადგენლები უდგებოდნენ ცნობიერი საკითხების ათვისების პროცესში საჭირო და აუცილებელი პირობების დაცვის თვალსაზრისით. ანუ უნდა მიუდგეს როგორც მოსწავლე მასწავლებელს და არ უნდა მისცეს უფლება საკუთარ პიროვნებას, რომ თავი გაუტოლოს და გაუთანასწოროს მათ საკუთარ აღქმაში. არ უნდა დაუშვას ზურგსუკან რაღაცეების ლაპარაკი (წუწუნი, ჩივილი, კრიტიკა და

ა. შ.) საკუთარ ფიქრებშიც კი. ეს ფამილიარობის არალეგალური გამოვლინებულობის ფორმა იქნებოდა მისი მხრიდან.

მათთან მიმართებაში განმსჭვალული უნდა იყოს ცნობიერი შიდა არსის წვდომის ე. ი. მისთვის სრულყოფილებისაკენ სწრაფვისა და მათდამი მორჩილებისა და ჭეშმარიტი თაყვანისცემის სულისკვეთებით. არასოდეს არ უნდა მოინდომოს, მოითხოვოს მათგან იმაზე მეტი ან იმაზე ნაკლები იმასთან შედარებით, რასაც ცნობიერ დონეზე მათგან მიიღებს.

ამ კატეგორიის წარმომადგენლებთან ასეთი მიმართების შემთხვევაში „გზის ადამიანს“ მიეცემა უფლება (პატივი) მათი ცნობიერების მიღებისა და აღქმისა საკუთარ არსობივ რაობაში იმხელაზე, რამხელაზეც არ დაარღვევს იმას, რაც აღვნიშნე ე. ი. უზრუნველყოფილი იქნება ცნობიერებით.

პირველი კატეგორიის წარმომადგენელბთან შეიძლება ითქვას „გზის ადამიანის“ მგზნებარე, მხურვალე სურვილითა და ინიციატივით უნდა ხდებოდეს (საერთოდ რამდენადაც ეს შესაძლებელია) ურთიერთობების დამყარება. მათთან მიმართებაში მან საკუთარი დონე ძალიან, უკიდურესად დაბალ ეთიკურ-ესთეტიკურ დონედ უნდა აღიქვას და აღიაროს. შეიძლება უცნაურად ჟღერდეს, მაგრამ ამ დონესთან შედარებით „გზის ადამიანს“ ფაქტიურად იმის ღირსადაც კი არ უნდა მიაჩნდეს საკუთარი პიროვნება, რომ ამ დონის წარმომადგენლობამ რაიმენაირი სახის ურთიერთობის დამყარება მოინდომოს. ისინი მისთვის უნდა იყვნენ აღქმულნი იმად, რასაც საერთოდ მაქსიმალურად იდეალური ზესვლის შემთხვევაში შეიძლება მიაღწიოს როდესმე (თუ მიღწევადად მიიჩნევს საერთოდ), მაგალითად, თუნდაც მილიონი ან მილიარდი დედამიწისეული წლის შემდეგ. ანუ უნდა აღიქვამდეს მათ როგორც ჭეშმარიტად სრულყოფილების გამოვლინებებს ინდივიდუალური ცოცხალი არსებების პირობებზე, შედარებითობის ფონზე ანუ ინდივიდუალიზმის გამოვლინებისთვის ზოგადად.

„გზის ადამიანს“ ღრმად უნდა ესმოდეს, რომ ისინი თავს არ გაუყადრებენ და მას ურთიერთობის დამყარების ღირსად არ ჩათვლიან. ეს უნდა მიიღოს როგორც არასაკმარისი სურვილი და მცდელობა მისგან გამომდინარებული და შეუპოვრად და გულდასმით უნდა ცდილობდეს უკეთესად, უფრო მეტად და უფრო მხურ-

ვალედ მოანდომოს მასთან ურთიერთობის დამყარება, ამის რაიმე-ნაირად დამსახურება.

ამ კატეგორიის წარმომადგენლებთან მიმართებაში „გზის ადა-მიანის“ სულისკვეთება განმსჭვალული უნდა იყოს საკუთარი „მე“-ს სრულყოფილების მიღწევის სურვილით განგების მიერ მისთვის განსაზღვრულ დაიპაზონში და განგების ნების რეალიზაციის სა-შუალებად გადაქცევის სურვილით, ანუ მიმდინარე რეალობის ობიექტურ რეალობად მიღების აღქმისა და შეგრძნების უნარის განვითარებით თავისში. მათთან ასეთი მიდგომის შემთხვევაში „გზის ადამიანს“ მიეცემა პატივი უშუალოდ მათგან, მათი დასტუ-რითა და მითითებებით ყოფიერების უზრუნველყოფისა.

კომპიუტერული აწყობა ***დათო ყანდაშვილი***

ყდის დიზაინი ***ნანა ყანდაშვილი***

გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge